N48 (599) 1/XII-7/XII-2011 ფასი 1 ლარი

# გზა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სჯ

## ჩემი რჩეული

ნოდარ დუმბაძე
ექვსტომეული
ტომი IV

შეგიძლიათ შეიძინოთ „გზის“ ამ ნომერთან ერთად!

წიგნი და „გზა“ ერთად 6 ლარი ღირს

წიგნის ფასი 5 ლარი

შემდეგი
ნოდარ დუმბაძე
ტომი V



1168
2011

## ვის მხარესაა სიმართლე?

დავით მაღრაძე ბიძინა ივანიშვილის შესახებ

## გიორგი ნაზღაიძეს მუქარის შემცველ მესიჯებს უგზავნიან

„მე და ნუკი ერთად ვართ“

„ჩემს სხეულს ბევრი ნაკლი აქვს“

## რით აოცებს გიორგი დუშენკო ხალხს



უცნაური კურიერი თბილისის ქუჩებში პიცას და ყვავილებს დაატარებს



## ფშაველი პოეტის გმირობისა და ყაჩაღობის ამბავი

„მან მიხა ხელაშვილის მკვლელზე იძია შური“



## ნინო არაზაშვილი: „მთელი ცხოვრება დასაყრდენს ვეძებ...“

გიორგი ქორქია: „ნინო ქუჩაში ქურდულ სიმღერებს მღეროდა“



## ვინ გააცოცხლა ნოდარ დუმბაძის პერსონაჟები ეკრანზე

„გადაღებისას გამოვუტყდი სიყვარულში და იმდენი იცინა, გავებუტე“

ISSN 1987 - 5029

## რაზე ჭორაობენ და რა პრობლემები აქვთ ქართველ ქალებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჯადოსნური ქისა ჯადოსნური შანსი!

აღმოაჩინეთ „ლურჯი მონეტები“ „კვირის პალიტრაში“, „ყველა სიახლეში“.
ამოჭერით და შეაგროვეთ

შეაგროვებ მეტს დახარჯავ ნაკლებს!

გამოიყენეთ „ლურჯი მონეტები“ სხვადასხვა მაღაზიაში სასურველი ნივთის შესაძენად გასაყიდ ფასზე გაცილებით იაფად!

ნოემბერში „ლურჯი მონეტები“ მოქმედებს

| სად მოქმედებს? | კურსი (რას უდრის 1 „ლურჯი მონეტა“) | მაქსიმალური ფასდაკლება „ლურჯი მონეტით“ | პროდუქციის ჩამონათვალი |
|---|---|---|---|
| ბიბლუსი Books — წიგნების მაღაზიათა ქსელი | 1 „ლურჯი მონეტა“ = 1 ლარს | 50% | ნებისმიერი წიგნი შემდეგი სერიებიდან: „დიდი მხატვრები“ „ეს სამყაროა“ „ქართული პროზის საგანძურ |
| Safilo — სათვალეების მაღაზიათა ქსელი | 1 „ლურჯი მონეტა“ = 10% ფასდაკლებას | 30% | მზის სათვალეები და ოპტიკური ჩარჩოები |
| celio* — მამაკაცის ტანსაცმლის მაღაზია | 1 „ლურჯი მონეტა“ = 5% ფასდაკლებას | 20% | ახალ კოლექციაზე |
| GERRY WEBER — ქალის ტანსაცმლის მაღაზია | 1 „ლურჯი მონეტა“ = 5% ფასდაკლებას | 20% | ახალ კოლექციაზე |
| DU PAREIL ... au même — ბავშვების მაღაზია | 1 „ლურჯი მონეტა“ = 5% ფასდაკლებას | 20% | ახალ კოლექციაზე |
| OSRAM — გერმანული ნათურები და განათების სისტემები | 1 „ლურჯი მონეტა“ = 5% ფასდაკლებას | 20% | ავტო ნათურები |
| mirco — აფთიაქი | 1 „ლურჯი მონეტა“ = 10 ლარს | 50% | „მიკროლაიფის“ ციფრული სასწორი |
| collezione — ტანსაცმლის მაღაზია | 1 „ლურჯი მონეტა“ = 5% ფასდაკლებას | 25% | ახალ კოლექციაზე |
| OVS industry — ტანსაცმლის მაღაზია | 1 „ლურჯი მონეტა“ = 5% ფასდაკლებას | 25% | ახალ კოლექციაზე |
| lotto — სპორტული ტანსაცმლის მაღაზია | 1 „ლურჯი მონეტა“ = 5% ფასდაკლებას | 25% | ახალ კოლექციაზე |

პროექტში მონაწილეობის წესებს გაეცანით „კვირის პალიტრასა“ და „ყველა სიახლეში“!







BLESSING

ახალი აზროვნება

რა საჭიროა ბავშვის ტარება

სტუდიებში, წრეებსა და სექციებზე?!

ყველა ბავშვი ისწრაფვის შემოქმედებისა და მოძრაობისაკენ. ეს მათ სიხარულს და თავდაჯერებულობას ანიჭებს, ეხმარება საკუთარი თავის და გარე სამყაროს შემეცნებაში. ბავშვთა კრეატიული განვითარების ცენტრი "blessing"-ი აჯილდოვებს ამ სწრაფვას საინტერესო მეცადინეობებით, რომლებიც ეხმარება თითოეულ ბავშვს გამოამჟღავნოს და აღმოაჩინოს თავისი ნიჭი, გაიგოს ბევრი ახალი, უფრო სწრაფად განვითარდესდა ჯანმრთელი გაიზარდოს.შესაძლებელია თქვენს წინაშე დგას მიზანი სამხატვრო ან მუსიკალური სკოლა. ნებისმიერ შემთხვევაში, ვერსად წახვალთ თქვენი პატარას ფიზიკური განვითარების გარეშე. სკოლამდელ ასაკში ბავშვს შეუძლია იაროს რამდენიმე წრეზე ერთდროულად. სწავლება ჩვენს ცენტრში არ არის დამღლელი და მიმდინარეობს თამაშის ფორმით. ყოველი გაკვეთილი მიმართულია ბავშვის პიროვნების ჰარმონიულ განვითარებაზე და არ მოითხოვს მისგან განსაკუთრებულ ნიჭიერებასა და ტალანტს.



მის: ქ.თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი 39, მე-5 სადარბაზო, მე-2 სართული

ტელ: 8 322 222 104, +995 571 77 61 93

ლოგო და ერთი ვერტიკალური სურათი

www.cccblessing.ge f: children blessing

# ავერსი 17 წლისაა

ეროვნული ბიბლიოთეკა

**კომპანია „ავერსი" 17 წლის წინ დაარსდა.** ფირმის დამფუძნებელმა მის დასარეგისტრირებლად მხოლოდ 70 დოლარი გადაიხადა.. შემდეგ, სტაბილურად განვითარდა და იმ მასშტაბებს მიაღწია, რომელზედაც 17 წლის წინ მისი დამფუძნებელი არც კი ოცნებობდა – ეს ყველაფერი, შესაძლოა, ფილმის სიუჟეტს ჰგავს, თუმცა ამ ლამაზი ფაბულის უკან რეალური „ავერსი" დგას, რომლის მშენებლობასა და განვითარებაში მუხლჩაუხრელი შრომა და კოლოსალური ენერგიაა ჩადებული. „ავერსის" წარმატება გონივრული მენეჯმენტისა და სწორად გათვლილი, დაგეგმილი ყოველი ნაბიჯის დამსახურებაა.

დღეს კომპანიის სახელი უკავშირდება ყველაზე მაღალი დონის სააფთიაქო ქსელს, ადგილობრივი ფარმაცევტული წარმოების განვითარებას, ულტრათანამედროვე აპარატურით აღჭურვილ კლინიკებსა და სადაზღვევო კომპანიას – ეს ყველაფერი კი ერთი მიზნით – თითოეული ჩვენგანის ჯანმრთელობისა და სულიერი სიმშვიდისთვის შეიქმნა.

17 წლიანი ისტორიის დღევანდელი შედეგები ასეთია:

„ავერსი" ევროპული დონის სააფთიაქო ქსელის მფლობელია, რომელიც საქართველოს მასშტაბით 208 ფილიალს აერთიანებს. თითოეულ მათგანში მხოლოდ პროფესიონალი ფარმაცევტები მუშაობენ. „ავერსის" აფთიაქები მომსახურების მაღალი დონითაც გამოირჩევა.

„ავერსის" სახელი უკავშირდება, ქართული ფარმაცევტული წარმოების განვითარებას – „ავერსი რაციონალი" არა თუ ჩვენს ქვეყანაში, მთელს ამიერკავკასიაში ყველაზე დიდი და სწრაფად მზარდი საწარმოა, ის ეროვნული ფარმაცევტული წარმოების ლიდერია. წლის განმავლობაში „ავერსი რაციონალის" 9 მილიონი კოლოფი მედიკამენტი გაიყიდა, ეს კი იმის მანიშნებელია, რამდენად მოთხოვნადია ის პროდუქცია, რომელსაც აქ აწარმოებენ.

„ავერსი-რაციონალის" საწარმო აღჭურვილია საერთაშორისო სტანდარტის ევროპული, ამერიკული და იაპონური წარმოების დანადგარებით.

ISO 9001:2000 „ავერსი-რაციონალმა" გახსნიდან ერთ წელიწადში მოიპოვა. ის ფლობს ასევე ISO 9001:2008-ს, GMP (Good Manufacturing Practice) და FDA (Food and Drug Administration) სტანდარტების შესაბამისობის სერტიფიკატებს.

აქ უახლოეს მომავალში ამოქმედდება ახალი ლაბორატორია, რომელიც ქიმიურ, მიკრობიოლოგიურ და კვლევით განყოფილებებს გააერთიანებს.

„ავერსთან" ასოცირდება უმაღლესი დონის კლინიკათა ქსელიც, რომელიც უკვე 11 ფილიალს აერთიანებს. „ავერსის კლინიკებში" მიმართვიანობის მაჩვენებელი რეკორდულია: გახსნის დღიდან, სამი წლის მანძილზე „ავერსის" ცენტრალურ კლინიკას 170 000-ზე მეტმა პაციენტმა მიმართა, რომელთაც 1 მილიონამდე სამედიცინო მომსახურება ჩაუტარდა. ამავდროულად, კლინიკაში 8 ათასზე მეტი ოპერაცია წარმატებით ჩატარდა.

კლინიკის უპირატესობა მაღალტექნოლოგიური, ულტრათანამედროვე აღჭურვილობა და პროფესიონალი კადრებია.

კომპანია „ალფა" ქართულ სადაზღვევო ბაზარზე 2009 წელს გამოჩნდა და მისი რეიტინგი დღითიდღე იზრდება. „ალფას" ასეთი პოპულარობა კომპანიის მიერ შემოთავაზებული საუკეთესო სადაზღვევო პირობების დამსახურებაა:

დაბალი ტარიფები, მოქნილი საგადასახადო სისტემა, ოპერატიული და მაღალი ხარისხის მომსახურება, შეუფერხებელი და უმაღლესი დონის სამედიცინო სერვისი კომპანია „ალფა" მნიშვნელოვანი მოთამაშეა სახელმწიფო პროგრამების სფეროში – თბილისის სოციალურად დაუცველი მოსახლეობის, პედაგოგების, იძულებით გადაადგილებული პირების, მზრუნველობამოკლებული ბავშვების, სახალხო არტისტების, სახალხო მხატვრების, რუსთაველის პრემიის ლაურეატების მზღვეველია. „ალფა" ჩართულია საქართველოს მთავრობის ჰოსპიტალური განვითარების გეგმაში. ამჟამად სადაზღვევო კომპანია ორ საავადმყოფოს აშენებს – მოსახლეობას კასპის რაიონში 15 საწოლიანი, ხოლო ოზურგეთში 50 საწოლიანი სამედიცინო დაწესებულება მოემსახურება.

„ავერსმა" დაარსების დღიდან მრავალ სასიკეთო საქმეს დაუდო საფუძველი. კომპანიის საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტი სწორედ ქველმოქმედებაა."ავერსი" წლების განმავლობაში ზრუნავს მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა და მოხუცებულთა თავშესაფრების ბენეფიციარებზე, მრავალშვილიანთა დახმარების პროექტი, რომელიც საზოგადოებაში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს, რომელიც 2005 წელს დაიწყო. ფინანსური დახმარება უკვე 2000-მდე ოჯახმა მიიღო. თანხა, რომელიც ამ პროგრამაზე დაიხარჯა 1 150 000-მდე ლარს შეადგენს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მრავალშვილიანთა დახმარების პროგრამა ყველაზე ეროვნული პროექტია.

„ავერსსა" და საქართველოს საპატრიარქოს შორის გაფორმებული მემორანდუმი, რომლის თანახმად, მღვდელ-მონაზვნები და სასულიერო პირები, უფასოდ იღებენ ექიმის მიერ გამოწერილ მედიკამენტებს და სარგებლობენ სხვადასხვა სამედიცინო სერვისით. 2009 წელს ხელი მოეწერა მემორანდუმს, რომლის თანახმად, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის სპორტსმენებს "ავერსის საქველმოქმედო ფონდის" მატერიალური დახმარებით, საშუალება მიეცათ უფასოდ მიიღონ ექიმის მიერ გამოწერილი მედიკამენტები და მიიღონ ყოველგვარი სამედიცინო მომსახურეობა.

„ავერსის" 17 წლიანი ისტორია თითოეული ჩვენგანის ჯანმრთელობასა და სულიერ სიმშვიდეზე ზრუნვით შეიქმნა. განვლილი გზა კომპანიისთვის სტაბილური განვითარებისა და ზრდის პროცესი იყო. „ავერსი" კიდევ უფრო ფართოვდება და ქმნის დამატებით სამუშაო ადგილებს, ყოველწლიურად ქვეყნის ბიუჯეტში სოლიდური თანხა შეაქვს, ზრუნავს ჯანსაღი ცხოვრების წესისი დამკვიდრებაზეც და მომავალშიც კიდევ უფრო მეტ სასიკეთო საქმეს ჩაუყრის საფუძველს.

**„ავერსი" გისურვებთ ჯანმრთელობას და სულიერ სიმშვიდეს.**

17

№48 (599)
1 – 7 ნოემბერი, 2011 წ.
ფასი 1 ლარი

## ქვეყანა



### „ენგურს გაღმა-გამოღმა ქართული მიწა არასდროს გამიყვია“

„ხშირად მეკითხებიან, — სამი შვილი ენგურს გაღმა გყავთ, მარტო ყოფნა არ გიჭირთო?.. მე მარტო არა ვარ, სოხუმში ჩემი ძველი მეზობლები — ქართველები, აფხაზები, ბერძნები, რუსები და სომხები მყავანან. ერთი სიხარულითა და ტკივილით ვცხოვრობთ“.

10

## სახე



### თორნიკე გოგრიჭიანი მამა გახდა

„ძალიან კარგი მამაა. ძიძა არ გვყავს და ნატალიას მოვლაში აქტიურად მონაწილეობს — ერთად ვბანთ, ვუცვლით...“

20

■ **მინიატიურები** 5
დაუნები თუ დიქტატორები

■ **ჭრელი მსოფლიო** 6

■ **პოლიტიკა** 8

■ **ერთი მიწის შვილები** 11
„ენგურს გაღმა-გამოღმა ქართული მიწა არასდროს გამიყვია“

■ **ოკუპირებული ზონა** 14

■ **მხილება** 15
სიცოცხლე მკვდარ ქალაქში (გაგრძელება)

■ **წყვილი** 18
რატომ უნდა დაუდგან ძეგლი ნუკი კოშკელიშვილსა და გიორგი ნაზღაიძეს

■ **ოჯახი** 20
თორნიკე გოგრიჭიანი მამა გახდა

■ **ვარსკვლავები** 21

■ **ეკრანს მიღმა** 23
რაზე ჭორაობენ და რა პრობლემები აქვთ ქართველ ქალებს

■ **ტანდემი** 26
რატომ იტანს გიორგი ქორქია პარტნიორის შენიშვნებს

■ **სიყვარული უკანასკნელი** 28
„მოხუცებული კაცი ამ ლამაზმა ქალბატონმა შემიყვარა“

## ცხოვრება

### ხანდაზმული წყვილის სიყვარულის ამბავი



„ჩვენმა შვილებმა ერთმანეთი ქორწილში გაიცნეს. ჩემი ქონება მთლიანად ჩემს სახელზე იყო და როცა შვილს ჩემს გადაწყვეტილებაზე ვუამბე, ქონების დაკარგვის შეეშინდა...“

28

## გზავნილები

### როცა ცდუნებას აჰყევი



„კერძო სახლი გვქონდა. 170 ათას დოლარად გაყიდა ჩემმა მეუღლემ, თავისთვის და ბავშვისთვის ოროთახიანი ბინა იყიდა 40 ათასად და დანარჩენი ფული მე მომცა“...

64

ეროვნული ბიბლიოთეკა
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

■ **თაობა** 30
„გადასაღებ მოედანზე ყოფნა ჩემთვის დიდი სიხარულია“

■ **პროტოტიპი** 31
„სოფომ დამირეკა და მითხრა: სვეტა, შენთვის სიურპრიზი მაქვს“

■ **ადგილი ცხოვრებაში** 32
ველოსიპედით მიტანილი ამანათები

■ **ნამდვილი ამბავი** 34
დედამთილი „მზითევში“

■ **თინეიჯერული პონტები** 35
რატომ გაურბიან კაცები ქორწინებას

■ **შემოქმედი** 38

■ **წარსულის კვალდაკვალ** 40
ფშაველი პოეტის, გოგია ჭიჭოშვილის გმირობისა და ყაჩაღობის ამბავი

■ **ავტო** 43

■ **ერუდიტი** 44
„ფრიადოსანი მოსწავლე არ ვიყავი“

■ **ფესვები** 46
ლაზური სიმღერების ხალისიანი „შურიმშინეები“

■ **ტაძარი** 48
საღვთო სასწაულები

■ **ანტიდეპრესანტი** 50

■ **საკითხავი ქალებისათვის** 50

■ **ჯანმრთელობა** 52

■ **ნეეთი პოეზია** 54

■ **რჩეული** 55

■ **ქართული დეტექტივი** 56
რუსუდან ლებანიძე. აბრეშუმის ვალეტი (გაგრძელება)

■ **რომანი** 60
სვეტა კვარაცხელია. წაგებული თამაში (გაგრძელება)

■ **გზავნილები** 64
როცა ცდუნებას ავყევი

■ **ყველა ერთისათვის** 68

■ **მობილი-ზაცია** 70

■ **ქართული სპორტის ლეგენდები** 74

■ **გასართობი** 78

■ **ასტროლოგია** 80

■ **სკანვორდი** 81

■ **მოზაიკა** 82

## სამყარო



**ფშაველი პოეტის, გოგია ჭიჭოშვილის გმირობისა და ყაჩაღობის ამბავი**

გოგია პოპულარული იყო მთიელებში და მისდამი სიყვარულს დიდი მამულიშვილისა და უნიჭიერესი პოეტის, მიხა ხელაშვილის მკვლელობაში გარეული, ჩარგლელ ლუკა მარცვალაშვილზე შურისძიება კიდევ უფრო აძლიერებდა.

40

## ბიბლუსი





**ვალეტი**

— ახლავე მანქანიდან გადადი! — უბრძანა მას ირაკლიმ.
— რატომ?
— გადადი-მეთქი!
ანამ უსაფრთხოების ღვედი შეიხსნა და მანქანიდან სწრაფად გადავიდა.

55

## ტაიმ-აუტი



**სად და როგორ ხვდებიან ახალ წელს**

ახალ წელს პირველები ავსტრალიელები აღნიშნავენ. წვეულებას დღის 1-ელ საათზე იწყებენ. 1-ელი იანვარი პიკნიკებისა და საპლაჟო წვეულებების დღეა. ეწყობა კარნავალი და სერფინგისტების შოუ.

76

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია
პასუხისმგებელი რედაქტორი: მარი ჯაფარიძე
მენეჯერი: მათე კბილაძე
დიზაინი: ანა უთურგაიძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა: ირმა ლიპარტელიანი, რეზო თხილიშვილი
მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. #49
ტელ: 238-84-44, ფაქსი: 238-08-63. email: gza@palitra.ge
რეკლამა „გზაში“: 237-78-07; 238-78-70.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# დაუნები თუ დიქტატორები

**შესავლის ნაცვლად** რაღა დაგიმალოთ და, გაბრაზებული გახლავართ. „ვისოლმა“ და „სოკარმა“ ე.წ. მრავალფუნქციური ცენტრები გახსნეს აღმოსავლეთ-დასავლეთის დამაკავშირებელ მთავარ მაგისტრალზე. რაც მთავარია, ლენტი ჩვენმა პრეზიდენტმა გაჭრა.

„ადამიანური ენით“ რომ ვთქვათ, — „რიკოთის პერევალზე, სოკარის და ვისოლის კალონკებზე ჰამბურგერიანი ზაბეგალოვკები გაუხსნიათ!“

ჯერ ერთი, ეგრე ვინლა ლაპარაკობს და მერე მეორე — რატომ გეწყინა, როდის იყო ჭამა-სმის დაწესებულებებს ერჩოდიო. ლენტის გაჭრას რაც შეეხება — მიშას ეგ საქმე არც ადრე დაუთმია ვინმესთვისო.

იცით, რა მეწყინა? ეს კაცი, კაცო, ეს ჩვენი პრეზიდენტი, „გემო-კვების“ ამბავში მაინც ჩემპიონი მეგონა და იქ, რაღაცა ჰამბურგერით გამოჩნდა ტელეეკრანზე და ჩვეული კატეგორიულობით განაცხადა:

— ვინმე რამდენიმე წლის წინ ინატრებდა, რომ საქართველოში, ტრასებზე ასეთი საჭმლის მირთმევას შევძლებდით?!

შე დალოცვილო, პოლიტიკურმა კრიზისმა და რეალური კონკურენტის გამოჩენამ ეგრე კი არ უნდა დაგაბნიოს, რომ ასეთ „წმიდათაწმიდა“ თემაზე ხელაღებით და არაკორექტულად ისაუბრო. მე ხალხი ვიცი, დღეგამოშვებით თბილისიდან მიდის სურამიდან ზესტაფონამდე (მოკლედ — „პერევალზე“) რომელიმე რესტორანში იაფად და გემრიელად „პურისაჭმელად“ და მართლა და მართლა, ყველაზე კარგი ჰამბურგერის დედა არ ვატირე?!



ვხუმრობ, ახლა, ვითომ, მაგრამ რომ არც ვხუმრობ, იცით? ასეც ხომ არ შეიძლება? კარგი, ბატონო: დასავლეთში კარგი განათლებაა, საქართველოში — ცუდი; დასავლეთში ცივილიზებული ხალხი ცხოვრობს, ჩვენთან — ველურები; დასავლეთში ქსენო-ჰომო და სხვა ფობიები არ არის, ჩვენთან — პედერასტებს ერჩიან; დასავლეთში — ხულიო იგლესიასია, ჩვენთან — ბუბა კიკაბიძე... კარგი-მეთქი, ჯანდაბას თქვენი და ჩემი თავი, მაგრამ რადგან დასავლურია, მხოლოდ ამის გამო რატომ უნდა ვამჯობინო პლასტმასის ჩიზბურგერი სურამის და რიკოთის რესტორნების ხაჭაპურს ან რატომ უნდა მერჩივნოს პოლიეთილენში შეფუთული ის კურკლის მსგავსი კატლეტი „ბიკენტიას ქაბაბს“?!

მესმის, რომ „ზოგს მღვდელი მოსწონს და ზოგს — მღვდლის ცოლი“, მაგრამ ამის სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე აყვანა შეიძლება?! წყევლა რა კაცის საქმეა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ცხონებული ბებიაჩემი, ის ტელესიუჟეტი რომ ენახა, აუცილებლად იტყოდა: „შენ არ ჭამე აფერი მაგაზე უკეთესი!“

არ შეიძლება, საჭმელიც აგიტაციისა და ცხოვრების წესის პროპაგანდის ნაწილად ვაქციოთ! ცხადია, ჩვენი ორიენტირი დასავლეთი უნდა იყოს, აბა, რუსეთს მოუკვდა პატრონი, მაგრამ ეჭვები რომ მიპყრობს მე ოხერს, რა ვქნა?! ასეთი ბრიყვული აგიტაციით რომ უფრო აძულებთ ხალხს ყველაფერ დასავლურს, დავიჯერო, მხოლოდ მე ვფიქრობ ასე? რა ვიცი, რა ვიცი...

აქეთ კიდევ, ეს ხუხუას ამბავი! ხუხუა ხომ იცით, მლესავი? მოკლედ შეგახსენებთ: ეს ხუხუა მუშაობს თუ მუშაობდა ივანიშვილის ერთ-ერთ სამშენებლო-სარემონტო ფირმაში მლესავად. მას ოჯახში მორიგი პიარ-აქციის ფარგლებში ქალაქის მერი, უგულავა ეწვია. მეორე დღეს ე.წ. ნაციონალურმა არხებმა გადმოსცეს, რომ ხუხუა სამსახურიდან გაათავისუფლეს — როგორ თუ უგულავა სახლში შემოუშვიო!

მთავარი მერე იყო — უგულავამ სოლიდარობა გამოუცხადა ხუხუას, ივანიშვილი დაამუნათა, — ასე არ შეიძლებაო, და ყველა რომ ელოდა (პირველ რიგში, ხუხუა), ქალაქის „მლესავთუხუცესობას“ უბოძებსო... მორალური მხარდაჭერა გამოუცხადა!

თავის მხრივ, ძალიან საინტერესო კომენტარი გააკეთა ივანიშვილის ფირმის ბუღალტერმა, — არავის არ გაუგდია, ხელფასი და ავანსიც წინასწარ აქვს აღებული და ან ის ფული დააბრუნოს, ან კიდევ, მოვიდეს და მუშაობით აანაზღაუროსო! მოკლედ, ოლოლო და კოვზი ნაცარში, ბიჭებო...

საქმე რა არის, იცით? ერთმა მეგობარმა მითხრა: ნამდვილად ვიცი, მისი დაცვის წევრისგან, — შენს პროვოკაციებს თბილისის მერი კითხულობს და კარგად ხალისობს კიდეცო. გამიხარდა, ხალხნი ვართ, ვიფიქრე, მივალ, რამეს ვთხოვ — ან ლოჯიის ამოშენება დამჭირდება, ან სარდაფის დამტკიცება-მეთქი.

ამიტომ სულ არ ვაპირებდი ახლა ამის დაწერას, მაგრამ კარგი, რა, თქვე... მატყუარა ადამიანებო (უფრო პროზაული და კორექტული ვერაფერი მოვიფიქრე), რომელი მლესავის გათავისუფლებაზე საუბრობთ, როცა მთელი თბილისი სავსეა უკანონოდ და გაუგებარი მიზეზებით სამსახურებიდან გამოყრილი ხალხით?!

მეტს არაფერს ვიტყვი, ბატონო გიგი, მართლა სათხოვარი მაქვს თქვენთან და უნდა მოვიდე...

**P.S.** არც ლოჯია მინდა, არც სარდაფი და გარაჟიც წაიღეთ, მაგის დედაც ვატირე! ამ ბოლოსიტყვაში სულ სხვა რამის დაწერას ვაპირებდი, მაგრამ ხუხუას ამბავი მონაგონია, მერიის ახალ გენიალურ იდეასთან შედარებით: ქალაქს საგაზეთო ჯიხურები ამახინჯებს და ისინი უნდა აიკრძალოს!

ადამიანური ტელევიზიები ხომ ეთერს „ამახინჯებდა“ და აიკრძალა, ახლა გაზეთებიღა დარჩათ, აგვკრძალავენ და იქნებიან გალიმებულები და ბედნიერები!

ძმებო, მეგობრებო, ბიჭებო და ბიჭბუჭებო, ენდეთ ბებერ, გამოცდილ პროვოკატორს — გა-ი-ჩა-ლი-ჩებთ!

P.P.S. შალიკოზე ვაპირებდი ხუმრობას, თეთრი სახლის წინ გამართულ მის „მიტინგზე“, მაგრამ ხუმრობა კი არა, მიდი, შალვა, მიდიიიი: „დაუნ ზე დიქტეიტა!!!“

*პროვოკატორი*

ავტორს შეგიძლიათ, დაუკავშირდეთ ელფოსტით:
provokatori67@gmail.com

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ქვეყანა

## ფიროსმანი — 600.000 გირვანქა სტერლინგად



ნიკო ფიროსმანის სურათი „მწყემსი“ 600.000 გირვანქა სტერლინგად გაიყიდა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ მირზაანში ნიკო ფიროსმანის სახლ-მუზეუმის დირექტორმა, ანზორ მაძღარაშვილმა განუცხადა, მუშამბაზე ზეთით შესრულებული სურათი ლატვიის დედაქალაქ რიგაში კერძო კოლექციაში ინახებოდა, რომელიც რამდენიმე თვის წინ 600.000 გირვანქა სტერლინგად ლონდონში შეიძინეს. მაძღარაშვილის ინფორმაციით, ტილო 1905-1910 წლებშია შესრულებული, როდესაც ნიკო ფიროსმანი თბილისში, რიყის უბანში, ბეგო იაქაშვილის სახლში ცხოვრობდა. რიგაში მოხვედრამდე „მწყემსი“ მხატვარ დავით კაკაბაძის სახლში ინახებოდა. დაუდასტურებელი ინფორმაციით, აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. ■

## სტალინის ქალიშვილი გარდაიცვალა



ამერიკის ქალაქ რიჩლენდში 86 წლის ასაკში სტალინის ქალიშვილი სვეტლანა ალილუევა მოხუცთა თავშესაფარში გარდაიცვალა. ალილუევა, რომელიც ამერიკაში ლანა პიტერსის სახელით ცხოვრობდა, იოსებ სტალინისა და ნადეჟდა ალილუევას ოჯახში 1926 წლის 28 თებერვალს დაიბადა. მან ჯერ მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიული ფაკულტეტი დაამთავრა, შემდეგ კი საკავშირო ცეკას საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურა. ემიგრაციაში 1967 წელს წავიდა. თავდაპირველად ინდოეთში, შემდეგ კი ევროპაში ცხოვრობდა. ბოლო წლები ამერიკის შეერთებულ შტატებში გაატარა. ■

## მსოფლიოში ყველაზე პოპულარული განათლება

ამერიკული განათლება მსოფლიოში სულ უფრო პოპულარული ხდება. ბოლო დროს მკვეთრად გაიზარდა იმ ახალგაზრდების რაოდენობა, რომლებსაც განათლების მიღება აშშ-ში სურთ. სწავლების საერთაშორისო ინსტიტუტის მონაცემებით, ამ მხრივ ჩინელები ლიდერობენ, თუმცა სტუდენტებს შორის მრავალი ევროპელი და არაბული სამყაროს წარმომადგენელიც არის. უმაღლესი განათლების საკითხებში აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის კონსულტანტ ანა სკოტის თქმით, უცხოელი სტუდენტების რაოდენობის ზრდა იმით არის განპირობებული, რომ ახალგაზრდებს სურთ, მეცნიერებისა და ტექნიკის ბოლო მიღწევების შესაბამისი ცოდნა მიიღონ. ამავე ინსტიტუტის მონაცემებით, ამერიკაში უცხოელი სტუდენტები თანამედროვე ინჟინერიის, ბიზნესისა და მენეჯმენტის, ასევე — პოლიტიკისა და ეკონომიკის მართვის მეთოდების შესწავლას ანიჭებენ უპირატესობას. უცხოელ სტუდენტთა რაოდენობით შტატებს შორის პირველ ადგილზე კალიფორნიაა (96500 უცხოელი სტუდენტი), შემდეგ მოდის: ნიუ-იორკი, ტეხასი და მასაჩუსეტსი. უცხოელებს სულ, აშშ-ის 186 უმაღლეს სასწავლებელში შეუძლიათ განათლების მიღება. უცხოელი სტუდენტების ოჯახებს, რომლებიც შარშან აშშ-ში სწავლობდნენ, თავიანთი შვილების საცხოვრებლის, სამედიცინო დაზღვევისა და ტრანსპორტის ხარჯები თავად რომ აენაზღაურებინათ, ქვეყნის ბიუჯეტი სულ 28 მლრდ დოლარის ოდენობის მოგებას ნახავდა, მაგრამ ამ ხარჯების მნიშვნელოვან ნაწილს — 8 მლრდ დოლარს ამერიკის სახელმწიფო საკუთარ თავზე იღებს. ■


talizi
თმის გადანერგვის ცენტრი
ჭავჭავაძის 27. ტელ: 2141515
www.talizi.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა



# „სიყვარულის ბალადა“ მაყურებელმა უკვე დააჭაშნიკა

ლალი ფაცია

ცოტა ხნის წინ თბილისის კინოთეატრებში „ღამის შოუს“ სტუდიის მიერ გადაღებული კომედიური ფილმის — „სიყვარულის ბალადა“ პრემიერა შედგა, რომლის რეჟისორი ირაკლი კაკაბაძე გახლავთ. ფილმის სიუჟეტი ასეთია: სამი მეგობარი ბავშვობის მეგობარ გოგონას ხვდება. ბიჭებს უნდათ, მასთან ერთად დასასვენებლად ზღვისპირეთში წავიდნენ, მაგრამ გოგონა (მსახიობი რუსკა მაყაშვილი), პროფესიით არქეოლოგია, უცხოელ პროფესორთან და მის სტუდენტებთან ერთად, ექსპედიციაში მიდის და ბიჭებსაც მათთან ერთად გამგზავრებას სთავაზობს. ყველანი კახეთში მიდიან. მერე ირკვევა, რომ ერთ-ერთს (მსახიობი კახა კინწურაშვილი) და რუსკა მაყაშვილის პერსონაჟს თურმე ბავშვობაში მოსწონდათ ერთმანეთი და მათი ძველი სიყვარულიც ექსპედიციაში ყოფნისას „იღვიძებს“. გოგონა უცხოელ პროფესორსაც უყვარს... ყველაფერი მაინც „ჰეფი ენდით“ მთავრდება... კომიკური სიტუაციებით უხვად გაჯერებულ ამ ფილმში თავიანთ პერსონაჟებს ოსტატურად ასახიერებენ მსახიობები: რუსკა მაყაშვილი, ბაჩო ქაჯაია, გიორგი ვარდოსანიძე, ნოდარ გურგენაშვილი, რომლებიც ფართო მაყურებელმა უმთავრესად, ტელესერიალებით გაიცნო, მაგრამ ახალ ფილმში იმ როლებისგან რადიკალურად განსხვავებული სახეები შექმნეს...



**სოსო გოგიჩაიშვილი,** *მსახიობი:*

— მინდა, გადამღებ ჯგუფსა და მსახიობებს მივულოცო ეს წარმატებული პროექტი. შესანიშნავი ნამუშევარია. ბრავო!

**თეა ჯილაძე,** *მაყურებელი, 21 წლის:*

— „სიყვარულის ბალადა“ იმ ფილმზე მეტად მომეწონა, ვიდრე „ღამის შოუს“ სტუდიის მიერ „შუა ქალაქის“ მსახიობების მონაწილეობით საახალწლოდ გადაღებული. ბევრი ვიცინე.

**ლევან აგლაძე,** *მაყურებელი, 23 წლის:*

— არ მეგონა, თუ ეს ფილმი ასე გამახალისებდა. ძალიან ვისიამოვნე. მსახიობები დამაჯერებლად თამაშობენ. ბაჩო ქაჯაიასა და გიორგი ვარდოსანიძის შესრულებული როლები განსაკუთრებით მომეწონა და მისი ხელახლა ნახვის სურვილი გამიჩნდა. ■

# თინა კანდელაკი ქსენია სობჩაკმა გამოლანძღა

სახელოვანი ტელეწამყვანი მისმა კოლეგამ ფარისევლობაში დაადანაშაულა. კანდელაკმა მოსკოვში, მაცხოვრის ტაძარში დაბრძანებული სიწმინდე — ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სარტყელი მოინახულა და შთაბეჭდილებები „ტვიტერის“ მომხმარებლებს გაუზიარა. „ვილოცებ და ვნახავ, ადგილზე როგორ ხდება ყველაფერი“, — წერს კანდელაკი საკუთარ ბლოგზე, რის შემდეგაც დაწვრილებით არის აღწერილი, თუ რა ნახა და ვინ გაიცნო სიწმინდესთან მიახლოების მსურველ ადამიანთა უზარმაზარ რიგში. სობჩაკი კანდელაკის მიერ რელიგიური თემის სოციალურ ქსელში განხილვამ გააღიზიანა. „ღმერთთან დამოკიდებულება ყველაზე ინტიმური რამ არის. ეკლესიაში წახვედი, ტვიტერ-რეპორტაჟი რაღაში გჭირდებოდა?! შემხედეთ, როგორი მორწმუნე ვარო?.. ფუი, ყველაფერს ფარსად აქცევენ, საკუთარ რწმენასაც კი“, — ასეთი კომენტარი დატოვა სობჩაკმა კანდელაკის ტვიტერ-რეპორტაჟზე. ათონის მთიდან ჩამობრძანებული სიწმინდე — ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სარტყელი, რუსეთის სხვადასხვა ეკლესიაში იყო დაბრძანებული და მის სანახავად ათიათასობით მომლოცველი რიგში იდგა. ■



# ქორწინების 80 წლისთავი...

100 წლის ჰაროლდ ოუინგსმა და მისმა 99 წლის ცოლმა ედნამ ქორწინების 80 წლის იუბილე აღნიშნეს. ჰაროლდსა და ედნას ერთმანეთი ჯერ კიდევ მეხუთე კლასში სწავლისას შეუყვარდათ. ბიჭი გოგონას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა, მისთვის ყოველდღე მიჰქონდა თითო ფილა შოკოლადი... მას შემდეგ 80 წელი გავიდა, წყვილი კი ისევ ერთად ცხოვრობს. ჰაროლდის თქმით, მათი ბედნიერი ქორწინების საიდუმლო ის გახლავთ, რომ ერთმანეთის აზრს ყოველთვის პატივს სცემენ, როცა რაიმე საკითხზე ვერ თანხმდებიან, კამათს თავს ანებებენ. ■




დიდი წინასაახალწლო ფასდაკლება!




ქოლესტერინის და გლუკოზის საზომ აპარატებზე

შპს „კონტრასტი“ www.glucometer.ge

მის: ბორჯომის ქ. №4 ტ: 234 74 03; 599 19 60 55

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თეთრი სახლი საახალწლოდ ემზადება



აშშ-ის პრეზიდენტის ოჯახი ახალი წლის სამზადისშია. თეთრ სახლში ნაძვის ხე უკვე მიიტანეს. ახალი წლის მთავარი დეკორაცია ობამების ოჯახში ნაძვის ხეების საერთაშორისო ასოციაციის ფესტივალის გამარჯვებულებმა — შრედერების ოჯახმა ვისკონსინიდან ჩაიტანა. ფესტივალი 1966 წლიდან მოყოლებული, ყოველ წელს ტარდება. მიშელ ობამამ ხეს გარშემო შემოუარა, შემდეგ კი ცერა თითი მაღლა ასწია... თეთრი სახლის ნაძვის ხის სიმაღლე 5,6 მეტრია. მას ლურჯ ოთახში, საახალწლო დეკორაციების შუაგულში დადგამენ. ■

# ნიუ-იორკს „ტკბილი ჭუკის" მიღება არ სურს

ნიუ-იორკის ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ადგილობრივ დოღზე ჩეჩნეთის რესპუბლიკის ლიდერის, რამზან კადიროვის ცხენი „ტკბილი ჭუკი" არ მოხვდეს. „მომხიბვლელი სახელი — „ტკბილი ჭუკი" კადიროვის ცხენს დოღში მონაწილეობაში ვერ დაეხმარება", — წერს The New York Times. ამერიკელი ჩინოვნიკები რამზან კადიროვის რეპუტაციით არიან შეშფოთებულნი — ჩეჩნეთის რესპუბლიკის ლიდერს წამებისა და ადამიანის უფლებების უხეში დარღვევის ფაქტებში ადანაშაულებენ. როგორც გამოცემა წერს, ამერიკელმა მალალჩინოსნებმა შესაძლოა, მას პრესტიჟულ შეჯიბრებაში მონაწილეობის ლიცენზია არ მისცენ.

კადიროვს დოღის დიდ მოყვარულად იცნობენ: მარტში მან ცხენების მფლობელ ჯიტანო ჰერნანდოსგან 4 მლნ დოლარად შეიძინა ულაყი, ზაფხულში კი სინგაპურელებისგან კიდევ ერთი ცხენი 2,3 მლნ დოლარად იყიდა.

2009 წელს დოღში კადიროვის ცხენის მონაწილეობის წინააღმდეგ ავსტრალიის ხელისუფლება გამოვიდა, მაგრამ კადიროვის დოღში მონაწილეობას ხელი ვერ შეუშალა, შედეგად მისმა ულაყმა მესამე ადგილი დაიკავა და მფლობელს 450.000 დოლარის ოდენობის მოგება მოუტანა. ■

# აინშტაინის ტვინს მუზეუმში გამოფენენ

ალბერტ აინშტაინის თავის ტვინს ფილადელფიის სამედიცინო მუზეუმში გამოფენენ. ტვინი დანაწევრებულია, ამიტომ ექსპოზიციაში მისი 46 უბანი განთავსდება. გამოფენის ორგანიზატორთა თქმით, სტუმრებს შესაძლებლობა ექნებათ, გენიოსის ტვინს დააკვირდნენ. მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერი ხანდაზმულ ასაკში გარდაიცვალა, მის ტვინს სიბერის არავითარი კვალი არ ეტყობა. „მას არა აქვს პიგმენტები, რაც ასაკოვანი ადამიანის ტვინისთვის არის დამახასიათებელი. სისხლძარღვები კი შესანიშნავ მდგომარეობაშია. სიბერის არავითარი ნიშანი არ არის", — ამბობს ფილადელფიის ჰოსპიტლის ექიმი, ლუსი ლორკ-ადამსი. აინშტაინს ტვინი პათოლოგ-ანატომმა ტომას ჰარვიმ გაკვეთისას ამოაცალა. მას მასალა სჭირდებოდა იმის გამოსაკვლევად, თუ რამდენად განსხვავებულია გენიოსის ტვინი ჩვეულებრივი ადამიანის ტვინისგან. მეცნიერული კვლევის წადილი მას სამსახურის დაკარგვად დაუჯდა — აინშტაინის ნათესავებმა ექიმს თავნებობა არ აპატიეს. გენიოსის ტვინის შესწავლა კი დღემდე გრძელდება. მკვლევრები ცდილობენ დაადგინონ, რა განსაზღვრავს გენიას — ტვინის აგებულების თავისებურება თუ — უნიკალური აზროვნება. აინშტაინი 76 წლის ასაკში მუცლის აორტის გასკდომის შედეგად გარდაიცვალა. ■

*რუბრიკა მოამზადა ხათუნა ბახტურიძემ*
*გამოყენებულია ინტერნეტპორტალ ambebi.ge-ს მასალები*

## ლალი პაპასქირი

იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნება" რეგისტრაციაში გაატარა. ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვილის თავმჯდომარეობით შექმნილი ორგანიზაცია პრეზენტაციას 11 დეკემბრისთვის გეგმავს. ამასობაში, საზოგადოების დიდი ნაწილი ივანიშვილისთვის საქართველოს მოქალაქეობის დაბრუნებას ითხოვს, ხოლო ბევრი მოქალაქე კვლავაც „ქართუ ბანკში" ანაბარს ხსნის. ბატონი ბიძინა კი, პრეზენტაციისთვის მზადების გარდა, პრესის ასოციაციაში შემავალ გამომცემლებთან და პრესის გამავრცელებლებთან შეხვედრასაც აპირებს. დავინტერესდით, კიდევ რას გეგმავენ უახლოესი პერიოდისთვის პოლიტიკაში მოსული ბიზნესმენი და მისი თანამოაზრეები.

**დავით მაღრაძე,** *პოეტი:*

— ზუსტად არ მახსოვს, რამდენი ხანია, რაც ბიძინა ივანიშვილთან მეგობრული ურთიერთობა მაქვს, მაგრამ კარგა ხანია, ვიცნობ. ძალიან ვაფასებ მის თვისებებს, რომლებიც თავშეკავებაში, ქველმოქმედებაში, სიკეთეში, გონივრულ ქმედებებში, ფასეულობათა სისტემების შეფასებაში გამოიხატება. იმ დღიდან, რაც მან საჯარო მიმართვა გააკეთა, მიმაჩნია, რომ ის პოლიტიკაში მოვიდა — იმ ადამიანებისგან განსხვავებით, ვინც დიდი ხანია, პოლიტიკურ პარტიებში არიან გაწევრებული და ლიდერებიც კი არიან, მაგრამ პოლიტიკაში ვერ მოდიან. ის კი არა, ვერც ხელისუფლების წარმომადგენლები მოვიდნენ პოლიტიკაში, რადგან ჩემი აზრით, პოლიტიკა არის სიბრძნის დარგი. როგორც რუსთაველმა ბრძანა, შაირობა სიბრძნის დარგიაო, პოლიტიკაც სიბრძნის დარგია. მგონია, რომ ივანიშვილის ნააზრევი საქართველოს შიდა და საგარეო საკითხებზე სიბრძნით არის ნა-



ეროვნული ბიბლიოთეკა

# რას გეგმავენ ბიძინა ივანიშვილის თანამოაზრეები

## „სიმართლე ბიძინას – ანუ ხალხის მხარესაა“



კარნახევი. ხელისუფლების წევრები 8 წელია, ქვეყნის სათავეში არიან, მაგრამ პოლიტიკა მაინც ვერ ისწავლეს.

— **როგორ ფიქრობთ — შესაძლებელია თუ არა, საქართველოში ხელისუფლება სამართლიანი არჩევნების გზით შეიცვალოს?**

— ხელისუფლებამ რაც უნდა ავაზაკური მეთოდები გამოიყენოს, სიმართლე ხალხის — ანუ ბიძინა ივანიშვილის მხარეს არის და შეუძლებელი არაფერია, თუნდაც იმიტომ, რომ ავაზაკური მეთოდების ზღვარი არსებობს. ამ გზას საპირწონე არ აქვს. ყოველთვის მჯეროდა, რომ ქვეყანაში სამართალი აღდგებოდა და ახლაც ამ აზრზე ვდგავარ. ეს მხოლოდ ლირიკა არ არის.

— **„ქართუ ბანკში“ ანაბრების გახსნის თქვენეულ იდეას საზოგადოების მხრიდან უპრეცედენტო აქტიურობა მოჰყვა. ელოდით ასეთ რეაქციას?**

— დიახ, ველოდი. „ქართუ ბანკში“ მისულმა განვაცხადე, — ხვალიდან აქ თვალუწვდენელი რიგები დადგება-მეთქი, — და ასეც მოხდა. ეს ხომ ნიშნავს, რომ ველოდი?! იცით, რატომ? მე მჯერა ჩემი ხალხის, ქართველი საზოგადოების არსებობის. არიან ისეთი ადამიანებიც, რომლებიც ირწმუნებიან, რომ ქართველი საზოგადოება არ არსებობს და მე ამას არასდროს ვეთანხმებოდი. მე მინდა, იმ ქვეყანაში, იმ ხალხთან ერთად ვიფიქრო და ვიცხოვრო, ვინც მთელი ცხოვრებით ამტკიცებს, რომ შემდგარი ქართველი საზოგადოებაა. ჩემი რწმენა ყოველთვის განცდას ემყარება და თუ შენი ქვეყნის ისტორია, საკუთარი სულიერი თავგადასავლივით გაქვს განცდილი, მაშინ მასში ეჭვი არასდროს შეგეპარება. როდესაც უყურებ, ამდენი ტერორის მიუხედავად, როგორ შეუპოვრად ებრძვის ჩემი ხალხი ამ ხელისუფლებას, ამაზე უკეთესი სანახაობა არ არსებობს. ხალხი შეუპოვრად იბრძვის, რადგან იცის, რომ რაღაც არსებობს, რის მიღმაც სიცოცხლე აზრს კარგავს.

— **რამდენიმეხნიანი „მიძინების“ შემდეგ, ქართველი საზოგადოება ერთბაშად გამოცოცხლდა. ადამიანების გააქტიურების მიზეზი ივანიშვილის გამოჩენაში უნდა ვეძებოთ თუ ხალხი უბრალოდ დაიღალა?**

— ნება მომეცით, არ დაგეთანხმოთ, რომ ქართველი საზოგადოება მიძინებული იყო. ის მთელი ამ ხნის განმავლობაში თავისი სიცოცხლის ფასად იბრძვის სამართლიანობისთვის. რამდენი სისხლიანი დარბევის თარიღი გვაქვს და არავის ეგონოს, რომ ეს დღეები უკვალოდ ჩაივლიდა. მხოლოდ ხელისუფლებას ეგონა, რომ რეზინის ხელკეტებითა და მხუთავი გაზით „გადააგორებდა“ ამ პრობლემას, მაგრამ სანამ სამართალი თავის გზას არ იპოვის, არაფერი „გადაგორდება“. უბრალოდ, წინააღმდეგობის მუხტი ზოგჯერ ოდნავ შენელებული იყო, ზოგჯერ კი, პირიქით — გამძაფრებული. ამ მოძრაობას ბატონი ბიძინას გამოჩენამ ახალი ენერგია შემატა ანუ საუკეთესო თანხვედრა მოხდა.

— **იქნებ გაგვიმხილოთ, ბოლო დროს რაზე ითათბირეთ მასთან და რაიმე რჩევა ხომ არ უკითხავს?**

— მას შემდეგ, რაც ბატონმა ბიძინამ პოლიტიკაში მოსვლის გადაწყვეტილება მიიღო, მხოლოდ ერთხელ ვნახე და მაშინ რჩევებზე არ გვისაუბრია. უბრალოდ ვილაპარაკეთ იმაზე, თუ როგორ გვესახება ჩვენი ქვეყნის მომავალი. მხოლოდ ჩვენ ორნი ვიყავით და ძალზე ჰარმონიული საუბარი გვქონდა — ანუ არც ერთ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობა არ გვქონია. ვისაუბრეთ, ჩვენს განზრახვებზე, საქართველოს მომავალზე, ბრძოლის მეთოდებზე, საარჩევნო საკითხებზე. მისი სურვილი კონკურენტიანი საარჩევნო გარემოს შექმნაა და ამ ყველაფერთან დაკავშირებით, სრული თანხვედრა გვქონდა.

— **როგორია პირად ურთიერთობაში?**

— ძალიან გახსნილი ადამიანია. საერთოდ, ჭკვიანი ადამიანი ყოველთვის გახსნილია, სუსტებს კი ჰგონიათ, რომ თავიანთი გონიერება ჩაკეტილობით უნდა გამოხატონ, რათა გულისნადები არავის გაუმხილონ.

**სოსო ჯაჭვლიანი,** *მსახიობი, რეჟისორი:*

— მე, ლუკა კურტანიძემ და მერაბ შათირიშვილმა გადავწყვიტეთ, რომ ბიძინა ივანიშვილისთვის მხარდაჭერა ჩვენებურად, როგორც შეგვეძლო, ისე გამოგვეხატა და გელათიდან სამებამდე რამდენიმე ასეული კილომეტრი სიმბოლურად ფეხით გაგვევლო... გავიარეთ. გელათი იმიტომ ავირჩიეთ, რომ იქ დავით აღმაშენებელი ასვენია, ხოლო სამების




ქუთაისიდან თბილისამდე ფეხით ვიარეთ და იცით, როგორი სიხარულით გვხვდებოდნენ?!.

საკათედრო ტაძარი ბიძინა ივანიშვილმა ააგო. ალბათ ყველას ახსოვს — როცა ჩვენი პრეზიდენტი დავით აღმაშენებლის საფლავზე ავიდა, დაიფიცა, — საქართველოში დემოკრატიულ სახელმწიფოს ავაშენებთო, — მაგრამ ამ ფიციდან ცოტა ხანში მთელ ქვეყანას „ნამუსი ახადა“ და ამ ქვეყნის მოქალაქეები „ნამუსახდილები“ ვართ. ამიტომაც, ჩვენს პრეზიდენტს გვინდა ვკითხოთ, — გვითხრას, რატომ წაართვა მოქალაქეობა იმ ადამიანს, ვისაც საკუთარი ხალხისა და ქვეყნის წინაშე ასეთი ღვაწლი აქვს?!. რატომ დაუყაჩაღა ბანკი და რა მიზეზით დაუპატიმრა გარშემო ყველა ახლობელი?!. რატომ იქცევა ასე, ეშინია?! შიში ვერ იხსნის სიკვდილსაო, — უთქვამს ჩვენს ბრძენ შოთას. მე არავის სიკვდილი არ მინდა და ღმერთმა დამიფაროს ასეთი აზრებისგან, მაგრამ მაინც უნდა ვუთხრა მიშას, — ცუდია დაღრეჯილობა; რასაც შენ აკეთებ ახლა, ბატონო პრეზიდენტო, დაღრეჯილობაა... აქვე ივანიშვილსაც მინდა ვკითხო, — ბატონო ბიძინა, იმ ადამიანების იმედად იქნებით 2012 წელს, ვინც ახლა იმას ვერ მიაღწია, რომ ხელისუფლებას თქვენთვის მოქალაქეობა დააბრუნებინოს?!.

**— როგორ ფიქრობთ — თქვენი და დანარჩენი საზოგადოების მოთხოვნა აიძულებს ხელისუფლებას, დათმობაზე წავიდეს?**

— მე ვხედავ, რომ ხელისუფლება შეშინებულია და მან დროზე ადრე დაიწყო წინასაარჩევნო პიარ-კამპანია: გვირაბებს ხსნის, კვერცხებზე „შლოპანცებს“ დგამს; ცდილობს, ხალხს თავი მოაწონოს, მაგრამ ჩვენ ქუთაისიდან თბილისამდე ფეხით ვიარეთ და იცით, როგორი სიხარულით გვხვდებოდნენ?!. ამ გზაზე თითქოს სხვა საქართველო ვნახეთ — იმედიანი, ღვთისნიერი, კეთილი და მოსიყვარულე. თავადაც გაოცებას გამოხატავდნენ: არ გვეგონა, ასეთი მებრძოლი სულის ადამიანები კიდევ თუ არსებობდნენო... ზოგი წყალს გვაწვდიდა, ზოგიც — საკვებს, გვლოცავდნენ. იქიდან დაღლილები კი არა, დადებითი ენერგიით აღსავსენი დავბრუნდით. მათ იმაზე ცოტა ინფორმაცია აქვთ, ვიდრე თბილისის მოსახლეობას და ბევრი შეშინებული იყო, მაგრამ — ერთ ძალად და ერთ მუშტად შეკრული... ბატონო მიშა, არ მინდა ვიფიქრო, რომ რაიმე ავაზაკური მეთოდებით ცდილობ ხალხის გაჩუმებას, მაგრამ თუ ასეა, ჯობია, გადაიფიქრო, რადგან შენ წინააღმდეგ იმაზე უფრო დიდი ძალაა დარაზმული, ვიდრე გგონია, და უფრთხილდი ხალხს, თორემ ქართველი კაცის გაბრაზება ღვთის წყრომას ჰგავსო, უთქვამთ!..

**ირაკლი სესიაშვილი,** *საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნების“ გამგეობის წევრი:*

— ჩვენს ორგანიზაციაში, პრესის ასოციაციის საკითხები მე არ მეხება, მაგრამ თამამად შემიძლია გითხრათ, რომ ამ კუთხით, ჩემი და ბატონი ბიძინას მოსაზრებები ემთხვევა: ის დიდ პატივს სცემს დამოუკიდებელი პრესის ნებისმიერი გამოცემის აზრსა და დამოკიდებულებას. ის, რაც პრესის გავრცელების ჯიხურებთან დაკავშირებით ხდება, პირდაპირი პოლიტიკური იერიშია მედიის წინააღმდეგ, რათა შეიზღუდოს თავისუფალი მედიასაშუალებები. საქმე ის არის, რომ ხელისუფლება ჩქარობს, როგორმე არჩევნებამდე ყველაფრის პრივატიზება მოახდინოს. ჩვენი ორგანიზაციის მთავარი ძალა დამოუკიდებელ ჟურნალისტებშია — თქვენი დახმარებით ვეკონტაქტებით საზოგადოებას და თუ ახლა ფარ-ხმალი დავყარეთ, ეს ნიშნავს, რომ ხელისუფლების სასარგებლოდ გადავდგამთ ნაბიჯს.

**— „ქართულმა ოცნებამ“ უკვე გაიარა რეგისტრაცია; როგორ მუშაობთ და რა სიახლეებია თქვენს ორგანიზაციაში?**

— ორგანიზაცია „ქართული ოცნების“ პრეზენტაცია 2011 წლის 11 დეკემბერს გაიმართება და იმედი გვაქვს, რომ ამ დღეს ყველაფერი მშვიდად ჩაივლის. როგორც ადგილობრივ ხელისუფლებას, ასევე ქართველ და საერთაშორისო საზოგადოებას დავუმტკიცებთ, რომ ეს არის ორგანიზაცია, რომელსაც საზოგადოების კონსოლიდაციის ამბიცია აქვს. მართალია, ხელისუფლების მხრიდან წნეხის პირობებში, „ქართული ოცნების“ ასრულება ადვილი არ იქნება, მაგრამ თუ ასე მივუდექით, არაფერი გამოვა. ბატონი ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლამ რეალური იმედი გააჩინა და ეს მუხტი არ უნდა დაიკარგოს. მოძრაობა ყველასთვის ღიაა და ყველა ქართველს, ვისაც ქვეყნის გადარჩენის სურვილი აქვს, შეუძლია, ამ ორგანიზაციის წევრი გახდეს. ძალიან ბევრი ღირსეული ადამიანი მოგვმართავს თანამშრომლობის სურვილით, მაგრამ იცით ალბათ, რომ ხელოვნური მიზეზების გამო ოფისი არ გვაქვს; ამ კუთხით უკვე ვმუშაობთ და რამდენიმე დღეში ეს პრობლემაც მოგვარდება.

**— საზოგადოების ერთმა ნაწილმა ბიძინა ივანიშვილისთვის მოქალაქეობის დაბრუნების მოთხოვნით, მსვლელობა მოაწყო. ამ მხრივ რამე სიახლე ხომ არ არის?**

— დაწყებულია ფართომასშტაბიანი მოძრაობა ამ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად და, როგორც ვიცი, უკვე 200 ათასზე მეტი ხელმოწერა შეგროვდა... სოსო ჯაჭვლიანმა და ლუკა კურტანიძემ ბატონი ბიძინას მხარდაჭერა ძალიან ვაჟკაცური ფორმით გამოხატეს და დიდი მადლობა მინდა, მათ ვუთხრა... ამ საკითხზე სასამართლო პროცესი 5 დეკემბერს გაიმართება; რა შედეგს მივიღებთ, ჯერჯერობით უცნობია, მაგრამ ხელისუფლებას ვპირდებით, რომ ყველა დაშვებულ მექანიზმს გამოვიყენებთ, რათა ბატონ ბიძინას მოქალაქეობა აღუდგინონ.

**— რეგიონებში თუ იგეგმება „ქართული ოცნების“ ოფისების გახსნა?**

— რა თქმა უნდა, ვაპირებთ, მაგრამ ჯერ ცენტრალური ოფისის საკითხი უნდა მოვაგვაროთ, შემდეგ კი თანამიმდევრულად გადავალთ რეგიონებში. ძალიან ვფრთხილობთ, რადგან რეგიონებში ხელისუფლების ზეწოლის მექანიზმი განსაკუთრებით ძლიერია და გონივრულად უნდა ვიმოქმედოთ... ერთი რამ მინდა აღვნიშნო — ჩვენს ორგანიზაციას დასავლეთის ქვეყნებისგან უპრეცედენტო მხარდაჭერა აქვს, რადგან მათ კარგად ესმით, თუ რა საფრთხეს წარმოადგენს რეგიონში სააკაშვილის ხელისუფლების არსებობა. ■


ჩვენს ორგანიზაციას დასავლეთის ქვეყნებისგან უპრეცედენტო მხარდაჭერა აქვს



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ენგურს გაღმა-გამოღმა ქართული მიწა არასდროს გამიყვია"

## „ერთი საქართველოდან მეორეში" ჩამოსული ქართველი ქალბატონი

**რამდენიმე ცნობილი ადამიანი, ბორჯომ-ბაკურიანის მიტროპოლიტი, მეუფე სერაფიმე და უბრალოდ მლოცველები სამების საკათედრო ტაძარში სოხუმელი ქალბატონის გამოჩენას მოუთმენლად ელოდნენ. როგორც ამიხსნეს, მეუფე სერაფიმეს დედა, ქალბატონი ანგელინა მარგველაშვილი აფხაზეთიდან სტუმრის სტატუსით, რამდენიმე დღით იყო ჩამოსული...**

*ლალი პაპასქირი*

*გარეთ გადაუღებლად ბარდნიდა და ციოდა. რამდენიმემ გაოცება ვერ დაფარა, — ეს ასაკოვანი ქალბატონი ამ სიცივეში რატომ შევაწუხეთო? — რაზეც მეუფემ მშვიდად გვიპასუხა, — დედა ძლიერია, უფლის რწმენა აძლიერებს და ასეთ წინააღმდეგობებს არ უშინდებაო. მანვე გვაცნობა, რომ დედამისი სოხუმში ცხოვრობს, რადგან სახლკარსა და იქაურ გარემოს ვერ შეელია... როცა კარი გაიღო, ტაძარში ელეგანტურად ჩაცმული ხანდაზმული ქალბატონი შემოვიდა. სახეზე სათნო ღიმილი გადაჰფენოდა. მას ყველა — უცნობი თუ ნაცნობი თბილად შეხვდა. ისიც ყველას ლოცავდა. ამ დროს ტაძარში შუადღის ლოცვები დაიწყო... ქალბატონს ეტყობოდა, ქართულ ლოცვას იყო მონატრებული, საუბრის დროს ხანდახან ყოვნდებოდა და უტკბილეს გალობას ღიღინით აყოლებდა ხმას...*

*„რა ხდება ჩვენს საყვარელ სოხუმში? როგორ გამოიყურება ტრაპშის ქუჩა? მეზობლები როგორ არიან?" — ეკითხებოდნენ სოხუმელი მეზობლები. „გვენატრებით ყველას; თქვენს ამბებს კითხულობენ", — ღიმილით პასუხობდა სტუმარი.*

*მის ახლობლებს რომ არ ეთქვათ, ვერც ვიფიქრებდი, რომ 82 წლის არის, მაგრამ ასაკის მიუხედავად, ანგელინა მარგველაშვილი ყოველ წელს შვილებთან — „ერთი საქართველოდან მეორეში" ჩამოდის, ენგურს გაღმიდან სოხუმური მონატრება მოაქვს.*



ერთხელ უწმინდესმა მითხრა, – შენ გმირი დედა გყავსო

**ანგელინა მარგველაშვილი:**

— აფხაზეთის დაკარგვის შემდეგ, თითქმის ყოველ წელს ჩამოვდივარ თბილისში. უფლის წყალობით, გზაზე პრობლემა არასდროს შემქმნია. იქაც ჩემი საქართველოა და — აქაც. ენგურს გაღმა-გამოღმა ქართული მიწა-წყალი არასდროს გამიყვია. უფრო ახალგაზრდა რომ ვიყო და მეტი საშუალება მქონდეს, ხშირად ჩამოვიდოდი ჩემს შვილებთან... სოხუმში ჩემს ძველ სახლში ვცხოვრობ, ოღონდ — მარტო, რადგან ჩემი ქალიშვილი, რომელიც ასევე სოხუმში დარჩა, სამსახურთან ახლოს ცხოვრობს. ხშირად მეკითხებიან, — სამი შვილი ენგურს გაღმა გყავთ, მარტო ყოფნა არ გიჭირთო?.. მე მარტო არა ვარ, სოხუმში ჩემი ძველი მეზობლები — ქართველები, აფხაზები, ბერძნები, რუსები და სომხები მყავანან. ერთი სიხარულითა და ტკივილით ვცხოვრობთ. ყველამ იცის, რომ ქართველი ვარ, მაგრამ პრობლემა არასდროს შემქმნია, ისინი კარგად იცნობენ ქართველის ბუნებას და პატივს სცემენ ჩვენს ხასიათს, ტრადიციებს. ადამიანურ ურთიერთობაში პოლიტიკა არ ერევა... თბილისში ჩამობრძანების შემდეგ, რამდენჯერმე შევხვდი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს. მის უწმინდესობასთან ერთად ვიყავი იერუსალიმში. გამიჭირდება იმის გადმოცემა, თუ როგორი ადამიანია პატრიარქი. მან იცის, ვისთან როგორ ილაპარაკოს და ამ მძიმე რეალობაში ეს ძალზე მნიშვნელოვანია.

**მეუფე სერაფიმე,** *ბორჯომ-ბაკურიანის მიტროპოლიტი:*

— 82 წლის ადამიანისთვის ამხელა გზის გავლა ადვილი არ არის, მაგრამ ამ ოცი წლის განმავლობაში თითქმის ყოველ წელს ჩამოდის. დედა აფხაზეთის, ავტომატურად — რუსეთის მოქალაქეა და ენგურს გადმოღმა სპეციალური საშვის საშუალებით გადმოდის. მისი ჩამოსვლა ჩემთვის, მისი ოჯახის წევრებისთვის, ახლობლებისა და აფხაზეთიდან დევნილი მრევლისთვის ძალზე დიდი ნუგეშია და ისიც ძალ-ღონეს არ იშურებს. ძნელია, როცა მოხუცი მშობელი ისეთ ადგილას ცხოვრობს, სადაც ვერ ჩადიხარ. მას ხშირად ვერ ვნახულობ, მაგრამ როგორლაც ვძლებთ, უფალი გვაძლიერებს... გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ დედაჩემი იქ კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს სადარაჯოზე დგას და ქართველებისა და აფხაზების სიყვარულს უფრთხილდება... იქ ცხოვრობენ ქართველები, ვინც ქართულად ლოცვას არიან მონატრებული, მათ შორის არის დედაჩემი. ერთხელ უწმინდესმა მითხრა, — შენ გმირი დედა გყავსო. ალბათ მართლაც ასეა. ის ჩვენს მშობლიურ, ომგამოვლილ ქუჩაზე ცხოვრობს, მაგრამ ცხოვრობს იქაურების სიყვარულით... მადლიერი ვარ უფლის, რომ ასეთი ეკლესიური დედა მიწყალობა. ბერობის გზას მისი ლოცვით გაძლიერებული შევუდექი. ლექსი — „დედის ლოცვა" დედამ მე მომიძღვნა, რომლის ტექსტზეც ქალბატონმა მაია სიჭინავამ სიმღერა დაწერა და ვიდეოკლიპიც გადაიღეს...

*P.S. ქალბატონი ანგელინა მარგველაშვილის ახლობლების დახმარებით, მას სოხუმში წასვლის წინადღეს ვესტუმრე და ვრცელი ინტერვიუ ჩავწერე, რომელსაც „გზის" მომდევნო ნომერში შემოგთავაზებთ.*

■

ეროვნული ბიბლიოთეკა

Apifito PHARM

# ბალზამი პრომიოდი

**100% ნატურალური პროდუქტი!**

როცა თვით ბუნება კურნავს...



## ბალზამი „პრომიოდი“ – ბუნების მიერ ნაჩუქარი ჯანმრთელობა!

ლეგენდებით მოცული ურალის მთები, რომელსაც უმღერიან ხალხურ გადმოცემებში, განთქმულია არა მხოლოდ მიწისქვეშა განძეულით. ჩვენ არც კი ვფიქრობთ იმაზე, თუ როგორი საოცარი იდუმალი ძალაა ჩამალული მთის უმდიდრეს ფლორასა და ფაუნაში. ურალის მთების დიდებული ბუნება ამოუწურავი სასიცოცხლო ენერგიის და ნამდვილი ჯანმრთელობის წყაროა, რომელსაც ასე ხშირად უსურვებდნენ ერთმანეთს საბჭოური დროის მისალოც ბარათებში.




ჩვენ სხვა ეპოქაში ვცხოვრობთ, სხვა ქვეყანაში. მაგრამ ერთი კი უცვლელი დარჩა – ძლიერი ჯანმრთელობის სურვილი თქვენთვის და თქვენი ახლობლებისთვის. და ამისათვის სულაც არ არის საჭირო გაემგზავროთ ურალზე. მთების მკურნალი ძალა ინახება ჯადოსნურ ბალზამში „პრომიოდი“. იგი 100%-იანი ბუნებრივი პროდუქტია.

ბალზამის უნიკალურობა მდგომარეობს იმაში, რომ თითოეული მისი შემადგენელი კომპონენტი თავისთავად მრავალფუნქციურია.

მის შემადგენლობაში შედის: **თაფლი, პროპოლისი, კედრის ზეთი, გოგრის თესლის ზეთი, ქაცვის ზეთი, ფუტკრის ცვილი.** პრაქტიკულად ნებისმიერ მათგანს ხალხში უწოდებენ „ურალის ოქროს ფესვს“„ რადგან მხედველობაში აქვთ სამკურნალო თვისებათა უნივერსალურობა. ხოლო ერთ ბალზამად შეკრული, დაპატენტებული, ურთულესი ტექნოლოგიით დამუშავების გავლის შემდეგ, ისინი იძლევიან კუმულაციურ ეფექტს და წარმოადგენენ უზარმაზარ ძალას, რომელიც გამაოგნებელ შედეგებს იძლევა და აღადგენს ჩვენს ორგანიზმს.

ხანმოკლე დროის მანძილზე „პრომიოდი“ უკვე დაეხმარა ათასობით ადამიანს დაავადებებთან გამკლავებაში.

მისი გამოყენების შედეგები შესამჩნევია უკვე პირველსავე დღეებში, შეინიშნება ჯანმრთელობის მდგომარეობის აშკარა გაუმჯობესება, განსაკუთრებით დაავადებათა მწვავე ფორმების დროს.

ბალზამი „პრომიოდი“ ხელს უწყობს სისხლის კაპილარების გაფართოებას და ავსებას, რაც აძლიერებს ვენოზურ გადიდებას, აუმჯობესებს სისხლის მიკროცირკულაციას და შველის ორგანიზმს გულ-სისხლძარღვთა დაავადებების დროს, როგორიცაა იშემია, არითმია, სტენოკარდია, ასევე არტერიული წნევის ხტომები. იმ ადამიანებისთვის, რომელთაც ამინდის ცვლილებებზე დამოკიდებულება აწუხებთ, ეს შეუცვლელი საშუალებაა. ბალზამი ხსნის თავის ტკივილს, ასტაბილურებს წნევას, შველის სახსრებში ტეხვისას, და მაშასადამე, საყრდენ-სამოძრაო აპარატის მრავლობითი დაავადებების დროს (ართრიტი, ართროზი, რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, რევმატიზმი, ნევრიტი, მალებშორისი თიაქარი, ქუსლის დეზი და ა.შ.). გარდა ამისა, „პრომიოდი“ არბილებს სისხლძარღვთა კედლებს, ხდის მათ უფრო ელასტიკურს,და ამცირებს თავის ქალის შიდა წნევას. „პრომიოდი“ ხელს უწყობს ორგანიზმის აღდგენას ტრავმების შემდეგ,მათ შორის თავის ტრავმის, ინსულტების, ინფარქტების შემდეგ. კარგი შედეგებია ისეთი დაავადებების დროს, როგორიცაა ფარისებრი ჯირკვლის დაავადებები, თვალის დაავადებები (კონიუნქტივიტი, გლაუკომა, კატარაქტა, ახლომხედველობა), შაქრიანი დიაბეტი.

„პრომიოდი“ ეფექტურია ნებისმიერი მწვავე ინფექციური დაავადების მოხსნის დროს (გრიპი, მწვავე რესპირატორული ვირუსული ინფექციები, მწვავე რესპირატორული დაავადებები, ჰაიმორიტი, პაროდონტოზი, ყურის და სამწვერა ნერვის ანთებები, ოსტეომიელიტი, დისბაქტერიოზი, და ა.შ.), ქრონიკული დაავადებების და ინფექციების რეციდივების (ასთმა, ბრონქიტი,პნევმონია,პროსტატიტი და ა.შ.) დროს.

გამოსცადეთ თქვენს თავზე ჯადოსნური ძალა ბალზამისა,რომელიც თვით ბუნების მიერაა შექმნილი.

მის დამზადებაზე იმუშავა ათასობით ფუტკარმა, რომლებიც დაუღალავად დაფრინავდნენ ყვავილიდან ყვავილზე. მზრუნველმა ხელებმა თაფლის კომპოზიციას დაუმატა სამკურნალო ზეთები იმ მცენარეებისა, რომლებიც დედამიწის წვენებს და სტიქიის ენერგიას შეიწოვენ.

შეიგრძენით „პრომიოდთან“ ერთად ურალის მაცოცხლებელი სუნთქვა.

**მაღალი წნევა** მქონდა. ასევე **მენჯ-ბარძაყის მოტეხილობა.** შეხორცებული კი იყო, მაგრამ ვერ ვდგებოდი და ვერც დავდიოდი. 10 დღის მიღების შემდეგ წნევაც დარეგულირდა. ფეხზეც ვდგები და დავდივარ (ბარძაყის მოტეხილობისას). დიდი მადლობა თქვენ საოცარი ბალზამისათვის.

**ანა გიორგაძე**
**ქ. თბილისი**

მრავალი წელი მაწუხებდა **თირკმელები, ნაღვლის ბუშტი და მაღალი წნევა.** 3 ქილა ბალზამის გამოყენების შემდეგ ნაღველმა დენა დაიწყო, დამირეგულირდა წნევა და თავს გაცილებით ახალგაზრდულად ვგრძნობ. მოხარული ვარ, რომ ასეთი საშუალება არსებობს.

**ნ. გუგულია**
**ქ. ზუგდიდი**

ძალიან მაწუხებს **სახსრები, წნევა და შაქრიანი დიაბეტი**. გაზეთში წავიკითხე ბალზამ „პრომეოდის“ შესახებ და გადავწყვიტე გამომეცადა საკუთარ თავზე. 2 ქილის შემდეგ სახსრებში ტკივილმა გამიარა, წნევაც დამირეგულირდა და შაქარმაც დაიწია. თქვენი ულრმესი მადლობელი ვარ!



**ბოჭორიშვილი ციალა**
**84 წ. ქ. თბილისი**

ამ ბიოლოგიურად აქტიურ პრეპარატზე მხოლოდ ყველაფერი კარგის თქმა შემიძლია. მაქვს **ფსორიაზი, მხედველობაც დაქვეითებული** მქონდა და საერთოდ პოლიორგანული დაავადებებიც მაწუხებდა. დავიწყე ბალზამის დალევა, მოვიდე 4 ფლაკონი. მხედველობა დამეხვეწა, სიწითლეც გადავიდა.., გმადლობთ! ბალზამი ნამდვილად დამეხმარა და გავაგრძელებ მის გამოყენებას.

**ნიკოლაი კირიაკი,**
**89 წლის, ქ. თბილისი.**

დეიდაჩემს 30 წელზე მეტია აწუხებს **ბრონქიალური ასთმა,** რომელმაც ძალიან მძიმე ხარისხს მიაღწია. მუდმივად ჰქონდა შეტევები, რის გამოც იგუდებოდა. როცა გიუმრიში ჩატარდა ბალზამ „პრომიოდის“ პრეზენტაცია, მან გადაწყვიტა გაესინჯა იგი. მიიღო 1 ქილა, რის შედეგადაც თვითშეგრძნება კარგზე უფრო მეტი გაუხდა. იგი აღარ იგუდება, როგორც ადრე, შეტევა კი დღემდე ერთხელაც აღარ ჰქონია. დაიწყო მსუბუქად სუნთქვა და შედეგებით ძლიერ კმაყოფილია. რა თქმა უნდა იგი 1 ქილაზე არ შეჩერდა, აგრძელებს მის გამოყენებას და გაივლის მთელ კურსს.

**ანა სარქისიანი**
**ქ. გიუმრი**

როცა თქვენ მოგმართეთ მაწუხებდა **ქვედა კიდურების ართროზი, წნევა,** მქონდა **მუცლის ანევრიზმა.** ამის გამო ღამეები არ მეძინა. მოვიდე 2 ქილა ბალზამი „პრომიოდი“. ახლა ტკივილებიც აღარ მაქვს. ბალზამის მიღებას გავაგრძელებ. გმადლობთ!

**სონია დორეული,**
**84 წლის, ქ. რუსთავი.**

**ყველაზე მთავარია იმ ხალხთა გულწრფელი წერილები, რომლებმაც თავის თავზე გამოსცადეს ბალზამ „პრომიოდის“ კეთილისმყოფელი მოქმედება.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

აპრილში შევიძინე 2 შუშა ბალზამი,დავლიე და წავისვი კიდეც. მძიმე სამუშაოს გამო 2 წლის წინ გამიჩნდა **ჰემოროი.** ძალიან ვიტანჯებოდი, მაწუხებდა ტკივილები, საჭირო იყო ოპერაციული ჩარევა, მაგრამ თქვენი ბალზამის კურსის მიღების შემდეგ ვიგრძენი გაუმჯობესება, დაავადებამ რაღაც სასწაულით გაიარა. კიდევ შევიძინე „პრომიოდი“ პროფილაქტიკისათვის. დიდი მადლობა თქვენი სასწაული ბალზამისათვის.

**ტ. სიმონენკო**
**ქ. ჟიტომირი**

მე დიდი ხნის განმავლობაში მაწუხებდა **სახსრები, გულ-სისხლძარღვთა და საშარდე გზების დაავადებები**. ვღებულობდი ბალზამ „პრომიოდს“ ყოველდღე 1 ჩ/კ სამჯერ დღეში, სულ მივიღე სამი ქილა. მიღებული შედეგით მეტად კმაყოფილი ვარ.

**კახიძე ჟორა, ქ. ქუთაისი**

მაქვს შაქრიანი **დიაბეტი,** სისხლძარღვთა პრობლ-ემები, პოლორგანული უკ-მარისობა. ენერგიის დიდ მოზღვავებას ვგრძნობ, და-მირეგულირდა შაქარი. თქვენი დიდი მადლიერი ვარ!

**ციცინო ციცქიშვილი**
**ზესტაფონი**

ბალზამ „პრომიოდზე“ პირველად შევიტყვე, როცა დამეწყო პრობლემები ჯანმრთელობის მხრივ. მაწუხებდა **წნევა**, საერთო სისუსტეს ვგრძნობდი. რომ გავიგე ბალზამის შესახებ, გადავწყვიტე მიმეღო და შედეგებით გაოგნებული დავრჩი. აღდგა და დასტაბილურდა წნევა, საერთო მდგომარეობა იმდენად გამიუმჯობესდა, თითქოს ხელახლა დავიბადე.



**გუგეშაშვილი ნათელა,**
**79 წლის,**
**ქ. თბილისი.**

გაზეთში წავიკითხე თქვენი ბალზამის „პრომიოდის“ შესახებ და დავინტერესდი. მაწუხებდა **წნევა, ცისტიტი**, მაქვს **დიაბეტი** და გადავწყვიტე რომ მიმეღო ბალზამი. მივიღე ორი ქილა და პირველ რიგში დამირეგულირდა წნევა და დაიწია შაქარმა, შემდეგ დიდი შვება ვიგრძენი საშარდე გზების ანთებასთან დაკავშირებით. ეს ხომ საოცრებაა!!!

**კუპატაძე ნათელა 77 წ.**
**ქ. თბილისი**

რამდენიმე წლის მანძილზე მაწუხებდა **12 გოჯა ნაწლავის წყლული, ალერგიული გამონაყარი, ტკივილი სახსრებში.** ახლახან გაზეთით შევიტყვე ბალზამ „პრომიოდის“ შესახებ და დავიწყე მისი დალევაც და მტკივან სახსრებზე წასმაც. გამოყენების შემდეგ სახსრების ტკივილმა გაიარა, საერთო მდგომარეობა ნორმას დაუბრუნდა, ვიგრძენი სასიცოცხლო ძალისა და ენერგიის მოზღვავება. დიდი მადლობა.

**ზ. ტაბატაძე**
**ქ. ფოთი**

მე დიდი ხნის მანძილზე მაწუხებდა **სახსრები და წნევა.** ვღებულობ ბალზამ „პრომიოდს“ ყოველდღე 1 ჩ/კ 3-ჯერ დღეში და დამატებით ვისვამ სახსრებზე. მალამომ გამოიღო შედეგი, წნევა დამირეგულირდა, სახსრებში ტკივილიც მომეხსნა. ჯერ მივიღე 1 ქილა და ბალზამის მიღებას გავაგრძელებ.

**მერი კელაპტრიშვილი,**
**68 წლის, კასპის რ-ნი.**

მაწუხებდა **ოსტეოქონდროზი, პროსტატა**. ბალზამ „პრომეოდით“ მკურნალობის შემდეგ შედეგით ძალიან კმაყოფილი ვარ, გმადლობთ!

**მელიქოვი ანზორი 75 წ.**
**ქ. თბილისი**

მაწუხებს **სახსრები** და **ნაღვლის ბუშტი**. ბალზამის მიღების შემდეგ მომეხსნა სახსრების ტკივილი. „პრომიოდის“ მიღებიდან 3-4 დღის შემდეგ ნაღვლის პრობლემაც მომეხსნა. ამ საოცრებისათვის თქვენი მადლიერი ვარ.

**კურხულიძე ნ.**

„პრომიოდის“ გამოფენა-გაყიდვა, აგრეთვე დაწვრილებითი კონსულტაცია მისი გამოყენების შესახებ გაიმართება შემდეგ მისამართებზე:

ქ. თბილისი, ბახტრიონის 22
1, 2, 3, 4, 5, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19 დეკემბერი
15:00-დან 17:00-მდე.

**ქ. ბათუმი,** ლერმონტოვის 1ა (სასტუმრო „აჭარა“)
6, 20 დეკემბერი, 11:00-დან 12:00-მდე.

**ქ. ზუგდიდი**, გამსახურდიას 26 (ს/თ „ატრიუმი“)
6, 20 დეკემბერი, 16:00-დან 17:00-მდე.

ქ. ქუთაისი, კოსტავას ქ. 25 (სასტუმრო „ლია“)
7, 21 დეკემბერი, 11:00-დან 12:00-მდე.

ქ. გორი, სტალინის გამზ. 26;
(სასტ. „ჯორჯია“, სტალინის სახ.მუზ. პირდაპირ)
7, 21 დეკემბერი, 16:00-დან 17:00-მდე.

**ერთი შეფუთვის ფასი: 32.80 ლარი**
**ინვალიდებისა და პენსიონერებისათვის: 29.80 ლარი**
ერთი შეფუთვის მასა: 120 გრამი. პროფილაქტიკის კურსი – 2 შეფუთვა.
**ქრონიკული დაავადებების დროს – 4 შეფუთვა.**
**მინიმალური შეკვეთა – 2 შეფუთვა.** არ წარმოადგენს მედიკამენტს.
მიღებამდე გაიარეთ ექიმის კონსულტაცია. საქონელი სერტიფიცირებულია.
საინფორმაციო: 571 22 98 98
www. apifito.net

**გულისცემა აჩქარებული** მქონდა. ამის გამო ღამის განმავლობაში 2-ჯერ ან 3-ჯერ მეღვიძებოდა. მქონდა **პარადონტოზი**. რა უნდა ვთქვა? წლები თავისას შვება და 1,5 თვის წინ დავიწყე ბალზამ „პრომიოდის“ მიღება. ჩემი ჯანმრთელობა უკეთესობისკენ მიდის. ვღებულობ ნაკლებ წამალს. თქვენი მადლობელი ვარ.



**კარლო ხალუქაძე,**
**75 წლის, ქ. თბილისი.**

**ბეჭებზე წანაზარდი** მქონდა და საშინელი ტკივილი მაწუხებდა, განვიცდიდი **ჰაერის უკმარისობას და მარილებიც** დიდ დისკომფორტს მიქმნიდა. შევიძინე ბალზამ „პრომიოდის“ ერთი ქილა და დავიწყე მიღება. მიღების შემდეგ ძალიან ბევრი მარილები და ცილები გამოიყოფოდა შარდთან ერთად.
ასეთ შედეგს ამ მოკლე ხანში არ ველოდი.

**დარეჯან ბერძნიშვილი,**
**ქ. გორი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცხინვალის რეგიონი შეიარაღებული დაპირისპირების ზღვარზეა

*ლალი პაპასქირი*

**სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო საპრეზიდენტო არჩევნების დასრულების შემდეგ, რეგიონი შეიარაღებული კონფლიქტის საფრთხის წინაშე დადგა. გამარჯვებული — ალა ჯიოევა 5 ათასამდე ხმით უსწრებს კრემლის ფავორიტ ანატოლი ბიბილოვს, რომელმაც შედეგები არ აღიარა და წაგების გამო, საარჩევნო კომისიას უმაღლეს სასამართლოში უჩივლა...**

**ალან ჩოჩიევი,** *ოსი პოლიტოლოგი:*

— მართალია, იმას, რაც დღევანდელ სამხრეთ ოსეთში ხდება, დემოკრატიას ვერ დავარქმევთ, მაგრამ ჩემი ხალხის გამბედაობითა და სიმამაცით პირადად მე გაოცებული დავრჩი. არ ველოდი, თუ ხალხი ბიბილოვის გავლენის მქონე პოლიტიკურ ფიგურას დაუპირისპირდებოდა. ბოლო დღეებში ყველა სახელმწიფო უწყება წნეხის ქვეშ იყო მოქცეული. თითქმის ყველა ძალოვანს ნაბრძანები ჰქონდა, ხმა მისთვის მიეცა, მაგრამ მან მაინც წააგო. ახლა ქალაქში მძიმე ტექნიკა და შეიარაღებული ძალები არიან მობილიზებული, მაგრამ ჯიოევას მომხრეთა გუნდი მაინც არ იშლება. ეს ცოტას როდი ნიშნავს... დღეს ბევრს აინტერესებს, დაიწყება თუ არა შეიარაღებული დაპირისპირება ცხინვალის რეგიონში. იმედია, ბიბილოვს კეთილგონიერება ეყოფა და შეჩერდება, რადგან მისგან მარცხის აღიარება — ერთადერთი გამოსავალია... კავკასიის ქვეყნების ისტორია მმართველი ქალებით განებივრებული არ არის და თუნდაც ამიტომ, ოსმა ხალხმა თავისი არჩევანის დაცვა უნდა შეძლოს. ჩვენმა ხალხმა ყველას დაანახვა, რომ კოკოითის დამყაყებულ რეჟიმსა და მისი ხაზის გამგრძელებელ ფიგურას არ შეეგუება.

— **ჯიოევასა და ბიბილოვის დაპირისპირებას ბევრი რუსულ კლანებს შორის შეტაკებად აფასებს. რას იტყვით ამაზე?**

— მოდი, სინამდვილეს თვალი გავუსწოროთ: სამხრეთ ოსეთს, რუსეთის სახით, ჯერჯერობით ერთადერთი სტრატეგიული მხარდამჭერი ჰყავს და რა გასაკვირია, რეგიონში პოზიციების განსამტკიცებლად სხვადასხვა ძალები იბრძოდნენ?! მთავარია, ხალხმა მოსკოვს დაანახვოს, რომ მხოლოდ ქაღალდზე დაწერილი დამოუკიდებლობით არ დაკმაყოფილდება... მართალია, ჩვენს ქვეყანას ისეთივე პოტენციალი არ აქვს, როგორიც აფხაზეთს, მაგრამ გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი ადგილი გვიჭირავს, ყოველ შემთხვევაში — რუსეთისთვის და კარგი იქნება, თუ ანგარიშს გაგვიწევს... ჯიოევას იდეოლოგიის შეცვლაზე არაფერი უთქვამს ანუ საგარეო კურსის შეცვლას არ აპირებს, მაგრამ ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებასა და კორუფციის აღმოფხვრაზე ისაუბრა. ანატოლი ბიბილოვი კი რეალურ რეფორმებს ვერ განახორციელებს და ვერც კორუფციას დაუწყებს ბრძოლას, რადგან ეს თავისივე მომხრეების წინააღმდეგ გალაშქრება ნიშნავს. ქვეყნის სათავეში მოსვლის შემდეგ, მას კოკოითისთვის ძალაუფლების გაყოფაც მოუწევდა — ანუ რეალურად არაფერი შეიცვლებოდა.

**გოგი ხუციშვილი,** *კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის დირექტორი:*

— ცხადია, საერთაშორისო საზოგადოება ამ არჩევნების ლეგიტიმურობას არ აღიარებს, მაგრამ უნდა აღვნიშნო, რომ ამ ფაქტს მეორე, დადებითი მხარეც აქვს: ოსურმა საზოგადოებამ შეძლო და კოკოითის მიერ გაკვალულ, კორუფციულ გზაზე უარი თქვა. მართალია, ცხინვალში წლების განმავლობაში მილიონობით რუბლი დაიკარგა და რუსული მხარე კოკოითით აღფრთოვანებული არ იყო, მაგრამ ოსების დე ფაქტო ლიდერი რუსებისთვის მაამებლური პოლიტიკის გატარებასა და შენარჩუნებას მაინც ახერხებდა. ამ ყველაფერს კი ადგილობრივი საზოგადოება წინ აღუდგა. „ოპოზიციის" აქტიურობით, შიდა ვითარება რადიკალურად შეიცვალა და საზოგადოების ხმათა უმრავლესობა ჯიოევამ მიიღო. ანუ ამით, ადგილობრივ ხელისუფლებასა და რუსეთსაც უთხრეს, რომ არსებულ ვითარებას ვერ ეგუებოდნენ და პოლიტიკურ ცვლილებებს ითხოვენ... რაც შეეხება იმას, დაიწყება თუ არა შეტაკება ცხინვალის რეგიონში, ეს მთლიანად რუსეთზეა დამოკიდებული. მოსკოვს შეუძლია, შეიარაღებულ დაპირისპირებას „წაეხმაროს" ან პირიქით, ყველაფერი მალევე ჩააწყნაროს.

— **რა ხელს აძლევს რუსულ მხარეს ცხინვალის რეგიონში სამოქალაქო დაპირისპირება?**

— არა, არც გეოპოლიტიკური თვალსაზრისით ხდება ისეთი მოვლენა, რომ მსგავსი პრეცედენტით რუსეთმა იხეიროს, ჰოდა, როგორც წესი, რუსეთი თუ კონფლიქტში სარგებელს ვერ ხედავს, იარაღს არ არიგებს. პირიქით, ახლა მას არცთუ სახარბიელო საგარეო მდგომარეობა აქვს და ასეთი მცირე „შიდა" დაპირისპირებები ხელს არ აძლევს... ერთი სიტყვით, იქ იმაზე მძიმე პრობლემებია, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს: ოსები მიიჩნევენ, რომ ერთი ქვეყანა — ალანია არსებობს, რომელიც დღეს ჩრდილოეთად და სამხრეთადაა გაყოფილი, მაგრამ მათი გაერთიანება შეუძლებელია. ამ „შეთავაზებით" ჩრდილოეთ ოსეთიც არ დარჩება მოხარული — მას არ სურს, მშიერი და ლატაკი რეგიონი დააწვეს მხრებზე. თანაც, საზღვრების გადახედვის საკითხიც დადგება, რაც რუსეთს დიდ სამართლებრივ პრობლემებს შეუქმნის. ცხინვალის რეგიონს დადგენილი სტატუსი რომ ჰქონდეს, რომელმაც რეფერენდუმის შედეგად, სხვა ქვეყანასთან გაერთიანება ისურვა, — სხვა საკითხია, მაგრამ ვინაიდან საერთაშორისო საზოგადოება მას კონფლიქტის ზონად და სადავო ტერიტორიად აღიარებს, რუსეთი მას ახალ საზღვრებს ვერ დაუდგენს.

— **ე.წ. არჩევნების მეორე ტურს 70 ათასამდე უცხოელი დამკვირვებელი ესწრებოდა, მათ შორის — საფრანგეთიდან და ისრაელიდან ჩასულებიც...**

— მათ აინტერესებდათ, რა ხდებოდა ე.წ. სამხრეთ ოსეთში და როგორ შეიძლებოდა, პროცესები განვითარებულიყო. მათ ნახეს, რომ რუსეთის ხელისუფლების პროექტი ჩავარდა, რაც მართლაც რომ მნიშვნელოვანი ფაქტია... ლაპარაკია იმაზე, რომ ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ ჯიოევასგან საგარეო კუთხით ცვლილებებს ალბათ არ უნდა ველოდოთ, მაგრამ რა მოხდება ხვალ და რა ფორმით ითანამშრომლებს რეგიონის ახალი ხელმძღვანელობა ქართულ მხარესთან, ეს იმ პოლიტიკურ პროცესებზეა დამოკიდებული, რომლებიც იქ განვითარდება. ■



ეროვნული ბიბლიოთეკა

# სიცოცხლე მკვდარ ქალაქში

## გროზნოელი გოგონას დღიური

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „გზა“, № 47

**„ეძღვნება თანამედროვე რუსეთის მმართველებს“ — ასეთი ეპიგრაფი აქვს წამძღვარებული წიგნს, რომელიც ახლახან მოსკოვურმა გამომცემლობა „დეტექტივმა“ „ჟერებცოვა პოლინას დღიურის“ სახელწოდებით გამოსცა და რომლის ფრაგმენტების ბეჭდვაც ჩვენი ჟურნალის წინა ნომერში დავიწყეთ. შეგახსენებთ: პოლინა ჟერებცოვა 1985 წელს გროზნოში დაიბადა. ჩეჩნეთის პირველი ომის დასაწყისში, როცა ბაბუამისი, პროფესიით ჟურნალისტი ანატოლი ჟერებცოვი (მან გროზნოს ტელევიზიაში 25 წელი იმუშავა) საავადმყოფოს დაბომბვის დროს დაიღუპა, პოლინამ დღიურის წერა დაიწყო. მაშინ ის 9 წლის იყო. დღიურის მეორე ნაწილი 1999-2002 წლების ჩეჩნეთის ომს ეძღვნება.**

### 1999 წლის 21 ოქტომბერი

...სადარბაზოში ქალები და ბავშვები იყვნენ. დედამ მითხრა, — პალტოს ჯიბე გახვრეტილი მაქვს და ცოტა თეძო მეწვისო. ერთი ნამსხვრევი თურმე ჯიბეში ჩავარდნოდა.

როცა ჩვენს სადარბაზოში მამაკაცებმა შემოიხედეს, მაშინვე ყველა აყვირდა, — პირველ რიგში, უფეხოდ დარჩენილი გოგონას წაყვანაა საჭიროო! მან ძალიან ბევრი სისხლი დაკარგა. 17-20 წლის იქნებოდა. გოგონა წაიყვანეს.

სადარბაზოში ისევ მოხალისე მაშველებმა, ახალგაზრდა ბიჭებმა შემოიხედეს. მათ შორის ალადინიც იყო. გადაწყვიტეს, რომ ჭრილობის შესახვევად გამარჯვების პროსპექტზე, აფთიაქში (ყოფილ პურის მაღაზიაში) წავეყვანე. ალადინს ხელში აყვანილი მივყავდი და მეჩურჩულებოდა: „ნუ ტირი, ჩემო მეფის ასულო! ნუ გეშინია! დაგეხმარებიან!“ დედა ჩემ უკან მოჰყავდათ. აურზაურში არც დაბნეულიყვნენ და არც ჩვენი საქონლიანი ჩანთების წამოღება დავიწყნოდათ. გზად „მოდის სახლის“ ეზოზე უნდა გაგვევლო. ამ სახლში მე და დედა ოდესღაც ჩემს ჟურნალისტ ბაბუასთან ერთად ვცხოვრობდით.

ტყვიის წვიმაში მიმათრევდნენ, როცა სამი მოკლული ადამიანი დავინახე. ერთმანეთისგან მოშორებით იწვნენ. ვიღაცას მათთვის მუყაოს ნაგლეჯი გადაეფარებინა. ერთი ქალი იყო, მეორე — მამაკაცი, ხოლო ვინ იყო მესამე, კარგად ვერ გავარჩიე, მგონი, ბავშვი უნდა ყოფილიყო.

აფთიაქში შეგვიყვანეს და ვიღაც უცნობმა ქალმა დედას თეძოდან ნამსხვრევი ამოუღო. მე კი ფეხები მხოლოდ შემიხვიეს, რადგანაც ერთი ნამსხვრევი ძალიან ღრმად იყო ჩასული და დანარჩენების ამოღებაც საკმაოდ მტკივნეული აღმოჩნდა. ალადინს ძალიან ვებრალებოდი და თავზე ხელს მისვამდა...

სახლში დაბრუნება გადავწყვიტეთ, რადგან საავადმყოფოები დაჭრილი მოხუცებით, ქალებითა და ბავშვებით იყო გადავსებული: ბაზარში ხომ ძირითადად ისინი ვაჭრობენ...

დილისთვის ფეხის ტკივილი გამიძლიერდა. ტკივილგამაყუჩებელ აბებსა და ძილის წამალს ვსვამდი, მაგრამ ტკივილი სულ უფრო აუტანელი ხდებოდა... ის იყო, რის ვაი-ვაგლახით ჩავთვლიმე, რომ ჩვენი კატა, რომელმაც სისხლის სუნი იგრძო, საბანქვეშ შემომიძვრა და მარჯვენა ფეხში კბილებით ჩამაფრინდა. ეს ნამდვილი საშინელება იყო. მუჯლუგუნებით ძლივს მოვიშორე.

როგორც კი ვისაუზმეთ, დედამ მეზობლებს ჩემი ექიმთან წაყვანა სთხოვა. ზედა სართულის მცხოვრებლები დაგვთანხმდნენ. №9 საავადმყოფოში წამიყვანეს. ეს ჩვენი ცენტრალური საავადმყოფოა.

ექიმებმა მაშინვე აგვიხსნეს: „რენტგენი გჭირდებათ, მაგრამ არ გვაქვს. ელექტროენერგია გაგვითიშეს, „დიზელი“ კი აურზაურში სადღაც დაგვეკარგა“.

ექიმი, რომელმაც გამსინჯა, დაღლილობისგან ფეხზე ძლივსღა იდგა. გვიყვებოდა, ღამით, ოპერაციის მომენტში დენი რამდენჯერმე გამორთეს, ათეულობით ადამიანს გავუკეთეთ ოპერაცია, მაგრამ ბევრი მაინც მოკვდაო...

როცა ჭრილობას მიმუშავებდნენ, ტკივილგამაყუჩებლის გაკეთება დაავიწყდათ. ტირილი მოვრთე. დაყვირების შემრცხვა. ექიმი მაშინვე დაფაცურდა და ნემსი გამიკეთა. ყველა წამალი და შპრიცი იქვე, ჯიხურში დედაჩემმა იყიდა. დამატებით, ტეტანუსის აცრაც გამიკეთეს. ნამსხ-

C ჰეპატიტი

თბილისის მერიის, ეროვნული სკრინინგ ცენტრის და კომპანია ჰოფმან ლა როშის ხელშეწყობით მიმდინარეობს სკრინინგის პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს C ჰეპატიტის ვირუსით ინფიცირებული პაციენტების გამოვლენას სწრაფი ტესტის მეშვეობით.

გამოკვლევა უფასოა და ტარდება ეროვნულ სკრინინგ ცენტრში

მის: თბილისი, წერეთლის გამზირი 69, ტელ:2 140093/ 91/ 92

ტესტის ჩატარება შეუძლია 20-55 წლის ასაკის ყველა მსურველს.
C ჰეპატიტის გადაცემა ხდება ინფიცირებულ სისხლთან ან სხვა ბიოლოგიურ სითხეებთან კონტაქტის დროს.

ვირუსით ინფიცირების შესაძლო გზებია:

- ინფიცირებული სისხლის ან მისი პროდუქტების გადასხმა;
- ცუდად გასტერილებული ინსტრუმენტების (როგორც სამედიცინო, ასევე არა სამედიცინო) გამოყენება, მათ შორის ინტრავენური ნარკოტიკების მოხმარებისას;
- სამედიცინო ნემსის შემთხვევითი ჩხვლეტა;
- სტომატოლოგიური მანიპულაციები;
- საპარიკმახერო... 
- სააბაზანო აქსესუარების საზიარო გამოყენება;
- მრავალ შემთხვევაში გადაცემის გზა უცნობია;

დროულად ჩაიტარეთ გამოკვლევა და დაიცავით ღვიძლი მძიმე ვირუსული დაზიანებისაგან!

გამოკვლევის შედეგი კონფიდენციალურია.

Roche

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვრევები ეძებეს, მაგრამ ვერ იპოვეს. „რენტგენის, გარეშე ვერ დაგეხმარებით. ფეხს ტყუილად დაგიჩიჩქნით, — იმეორებდნენ ექიმები. — მოძებნეთ საავადმყოფო, სადაც რენტგენი მუშაობს“. დედას კი თეძოზე სალბუნი დაადეს და უკვე დადიოდა. ტკივილგამაყუჩებელი საშუალებები, ბევრი ბინტი და ქირურგიული ხელსახოცი ვიყიდეთ.

### 1999 წლის 31 ოქტომბერი

**15:40**

დაგვბომბეს. კერძო სექტორს — კარპინკას „აუთოებდნენ“. ჩვენთან სახლში ბავშვები იმალებოდნენ. ხმამაღლა ტიროდა ათი წლის გოგონა ზარა. ჩვენს კართან მჯდომი ვალია დეიდას შვილი მანსური ყველას ამშვიდებდა. მე ვლოცულობდი. დანარჩენები ჩვენს ოთახში კიბის ბაქნიდან იჭყიტებოდნენ.

### 1999 წლის 25 ნოემბერი

დღემ შესანიშნავად ჩაიარა. დილიდან ნაკლებად ისროდნენ და საღამოსთვის მეზობლები „სასეირნოდ“ ანუ სადარბაზოსთან დასადგომად და ნამწვავებში არეული ჰაერის ჩასაყლაპავად ჩავიდნენ. მაგრამ ვინ აცადა!..

„გრადმა“ პირდაპირ ჩვენს ეზოს დასცხო. ყველანი მარია დეიდას ბინაში, ვალიასთან და ბებიებთან შევცვივდით. ამის შემდეგ მეზობლის ბინიდან ჩვენთან და ჩვენი ბინიდან მეზობლებთან იმის მიხედვით დავრბოდით, თუ სახლს რომელი მხრიდან ესროდნენ... ეს 18:00-დან 20:00-მდე გრძელდებოდა...

კარზე ნაჩქარევი კაკუნი გაისმა. ალადინი მოვიდა! ვფიქრობდი, რომ ჭკუაზე ვიშლებოდი... რომ ეს ყველაფერი მელანდებოდა... მან ცოცხალმა გამოიარა მთელი ეს ჯოჯოხეთი?!. როგორ?!. საშინლად ბომბავდნენ! მან კი ალმოდებული ცენტრიდან ჩვენამდე მაინც მოაღწია. ეგონა, ვშიმშილობდით!.. სადღაც ნაშოვნი შავი აგურა პური, ომის პური მოგვიტანა! გზად რომელიღაც თხრილში წოლილა და ამიტომაც, მთლიანად ტალახში იყო ამოსვრილი და ხელიც გაჭრილი ჰქონდა, მაგრამ მაინც მოაღწია!

სიმართლე გითხრათ, სიკვდილი სულაც აღარ მინდოდა!

მეფის ასული პოლინა

### 2000 წლის 20 იანვარი

გუშინ დილით, 19 იანვარს სახლიდან რუსმა სამხედროებმა გაგვიყვანეს. ჩემს საათზე ათი იწყებოდა.

„სწრაფად! ძალიან სწრაფად!“ — გვიბრძანეს მათ. დედას პასპორტისა და იმ პაკეტის აღების უფლებაც კი არ მისცეს, სადაც გარდაცვლილი ახლობლების ფოტოები ჩააწყო. სამხედროებმა დედას უთხრეს:

— პასპორტი მეტად აღარ დაგჭირდება...

მეზობელ ბინაში მცხოვრები ნინა ბებია თოვლში პირდაპირ სახლის ჩუსტებით გამოვიდა, რადგან ფეხსაცმლის ჩაცმა ვერ მოასწრო. ეგონა, ბინებს დაათვალიერებენ, დოკუმენტებს შეამოწმებენ და შინ დავბრუნდებით. ასე ხომ უკვე იყო 1995 წელს... მაგრამ ამჯერად ყველა მოსახლეს, რომლებიც ბინებიდან გამოიყვანეს, იმ სახლის შუა სადარბაზოში მოუყარეს თავი, რომელიც ჯერ კიდევ დგას და სადაც აზა და ლინა ცხოვრობენ.

ჩვენს ეზოზე გავლისას კაშკაშა მზესა და ქათქათა მბზინავ თოვლს ვუყურებდი. ორივე ძალიან ლამაზი იყო! მხოლოდ ფეხში ჩარჩენილი ნამსხვრევები მჩხვლეტდა და სიარული მიჭირდა. ქვემოთ ჩამავალ კიბეზე უზარმაზარი ყუთიდან გადმოყრილი, წითელ ქაღალდში შეფუთული უამრავი საპონი დავინახე. ერთი ჩუმად ავიღე და ჯიბეში დავმალე. იქნებ ხელების დასაბანად გამომდგომოდა.

ჯერ ისევ ჩვენს ეზოზე გავდიოდით, როცა დავინახე, სამხედროებს ცისფერი ყუთები როგორ გამოჰქონდათ. თურმე ყუთებში ბროლის ჭურჭელი ეწყო. როცა სამხედროები ყუთებს ხსნიდნენ და იქ ბროლი ხვდებოდათ, ბილწად იგინებოდნენ და ბროლს პირდაპირ ეზოში, ყველას თვალწინ ამსხვრევდნენ... ოღონდ ვერ გამიგია, რატომ?

მერე სარდაფში ჩასვლა გვიბრძანეს, ლაპარაკი კი აგვიკრძალეს. ლაქლაქებს ხელყუმბარით დაემუქრნენ.

სარდაფში თითქმის სამი საათი ვისხედით. უხმოდ, მხოლოდ ტუჩების ოდნავი მოძრაობით ველაპარაკებოდით ერთმანეთს. გვეშინოდა, ხელყუმბარა არ ჩამოეგდოთ. უფროსები ამბობდნენ, — ასეთი შემთხვევები მართლა იყოო... სარდაფში საშინელი სივიწროვე, ნესტი და უჰაერობა იყო. ნინა ბებიას შვილიშვილი, ჭკუას გადამცდარი იუროჩკა კი ამოუცნობ მფრინავ ობიექტებზე და კიდევ იმაზე მეჩურჩულებოდა, — ესენი ნამდვილი ჯარისკაცები არ არიან, მათ ნაცვლად მკვლელი უცხოპლანეტელები მოფრინდნენ სხვა გალაქტიკიდანო. თავად კი თურმე „თავის მეგობარ რუსებს“ ელოდებოდა და არა — უცხოპლანეტელებს...

ბოლოს, როგორც იქნა, სარდაფიდან ამოსვლის ნება დაგვრთეს. როგორც კი თავი დღის სინათლეზე დაიგულეს, აზამ და ლინა დეიდამ მაშინვე ლამაზი წითელი საპნების აკრება დაიწყეს. დანარჩენებს კი გამოგვიცხადეს, — ეს საპონი რომელიღაც მეზობელმა შესანახად ჩვენ დაგვიტოვაო. შემრცხვა, მაგრამ ჩემი ერთადერთი საპნის ნაჭერი მაინც არ გამოვუჩინე.

— ჩემს ბინაში პასპორტის ასაღებად მაინც შემიშვით! უპასპორტოდ რა უნდა ვქნა?! — ღელავდა დედა.

— არ შეიძლება! — პასუხობდნენ სამხედროები. — პასპორტი აღარ დაგჭირდებათ. ნივთები არ წამოიღოთ! კარი არ ჩაკეტოთ! გასწით თანმხლებთან ერთად!

აზამ დედაჩემს შავი ტყავის პალტო მისცა: ეს მაინც გადამირჩინეო.

ორი სახლიდან გამოყვანილები მწკრივში ჩაგვაყენეს. 11 ადამიანი დავთვალე. ეზოდან გასვლისას, კუთხეში უფრო ძლიერი სროლა ატყდა. მერე შორიახლოს ჭურვი აფეთქდა... ჩვენ წინ ცეცხლის ალი ავარდა. ჩვენ და სამხედროები გვერდიგვერდ მივაბიჯებდით.

თავისიანებს უშენდნენ. მარცხნივ მომავალი ჯარისკაცი რაციაში რაღაცას დედის გინებასთან ერთად ჩაყვიროდა. მხოლოდ მისი ლაპარაკის ნაწილი გავარჩიე: „ეი, პერმელებო! — ღრიალებდა იგი. — ჩვენ ვართ! უკვე აქ ვართ! თქვენიანებს გვიშენთ!“

ჩვენ — სტასია ბებია, დედა და მე მწკრივში პირველები ვიყავით. სტასია ფეხებს ძლივსღა მოათრევდა. მე და დედამ ის შუაში ჩავიყენეთ. შიმშილისა და დაღლილობისგან მეც ძლივსღა ვმოძრაობდი... როცა შორიახლო ნაღმი ფეთქდებოდა, ყველანი მიწას გავერთხმებოდით ხოლმე, მერე კი ისევ გზას ვაგრძელებდით...

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**



მოამზადა რუსუდან ლებანიძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „გამომცემლობა პალიტრა L“-ის ახალი წიგნები




## გახდი კინორეჟისორი

სიახლე!

გვ. რაოდ.: 48 გვ.
ფორმატი: 21.5 X 25

ამ არაჩვეულებრივი წიგნიდან თქვენი პატარები ისწავლიან ფილმის შექმნას პროფესიონალის მსგავსად. გაიგებენ, თუ როგორ შეიძლება დრამის, დოკუმენტური ფილმისა თუ ანიმაციის გადაღება. კლიპერბორდის ყუთში კი იპოვიან ყველაფერს, რაც ნამდვილ კინორეჟისორს სჭირდება.




ფასი: 24.99

## ერთ თოვლიან ღამეს



სიახლე!

გვ. რაოდ.: 10 გვ.
ფორმატი: 23X23
ყდა: მაგარი

ფასი: 18.99

ამ წიგნში თქვენი პატარები წაიკითხავენ ამბავს ლეკვ კიკიზე, რომელსაც თოვლში გზა აებნა და სახლს ვეღარ აგნებს. დაუგდეთ ყური საშობაო ზარების ხმას და დაეხმარეთ კიკის შინისაკენ მიმავალი გზის პოვნაში.

## როგორ შევარჩიოთ ძაღლი




სიახლე!

გვ. რაოდ.: 176 გვ.
ფორმატი: 25X29
ყდა: მაგარი

ფასი: 19.99

ამ წიგნიდან შეიტყობთ ყველა საჭირო ცნობას ძაღლის, დაახლოებით, 130 ჯიშის შესახებ, რაც გონივრული გადაწყვეტილების მიღებაში – თქვენთვის საუკეთესო ოთხფეხა მეგობრის მოძებნაში დაგეხმარებათ.

## ვითამაშოთ სახლში!

სიახლე!




გვ. რაოდ.: 32 გვ
ფორმატი: 21.5X27
ყდა: მაგარი

ამ მხიარული წიგნიდან თქვენი პატარები საუკეთესო საშინაო თამაშებს ისწავლიან. ისინი შეძლებენ ითამაშონ "განძის ძებნა" მეგობრებთან ერთად ან მარტო, ასევე შეეჯიბრონ ერთმანეთს კამათლების გოლფში.

ფასი: 7.99

## ვითამაშოთ გარეთ!

სიახლე!




გვ. რაოდ.: 32 გვ
ფორმატი: 21.5X27
ყდა: მაგარი

ამ მხიარული წიგნის მეშვეობით თქვენი პატარები მზიან დღეებს გარეთ ხალისიანად გაატარებენ. ბავშვები შეძლებენ ზღვის კენჭებით ქანდაკებების აგებას და სხვა მრავალი სახალისო თამაშების ათვისებას.

ფასი: 7.99

შეიძინეთ წიგნის მაღაზიებში!

წიგნები სახლში მიტანით ფასნამატის გარეშე ტელ.: 8(32) 238 26 73; 8(32) 238 26 74 www.elva.ge



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# სახე

# რატომ უნდა დაუდგან ძეგლი ნუკი კოშკელიშვილსა და გიორგი ნაზღაიძეს

## „მე და ნუკი ერთად ვართ..."

**ნუკი კოშკელიშვილი და გიორგი ნაზლაიძე რადიომსმენელებს აქტუალური ჭორების გადამოწმებაში ეხმარებიან, მაგრამ იმასაც არ მალავენ, რომ ჭორაობა თავადაც ძალიან უყვართ. ერთ-ერთ სატელევიზიო გადაცემაში სტუმრობისას ნუკიმ და გიორგიმ გვარიანად იკამათეს, რის გამოც ხმა გავრცელდა — წყვილმა საკუთარ მეგობრობას წერტილი დაუსვაო. გავრცელებული ინფორმაცია თავად „ჭორბოქსმა" გადაამოწმა...**

*ეთო ყორღანაშვილი*

**— ყავა უფრო მეტად გიყვართ თუ ჭორები?**

**გიორგი:**

— ჭორები! კითხვაზე ჩვენი პასუხი „ყავა" რომ ყოფილიყო, გადაცემის — „ცოტა ყავა და ბევრი ჭორი" — წამყვანები არც ვიქნებოდით.

**ნუკი:**

— ჭორაობა გვიყვარს, მაგრამ გადაცემაში ამისგან თავს ვიკავებთ. ჩვენ უბრალოდ, ახალ ამბებს განვიხილავთ, გადაცემის გარეთ კი იცოცხლე — თავად „ვქმნით" ჭორებს!..



ჭორაობა გვიყვარს, მაგრამ გადაცემაში ამისგან თავს ვიკავებთ

**გიორგი:**

— „ჭორების დამფუძნებლები" ვართ (*იცინიან*). ძეგლი უნდა დაგვიდგან და „ჭორიკანები" დაარქვან.

**ნუკი:**

— შეყვარებული მეუბნება: — „ჭორბოქსი" ხარ. 20 თეთრი უნდა ჩაგიგდო და ყველა ჭორს მოჰყვებიო.

**— როცა ვინმეზე არასასიამოვნო ჭორს იგებთ, მისი გადამოწმებისას უხერხულ სიტუაციაში არ აღმოჩენილხართ?**

— ჩვენ ნებისმიერი სიტუაციიდან გამოვალთ!

**— როდის დამეგობრდით?**

**გიორგი:**

— შარშან ნუკის ვეწვიე. „პახმელიაზე" იყო, მაგრამ მაინც გავალღვიძე. ახალი წლის ღამეს ერთად შევხვდით და ერთმანეთი „გემრიელად" დავიბედეთ. ჰოდა, მას მერე გულითადი მეგობრები ვართ.

**ნუკი:**

— ძალიან გამიხარდა, როცა შევიტყვე, რომ რადიოგადაცემა გიორგისთან ერთად უნდა წამეყვანა.

**გიორგი:**

— ნუკი კარგი მეგობარი და პარტნიორია. შემიძლია, მასთან სხვადასხვა თემა განვიხილო.

**ნუკი:**

— ბევრი ცნობილი ადამიანისგან განსხვავებით, გიორგი ძალიან მშრომელია, საქმეს სერიოზულად ეკიდება, რაღაცები „თავში ავარდნილი" არა აქვს და ამიტომაც ვაფასებ. ყოველთვის პუნქტუალური და მომზადებულია, საკუთარი საქმე უყვარს.

**გიორგი:**

— ნუკიზეც იმავეს თქმა შემიძლია. მოკლედ, ქება-დიდების დღე გვაქვს, რა (*იცინის*)... ბევრ ცნობილ ადამიანს ამბიციაც აქვს, ნუკი კი უბრალოდ, ნუკი კოშკელიშვილია.

**— გაცნობამდე ერთმანეთზე როგორი წარმოდგენა გქონდათ?**

— პირველად ნუკი სერიალ „კლინიკაში" ვნახე და ვთქვი, — ძალიან ნიჭიერია-მეთქი. „იმედის დილა" მაშინ უფრო მაგარი იყო, როცა ნუკის მიჰყავდა. ამ გოგოს საოცარი, დადებითი მუხტი აქვს, გარეგნობაზე რომ არაფერი ვთქვა. თუმცა ამას წინათ ჭორი გავრცელდა, თითქოს სიმაღლეში 150 სანტიმეტრია, თანაც — ძალიან მსუქანი. ჩემი აზრით, ამ ჭორის მიზეზი შურია...

**ნუკი:**

— გიორგი პირველად „თბილისი ლაივის" სალამოზე დავინახე, მერე


გიორგისგან განსხვავებით, ზოგჯერ რაღაცების მაინც მერიდება...

კი ტელეეკრანზეც შევნიშნე... დღევანდელ შოუბიზნესში არიან ისეთი გოგო-ბიჭები, რომლებიც ვითომ სკანდალურები არიან, გიორგი კი ბუნებითაა ასეთი, არასოდეს თამაშობს...

**— გიორგი, მახსოვს, „მზეზე“ შენი ტელეგადაცემის პიარისთვის ეთერში შიშვლად დაჯდომის იდეა გაგიჩნდა...**

— ჰო, ვიფიქრე, რომ თუკი ეთერში სამივე წამყვანი გავშიშვლდებოდით, ყველა კონკურენტ ტელეარხს ერთ წამში „ჩავძირავდით“.

**— პიარის გამო რაიმე მსგავსის გაკეთებას მართლა ხომ არ აპირებ?**

— თუ დიდ თანხას გადამიხდიან, რატომაც არა? ჩემი სხეულის ვერც ერთ ნაწილს დეფექტს ვერ ამოუჩენ (*იცინის*).

**— ნუკი, საქმისთვის შენც ასეთი „თავდადებული“ ხარ?**

— ჩემს სხეულს ძალიან ბევრი დეფექტი აქვს (*იცინის*). გიორგისგან განსხვავებით, ზოგჯერ რაღაცების მაინც მერიდება...

**— გიორგი, ერთ-ერთ გადაცემაში ამბობდი, — საქართველოში 10 ცნობილი მოქმედი მოდელის გვარ-სახელის ჩამოთვლაც კი რთულიაო...**

— ვამტკიცებდი, — საქართველოში სამოდელო ბიზნესი განვითარებული არაა-მეთქი და როცა შემეწინააღმდეგნენ, ვთქვი: კარგი, მაშინ 10 მოქმედი მოდელი დამისახელეთ-მეთქი. მხოლოდ 3 დაასახელეს.

**ნუკი:**

— მე დაგისახელებ: ნანუკა გოგიჩაიშვილი, მანიკა ასათიანი, ლიკა და ანუკი ქორქიები, მარიტა ჯანაშია, თამთა შედანია (*ფიქრობს*)...

**გიორგი:**

— აი, ასე ჩაიჭრა ჩემი ნუკი...

**ნუკი:**

— მოიცა, კიდევ ვიტყვი (*ფიქრობს*)... მარიანა...

**გიორგი:**

— ვინ მარიანა?! მე სერიალის გმირების დასახელება არ მითხოვია! დაყარე ფარ-ხმალი!

**ნუკი:**

— კარგი, დღეს შენ გაიმარჯვე.

**— გიორგი, როგორც გავიგე, მუქარის მესიჯებს გიგზავნიან, თან — ალაჰს იფიცებენ, რომ მუქარას შეასრულებენ.**

— ჰოდა, ალაჰმა შეიწყალოს ის საცოდავი! არა მგონია, ვინმე პირადად ჩემთან მოვიდეს, უპატრონო ბავშვი კი არ ვარ!..

**ნუკი:**

— აბა, რა, მე აქ არა ვარ (*იცინიან*)?!

**— ერთმანეთის ტელეგადაცემებს თუ უყურებთ?**

— გიორგი, როგორც ტელეწამყვანი, ძალიან მომწონს და იმედი მაქვს, რომ მალე ტელეეკრანზეც ერთად გამოვჩნდებით.

**გიორგი:**

— იმედია, ვიღაც გაახელს თვალს და დაინახავს, როგორი წყვილი ვართ. ნუკი ისეთი გადაცემისთვის მეცოდება, რომლის წამყვანიც ახლაა. მერწმუნეთ, მას გაცილებით მეტი შეუძლია.

**— ნუკი, „ფლეშმობ შოუში“ თავს კომფორტულად გრძნობ?**

— კოტიკოსთან თავს ნამდვილად კომფორტულად ვგრძნობ და „ფლეშმობ შოუც“ ძალიან მომწონს. თუმცა კიდევ რაიმე გადაცემის „გაკეთებაზეც“ არ ვიტყოდი უარს.

**— გიორგი, შენს ტელეპარტნიორებზე რას გვეტყვი? გია ჯაჯანიძესთან ხშირად კამათობ.**

— ჩვენ ეთერში განსხვავებულ აზრებს გამოვთქვამთ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მე და გია ჯაჯანიძე ერთმანეთს ვერ ვიტანთ. ისევე, როგორც მაკა შალიკაშვილთან, გიასთანაც მეგობრობა მაკავშირებს...

**— თქვენს პირად ცხოვრებაში რა ხდება?**

— მე და ნუკი ერთად ვართ. ეს ამბავი როდემდე უნდა დაგვემალა?

**— ნუკის სხვა რომ უყვარს?**

— იმას დაშორდა.

**ნუკი:**

— არა, არა, იტყუება! მე ისევ ძველი შეყვარებული მყავს — ნამდვილად არ შემიცვლია. ვიცი, რომ გიორგისაც ვიღაც მოსწონს...

**გიორგი:**

— მაგრამ მის ვინაობას ნუკისაც არ ვუმხელ. როცა სერიოზული ურთიერთობა გვექნება, ყველაფერს მაშინ გეტყვით. ■


თუკი ეთერში სამივე წამყვანი გავშიშვლდებოდით, ყველა კონკურენტ ტელეარხს ერთ წამში „ჩავძირავდით“



ეროვნული ბიბლიოთეკა



# თორნიკე გოგრიჭიანი მამა გახდა



## ნინო ქორიძე: „ძიძა არ გვყავს..."

**მოდელ ნინო ქორიძესა და მსახიობ თორნიკე გოგრიჭიანს გოგონა, ნატალია შეეძინათ. პატარას სახელი ნინოს პირველმა შვილმა, ირაკლიმ შეურჩია, რომელიც ახალდაბადებულ დაიკოს გვერდიდან არ სცილდება.**

ელენე ბასილიძე

— **ნინო, პირველ რიგში, ოჯახში ახალი წევრის შემომატებას გილოცავთ. თავს როგორ გრძნობთ?**

— გადასარევად! ძალზე ბედნიერი ვარ და ისიც გაცნობიერებული მაქვს, რომ 2 შვილის დედობა საკმაოდ დიდი პასუხისმგებლობაა.

— **პატარას სახელი ძმამ შეურჩია?**

— მე და თორნიკეს რამდენიმე ვარიანტი გვქონდა და მათ შორის არჩევანის გაკეთება გაგვიჭირდა. ამიტომაც ვიფიქრეთ, უკეთესი იქნებოდა, თუ ჩვენს გოგონას სახელს ირაკლი დაარქმევდა.

— **ნატალია ვის ჰგავს?**

— ჯერ მხოლოდ 2 კვირისაა და ყოველდღე იცვლება. ვფიქრობ, მეც და თორნიკესაც თანაბრად გვგავს. სხვათა შორის, ის ადამიანები, რომლებსაც ირაკლის პატარაობა ახსოვთ, ამბობენ, — ძამიკოს ჰგავსო... ძალიან წყნარი, იოლად გასაზრდელი ბავშვია, ღამითაც არ ჭირვეულობს. ჯერ მხოლოდ ჭამა და ძილია მისი „საქმიანობა", რასაც პირნათლად ასრულებს (*იცინის*).

— **ირაკლისთან ურთიერთობისას სიმკაცრეს იჩენთ?**

— ჩემი აზრით, შვილის აღზრდისას მთავარი სიმკაცრე კი არა, მასთან საერთო ენის გამონახვაა... მაქსიმალურად ვცდილობ, ირაკლის სურვილებს ანგარიში გავუწიო, ეგოისტი დედა არ ვიყო — ეს თვისება ხომ ბევრ მშობელს ახასიათებს.

— **თქვენს პირველსა და მეორე შვილს შორის თვრამეტწლიანი ასაკობრივი სხვაობაა. ხშირად აღნიშნავენ, — დროთა განმავლობაში დედებს ჩვილის მოვლა ავიწყდებათო...**

— კი, ასეა, მაგრამ ნატალიას მოვლა მაინც არ მიჭირს. ბოლოს და ბოლოს, ახლა ხომ ბავშვის მოვლის ათასნაირი საშუალებაა, რაც დედებს საქმეს გვიიოლებს...

— **როცა ირაკლიმ გაიგო, რომ დაიკო ეყოლებოდა, როგორი რეაქცია ჰქონდა?**

— სიმართლე გითხრათ, მისთვის ეს ამბავი მოულოდნელი არ ყოფილა და ძალზე გაახარა. შეძლებისდაგვარად ცდილობს, პატარას გაზრდაში მომეხმაროს. მართალია, ბევრი თავისუფალი დრო არ აქვს, რადგან უნივერსიტეტში სწავლობს, მაგრამ როცა შინ ბრუნდება, დაიკოს გვერდიდან არ სცილდება, სულ მასთან ყოფნა უნდა...

— **თორნიკე როგორ გრძნობს თავს მამის ამპლუაში?**

— გადასარევად! სხვათა შორის, ძალიან კარგი მამაა. ძიძა არ გვყავს და ნატალიას მოვლაში აქტიურად მონაწილეობს — ერთად ვბანთ, ვუცვლით... პატარასთან ურთიერთობა მისთვისაც ძალიან დიდი სიამოვნებაა... ■



პატარასთან ურთიერთობა მისთვისაც ძალიან დიდი სიამოვნებაა...



მართალია, ბევრი თავისუფალი დრო არ აქვს, რადგან უნივერსიტეტში სწავლობს, მაგრამ როცა შინ ბრუნდება, დაიკოს გვერდიდან არ სცილდება, სულ მასთან ყოფნა უნდა...

# ჰოლივუდის ვარსკვლავების პირადი ცხოვრება

**ზოგჯერ ჰოლივუდის ვარსკვლავები გულის სწორს მაღალი საზოგადოების მიღმა პოულობენ, მათ უბრალო მოკვდავნიც უყვარდებათ და ოჯახს არცთუ ისე ლამაზ, არცთუ ისე მოხდენილ, არცთუ ისე ახალგაზრდა პარტნიორებთან ქმნიან, რაც ცხადია, დიდი ხმაურისა და მითქმა-მოთქმის მიზეზი ხდება...**

## პირს ბროსნანი და კილი შეი-სმიტი

### 17 წელია, ერთად ცხოვრობენ, მაგრამ ოფიციალურად 10 წლის წინ დაქორწინდნენ

პირს ბროსნანი უკვე ქვრივი იყო, როდესაც ჟურნალისტი კილი შეი-სმიტი გაიცნო — გოგონა მსახიობთან ინტერვიუს ასაღებად მივიდა. წყვილმა ქორწინება ოფიციალურად 7 წლისთავზე, მეორე ვაჟიშვილის შეძენის შემდეგ გააფორმა. მშობიარობის შემდეგ კილიმ ზედმეტი კილოგრამები ვერაფრით მოიშორა და დღეისთვის საკმაოდ ტანსრული, შეიძლება ითქვას, მსუქანი ქალბატონია. მიუხედავად ამისა, სექსსიმბოლოდ აღიარებულ ბროსნანს ცოლისთვის ეჭვიანობის საბაბი არასოდეს მიუცია. „ჩემი ცოლის მრგვალი ფორმები მიყვარს და გახდომას ვუკრძალავ“, — ირწმუნება მსახიობი, რომელსაც მეუღლ-



ისთვის ყოველ დილას, საძინებელ ოთახში ყავა და ყვავილები შეაქვს. „დიახ, რომანტიკოსი ვარ და ეს თავადაც მომწონს“, — ღიმილით ამბობს პირს ბროსნანი.

## აარონ ჯონსონი და სემ ტეილორ ვუდი

### 2 წელია, ერთად არიან და ქორწილისთვის ემზადებიან

ახალგაზრდა აარონ ჯონსონისა და ცნობილი მდიდარი მხატვრის, სემ ტეილორ ვუდის ურთიერთობის შესახებ ბევრს ჭორაობენ. 44 წლის საპატარძლო მის რჩეულზე 23 წლით უფროსია. წყვილმა ერთმანეთი ფილმის — „გახდე ჯონ ლენონი“ — გადაღებებზე გაიცნო. ეს სურათი სემის სარეჟისორო დებიუტი იყო... მალე მათ მეორე შვილი შეეძინებათ. „ასაკის გამო თავის გაგიჟება სასაცილოდ მეჩვენება. 10-15 წლის წინ სხვადასხვა რასის ან ერთსქესიანი ადამიანების კავშირსაც სასტიკად განიკითხავდნენ, მაგრამ სიყვარულისთვის არც კანის ფერი არსებობს, არც სქესი, არც რელიგიური შეხედულებები და არც — ასაკი. არის მხოლოდ ადამიანი, რომელსაც გულს უძღვნი“, — ამბობს სემ ტეილორ ვუდი.



## ჰიუ ლორი და ჯო გრინი

### ისინი 22 წლის წინ დაქორწინდნენ

საქვეყნოდ ცნობილი ცინიკოსის, ექიმ ჰაუსის თაყვანისმცემელ ქალბატონებს ჰიუ ლორის გულის მონადირების არავითარი შანსი არა აქვთ. იგი 22 წელზე მეტია ცოლის, თეატრის ადმინისტრატორ ჯო გრინის ერთგულია. მათი ოჯახი დანგრევის საფრთხის წინაშე მხოლოდ ერთხელ დადგა: 2004 წელს, როცა ჰიუს ექიმ ჰაუსის როლი და შესაბამისად, კალიფორნიაში გადასვლა შესთავაზეს, ჯომ შვილების გარეშე გამგზავრებაზე უარი განაცხადა, ბავშვებმა კი სკოლისა და მეგობრების მიტოვება არ ისურვეს. უკვე 2 წელია, ჰიუ და ჯო ორ ქვეყანაში ცხოვრობენ. ლორი თავს იმ მეზღვაურს ადარებს, რომელიც 10 თვეს ზღვაში ატარებს, მაგრამ ხმელეთს და ცოლს აუცილებლად უბრუნდება.



## ეთან ჰოუკი და რაიან შოუჰიუზი

### 7 წელია, ერთად არიან, მაგრამ 3 წლის წინ დაქორწინდნენ

მოგეხსენებათ, სანამ წყვილი ერთმანეთს გაიცნობდა, ჰოუკი მომხიბვლელ უმა თურმანზე იყო დაქორწინებული. შვილის გაჩენის შემდეგ, მსახიობებმა ძიძა აიყვანეს და ეტანმა სწორედ მასთან გააბა რომანი. ახლა უმა თურმანის გულის მონადირებას მილიარდერები ცდილობენ, ეტან ჰოუკი კი ყველასთვის უცნობ ქერათმიან ქალთანაც ბედნიერია. როგორც აღმოჩნდა, მას ხელს არ აძლევდა, ცოლი მასზე ცნობილი და წარმატებული ყოფილიყო. ჰოუკს მიაჩნია, რომ ოჯახში მთავარი მამაკაცია.

ეტანსა და რაიანს უკვე ორი ქალიშვილი ჰყავთ. ცოლ-ქმარი ნიუ-იორკის სოციალურ რეკლამაში მონაწილეობს. „ჩვენ ჭეშმარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა




იტი ოჯახისა და სრულფასოვანი ქორწინების მომხრენი ვართ“, — აცხადებენ ისინი.

### კეიტ ბლანშეტი და ენდრიუ აპტონი

15 წელია, ერთად არიან.
14 წლის წინ დაქორწინდნენ

კეიტ ბლანშეტმა და ენდრიუ აპტონმა ერთმანეთი ჩეხოვის „თოლიას“ დადგმის დროს გაიცნეს. ბლანშეტი ნინა ზარეჩნაიას როლს თამაშობდა, ენდრიუ აპტონი კი დრამატურგად იყო მიწვეული. მათი ურთიერთობა კინკლაობით დაიწყო: კეიტს ენდრიუ სნობად მიაჩნდა, ენდრიუ კი ფიქრობდა, რომ ბლანშეტი ჭირვეული იყო. მაგრამ ერთხელ, აპტონმა გაბედა და კეიტს აკოცა... ბლანშეტის თქმით, ამ კოცნამ ყველაფერი შეცვალა.

მათ უკვე სამი შვილი ჰყავთ. აპტონს უწინდებურად, მხოლოდ ვიწრო წრეში იცნობენ, კეიტ ბლანშეტის ჰონორარი კი რამდენიმე მილიონია. მიუხედავად ამისა, კეიტი ამბობს, რომ ინტელექტუალი ქმარი ახლაც ისევე მხურვალედ უყვარს, როგორც ქორწინების პირველ წლებში.

### მეთ დეიმონი და ლუსიანა ბოსან-ბაროსო

8 წელია, ერთად არიან, 6 წლის წინ კი დაქორწინდნენ

თავის დროზე მეთ დეიმონის რომანებზე ულამაზეს, წარმატებულ უაინონა რაიდერთან და მინი დრაივერთან მთელი ჰოლივუდი ლაპარაკობდა, მაგრამ საბოლოოდ, არგენტინელმა მსახიობმა არჩევანი ლუსიანა ბოსანიზე (ბაროსო პირველი ქმრის გვარია) შეაჩერა, რომელიც მაიამიში, ბარმენად მუშაობდა. გადაღებების შემდეგ მსახიობებმა ახლომდებარე ბარში შესვლა გადაწყვიტეს. „იმ საღამოს ბართან ლუსიანა იდგა. მაშინვე შევნიშნე და რაღაც დამემართა; მივხვდი, რომ ჩემი ცხოვრება ლუსიანა იყო“, — იხსენებს მსახიობი. ლუსიანა ბაროსოს გულის მოსანადირებლად „ოსკაროსანმა“ ვარსკვლავმა ესპანური ენის შესწავლა დაიწყო. როდესაც დეიმონმა ლუსიანა გაიცნო, გოგონა 5 წლის ქალიშვილს ზრდიდა, დაქორწინების შემდეგ კი მათ კიდევ სამი ქალიშვილი შეეძინათ...

### ნიკოლას ქეიჯი და ელის კიმი

7 წელია, ერთად არიან და მათი ქორწინებაც 7 წლის წინ შედგა

წლების წინ ნიკოლას ქეიჯი დაიენ ლეინსა და ბრუკ შილდს ხვდებოდა, მოგვიანებით პატრისია არკეტსა და ელვის პრესლის ქალიშვილზე, ლიზა მარიზე იქორწინა, მაგრამ ოჯახური ბედნიერება მხოლოდ ოფიციანტ ელის კიმთან იპოვა. არავის სჯეროდა, რომ მათი კავშირი დიდხანს გასტანდა; ყველას ეგონა, რომ ჰოლივუდის ვარსკვლავი გულუბრყვილო, უბრალო გოგონასთან ერთობოდა, მაგრამ ყველაფერი სხვაგვარად მოხდა... ნიკოლას ქეიჯმა კიმი რესტორანში გაიცნო — გოგონამ მას სუში მიართვა. იმ პერიოდში 20 წლის ოფიციანტი რესტორან Kabuki-სა და ღამის კლუბ Le Prive-ში ერთდროულად მუშაობდა, რადგან ლოს-ანჯელესში ცხოვრება ძალიან ძვირია და თავის გატანა ჭირს...

ნიკოლას ქეიჯს ცოლმა შესანიშნავი საჩუქარი გაუკეთა — ვაჟიშვილი გაუჩინა, რომელსაც კომიქსების პოპულარული სუპერმენის, კელელის სახელი დაარქვეს.



### ჰიუ ჯეკმენი და დებორა ლი ფერნესი

წყვილმა 15 წლის წინ იქორწინა

იმ დროს, როდესაც ჰიუ ჯეკმანმა დებორა გაიცნო, იგი მხოლოდ დამწყები მსახიობი იყო, ფერნესს კი ეკრანსა და ცხოვრებაში ბევრად მეტი გამოცდილება ჰქონდა და ეს გასაკვირიც არ არის, რადგან იგი ჰიუზე 13 წლით უფროსია. ჯეკმენს მისი გულის მოგება გაუჭირდა, რადგან დებორას მიაჩნდა, რომ 30 წლით ახალგაზრდა მამაკაცთან შეხვედრა უხერხული იყო; ამასთან, აწონილი, სვირინგებიანი თაყვანისმცემელი მშობლებმაც დაუწუნეს. საბოლოოდ, წყვილი მაინც დაქორწინდა. უკვე 15 წელია, ერთად არიან. „დები პატიოსანი, სასაცილო ქალი, შესანიშნავი დიასახლისი გახლავთ და კიდევ ბევრი ისეთი რამ შეუძლია, რომლის შესახებ არასდროს მოგიყვებით“, — ამბობს ჯეკმენი. წყვილის ერთადერთი სერიოზული პრობლემა შვილის ყოლაა. ორი ნაადრევი მშობიარობის შემდეგ მათ ბავშვის აყვანა გადაწყვიტეს.





ეროვნული ბიბლიოთეკა



## ჯეიმს მაკევოი და ანა მარია დაფი

7 წელია, ერთად არიან, 5 წლის წინ კი დაქორწინდნენ

ჯეიმს მაკევოიმ ცხოვრების მეგზურად 9 წლით უფროსი, ყველასთვის უცნობი ბრიტანელი მსახიობი ანა მარია დაფი აირჩია. მათ ერთმანეთი სერიალ „უსირცხვილოების“ გადაღების დროს გაიცნეს. სცენარის მიხედვით, ჯეიმსსა და ანას იმდენი სასიყვარულო და ვნებიანი სცენა ჰქონდათ, რომ ცნობილმა მსახიობმა შეყვარებული გადაღებების დასრულებისთანავე მიატოვა და გული ანას მიუძღვნა. „მის გვერდით ჩემი თავიც მომწონს“, — ამბობს მაკევოი. ცნობილია, რომ მისთვის კადრში გაშიშვლება პრობლემას არ წარმოადგენს, მაგრამ ცდილობს, ახალ ფილმებში თამამი სცენები მინიმუმამდე დაიყვანოს, ცოლმა რომ არ იეჭვიანოს. ცნობილ მსახიობს თაყვანისმცემელი გოგონები მუდამ კუდში დასდევენ, მაგრამ ჯეიმსი ყველას აგრძნობინებს, რომ მისი გული დაკავებულია. ერთი წლის წინ წყვილს პირველი შვილი შეეძინა. იმისათვის, რომ ცოლის გვერდით ყოფილიყო და მას ბავშვის გაზრდაში დახმარებოდა, ჯეიმსმა ფილმში თამაშსა და შესაბამისად, სოლიდურ ჰონორარზე უარი განაცხადა. ■



# რაზე ჭორაობენ და რა პრობლემები აქვთ ქართველ ქალებს

## „ოჯახის რჩენა კი შეუძლია, მაგრამ ფუფუნების საგნებს ვერ ყიდულობს“

**სერიალი, რომელმაც „რუსთავი 2“-ის ეთერში სულ რამდენიმე დღის წინ აიღო სტარტი, „ფორმულა კრეატივის“ კიდევ ერთი ახალი და საინტერესო პროექტია. ცხოვრებისეულ, რომანტიკულ კომედიაში მსახიობების — ლევან ყოჩიაშვილის, ანი ტყებუჩავას, ნინო გაჩეჩილაძისა და მაკა ძაგანიას პერსონაჟებმა შესაძლოა, საკუთარი თავი, მეგობარი ან სულაც, შორეული ნათესავი თუ მეზობელი გაგვახსენოს. სერიალში ქართული რეალობისთვის დამახასიათებელი, ძალიან ნაცნობი სიტუაციებია ასახული.**

*თამთა დადეშელი*

**გიორგი ლიფონავა,** *რეჟისორი:*

**— გიორგი, ახალ სერიალს რომელ ჟანრს მიაკუთვნებთ?**

— რაიმე კონკრეტული ჟანრის განსაზღვრა ძნელი იქნება. მხიარული, რეალისტური სერიალია და თბილისურ ცხოვრებას ასახავს. შეიძლება, რომანტიკული კომედია დავარქვათ ან სულაც, ე.წ. „უიზნენი“ ფილმი.

**— სცენარი ყოველი სერიის გადაღების წინ იწერება თუ რამდენიმე მათგანის ფაბულა წინასწარ გაქვთ განსაზღვრული?**

— უკვე ერთი სეზონის — 6 სერიის სცენარია დაწერილი და ახლა, ეტაპობრივად, გადაღებების პროცესი მიმდინარეობს. ყოველი სერია დამოუკიდებელი ამბავია, თუმცა გარკვეული ფაბულა და საერთო ხაზი მთელ სერიალს მიჰყვება. იდეის ავტორი ქეთი დევდარიანი გახლავთ. სწორედ მან შემოგვთავაზა, სერიალი ქალებზე გადაგვეღო. საპროდიუსერო ჯგუფში მე, მიშა მშვილდაძე და ირაკლი სალინაძე ვართ.

**— „ჩვენი ოფისის“ რეჟისორიც თქვენ იყავით. ამ სერიალის დახურვის მიზეზად ფინანსების არქონას ასახელებდნენ. საინტერესოა, „ჩემი ცოლის დაქალების“ გადასაღებად საჭირო თანხები საიდან მოიძიეთ?**

— „ჩვენმა ოფისმა“ მაშინ თავისი დრო „მოჭამა“, საკმაოდ დიდხანს — 3 სეზონი გადიოდა და უნდა დამთავრებულიყო. რაც შეეხება ახალ



უკვე ერთი სეზონის — 6 სერიის სცენარია დაწერილი და ახლა, ეტაპობრივად, გადაღებების პროცესი მიმდინარეობს

სერიალს, მის გადასაღებად საჭირო თანხა „რუსთავი 2“-მა გამოგვიყო.

**ქეთი დევდარიანი,** *სერიალის იდეის ავტორი, სცენარისტი:*

— თბილისის ფორუმზე ერთ-ერთ თემას ვკითხულობდი, სადაც ქალები თავიანთ პრობლემებზე ლაპარაკობდნენ. ისინი ამბობდნენ, რომ მოთხოვნილება აქვთ შეიკრიბონ, ერთმანეთს მოუსმინონ და შთაბეჭდილებები გაუზიარონ. სწორედ ამ თემის კითხვისას გავიფიქრე: რა კარგი იქნებოდა, რაღაც ამდაგვარი ქართული სერიალი რომ არსებობდეს-მეთქი... „ჩემი ცოლის დაქალების“ პერსონაჟი გოგონები ერთმანეთისგან განსხვავებული ტიპაჟები არიან და მიუხედავად იმისა, რომ სკოლის დამთავრების

ელექტრონული ბიბლიოთეკა



ერთ-ერთ სერიაში ჩემზე ამბობენ, — ბატია და დაავიწყდაო, რასაც ჩემი მშობლებისგანაც ხშირად გაიგონებთ

შემდეგ ერთიმეორისგან რადიკალურად განსხვავებული ცხოვრების გზა გაიარეს, ბავშვობის დროინდელ მეგობრობას მაინც ინარჩუნებენ, ჭირსა თუ ლხინში ერთად არიან. მეოთხე მთავარი პერსონაჟი — ქმარია. „სექსი დიდ ქალაქში", „სასოწარკვეთილი დიასახლისები" ძალიან პოპულარულია და ხშირად გვეკითხებიან: „ჩემი ცოლის დაქალები" ამ სერიალიდან რომელიმეს ხომ არ ჰგავსო? ჩვენი პასუხი კი ასეთია: ისინი იმ კონკრეტული ქვეყნის ქალებსა და მათ პრობლემებზეა, ეს კი ქართულ რეალობაზეა აგებული.

**— სერიალში ალბათ, ინტრიგაც ბევრია...**

— დიახ, მაგრამ ამაზე ვერ ვილაპარაკებ, ამ ყველაფერს საიდუმლოდ დავტოვებ.

**— სახელწოდებაზე როგორ შეჯერდით?**

— ამაზე საკმაოდ დიდხანს ვფიქრობდით. მინდოდა, უნივერსალური სათაური მომეფიქრებინა, რომელიც არა მარტო ქალებს, არამედ მამაკაცებსაც დააინტერესებდა. ბოლოს, გიორგი ლიფონავამ თქვა: „ჩემი ცოლის დაქალები" დავარქვათო და მოგვეწონა; ყველა პერსონაჟი ერთ სათაურშია მოქცეული.

*სერიალის მთავარ გმირებს — კატოს, ნინასა და თინას „რუსთავი 2"-ის პავილიონში, კატოს „სახლში" შევხვდი.*

**— გოგონებო, როგორ შეგარჩიეს?**

**მაკა ძაგანია (თინა):**

— პირადად მე, კასტინგზე მოვედი და ამიყვანეს. „ილიაუნის თეატრში" ვმუშაობ და იქვე არსებულ თეატრალურ ცენტრში ცეკვას ვასწავლი.

**ანი ტყებუჩავა (ნინა):**

— მე და ლევან ყოჩიაშვილი, რომელიც არა მარტო ფილმში — „ჭამა და სექსი", არამედ ამ სერიალშიც ჩემს ქმარს თამაშობს, ერთმანეთს ძალიან კარგად შევეწყვეთ. ლევანთან მუშაობა იოლია, რადგან პარტნიორზე მაქსიმალურადაა კონცენტრირებული, ზედმეტად წესიერი, თბილი და დადებითი ადამიანია... ზაფხულში დამირეკეს და მითხრეს: ახალ სერიალში ერთ-ერთ როლზე მოგიაზრებთო, მაგრამ კასტინგებზე იმდენჯერ დამიბარეს, სანამ გადაჭრით არ თქვეს, — ნინა უკვე გვყავსო, ბევრი ვინერვიულე.



გიორგი ლიფონავა ძალზე ნიჭიერი რეჟისორია და მუშაობას გვიადვილებს

**ნინო გაჩეჩილაძე (კატო):**

— ფორმულა „კრეატივის" ჯგუფის წევრებს ადრეც ვიცნობდი: ჯერ გიორგი ლიფონავასთან ერთ-ერთ რეკლამაზე ვიმუშავე, მერე — რატი რამიშვილთან, ფილმში „რაც ყველაზე ძალიან მიყვარს" მეორე სერიაში, პატრულის როლი შევასრულე... ამ სერიალში კასტინგის გზით მოვხვდი. სხვათა შორის, ჩვენ თეატრალურ უნივერსიტეტში ჯგუფელები ვიყავით.

**— როგორები არიან თქვენი პერსონაჟები? რით არიან გამორჩეულნი?**

**ანი:**

— ჩემი გმირი დიასახლისია. ის სულ ქმარ-შვილსა და საოჯახო საქმეებზეა ორიენტირებული, მაგრამ გარკვეულ დროს მეგობრებსაც უთმობს და მათთან ერთად ჭორაობს. ყოველდღე თუ ვერა, გოგონები ყოველ მეორე დღეს მაინც იკრიბებიან. ჩემი ქმარი — დათო გოცირიძე წესიერი, პატიოსანი, ქართველი კაცია, რომელსაც ოჯახის რჩენა კი შეუძლია, მაგრამ ფუფუნების საგნებს ვერ ყიდულობს, რის გამოც ოჯახში პრობლემებს აწყდება.

**ნინო:**

— ეს სერიალი იმითაა გამორჩეული, რომ თითოეული პერსონაჟის პროტოტიპი სადღაც აუცილებლად არსებობს. ჩემი გმირი — კატო ერთ-ერთ ორგანიზაციაში მუშაობს, რომელიც წვეულებებს გეგმავს. ივენთ-მენეჯერია, მაგრამ ძირითადად, უსაქმურია; გამუდმებით ტანსაცმელზე, მაკიაჟზე, ვარცხნილობაზე, თაყვანისმცემლებზე ფიქრობს.

**მაკა:**

— ეს ქალები ერთმანეთს ზრდასრულ ასაკში რომ შეხვედროდნენ, ალბათ, ვერც იმეგობრებდნენ, რადგან ერთურთისგან საოცრად განსხვავდებიან, ინტერესებიც განსხვავებული აქვთ. მაგალითად, ჩემი გმირი საქმიანი ქალია — ქალთა უფლებების დაცვის ორგანიზაციაში მუშაობს. ფსევდო-ფემინისტია, გათხოვილი არასდროს ყოფილა და არც აპირებს, დედასთან ერთად ცხოვრობს. მას კატო, რომელიც ყოველთვის ვიღაცას ეპრანჭება,

ეროვნული ბიბლიოთეკა



ხშირად უშლის ნერვებს და კინკლაობენ.

**ანი:**

— და ამ დროს ნინა „მშვიდობის მტრედის“ ამპლუაშია.

**— ნინო, თქვენს გმირსა და თქვენ შორის თუა მსგავსება?**

— ვფიქრობ, რალაც მსგავსება ნამდვილადაა. მაგალითად, ერთ-ერთ სერიაში ჩემზე ამბობენ, — ბატია და დაავიწყდაო, რასაც ჩემი მშობლებისგანაც ხშირად გაიგონებთ. ამით მგავს, მაგრამ იმდენი რომანი, რამდენიც კატოს პერსონაჟს აქვს და მომავალში ექნება, ნამდვილად არ მქონია. ჯერჯერობით, 6 სერიის სცენარი გვაქვს წაკითხული და კატოს უკვე სამ მამაკაცზე ფიქრობს — ყოფილ ქმარზე, თაყვანისმცემელსა და ახალ უფროსზე, რომელსაც ეპრანჭება, მაგრამ მას სხვა მოეწონება...

**მაკა:**

— უკვე ერთი ოჯახივით ვართ — შესანიშნავი სამუშაო გარემო და პირობები გვაქვს, სცენებიც შინაურულია. მაგალითად, კატო 2 დღის განმავლობაში ხალათით ან ღამის პერანგით დადიოდა და მართლა სახლში გვეგონა თავი.

**ნინო:**

— აქ თბილა, კარგი ინტერიერია. გიორგი ლიფონავა ძალზე ნიჭიერი რეჟისორია და მუშაობას გვიადვილებს: მსახიობებს არაფერში გვზღუდავს, თავისუფლებას გვანიჭებს და ამავდროულად, სწორად გვიხსნის იმას, რის გაკეთებასაც გვთხოვს.

**მაკა:**

— გიორგისთან შეგიძლია მთლიანად გაიხსნა და ბოლომდე მიენდო, ბრმად გაჰყვე.

**ანი:**

— ისე გვეუბნება: — შენ ეს ხომ იციო? — თითქოს ის რაღაც ბევრჯერ გაგვეკეთებინოს, ეს ყველაფერი კი მუშაობაში ძალიან გვეხმარება. გადაღებებისას, პაუზების დროს სულ ვქოთქოთებთ და როცა „ავკრიახდებით“, გიორგი მხოლოდ მაშინ ამბობს, — ცოტა ხანს მაინც გაჩუმდითო.



მე და ლევან ყოჩიაშვილი, რომელიც არა მარტო ფილმში — „ჭამა და სექსი“, არამედ ამ სერიალშიც ჩემს ქმარს თამაშობს, ერთმანეთს ძალიან კარგად შევეწყვეთ



იმედია, ცოლებიც, მათი დაქალებიცა და ქმრებიც ერთად ჩაუსხდებიან ჩვენს ნამუშევარს

**ნინო:**

— „ჩემი ცოლის დაქალები“ არც ერთ ქართულ სერიალს არ ჰგავს და ვფიქრობ, სწორედ ამით მიიქცევს ხალხის ყურადღებას.

**— „ჩემი ცოლის დაქალები“ ზუსტად იმ დროს იწყება, როდესაც „იმედზე“ „შუა ქალაქში“ გადის. როგორ ფიქრობთ, ამ სერიალს კონკურენციას გაუწევთ?**

**გიორგი ლიფონავა:**

— ჩემი აზრით, კარგია, ეს ორი სერიალი ერთმანეთს დროში რომ ემთხვევა. მაყურებელს აბსოლუტურად ალტერნატიულ პროექტს ვთავაზობთ და ვნახოთ, რა მოხდება...

**ანი:**

— ჯანსაღი კონკურენცია ყველა სფეროში მისაღებია. ვფიქრობ, ტელემაყურებელს არჩევანის საშუალება აუცილებლად უნდა ჰქონდეს. იმედია, ცოლებიც, მათი დაქალებიცა და ქმრებიც ერთად ჩაუსხდებიან ჩვენს ნამუშევარს.

**ნინო:**

— ჩემი აზრით, მაყურებლისთვის სიახლე ბევრად უფრო მიმზიდველია. ჩვენს სერიალში მრავალფეროვნებაა, კადრები და მოვლენები ხშირად იცვლება, გადაღებები პავილიონშიც გვაქვს, ოფისსა და ქუჩაშიც; არ ვთამაშობთ ისე, როგორც — სპექტაკლში და რაც მთავარია, ხარისხზეც გვაქვს პრეტენზია. ვფიქრობ, ხალხის იმედებს გავამართლებთ.

■



შესანიშნავი სამუშაო გარემო და პირობები გვაქვს, სცენებიც შინაურულია

# რატომ იტანს გიორგი ქორქია პარტნიორის შენიშვნებს

## „ნინო ქუჩაში ქურდულ სიმღერებს მღეროდა"

**ნინო არაზაშვილსა და გიორგი ქორქიას გადაცემის — „დილა მშვიდობისას" — დასრულებისთანავე დავადექი თავს. როგორც ინტერვიუს ჩაწერისას გამომიტყდნენ, წინაღამეს 2 საათიც არ სძინებიათ, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც ენერგიულად გამოიყურებოდნენ და „ბაცნობის" ხასიათზეც იყვნენ. „მთელი ცხოვრება საყრდენს ვეძებ და ალბათ ამიტომაც შევქმენი რამდენიმე ოჯახი. ვფიქრობ, ძალიან მაგარია, როცა გვერდით გყავს ადამიანი, რომელსაც შეუძლია, შენი საქმე გაინაწილოს", — მითხრა ნინომ და იქვე დასძინა, რომ გიორგი სწორედ ისეთი პარტნიორია, რომელსაც ადამიანი თავისუფლად დაეყრდნობა.**

*ელენე ბასილიძე*

— **ერთმანეთი სად გაიცანით?**

**ნინო:**

— გიო, მოდი, ცოტა „ვიბაცნოთ"...

**გიორგი:**

— კარგი, მიდი, დაიწყე!

**ნინო:**

— გიორგი მახსოვს... გიორგი გავიცანი (*ფიქრობს*)...

**გიორგი:**

— ხედავ? არ ვახსოვარ!

**ნინო:**

— როგორ არა?! პირველად რომ ვნახე, მთვრალი იყო და ძალიან მაგრად ცეკვავდა...

**გიორგი:**

— იცი, ამას რატომ ამბობს? — ზუსტად 10 წუთის წინ ვამბობდი: ცეკვას ვერ ვიტან-მეთქი. იმდენად არ მიყვარს, რომ სხვების ცეკვასაც ვერ ვუყურებ, მაგრამ მგონი, საახალწლო გადაცემისთვის მომიწევს აცეკვება და ამაზე წინასწარ ვნერვიულობ. რაც შეეხება ნინოს გაცნობას... იცით, საიდან მახსოვს? ქუჩაში ქურდულ სიმღერებს მღეროდა, არადა, არც სმენა აქვს, არც — ხმა (*იცინიან*).

**ნინო:**

— ახლა სერიოზულად გიპასუხებთ: არც ისე დიდი ხანია, რაც ერთმანეთს ვიცნობთ. პირველად რომ ვნახე, მეგონა, საკუთარ თავში ჩაკეტილი ადამიანი იყო. მახსოვს, როცა ვესალმებოდი...

**გიორგი:**

— (*აწყვეტინებს*) გამარჯობაო, — რომ მეუბნებოდა, ვპასუხობდი, — არა-მეთქი და ზურგს ვაქცევდი ხოლმე... ნინო 4 წლის წინ, ტელევიზიაში გავიცანი. თავდაპირველად ჩვენი ნაცნობობა მხოლოდ გამარჯობა-გაგიმარჯოთი შემოიფარგლებოდა, ახლა კი პარტნიორები ვართ.



ეთერში პატარ-პატარა პროვოკაციების მოწყობა მიყვარს და გიორგი ბოლომდე „მომყვება"

**ნინო:**

— ჩემსას მაინც ვიტყვი: როცა ვესალმებოდი, ორ თითს ამიწევდა ხოლმე და ჩაივლიდა. ვფიქრობდი, — ძალიან ტიპობს-მეთქი. როგორც წესი, როცა ადამიანი მშვიდობის სიმბოლოს გიჩვენებს და ორი თითის აწევით გესალმება, ამის უკან რაღაც სხვა იმალება...

**გიორგი:**

— ჰო, ორი თითის უკან ყოველთვის მესამე თითი იმალება (*იცინიან*).

— **დილის გადაცემისთვის გიორგის კანდიდატურა თქვენ შეარჩიეთ?**

— ეს იდეა გენერალურ დირექტორს, გიორგი გეგეშიძეს ეკუთვნოდა და ექსპერიმენტმა გაამართლა — პირველსავე გადაცემაზე მივხვდი, რომ ძალიან გამიმართლა, რადგან გიორგი ნიჭიერია, ყველაფერს იოლად უღებს ალღოს. ეთერში პატარ-პატარა პროვოკაციების მოწყობა მიყვარს და გიორგი ბოლომდე „მომყვება".

**გიორგი:**

— მეორე თუ მესამე გადაცემაში სახეზე ნაყინი „ამაწება"!..

— **გეწყინა?**

— ამას წყენა კი არა, გაბრაზება ჰქვია. როცა სახეზე ნაყინს მისვამდა, ისეთი გაბრწყინებული თვალები ჰქონდა, რომ ველარაფერი ვუთხარი. ასეთ რაღაცებს ნინოსგან ხშირად უნდა ელოდოს ადამიანი. სხვათა შორის, დილის გადაცემაში მუშაობა რომ შემომთავაზეს, საკმაოდ რთულად მომეჩვენა, მაგრამ როცა გავიგე, ეთერში ნინო არაზაშვილის გვერდით უნდა ვმჯდარიყავი, ხელები ავწიე. ვიცოდი, რომ პროფესიონალი იყო და მის გვერდით არ „დავიკარგებოდი". თავიდან ნინოს რიდი მქონდა, ახლა აღარ მაქვს.

**ნინო:**

— მახსოვს, როცა სახეზე ნაყინს ვუსვამდი, თან ვფიქრობდი, ახლა ეს ნაყინი თავში რომ „ჩამაზილოს", რა უნდა ვქნა-მეთქი, მაგრამ გიორგიმ ყველაფერი გმირულად მოითმინა და მივხვდი, „ჩვენიანი" იყო. მართალია, პირდაპირ ეთერში მე არ მერჩის, მაგრამ პაატა გულიაშვილთან მეგრულ-კახური პაექრობა აქვს გაჩაღებული: როცა პაატა კახურ ანეკდოტებს ჰყვება, გიორგი ისეთ მეგრულს „ჩაუგდებს", რომ სიტუაცია საინტერესოდ იძაბება.

**გიორგი:**

— მაგალითად, ამას წინათ პაატას რამდენიმე ადგილას ჰქონდა შემოხვეული შარფი: ყელზე, წელზე, წელს ქვემოთ... სანუკვარ ადგილებს უფრთხილდები-მეთქი? — ვკითხე და დამეთანხმა: — კიო!

— **ასეთ დაძაბულ სამუშაო გარემოში განტვირთვას როგორ ახერხებთ?**

**ნინო:**

— წელს გიორგი არაჩვეულებრივ პროექტს — „ჯეომეგზურს" ამზადებს. როცა ამ გადაცემას ვუყურებ, სულ ვფიქრობ, — აი, მოვა გაზაფხული და მეც წავალ ამ ადგილების მოსანახულებლად-მეთქი. გიო ძალიან უხდება სამოგზაურო, სათავგადასავლო პროექტებს. მიუხედავად ბევრი საქმისა, სამსახურში არასოდეს აგვიანებს, ძალიან მოწესრიგებულია. როგორც კი დილის გადაცემა დასასრულს მიუახლოვდება, გიორგი ისე ამბობს, — ახლა ერთი ჩართვა დაგვრჩა და „ვსიოო" — რომ გეგონება, ამ ყველაფრის შემდეგ წახვალ, აბაზანას

ეროვნული ბიბლიოთეკა


კვირის ბოლოს ისეთი დაღლილი ვარ, საჭესთან ჯდომასაც კი ვარიდებ თავს

გაავსებ, ინებივრებ და ლოგინში „შეხტები“... მაგრამ ეს ოცნება ოცნებადვე რჩება, რადგან „დილა მშვიდობისას“ დასრულების მერე გიოს გადაცემა აქვს ჩასაწერი, მე მეორე დღის გადაცემა — დასაგეგმი. ჰოდა, შედეგად, კვირის ბოლოს ისეთი დაღლილი ვარ, საჭესთან ჯდომასაც კი ვარიდებ თავს.

**გიორგი:**

— აღარც ახსოვს, მანქანა „რუსთავი 2“-ის ეზოდან ბოლოს როდის გაიყვანა, არადა, ამას წინათ სახლთან ეძებდა და რომ ვერ იპოვა, იფიქრა, მომპარესო... ნინო 24 საათი მუშაობს; სამსახურის გარდა, ოჯახიც აქვს და შესაბამისად, ათასი საქმე — მოსაგვარებელი. ჰოდა, ამ ყველაფერს როგორ ასწრებს, არ ვიცი.

— **ნინო, თქვენს ენერგიულობასა და შრომისმოყვარეობაზე ლეგენდები დადის...**

**გიორგი:**

— მაგ ლეგენდების შესახებ მეც მქონდა გაგონილი და მას შემდეგ, რაც ნინოს პარტნიორი გავხდი, დავრწმუნდი, რომ ეს ყველაფერი სიმართლეა. ნინოსგან დადებითი ენერგეტიკა მოდის. როგორ ცუდ ხასიათზეც უნდა იყო, გუნების გამოსაკეთებლად მასთან წუთიერი კონტაქტიც კი საკმარისია.

**ნინო:**

— შენი ენერგიულობით ყველა არ უნდა შეაწუხო — ანუ სხვებს არ უნდა მოსთხოვო, მთელი ღამე შენთან ერთად იმუშაონ. მახსოვს, ერთ დილას გიორგი ჩემს კაბინეტში რომ შემოვიდა, დივანზე მეძინა — მუშაობას ისე გვიან მოვრჩი, შინ წასვლას აზრი აღარ ჰქონდა. ცხადია, გამოძინება ვერ მოვახერხე, მაგრამ დილის ეთერში მაყურებელს ისე ომახიანად მივესალმე, რომ გიორგი გაოგნდა, მთელი დღე გაოცებული მიყურებდა... დღეს, გადაცემის დასრულების შემდეგ მობილურ ტელეფონში რამდენიმე ისეთი ადამიანის მესიჯი ვნახე, რომლებიც იშვიათად მეხმიანებიან. მწერდნენ: — ვგიჟდებით თქვენზე. თქვენი ყურებისას სიცილით ვსკდებოდიო... მსგავსი სიტყვები ძალიან მახარებს, ე.ი. შრომა გვიფასდება. არ მახსოვს, ეთერიდან გამოსულს გადაცემის ჩანაწერი არ მენახოს. იმიტომ კი არა, რომ საკუთარი თავით ვტკბები, არამედ იმიტომ, რომ რაიმე არ გამომეპაროს, შეცდომები ვიპოვო...

— **ამბობენ, გადაცემაში ნინო გიორგის ლაპარაკს არ აცდისო...**

**გიორგი:**

— არის საკითხები, რომელიც ნინოს უკეთ ესმის, ვიდრე მე და როცა ნინო აქტიურობს, თავს დაჩაგრულად სულაც არ ვგრძნობ.

— **თქვენი აზრით, როგორია თქვენი ტანდემი?**

**ნინო:**

— ხშირად ამბობენ, რომ ძალიან კარგი წყვილი ვართ, ერთმანეთს ვაბალანსებთ. პაატა ბურჭულაძის ფონდის სამხატვრო ხელმძღვანელმა, თეონა ჯორბენაძემ პირველივე გადაცემის ნახვისას აღნიშნა, — იცით, რომ თქვენნაირი, ორი სრულიად განსხვავებული ადამიანი არც ერთ გადაცემას არ უძლვება და ძალიან საინტერესო ტანდემი გამოგივიდათო?!

**გიორგი:**

— მე და ნინო მხოლოდ თანამშრომლები კი არა, მეგობრებიც ვართ. ძალიან კარგი მეგობარია და მისი რჩევები ხშირად მჭირდება. არიან ადამიანები, რომლებმაც რჩევა რომ მომცენ, შეიძლება, თავში რაღაც ჩავარტყა, მაგრამ ნინოსგან შენიშვნაც არ მწყინს.

**ნინო:**

— მეც მომსვლია შეცდომა და ჩემთვისაც შეუსწორებიათ... ვგრძნობ, რომ გიორგის ძალიან ვუყვარვარ და მეც მიყვარს. ჩვენ ვართ მაგალითი გოგოს და ბიჭის მეგობრობისა. ■


როცა ნინო აქტიურობს, თავს დაჩაგრულად სულაც არ ვგრძნობ



წიგნების სერია
„ახალი ქართული ლიტერატურა“
ჟურნალ „ლიტერატურულ პალიტრასთან“ ერთად
ყოველთვე
ერთი თანამედროვე ავტორი
დეკემბრის ნომერთან ერთად
„ამანათი“
წიგნის ფასი 3 ლარი. (ჟურნალთან ერთად 5 ლარი.)
უკვე გამოსული ტომები: დათო ტურაშვილი, თამრი ფხაკაძე, რატი ამაღლობელი, დავით ქართველიშვილი, თეონა დოლენჯაშვილი, ბესო ხვედელიძე და ზაზა თვარაძე შეგიძლიათ შეიძინოთ წიგნის მაღაზიებში!

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ცხოვრება

## „მოხუცებული კაცი ამ ლამაზმა ქალბატონმა შემიყვარა“

### ხანდაზმული წყვილის სიყვარულის ამბავი

**„გზის“ წინა ნომერში ხანდაზმულთა პანსიონატის მცხოვრებთა — 87 წლის შოთა ბიძინაშვილისა და 74 წლის რიმა ოკომციანის ქორწინების შესახებ გაცნობეთ და იმასაც დაგპირდით, რომ მათ უჩვეულო სიყვარულზე ვრცლად ჟურნალის შემდეგ ნომერში შემოგთავაზებდით...**

*თეა ხურცილავა*

**შოთა ბიძინაშვილი:**

— ძალიან კარგი მეუღლე მყავდა, რომელიც 75 წლის, 2005 წელს გარდაიცვალა და მარტო დავრჩი. ქალ-ვაჟი გავზარდეთ. სამწუხაროდ, ჩემი ქალიშვილი 2 წლის წინ, მოულოდნელად გარდაიცვალა. ბიჭი დაქორწინებულია და 2 შვილი ჰყავს. სულ 4 შვილიშვილის პაპა ვარ. სვანეთის უბანში ვცხოვრობდი. ორსართულიანი სახლი ავაშენე, სადაც დღეს ჩემი ვაჟი, თავის ოჯახთან ერთად ცხოვრობს. წლების მანძილზე მეტალურგიულ ქარხანაში ვმუშაობდი. სულ, შრომაში გახლდით... შვილს არ ვემდური და საერთოდ, ყველანი კარგები მყავს, მაგრამ ვგრძნობდი, სახლში ჩემი ფუნქცია დავკარგე. არადა, საქმის კეთება მიყვარდა. ახალგაზრდები კი სხვანაირად უყურებენ ცხოვრებას და გადავწყვიტე, სახლიდან წამოვსულიყავი. თავიდან „კათარზისში“ ვიყავი, იქიდან ნაწყენი წამოვედი. 3 წელიწადი რიგში ვიდექი და პანსიონატში 2009 წელს მოვედი. აქ ყოფნა ძალიან მომწონს, ბევრი მეგობარი გავიჩინე... ჩემმა შვილებმაც იცოდნენ, რომ ქალის მოყვანა მინდოდა, მაგრამ ისეთი ავადმყოფობა დამემართა, რომ ცუდად ვიყავი. ჰერპესმა ძალიან დამჩაგრა. შარშან 2 ჯოხით დავდიოდი, ვიმკურნალე და ახლა კარგად ვარ.



როგორც ჩანს, შოთასაც ერთი ნახვით მოეწონე

**— ქალბატონი რიმა როგორ გაიცანით?**

— სანამ მას გავიცნობდი, აქ მცხოვრები ერთი ქალბატონი მომეწონა, მას ვაკვირდებოდი, მერე გამოველაპარაკე და ვუთხარი, დავმეგობრდეთ-მეთქი. გამიბრაზდა, მითხრა, — თქვენ იცით, მე რა კარგი მეუღლე მყავდაო?! ნუ განრისხდებით-მეთქი და დავემშვიდობე. შემდეგ ამ პანსიონატში რიმა მოვიდა, მასაც დიდხანს ვაკვირდებოდი. რიმა იმ ქალბატონზე ბევრად ახალგაზრდაა, ძალიან გამიმართლა და ბედნიერი ვარ. უმეგობროდ ადამიანი ცოდვაა.

**რიმა ოკომციანი:**

— 8 თვის მოსული ვარ პანსიონატში. რომ მოვედი, ვტიროდი, აქ ცხოვრება არ მინდოდა, მაგრამ ახლა ბედნიერი ვარ. შოთა ეზოში სასეირნოდ ხშირად ჩამოდიოდა, მეც ვსეირნობდი და ვატყობდი, რომ მაკვირდებოდა... ერთ დღეს, ღონისძიება გაიმართა, მაგიდასთან ვიჯექი, მოვიდა და მთხოვა, ჩემთან იცეკვეო. ჯერ უარი ვუთხარი, მომერიდა, უცხო კაცთან როგორ ვიცეკვო-მეთქი, მაგრამ ძალით გამიყვანა; ცეკვისას, ვგრძნობდი, რომ მოვწონდი. როგორც ჩანს, შოთასაც ერთი ნახვით მოვეწონე, როგორც ჩემს პირველ მეუღლეს.

**— და თქვენც გაეპრანჭეთ?**

— ბავშვობიდან პრანჭიკელა ვარ და სულ ვცდილობ, ფორმაში ვიყო. ცუდადაც რომ ვარ, მაშინაც მინდა, კარგად გამოვიყურებოდე... შოთამ მკითხა, — კიდევ როდის ვიცეკვოთო? ვუთხარი, ჩემს დაბადების დღეზე, 21 სექტემბერს-მეთქი, მაგრამ ისე მოხდა, რომ იმ დღეს ცუდად გახდა და საავადმყოფოში წაიყვანეს... შემდეგ ნელ-ნელა დავუახლოვდით ერთმანეთს. ჩემზე სხვებთანაც საუბრობდა, — კოხტა, ზრდილობიანი და შეგნებული ქალიაო. მეც მომეწონა. ცოლი გარდაცვლილი ჰყავს, მეც ძალიან კარგი მეუღლე დავკარგე. მართალია, ხალხი მეუბნება, 10 წელი მაინც უნდა დაგეცადა ქმრის გარდაცვალებიდანო, მაგრამ ისე მოხდა, რომ შემიყვარდა. ახლა ორივემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძველი სიყვარული უნდა დავივიწყოთ და ახალზე ვიფიქროთ. ჩემი მეუღლის გარდაცვალებიდან 4 წელი გავიდა. ისიც 12 წლით იყო ჩემზე უფროსი. ოპერაცია დასჭირდა, მაგრამ ვერ გადავარჩინე... ისეთი ქმარი მყავდა, თავს მევლებოდა და ხელისგულზე მატარებდა. მუხიანში ვცხოვრობდით. ცუდად რომ გახდა, ბინაც და ოქროულობაც გავყიდე. ოღონდ, ცოცხალი ყოფილიყო და თავი არ დამიზოგავს. უსახლკაროდ დავრჩით, მაგრამ ვერც ის გადავარჩინეთ, ამიტომაც მომიწია აქ მოსვლამ. ერთადერთი შვილი მყავს, რომელიც ცოლის სახლში ცხოვრობს, ცოტა ხანს მეც იქ ვიყავი და მერე აქ წამოვედი. ცხარე ცრემლებით ვტიროდი, მაგრამ რომ იტყვიან, ზოგი ჭირი მარგებელიაო, ისე დამემართა. თურმე, აქ ჩემი ბედი მელოდა. ღმერთმა შოთას თავი მიცოცხლოს, ძალიან ვუყვარვარ და რაც მთავარია, პატრონი მყავს.

**— სიყვარულში როგორ გამოგიტყდათ?**

— ერთ დღეს მომიახლოვდა და მიმღერა, მეც ავყევი. სიტყვების თქმაც აღარ იყო საჭირო. ისე ვსაუბრობდით საათობით და ვხედავდით, რომ კარგად გვესმოდა ერთმანეთის. პირველ ოქტომბერს ცოლობა მთხოვა და 8 ოქტომბერს უკვე თავის ოთახში გადამიყვანა. ახლა ერთად ვცხოვრობთ და ძალიან კარგად ვართ. ჩემი შვილიც გაიცნო, მეც გავიცანი მისი შვილი.

**ბატონი შოთა:**

— ვატყობდი, ეზოში ერთად რომ დაგვინახავდნენ, ჩვენზე ჭორაობდნენ. რიმას ვუთხარი, რაც მალე ვიქორწინებთ და ჩემთან გადმოხვალ, უკეთესია, სალაპარაკო აღარ გახდება-მეთქი. ამ ხნის კაცი საჭოროდ ხომ არ გავიხდიდი თავს და ცოლობა ვთხოვე. ახლა მხიარულად ვართ. ოთახში „იამაჰაც" გვაქვს, ვუკრავთ, ვმღერით, ვცეკვავთ, რიმასაც კარგი იუმორის გრძნობა აქვს და ჩვენი პატარა სამყარო გვაქვს. ჩემზე ბევრად ახალგაზრდაა და მიხარია, მზრუნველი ცოლი რომ მყავს. არაფერი წამიგია, პირიქით, მოგებული ვარ, ამ ლამაზმა ქალბატონმა მოხუცებული კაცი შემიყვარა.


ღმერთმა შოთას თავი მიცოცხლოს, ძალიან ვუყვარვარ და რაც მთავარია, პატრონი მყავს

**— თქვენი შვილები როგორ შეხვდნენ ამ ამბავს?**

— ჩვენმა შვილებმა ერთმანეთი ქორწილში გაიცნეს. ჩემი ქონება მთლიანად ჩემს სახელზე იყო და როცა შვილს ჩემს გადაწყვეტილებაზე ვუამბე, ქონების დაკარგვის შეეშინდა... ისინი მშვიდად რომ ყოფილიყვნენ, ყველაფერი დაქორწინებამდე, მათ გადავუფორმე. რიმას ჩემი არც „ქოჩორი" მოსწონებია და არც ფული, მითხრა, შენი ადამიანობა მომეწონაო. ძალიან მომეწონა მისი ვაჟი. დედამისს უთხრა, — რა უნდა დაგარიგო, უკეთესად იცი, შენთვის რა ჯობია და როგორც გსურს, ისე მოიქეციო. იცის, რომ დედას მეგობარი მამაკაცი გვერდით ჰყავს და ახლა ჩემი იმედი აქვს.

**ქალბატონი რიმა:**

— ქორწილში ჩემი დისშვილები და შვილი თავისი ოჯახით დავპატიჟე. პირველ ქმართან რომ ვიქორწინე, ქორწილი არ მქონია, რადგან მაშინ ჩემი და ძალიან ცუდად იყო. არც ჯვარდაწერილები ვყოფილვართ. ეს ჩემთვის პირველი ქორწილია და მიხარია, რომ მეორე ნახევარი გვერდით მყავს. ძალიან შეიცვალა ჩვენი ცხოვრება. შოთა, მართალია, 14 წლით უფროსია, მაგრამ მისმა ადამიანობამ მომხიბლა.


ჯვრისწერამდე ქალბატონი რიმა მონათლა

**ბატონი შოთა:**

— 18 წლისა სიონის ეკლესიაში მოვინათლე. ომშიც ვიბრძოდი. მამას უთქვამს, — ოღონდ, ომიდან ცოცხალი დამიბრუნდეს და ცოლს რომ შეირთავს, ჯვარს აუცილებლად დავწერო. მაშინ ჯვრისწერა იშვიათად ხდებოდა, ტაძარში სიარული იკრძალებოდა, მაგრამ მაინც დავდიოდი და ცოლი რომ შევირთე, ჯვარი დავიწერეთ. რამდენიმე დღის წინ, საპატრიარქოში წამიყვანეს და იქ „ჯვრის აყრის" რიტუალი ჩატარდა. მანამდე სხვებისკენაც გამირბოდა თვალი, ყველა ქალს ვაკვირდებოდი და მასში ვეძებდი მეგობარს, მაგრამ ახლა სხვისკენ აღარ გავიხედავ, გვერდით რიმა მყავს.

*ბატონ შოთას 2010 წელს, სუპერბაბუის ტიტულიც მიანიჭეს. მას, როგორც ხელმარჯვე ოსტატს, ისე იცნობენ. მისი ნამუშევრები პანსიონატშია გამოფენილი და ბევრ ბენეფიციარსაც უსახსოვრა. წყვილი დღეს ერთ პატარა, მყუდრო ოთახში ცხოვრობს. კედლებზე გამოფენილია ბატონი შოთას ნამუშევრები და მათი ახალგაზრდობის ფოტოები. ამბობს, რომ ხატვა ბავშვობიდან უყვარდა. მერე ძერწვა და პენოპლასტზე მუშაობა დაიწყო. თავს ბედნიერად გრძნობენ... მითხრეს, ასაკს მნიშვნელობა არა აქვს, ადამიანის გული არ ბერდება, ორივეს ახალგაზრდული სული გვაქვს.* ■

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „გადასაღებ მოედანზე ყოფნა ჩემთვის დიდი სიხარულია“

**რატი გოგატიშვილი სერიალის („შუა ქალაქში“) ყველაზე უმცროსი მონაწილეა — პატარა ბიჭის — ნიკას პერსონაჟს ასახიერებს. მსახიობის როლში თავი პირველად მოსინჯა და დაკისრებულ მოვალეობას თავს კარგად ართმევს, მისი ენაკვიმატი და სახალისო ტექსტები კი მაყურებელს მოსწონს. მართალია, რატი ჯერჯერობით სკოლის მოსწავლეა, მაგრამ უკვე იმაზეც ფიქრობს, სამომავლოდ რა პროფესიას აირჩევს — ადრე ოპერატორობა უნდოდა, ახლა კი — მსახიობობა, მაგრამ იმასაც ამბობს, რომ სტუდენტობამდე ჯერ კიდევ დროა...**

თამთა დადეშელი


როლის დაზეპირება არ მიჭირს...

— **რატი, რომელ სკოლაში სწავლობ და რას საქმიანობ?**

— 1-ელი საჯარო სკოლის მოსწავლე ვარ, 11 წლის.

— **რა ინტერესები გაქვს? მაგალითად, სპორტზე თუ დადიხარ?**

— ჯერჯერობით არა, მხოლოდ მათემატიკაში ვემზადები, არადა, ეს საგანი მაინცდამაინც არ მომწონს... მაგრამ, საერთოდ, ტექნიკური საგნები მეტად მიზიდავს, ვიდრე — ჰუმანიტარული.

— **სერიალში როგორ მოხვდი?**

— კასტინგზე რომ მივედი, დაახლოებით, 50 ბავშვი ვიყავით და მეორე ტურში მხოლოდ სამნი გადავედით; მათგან მერე მე შემარჩიეს.

— **თავი რით მოაწონე ჟიურის?**

— ჯერ ლექსი მათქმევინეს, მერე, ამ სერიალის რომელიმე ძველი მსახიობის იმიტაცია გააკეთეო, — მითხრეს. ირაკლი ჩხეიძე განვასახიერე...

— **ოჯახში ხომ არ გყავს ვინმე მსახიობი?**

— არა, ჩემი მშობლები სხვა პროფესიისანი არიან. პატარა დაიკო მყავს — ნუცა, 7 წლის, რომელიც ასევე სკოლის მოსწავლეა.


კომპიუტერული თამაშები ძალიან მიყვარს

— **როგორი შეგრძნებაა, როცა გადასაღებ მოედანზე შენზე ასაკით უფროს და პროფესიონალ მსახიობებთან ერთად დგახარ?**

— ძალიან მაგარია, მათგან ბევრს სწავლობ. როლის დაზეპირება არ მიჭირს... პირველად, გადაღებების დროს, ძალიან ვნერვიულობდი, განსაკუთრებით მაშინ, თუ ტექსტი მეშლებოდა, მაგრამ ახლა ნელ-ნელა ვეჩვევი. ხანდახან კურიოზიც ხდება — ზოგს რაიმე ფრაზა ავიწყდება, ზოგს საკუთარ ხუმრობებზე ეცინება და ა.შ.

— **ნიკას გმირი ძალიან ენაკვიმატი, კარგი იუმორის მქონე, მოუსვენარი ბავშვია; შენ როგორი ხარ ცხოვრებაში?**

— ცელქი ბიჭია და რაღაცებით მეც მგავს, მაგრამ სკოლაში არ ვმაიმუნობ ხოლმე... ისე, ჩემი პერსონაჟი ძალიან მომწონს.

— **სერიალის გამო, სკოლაში ხელი ხომ არ გეშლება?**

— არა, პირიქით, ყველანაირად ხელს მიწყობენ.

— **წიგნების კითხვა თუ გიყვარს?**

— კი, მიყვარს. ზაფხულში, მაგალითად, „რობინზონ კრუზოს თავგადასავალი“ წავიკითხე და ძალიან მომეწონა.

— **კომპიუტერული თამაშები შენც ისევე მოგწონს, როგორც ნიკას?**

— კი, ყველაზე ხშირად call of duty-ის ვთამაშობ. ძირითადად, „გონკები“ მომწონს...

— **რა ჟანრის მუსიკას უსმენ?**

— როკს. მუსიკის მოსმენა დიდ სიამოვნებას მანიჭებს, განსაკუთრებით მგზავრობისას.

— **როგორც ყველაზე უმცროს მონაწილეს, სერიალის გადამღები ჯგუფი და მსახიობები როგორ გექცევიან?**

— ყველასთან ახლო, თბილი და მეგობრული ურთიერთობა მაქვს. მათთან ერთად გადასაღებ მოედანზე ყოფნა ჩემთვის დიდი სიხარულია...

— **როგორ ეგუები ახალ ამპლუაში და განსხვავებულ რეჟიმში ცხოვრებას?**

— მშვენივრად. ზოგჯერ ხალხი ქუჩაში მაჩერებს და მეკითხება — შენ ის არა ხარ, „შუა ქალაქში“ რომ თამაშობო?! უცხო ადამიანების ყურადღება მეც ძალიან მომწონს. ჩემს მეგობრებსაც უხარიათ, ასეთ პოპულარულ სერიალში რომ ვთამაშობ და მგულშემატკივრობენ. ■

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „სოსომ დამირეკა და მითხრა: სვეტა, შენთვის სიურპრიზი მაქვს“

## ვინ არის სვეტა სერიალიდან „შუა ქალაქში“

**სერიალის „შუა ქალაქში“ მაყურებლისთვის სვეტა კარგად ნაცნობი სახელია. ადამიანი, რომელსაც მსახიობ სოსო გოგიჩაიშვილის გმირი — კოტე ბაბუა ხშირად ახსენებს. ცოტა ხნის წინ, ბატონმა სოსომ ინტერვიუში გაგვიმხილა: სვეტა მართლა არსებობს, მას ბავშვობიდან ვიცნობ, ლამაზი გოგო იყო და ბევრ ბიჭს გვიყვარდა, მასთან დღემდე ვმეგობრობო. ქალბატონ სვეტას მისი დახმარებით დავუკავშირდით და შინ ვეწვიეთ. ის მომხიბლავი და საოცრად თბილი ქალბატონი აღმოჩნდა.**


ტრადიცია გვაქვს, ყოველ 10 იანვარს, ჩემი დაბადების დღეს, ვიკრიბებით და ახალგაზრდობას ვიხსენებთ

*თამუნა ქვინიკაძე*

**სვეტა ლომთაძე:**

— ერთ დღეს, სოსომ დამირეკა და მითხრა: სვეტა, შენთვის სიურპრიზი მაქვს, საღამოს სერიალს „შუა ქალაქში“ აუცილებლად უყურეო. გამიკვირდა, რა სიურპრიზი უნდა ჰქონდეს-მეთქი? სერიალის დრო რომ


აქტიური ბავშვი ვიყავი, სკოლის გუნდში ვმღეროდი, ფორტეპიანოზე ვუკრავდი

მოვიდა, ტელევიზორთან მოვკალათდი. თუ გახსოვთ, მისი გმირი ერთ ეპიზოდში ამბობს: ჩემს კლასში ლამაზი გოგო სწავლობდა, სვეტა ბევრ ბიჭს უყვარდა და ბოლოს ერთმა გადარეულმა წაიყვანაო... მივხვდი, ჩემზე ლაპარაკობდა. მაშინვე გადავურეკე, — დიდი მადლობა ამ სიურპრიზისთვის, ბავშვობაში დამაბრუნე-მეთქი, — ჯერ სად ხარ, აწი ნახე, რა მოხდებაო. მეორე სერიასაც ვუყურე: სოსო დალურჯებული თვალით რომ დავინახე, გამეცინა...

**— მაშინ კოტე ბაბუამ თქვა, რომ თვალი სვეტას ქმრისგან ჰქონდა დალურჯებული.**

— ისევ დავურეკე: — მანამდე არ დამანებე თავი, სანამ არ მიგბეგვეს-მეთქი?

**— ეი. თქვენი მეგობრობა სკოლიდან დაიწყო...**

— ორივე ბათუმელები ვართ. მე-4 საშუალო სკოლაში დავდიოდით. თავიდან ვაჟთა და ქალთა სასწავლებლები ცალ-ცალკე იყო. მე-9 კლასში შეგვაერთეს. ბიჭები რომ გადმოიყვანეს, ვნერვიულობდი, აწი გაკვეთილს ნეტავ, როგორ მოვყვები-მეთქი (*იცინის*)? სოსო ნიჭიერი ბიჭი იყო, იუმორით სავსე. ამბავს ისე მოჰყვებოდა, მეგობრებს სიცილით გვხოცავდა, თვითონ კი მიმიკაც არ ეცვლებოდა. მახსოვს, ერთ წვიმიან დღეს, სკოლაში დაგვიანებით მოვიდა და კლასში გაშლილი ქოლგით შემოვიდა. ყველას სიცილი აგვიტყდა, მასწავლებელმა ძლივს დაგვაწყნარა... აქტიური ბავშვი ვიყავი, სკოლის გუნდში ვმღეროდი, ფორტეპიანოზე ვუკრავდი, ოლიმპიადაზეც ხშირად ვიმარჯვებდით. მე და სოსოს თავიდანვე გვეტყობოდა, რომ ხელოვნების გზას უნდა გავყოლოდით. მოგეხსენებათ, მან თეატრალურ ინსტიტუტში ჩააბარა, მე მუსიკალური განათლება მივიღე. 30 წლის მანძილზე ფორტეპიანოს ვასწავლიდი ჯერ ბათუმში, შემდეგ — ქუთაისში. სოსო მარჯანიშვილის თეატრში თამაშობდა, ფილმებში იღებდნენ... მისი წარმატებით ყველანი გახარებულები ვიყავით. მეგობარ გოგონებს თეატრსა და კინოში ხშირად გვპატიჟებდა. წლები გავიდა... მე ქუთაისში გავთხოვდი, იქ ვცხოვრობდი. თანაკლასელებს დროებით დავშორდი. მოგვიანებით, საცხოვრებლად, თბილისში გადმოვედი. ბავშვობის მეგობრებმა ურთიერთობა განვაახლეთ. ახლა ტრადიცია გვაქვს, ყოველ 10 იანვარს, ჩემი დაბადების დღეს, ვიკრიბებით და ახალგაზრდობას ვიხსენებთ. ჩემი შვილის მეგობრებიც მოდიან. ამბობენ, სოსო იქნება და დროს კარგად გაგვატარებინებს, ვიმხიარულებთო.


მე და სოსოს თავიდანვე გვეტყობოდა, რომ ხელოვნების გზას უნდა გავყოლოდით

**— ლამაზი ქალბატონი ბრძანდებით. კითხვაც არ უნდა, ახალგაზრდობაში ბევრი თაყვანისმცემელი გეყოლებოდათ...**

— (*იცინის*) რა დასამალია, მართლა ბევრი თაყვანისმცემელი მყავდა. ერთხელ ჩემს შვილიშვილს ეუბნებოდნენ, სვეტას რა ძალიან ჰგავხარო. მაშინ 12 წლის იყო. სვეტას კი ვგავარ, მაგრამ იმ დროს სვეტა ბევრ ბიჭს უყვარდა, მე კი ბევრი თაყვანისმცემელი არ მყავსო, დაიჩივლა...

**— თქვენს თაყვანისმცემელთა რიცხვში ბატონი სოსოც შედიოდა?**

— არ ვიცი, გულში რას ფიქრობდა, ჩემთვის კი არ უთქვამს. ყველაზე მეტად სოსოს მეგობარს, — გოჩას ვუყვარდი, ჩვენი თანაკლასელი იყო. დაუქორწინებელი დარჩა.

**— სერიალში ამბობს: სვეტას გამო ბიჭები ხშირად ვჩხუბობდითო, ესეც რეალური ამბიდან აქვს აღებული?**

— კი, ასეთი შემთხვევებიც იყო. ერთმანეთს ხვდებოდნენ, საქმეს არჩევდნენ და იყო ერთი ამბავი... ვცდილობდი, არ ეჩხუბათ, ეს ხან გამომდიოდა, ხან — არა.

**— თქვენს მეუღლეზეც მიამბეთ.**

— ჩემი მეუღლე ზურაბ ტყეშელაშვილი გახლდათ. ქუთაისში ცხოვრობდა. ახლობლის ოჯახში გავიცანი. მანამდე მის დას ვიცნობდი. ერთ დღესაც ქუთაისში მე და ის ერთად ჩავედით. სარძლოდ მოვწონდი. ნათესავთან უნდა წავსულიყავი, მაგრამ არ გამიშვა. ახლა გვიანია, სად უნდა წახვიდეო და თავისთან წამიყვანა. მისი ოჯახი პურმარილით დამხვდა. მეორე დღეს ყველანი შემომიჩნდნენ, დარჩიო. როგორც ჩანს, ჩემი ბედი იყო, ასე დავრჩი ქუთაისში. მეუღლის ოჯახში საკუთარი ფეხით მივედი. 2 ქალიშვილი შეგვეძინა. ერთი ეკონომისტია, მეორე — ტექნოლოგი. 4 შვილიშვილი მყავს, ოთხივე — გოგოა. უფროსი იტალიაში, კონსერვატორიაში სწავლობს, ჩემი პროფესია აირჩია. წარმატებებიც აქვს, საერთაშორისო კონკურსის ლაურეატია.

**— მეუღლეს თქვენს თანაკლასელ ბიჭებთან როგორი ურთიერთობა ჰქონდა?**

— ბათუმში დარჩენილ თანაკლასელებთან მეც და მასაც კარგი ურთიერთობა გვქონდა... ჩემი მეუღლე 1987 წელს გარდაიცვალა...

**— სერიალში ნახსენებ სვეტაში ალბათ არაერთმა თქვენმა ახლობელმა ამოგიცნოთ.**

— ყველა აღფრთოვანებული მირეკავს. მეუბნებიან, შეიძლება, შენ სერიალშიც კი მიგიწვიონო. არ მინდა. რაღა დროს ჩემი მსახიობობაა. სოსოს ვუთხარი, რადგან შენ სკოლის პერიოდი მოგენატრა, სურათს გამოგიგზავნი-მეთქი და ქუთაისიდან აი, ეს სურათი წამოვიღე (*ფოტოს მაჩვენებს. — ავტ.*).

**— როგორც ვიცი, ბატონი სოსოს მეუღლესთან მეგობრობთ.**

— ნანა არაჩვეულებრივი ადამიანია. სოსოს ვუთხარი, ბედი გქონია, ასეთი მეუღლე რომ შეგხვდა-მეთქი. ჩვენს ურთიერთობაზე ბევრს იცინის. ■

# ველოსიპედით მიტანილი ამანათები

## „ჩემი თავისუფალი დრო მეტი „დირს“, ვიდრე ის ფული, რისი გამომუშავებაც თავისუფალ დროს შემიძლია“

**გიორგი დუშენკომ მუშაობა 14 წლისამ დაიწყო და მას შემდეგ არაერთი სამსახური გამოიცვალა. დღეს იგი საქართველოში პირველი ველოკურიერია. ორ წელიწადზე მეტია, საკუთარი ბიზნესი აწყო, გადაწყვიტა, კურიერის მოვალეობა ველოსიპედით შეესრულებინა. მართალია, თავდაპირველად მეგობრებს მისი იდეის წარმატებით განხორციელებაში ეჭვი ეპარებოდათ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ბიზნესმა გაამართლა და ველოკურიერის მომსახურებას დღეს თბილისსა და ქალაქის შემოგარენში არაერთი ადამიანი იყენებს.**



*ელენე ბასილიძე*

— ამ ბიზნესის წამოწყება დიდი ხნის წინ თავად მოვიფიქრე. მინდოდა, ჩემი ველოსიპედები როგორმე გამომეყენებინა. ვიფიქრე, ვიფიქრე და ველოკურიერული მომსახურების დანერგვა გადავწყვიტე. ეს მომსახურება იაფი და სწრაფია. ამასთანავე, საქმეს ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტით ვაკეთებთ. თავდაპირველად ადამიანებს უკვირდათ, როცა დანიშნულების ადგილზე ამანათი „კასკიან“ და შორტებში გამოწყობილ ადამიანს მიჰქონდა, რადგანაც ასეთი სერვისი, მომსახურება საქართველოსთვის უცხო იყო. ხშირად მეკითხებოდნენ, — ველოსიპედით მოხვედი ამ სიცივეშიო? დღეს უკვე ამ მომსახურების შესახებ ერთმანეთს უყვებიან და ჩემს საიტზეც ხშირად მიკავშირდებიან.

**— რა რეაქცია ჰქონდათ იმ ადამიანებს, რომლებსაც თავდაპირველად მომსახურებას სთავაზობდი?**

— მომსახურების შესათავაზებლად ყველა ოფისი კარდაკარ დავიარე, სადაც შესაძლებელი იყო, კურიერი დასჭირვებოდათ... ჯერ ფასს მეკითხებოდნენ, ამასთან, აინტერესებდათ, რა დროში მივიტანდი ამანათს დანიშნულების ადგილზე. ფასით მოხიბლულები, — რა ტრანსპორტით მოძრაობთო? — მეკითხებოდნენ. პასუხის გაგონებისთანავე სახე ეცვლებოდათ (*იცინის*). როგორც ჩანს, ველოსიპედს „არასერიოზულ“ ტრანსპორტად აღიქვამდნენ. თავიდან ჩემი მომსახურებით ახალგაზრდებით დაკომპლექტებული კომპანიები დაინტერესდნენ, რომლებსაც სიახლეების არ ეშინოდათ. ორ-ნახევარი წლის წინ, კვირაში 2-3 შეკვეთა თუ მექნებოდა, მიხაროდა, მაგრამ ახლა დღეში ხანდახან 5-8 შეკვეთა მაქვს. ხშირად გვირეკავენ, როცა ვთქვათ, ყვავილები აქვთ შეყვარებულისთვის გასაგზავნი, ან გოგონა ბიჭს რაიმე ნივთს უგზავნის. ამანათი მცხეთასა და რუსთავშიც წამიღია. სხვათა შორის, ამას წინათ გოგონებმა დამირეკეს, — გვინდა, რომ ბიჭს წითელი ვარდები გავუგზავნოთო... ხშირად მთხოვენ, არ გავამხილო მისი სახელი, ვინც საჩუქარს გზავნის... ძალიან სახალისოა, როცა გოგონასთან სამსახურში მიმაქვს საჩუქარი. როგორც წესი, იმ დროს მთელი დაწესებულებაა ხოლმე გამოშლილი. ამას წინათ, გოგონასთან 50 ვარდი გამატანეს, ყვავილები ზურგჩანთაში ჩავიდე და რაკეტასავით ზურგზე „მოვიბი“. მთელი ქუჩა მიყურებდა... ვფიქრობ, რომ ჩემი მომსახურება გაცილებით უსაფრთხოა, ვიდრე ფოსტა... ჩვენთან არაფერი ზიანდება და იკარგება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— **მოძრაობა საკმაოდ გადატვირთულია ქალაქში და არ გიჭირს ქუჩებში ველოსიპედით გადაადგილება?**

— მართალია, ქუჩაში ხშირად მანქანის მძღოლები ერთმანეთს არ უთმობენ გზას, მაგრამ მე ყოველთვის მითმობენ. ეს მიკვირს და მახარებს. დიდი მადლობა მათ ამისთვის. ბიზნესი რომ დავიწყე, დავბეჭდე პატარ-პატარა მისაკრავი რეკლამები და ქუჩა-ქუჩა გავაკარი. პირველი, ვინც დამიკავშირდა, საგადასახადოს ინსპექტორი იყო. რომ მითხრა, — საგადასახადოდან ვარო, — თავზარი დამეცა, რადგან ჯერ ინდმეწარმედ არ ვიყავი დარეგისტრირებული. ბედი ჩემი, იმ კაცს მხოლოდ ჩემი მომსახურება სჭირდებოდა — შეყვარებულს პიცა გაუგზავნა და გამაფრთხილა, რომ საგადასახადო ინსპექციასთან ყველაფერი მომეგვარებინა. ხანდახან იმდენი შეკვეთა მაქვს, 10 კურიერი ერთად დავდივართ. მე ერთი მუდმივი ასისტენტი მყავს, რომელთან ერთადაც ვმუშაობ... ვგრძნობ, რომ ადამიანები პატივს მცემენ. ამას წინათ, აღმოჩნდა, რომ ერთ ადამიანს, რომელიც სადიზაინერო კომპანიაში მუშაობს და ამასთანავე, სცენარებსაც წერს, მუზა „მივგვარე". მათთან ოფისში მაშინ მივედი, როცა ის სცენარის სიუჟეტზე ფიქრობდა და, — სცენარს შენზე დავწერო — შემომთავაზა. ჯერ კიდევ წერს და როგორც ვიცი, ამ სცენარის კონკურსზე გაგზავნას აპირებს. იმედი აქვს, რომ მისი სცენარის მიხედვით ფილმსაც გადაიღებენ.

— **შენს საქმიანობაში ყველაზე რთული რა არის?**

— ყველაზე რთული საბუღალტრო აღრიცხვის გაკეთებაა, რომელიც ძალიან მეზარება (*ილიმის*). არ მაქვს იმდენი შემოსავალი, რომ ბუღალტერი დავიქირაო და ყველა საბუთს მე ვაწესრიგებ, რაც არ მეხალისება.

— **როგორც ვიცი, ველოკურიერობა შენი ერთადერთი სამსახური არაა...**

— მართალია, გიდადაც ვმუშაობ. თბილისსა თუ საქართველოს მაღალმთიანეთში უცხოელი ტურისტების ჯგუფი დამყავს. როგორც ჩანს, ჩემი მომსახურება მოსწონთ. მართალია, ზამთარია, მაგრამ უკვე 3 ტური მაქვს დაგეგმილი, რომელიც მომავალ ზაფხულს მოეწყობა. ამასთან, 5-6 ტურისტულ კომპანიას გიდად ვემსახურები. ზაფხული ჩემთვის ყველაზე საყვარელი დროა, რადგან ამ დროს მთაში მოგზაურობის შესაძლებლობა მაქვს.


ერთი მუდმივი ასისტენტი მყავს, რომელთან ერთადაც ვმუშაობ...

— **ტურისტები ფეხით დაგყავს მთაში?**

— სადამდეც მანქანით მისვლაა შესაძლებელი, ავტომობილით მივდივართ. შემდეგ კი ჩამოვქვეითდებით და მთებში ავდივართ. ბარგის ზურგით ტარება ძალიან რთულია, ამიტომაც, გზაზე ცხენოსნები გვხვდებიან და ტვირთი მთაში ცხენებით აგვაქვს. ხანაც თვითონაც ვსხდებით ცხენებზე და მთაში ისე ვმოგზაურობთ... მთა ძალიან მომენატრა...

— **საუბრის დაწყებამდე მითხარი, რომ სამჭედლო სახელოსნოშიც მუშაობდი...**

— დიახ, 14 წლის ასაკში მუშაობა სამჭედლო სახელოსნოში დავიწყე. მჭედელს ვეხმარებოდი, დროთა განმავლობაში კი რკინაზე მუშაობა თვითონაც დავიწყე. 18 წლისამ კი საკუთარი სახლის სარდაფში სამჭედლო სახელოსნო მოვაწყვე, მაგრამ მხოლოდ სტანდარტული შეკვეთების გაკეთება მიწევდა, ჩემი ფანტაზიით მუშაობა აღარ გამომდიოდა და გული ავიცრუე. დღეს ეს პროფესია ჩემი ჰობია და ხანდახან რკინაზე სამუშაოდაც ვიცლი. მიმუშავია ასევე: მშენებლობაზე, მანქანების სადგომზე, ხის საამქროში, ბაკურიანში სათხილამურო ინსტრუქტორადაც; რეგიონებში ერთ-ერთი სატელეფონო კომპანიის სარეკლამო ბუკლეტებსაც ვავრცელებდი, ყველგან მანქანით დავდიოდით და ამ სამსახურის წყალობით, თითქმის მთელი საქართველო მოვიარე...

— **მოკლედ, საკუთარი ადგილი იპოვე ცხოვრებაში?**

— ბირჟაზე დგომითა და ჯიბეებში ხელების ჩაწყობით საქმე არ კეთდება. საქართველოში იმდენი აუთვისებელი ბიზნესია, გული მწყდება, რომ ყველაფერის ერთბაშად გაკეთებას ვერ მოვასწრებ. მიყვარს დროის მოფრთხილება, საკუთარ თავსაც პატივს ვცემ — 6 საათის შემდეგ აღარ ვმუშაობ. ჩემი თავისუფალი დრო გაცილებით მეტი „ღირს", ვიდრე ის ფული, რისი გამომუშავებაც თავისუფალ დროს შემიძლია. ამბობენ, შრომამ შექმნა ადამიანიო, მაგრამ ამას წინათ, ერთმა კაცმა იხუმრა — ადამიანი შრომამვე მოკლაო. ასე რომ, მეტისმეტი არაფერი ვარგა. მთავარია, კაცს უნდოდეს მუშაობა და უფლის შემწეობით, ყველაფერი იოლია... ■


ხანაც თვითონაც ვსხდებით ცხენებზე და მთაში ისე ვმოგზაურობთ...

# დედამთილი „მზითევში"...

ინგა ჯაყელი

ზაირას ქმარი ლოთი აღმოჩნდა: ზარმაცი და წუწუნა. მასზე გათხოვება რომ გადაწყვიტა, აფრთხილებდნენ, რომ ზაურას ლოთობა ჯიშად მოსდგამდა, რომ მისი მამაპაპაც „ღვინომ გახეთქა მუცელზე", მაგრამ არ დაიშალა. უკვე 30 წლის იყო: სხვა ბედი რომ მქონოდა, აქამდე მომაგნებდა — ეს ყოფილა ჩემი ბედისწერა; სხვა თუ არაფერი, სიბერის იმედად შვილი მაინც გამიჩნდებაო!..

შვილი გაუჩნდა — გოგონა და ამისთვის ათასი მადლობა აღუვლინა უფალს, რომ ბიჭი არ იყო და ისიც წინაპრებივით არ გალოთდებოდა. მერე დატრიალდა და იმდენი იშრომა, ქალისა და კაცის საქმე სულ ერთნაირად აკეთა, ქმრის დახვედრებული ძველი ქოხის ადგილზე, ორსართულიანი სახლი წამოჭიმა, ახალი ავეჯით გაავსო და ყველა თავის კარგ ქალობაზე აალაპარაკა, მაგრამ რად გინდა — როგორც

მოვ, იმისი ღირსები აღარ ვართ, რომ მშვიდად ვიცხოვროთ და მომავლის არ გვეშინოდეს?!

ტასომ პატარა ბავშვივით გასტირა რძალს:

— თუ მართლა დედასავით გიყვარვარ, მე ვის იმედზე მტოვებ ამ დროულ ქალს, ან მომკალი, ან თან წამიყვანე!..

შეეცოდა ზაირას ტასო. სიკეთის და მოფერების მეტი არაფერი ახსოვდა მისგან. ადრე დაობლებულს აღარც ახსოვდა დედის სითბო-ალერსი და დედამთილმა გაახსენა.

— თუ გინდა, თან წამომყევი. გაუთხოვრად დაბერებულ დეიდაჩემთან ვაპირებ გადასახლებას. მოხუცდა ისიც, უჭირს მარტო ყოფნა. ვალდებულიც ვარ მივხედო. დედით დაობლებული, მის კალთაში გავიზარდე.

თქვენ გგონიათ, უარი უთხრა ტასომ? ნახევარ საათში გამოკრა ბოხჩად თავის ჩასაცმელ-დასახურავი და იმანაც მიატოვა ულირსი შვილი დაუნანებლად...

ზაურამ კი სცადა ცოლ-შვილისა

ქალაქში დიდი ხნის წინ გადასახლებულ კუკურაზე დააქორწინეს, რომელიც 5 წლის წინ დაქვრივებული იყო, შვილები უკვე დაექორწინებინა და მარტოობას შეეშინებინა...

მხოლოდ ერთი პირობა წაუყენა ზაირამ კუკურას:

— მარტო დეიდაჩემი კი არა, ჩემი დედამთილიც უნდა დააფასო და ზედმეტი სიტყვა არ აკადრო, თორემ იმ დღეს დამთავრდება ჩვენი ცოლქმრობა!..

— დედა კიდევ გამიგია „მზითევში", მაგრამ დედამთილი, კაცო?! — მხრები აიჩეჩა გაოგნებულმა კაცმა — თანაც, საკუთარი შვილი ჰყავს ცოცხალი, სიცოცხლეს გაგვიმწარებს, როცა ნახავს, რომ მისი რძლის გვერდით სხვა კაცს სძინავს...

— ტასო დედაა ჩემი და თუ შენც დედად არ მიიღებ, წადი და ბედი სხვაგან ეძებე! — ხმა გაიმკაცრა ზაირამ.

ფარ-ხმალი დაყარა კუკურამ — ცოტა ხანს იყვნენ ქალაქში ახალდაქორწინებულები, მერე ველარ გაძლო იქ ზაირამ, შრომას მიჩვეულს ყანა-ვენახი მოენატრა და კუკურაც „ჩამოიტყუა" სოფელში...

და დღემდე რცხვენია იმისი გამხელის, რომ ცოლის დედამთილთან ერთად ცხოვრობს. არადა, ტასომ თავისი კეთილშობილებით, კუკურასაც დიდი ხნის წინ დაკარგული დედა გაუცოცხლა თითქოს...

ზოგჯერ ერთად რომ წავლენ ვინმეს დაკრძალვაზე (აბა, ქორწილში ტასო და ზაირას დეიდა — ქეთო, კარგა ხანია აღარ დადიან) და კუკურა ნათესავებს და ნაცნობებს რომ გადააწყდება, ოფლში იწურება, როცა მათ თავისი ოჯახის წევრებს აცნობს: — ეს ჩემი ცოლია, ეს ცოლის დეიდა, ეს ცოლის... დედამთილი!..

— ცოლის დედამთილი თუ შენი სიდედრი?! — ეკითხებიან გაოცებულები და მერე კარგა ხანს ხითხითებენ: ასეთი რამ არსად გაგვიგონია...

ყველას გულში აგინებს კუკურა...



გითხარით, ლოთმა ქმარმა უსაშველო გაუჩინა... თავის ღვინოსა და არაყს ხომ ახალი წლის დადგომამდე ჩაისხამდა მუცელში ზაურა და მერე საყიდლად დაეძებდა. ფული კი სად ჰქონდა და ისევ ზაირას ჰპარავდა. თუ ფულს ვერ მიაგნებდა, სახლიდან რაიმე ღირებული გაჰქონდა გასაყიდად, კაპიკებში ყიდდა და მერე გატიალებული მთვრალი სახლს ძლივს აგნებდა...

ნათქვამია — ზღვა კოვზით დაილიაო, — და ზაირას მოთმინებასაც აღმოაჩნდა საზღვარი. ჩაალაგა ხის ძველ ჩემოდანში თავისი და ბავშვის ტანსაცმელი, მერე დედამთილს გადაეხვია ატირებული:

— რა ვქნა, დედასავით მიყვარხარ, მაგრამ შვილი მეზრდება და ასეთი მამის ხელში ან რას ისწავლის, ან ბედს ვინ აღირსებს?.. რასაც მე ვშრო-

და დედის დაბრუნება, მაგრამ მაგრად დაუხვდნენ ქალები, პოლიციაც ჩარიეს საქმეში და მათ მხარეს გახედვაც კი აუკრძალეს...

ზაირამ ახლა დეიდის ძველი ქოხის ადგილზე წამოჭიმა ახალი სახლი, ხვავითა და ბარაქით აავსო. მისი ქალობის სახელი მარტო სოფელს კი არა, რაიონსაც გასცდა და 45 წლის ასაკში იმდენი მთხოვნელი გაუჩნდა, 30 წლისას რომ არ ჰყოლია, თორემ ზაურას გვერდით წოლას როგორ იკადრებდა?!.

დეიდა კი არა, დედამთილიც შეუჩნდა:

— მთელი ცხოვრება შრომაში გაატარე. შენი გოგო სადაცაა გათხოვდება, ჩვენ უფალს მივაბარებთ სულს და მარტო, მომფერებლისა და ხმის გამცემის გარეშე რატომ უნდა დარჩე ეს სიცოცხლით სავსე ჯანიანი ქალი?..

მოკლედ, გადააწყვეტინეს და

*P.S. ისე, ასეთ ამბავს მართლაც მხოლოდ საქართველოში თუ გაიგონებს კაცი — სხვა, „დემოკრატიულ" ქვეყნებში, რომელთა წეს-ჩვეულებები ასე გავაფეტიშეთ ბოლო დროს, საკუთარ მშობლებსაც ხომ დაუნანებლად უკრავენ თავს მოხუცებულთა თავშესაფარში და ხშირად მათ დაკრძალვაზე მისვლითაც აღარ იწუხებენ თავს. მგონი, რაც კარგები ვართ, მართლა ქართველები ვართ!..*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რატომ გაურბიან კაცები ქორწინებას

## „უმუშევრობა, უფულობა, უბინაობა – აი, რის გამო მივატოვე საყვარელი ადამიანი"

**„ზოგჯერ შეყვარებული წყვილის ურთიერთობა მარაზმში გადადის. ჩემს შვილსა და მის შეყვარებულს 6 წელია, ერთმანეთი უყვართ, ყველგან ერთად დადიან, მაგრამ დაქორწინების სურვილი ან არ უჩნდებათ, ან ამას შეგნებულად გაურბიან — უფრო სწორად, ამ ნაბიჯის გადადგმისგან ჩემი სასიძო იკავებს თავს", — მომწერა ქალბატონმა, რომელიც საკუთარი ქალიშვილის ბედს დასტირის... რა არის მიზეზი იმისა, რომ კაცები ქორწინებას გაურბიან? — მიზეზი რიგ შემთხვევაში უფულობაა, რიგ შემთხვევაში კი ის, რომ ბიჭებს საკუთარ თავზე „ზედმეტი" პასუხისმგებლობის აღების შიში აქვთ, ოჯახის ტვირთი ძალიან მძიმედ ეჩვენებათ...**

*ლიკა ქაჯაია*

*იშვიათ შემთხვევაში, გათხოვებისგან გოგონებიც იკავებენ თავს. ზოგიერთი მათგანი ამბობს, — ჯერ დედობისთვის მზად არ ვარო; ჩემი შეყვარებული კარგი ბიჭია, მაგრამ როცა ქმარი გახდება, რაღაცებს ამიკრძალავს, მე კი თავისუფლებას ვერ დავკარგავო... მოკლედ, მიზეზს რა დალევს და მეც, ისეთი წყვილების ძებნას შევუდექი, რომელთა ქორწინებას არა მარტო მათი სამეგობრო, არამედ ნათესავები, ოჯახის წევრები წლების განმავლობაში, სულმოთქმელად ელიან...*

**ქალბატონი ციცინო,** *56 წლის:*

— ერთი გამაგებინეთ, ეს ახალგაზრდები რაზე ფიქრობთ? კაცო, ჩემი ქალიშვილი წლებია, ერთ წესიერ, არაჩვეულებრივ ბიჭს ხვდება, მაგრამ მათ ქორწინებას არა და არ დაადგა საშველი. შეიძლება ადამიანი 6 წელი გიყვარდეს და მასთან ერთად ცხოვრების სურვილი არ გქონდეს? მესმის, უმუშევარი რომ იყოს და მატერიალური პრობლემის ეშინოდეს, მაგრამ ორივენი მუშაობენ. ასეც რომ არ იყოს, ჩვენ, მშობლებსაც გვაქვს იმის საშუალება, რომ მათ პატარების აღზრდაში დავეხმაროთ, მაგრამ არა და არ დაგვაყენეს საშველი. მე და ჩემი ქმარი ისევე, როგორც ჩვენი სასიძოს მშობლები, დავიღალეთ მომავალ შვილიშვილებზე ფიქრით, ესენი კი დაგვცინიან, — დაბერება (თითქოს შვილიშვილები რომ არ გვყავს, ეს გვაახალგაზრდავებდეს) ასე რატომ გეჩქარებათო?!

— **თქვენი ქალიშვილი რამდენი წლისაა?**

— უკვე 23-ის გახდა, სასიძო კი 25-ისაა. ახლა არ მითხრათ, სად ეჩქარებაო? ხომ გაგიგონია, — ნაადრევი ყველაფერი კარგია, სიკვდილის გარდაო? ჰოდა, ეს სიტყვები მე კი არა, ვიღაც ბრძენმა კაცმა თქვა. ამქვეყნად ისედაც ცოტა ხანს ვცხოვრობთ და თუ არ ვიჩქარებთ, სიკვდილი ისე წამოგვეწევა, შეიძლება შთამომავლობაც ვერ დავტოვოთ. სასიძო მეხუმრება: შენს ქალიშვილს მანამ არ შევირთავ, ვიდრე თმაში ჭაღარა არ გაგიჩნდებათო. გამიჩინონ, ბატონო, ერთი პატარა და მერე ნახონ, თუ მომერიდება იმის თქმის, — ბებია ვარ-მეთქი. ეს ჩემი გატლეკილი ქალიშვილი ამბობს: სად მეჩქარება? ჯერ კარიერაზე უნდა ვიზრუნო და მერე გავთხოვდებიო. 56 წლის ქალი ვარ და არსად მიმუშავია, მაგრამ მიუხედავად ამისა, ცხოვრებაში არაფერი მოგვკლებია არც მე და არც ჩემს შვილებს. ოჯახი კაცმა უნდა არჩინოს!

— **მაგრამ მგონი, არაფერია ცუდი იმაში, თუ ქალიც იმუშავებს...**

— ოჯახში იმდენი საქმეა, რომ მატერიალური პრობლემა თუ არ გაქვს, სხვაგან მუშაობით თავი არ უნდა შეიწუხო.

— **ჰო, მაგრამ იმასაც ამბობენ: როცა სამსახურში მიდიხარ, თავს სხვანაირად უვლიო. ამაშიც ხომ არის რაღაც პლუსი?**

— კიდევ გიმეორებთ, არასდროს მიმუშავია, მაგრამ დღე არ გავა, მაკიაჟი რომ არ გავიკეთო... ახლა დავრწმუნდი, რომ შენც ჩემს გოგონას ჰგავხარ, მასავით აზროვნებ, ჰოდა, რა აზრი აქვს, ამ ყველაფერს რომ გიყვები? დარწმუნებული ვარ, ახლა მეტყვი: თქვენი ქალიშვილი მართალია, ჯერ კარიერა უნდა აიწყოსო. ვინც კარიერა აიწყო, იმან რა ხეირი ნახა? მერწმუნეთ, ოჯახზე უკეთესს ამქვეყნად ვერაფერს შექმნით და მშობლებს ბავშვებზე უკეთესს, ვერაფერს გვაჩუქებთ. ასე რომ, სანამ ცოცხლები ვართ, ჩვენზეც იფიქრეთ!



**ლაშა,** *19 წლის:*

— მე და ნინის ერთმანეთი პირველი კლასიდან გვიყვარს. 17 წლის ვიყავით, როცა დაქორწინება, უფრო სწორად, გაპარვა გადავწყვიტეთ, მაგრამ მშობლებმა ჩვენი განზრახვა შეიტყვეს და გეგმა ჩაგვიშალეს, ახლა კი ოჯახის შექმნის სურვილი თავად აღარ გვაქვს — ორივე უნივერსიტეტში ვსწავლობთ, სულ სხვა გეგმები გვაქვს, მშობლები კი გვეუბნებიან: დროა, ოჯახი შექმნათ, პარალელურად ისწავლეთ და კარიერაზეც იფიქრეთო. სამწუხაროდ, მათ ამ სურვილს ვერ ვუსრულებთ — უკვე დიდები ვართ და ვიცით, რასაც ნიშნავს სხვის ხარჯზე ცხოვრება, 2 წლის წინ კი ყველაფერს ვარდისფერი სათვალით ვუყურებდით. ვიდრე ოჯახის რჩენის თავი არ მექნება, მიუხედავად ჩემი და ნინის დიდი სურვილისა, ერთად ვერ ვიცხოვრებთ.

**კოტე,** *23 წლის:*

— 7 წელია, გოგო მიყვარს, მისი ცოლად მოყვანა კი ვერ გადამიწყვეტია და ესაა საქმე?

— **ამაში ვინმეს ადანაშაულებ?**

— მხოლოდ და მხოლოდ ხელისუფლებას! აბა, ვის დავაბრალო, სამსახური რომ ვერ ვიშოვე და ფულს ვერ ვშოულობ? მაინცდამაინც, უნდა მოვიპარო?.. კაცი, რომელსაც ოჯახის რჩენა არ შეუძლია, რა კაცია? მშობლების ხარჯზე ცხოვრების აწყობას კი არ ვაპირებ.

— **თუ მათ აქვთ იმის საშუალება, რომ ცხოვრების აწყობაში დაგეხმარონ, ამაზე უარი რატომ უნდა თქვა?**

— საქმე ისაა, რომ მხოლოდ მამა მუშაობს და მასაც „კაპიკებს" უხდიან. ჩვენ ძლივს გვარჩენს, თვიდან თვემდე თავი ძლივს გაგვაქვს და რძალიც რომ შევუყვანო ოჯახში, რა პონტია? სანამ საკუთარი შემოსავალი არ მექნება, საყვარელი ადამიანის გვერდით ცხოვრება არ მიწერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ია. ამას ძალიან გავიცდი.

— **სტუდენტი ხარ?**

— ეთო (ჩემი შეყვარებული) სტუდენტია, მე კი სწავლა ვერ გავაგრძელე; ცხადია, მატერიალური პრობლემის გამო. ჰოდა, წლების შემდეგ მან შეიძლება, ხელიც მკრას, — უსწავლელი კაცის გვერდით ვერ ვიცხოვრებო.

— **თუ უყვარხარ, არა მგონია, ამ მიზეზით გკრას ხელი...**

— მეც ამის იმედი მაქვს, მაგრამ ხომ იცი, ამ ცხოვრებისგან ყველაფერია მოსალოდნელი.

**ნიკა,** *21 წლის:*

— უმუშევრობა, უფულობა, უბინაობა — აი, რის გამო მივატოვე საყვარელი ადამიანი. მართალია, ლილე ჩემგან არაფერს მოითხოვდა, მაგრამ თავადვე მივხვდი, რომ მისი ღირსი არ ვიყავი და შევეშვი.

— **რას გულისხმობ?**

— მის დაქალებს შეყვარებულები რესტორნებში დაატარებდნენ, უამრავ საჩუქარს უკეთებდნენ, მე კი იმის ფულიც არ მქონდა, რომ კაფე-ბარში შემეყვანა და ყავა შემეთავაზებინა. ჰოდა, ჩემნაირი ადამიანის გვერდით ცოდვა იყო, დაიჩაგრებოდა.

— **ჩემი აზრით, ძალიან ცუდად მოიქეცი, როცა მიატოვე და შენი უაზრო ახირების გამო გული ატკინე.**

— შეიძლება ასეცაა... მართალია, ლილე არაფერს მეუბნებოდა, არასდროს მსაყვედურობდა, მაგრამ ვხვდებოდი, რომ რალაცების გამო გული სწყდებოდა. ერთხელ, დაბადების დღეზე თავადვე დამპატიჟა სახინკლეში, მე კი არ მივედი, რადგან თაიგულის საყიდელი ფულიც არ მქონდა. უფულო „ლოვე" მაგრად „ტეხავს", რა. იმედია, ლილე თავის სწორს იპოვის.

**ენძელა,** *16 წლის:*

— ჩემი და 26 წლისაა. უკვე 10 წელია, შეყვარებული ჰყავს, მაგრამ დაქორწინებაზე არც ფიქრობენ. ამ ყველაფრის გამო დედაჩემს გული უსკდება და სულ იმის შიში აქვს, — არიქა, მათ შორის რამე არ მოხდეს და მერე არ მიატოვოსო. მოკლედ, სანამ ქალს გულს არ გაუხეთქავენ, მანამდე ივლიან ასე უთავბოლოდ.

— **შენი აზრით, ოჯახის შექმნას რატომ გაურბიან?**

— ჩემს დას საქმრო არ ეუბნება, დავქორწინდეთო და თავად ხომ არ გამოიჩენს ინიციატივას? ისე, მის ადგილას შეყვარებულს ამას თავად შევთავაზებდი — ამაში „გასატეხი" არაფერია. ეტყობა, ეკასაც არ უნდა გათხოვება, თორემ ცოტათი მაინც იაქტიურებდა. ჩემი აზრით, მათ თავისუფლების დაკარგვა არ უნდათ და შეყვარებულობის პერიოდს ამიტომაც იხანგრძლივებენ, მაგრამ ყველაფერს ხომ აქვს დასასრული? დავიჯერო, ეს წინ და უკან უაზრო ხეტიალი არ მოჰბეზრდათ?.. 2 წელია, ბიჭი მიყვარს და უკვე ზუსტად ვიცი, სკოლას დავამთავრებთ თუ არა, ოჯახს შევქმნით. მიმაჩნია, რომ ქორწინების არავის უნდა შეეშინდეს. შვილების, ქმრის ყოლა ტვირთი კი არა, დიდი ბედნიერებაა, უდიდესი განძია.

## კაცებს ოჯახის შექმნის შიში აქვთ(?!)

N.G:

„აშკარაა, რომ კაცები ქორწინებაზე ფიქრსაც კი არიდებენ თავს. თუ გიყვარს და ყველაფერი კარგად ვითარდება, საბოლოო ნაბიჯი რატომ არ უნდა იყოს ქორწინება? იქნებ რალაც არ მესმის და ვინმემ ამიხსენით, რა".

Merrygoround:

„ახლა საშინელ რალაცაში გამოგიტყდებით — ეგ მეც მაშინებს (ახლა ამ ყველაფრის პირველ ღამესთან და „ოჩოპინტრეებთან" დაკავშირება არ დაიწყოთ!), ზედმეტი პასუხისმგებლობის პონტში, რა".

N.G:

„ჰო, მაგრამ ოდესმე მაინც ხომ უნდა შექმნა ოჯახი?"

**მალინა:**

„კაცებს ყველანაირი პრობლემა აშინებთ; ყველაფერზე წავლენ, ოღონდ კი პრობლემებს გვერდი აუარონ..."

TSICO_TSICO:

„ფუ, არ მევასება მშიშარა კაცები!"

FOREVER`S_NEVER:

„ჰო, ერთი ჩემი ნაცნობის სიტუაციაა ასე, ჰაერში გამოკიდებული. ფეხს ითრევს საქმრო, რომელსაც პირზე აკერია, — ქორწინება პიროვნული თავისუფლების დასასრულიაო. ჰოდა, ეს წყვილი უმიზნოდ დაეხეტება ხან ერთის და ხან — მეორის „მამულებში", მათი მშობლები კი შვილიშვილებზე ნატვრასა და ფიქრში ათენ-ალამებენ".

**გულივერი:**

„მინდა დაგარწმუნო, რომ ნამდვილ კაცს საყვარელ ქალზე ქორწინების არ ეშინია. შენ „პაცანა" ბიჭებს თუ გულისხმობ, ეს სხვა საქმეა".

forever`s_NEVER:

„სოლიდური სამსახური აქვს, სოლიდური შემოსავლით, მაგრამ მაინც, ფეხს ითრევს, არადა, ძალიან უყვარს. უკვე 30 წლისაა. თითქოს, პრობლემა არ უნდა ჰქონდეს, არა? არადა, აქვს — აღზრდას ვგულისხმობ. ამ ასაკამდე ისე მოვიდა, საკუთარი აზრის გამოთქმა არასოდეს დასჭირვებია. დედა, მამა, და, მსახური — მის ნაცვლად ყოველთვის ესენი იღებდნენ გადაწყვეტილებას; თუ პრობლემა ჰქონდა, ისინი ჭრიდნენ. დღესაც მიაჩნიათ, რომ ჯერ კიდევ პატარა ბიჭია და თავს დაჰფოფინებენ. მხოლოდ მათი დაჟინებული თხოვნითა და ინიციატივით მიიყვანა შინ საცოლე, ოჯახის წევრებს წარუდგინა. არჩევანი მოუწონეს, გოგო შეუქეს, ის კი მაინც ფეხს ითრევს..."

N.G:

„ჩემი მეზობელი მიყვებოდა (უკვე დიდი ქალია): ქორწინების წინა დღეებში ჩემი საქმრო მოვიდა და დამფრთხალი მეუბნება, — წუხელ საშინელი სიზმარი ვნახე და ნეტავ, რას უნდა ნიშნავდესო? ვკითხე: ასეთი რა ნახე-მეთქი? მიპასუხა, — ჩვენი ქორწილის თარიღი აქეთ გადმოწიესო... და ეს სიზმარი მისთვის საშინელება იყო".

**გულივერი:**

„თუ კაცი ცოლქმრულ სიყვარულს, ქორწინების საიდუმლოს, ბავშვების ყოლასა და სხვა ბედნიერ წუთებს შეგნებულად გაურბის, იგი კაცი კი არა, უბრალოდ მამრია..."

**თითა:**

„რა, ქორწინება ქართველ გოგონებს არ აშინებს? მაგრამ სხვა გზა არა აქვთ — ქორწინების გარეშე მათთვის მამაკაცთან ურთიერთობა ხომ აკრძალულია და სწორედ ამიტომაა, რომ ურთიერთობის შემდეგ თვალი „ზაქსზე" უჭირავთ. აბა, არ იყოს ასე და მერე ვნახავდით, ვინ იტყოდა უარს ქორწილზე".

SnowFlakes:

„შეყვარებულობის პერიოდმა რამდენი ხანი შეიძლება გასტანოს ქორწინების გარეშე? მესმის, რომ როცა გიყვარს, მას აუცილებლად დაელოდები, მაგრამ ქალებს მაინც ერთი სული გვაქვს, როდის დავადგამთ ჩვენს სიყვარულს გვირგვინს. რა, ასე არ არის?.. როდესაც წყვილი 2-3-4-5 წელი ერთადაა, მერე ან უქრება დაქორწინების სურვილი, ან უფრო უმძაფრდება... უ, რა ვიცი... P.S. მე გოგო ვარ და სულაც არ მაშინებს ოჯახის შექმნა. მერე რა, რომ არ ვიქნები მარჩენალი, ქორწინების შემდეგ ქალსაც ხომ ბევრი პასუხისმგებლობა ეკისრება, მაგრამ ჩვენ, სუსტი სქესის წარმომადგენლები რატომღაც, უფრო ხშირად ვრისკავთ; როდესაც გვიყვარს, ბევრს არ ვფიქრობთ, კაცები კი მაინც ყოყმანობენ. საშინელებაა იმ კაცთან ურთიერთობა, რომელსაც ეშინია, რომელიც საკუთარ თავში დარწმუნებული არ არის და გაიძა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხის: ჯერ სად მეჩქარება?! „ბალახი ძროხასთან არ მიდის“ — ეგეთი სიტუაციაა, რა“.

**შარლოტ:**

„იცით, რა მიკვირს? ზოგი ქალი საშინლად შემაწუხებელია, მაგრამ ეს მამაკაცებს სულაც არ აღიზიანებს. აი, მე მყავს დაკვირვების ობიექტი, რომელიც გათხოვილია და მშვენიერი ქმარი ჰყავს. მართლა კარგი ბიჭია. მას შეგიძლია, ნებისმიერ თემაზე თავისუფლად დაელაპარაკო, მაგრამ ეს გოგო თითქმის ვერაფერზე ესაუბრება, მხოლოდ ტვინს უჭამს. მიუხედავად ამისა, ბიჭი 5 წელი შეყვარებული იყო მასზე და უკვე რამდენიმე წელია, ცოლ-ქმარი არიან. თან, ქორწინების ამბავში ბიჭმა იაქტიურა, გოგო კი უკანასკნელ წუთამდე უარზე იყო. მოკლედ, ამ კაცს ოჯახის შექმნის არ შეშინებია, მაგრამ ჯობდა, შეშინებოდა... მოკლედ, დავრწმუნდი, ადამიანს ქორწინება თუ უნდა, შეყვარებულის უარყოფითი თვისება ვერ შეაშინებს. ალბათ, სხვა რაღაცების გამო უფრო იკავებენ თავს, მაგრამ კონკრეტულად რის გამო, ვერ გეტყვით. P.S. ისე, ჩემი დაკვირვების ობიექტი ყველას უყვარს და ვერც მე ვიტყვი, — ცუდი გოგოა-მეთქი, მაგრამ მაინც, საშინლად გამაღიზიანებელია, ქალური „წიკები“ სჭირს და მასთან ურთიერთობას ამის გამო ვერიდები“.

SONY:

„ასეთი ოჯახები უფრო მყარია — როცა კაცი ქალს სერიოზულად მოუსმენს, მაშინ იწყება „დარხევა“. ასე კიდევ, სათამაშოსავით ჰყავს და მთელი ცხოვრება ეფერება, რაც მასაც სიამოვნებს და ქალსაც...“

KILLER:

„ყველა კაცი ბავშვია და ეს ქალებმა მშვენივრად ვიცით. რაც შეეხება ქორწინებას, დღესავით ნათელია, რომ ეს ცხოვრების ახალი ეტაპია და ცხადია, ახალი წესები, ვალდებულებები გიჩნდება, გარკვეულწილად საკუთარი რაღაცების დათმობა გიწევს, ამისთვის კი ყველა — ქალიც და კაციც მზად უნდა იყოს“.

**ბაზა:**

„ერთი მომენტიცაა: შორიდან ზოგადი შეფასებების გაკეთება ადვილია, მაგრამ როცა რაღაც უშუალოდ შენ გეხება, ყველაფერი სხვაგვარადაა. ზოგჯერ ადამიანები საკუთარ თავსა და საქციელს ვერ ვაკონტროლებთ. პირადად მე, ხშირად გამიკეთებია ისეთი რამ, რაც სხვაში არ მომწონებია. როცა კაცი გიყვარს, ძალიან ძნელია ისე მოიქცე, რომ არ გააღიზიანო. ზოგადად ყველამ ვიცით, რა მოსწონს ჩვენს რჩეულს, მაგრამ ყოველთვის ყველაფრის გათვალისწინება რთულია“.

GILL BATES:

„კაცებს ქორწინება არ აშინებთ ისევე, როგორც ქალებს — გათხოვება. უბრალოდ, სანამ ადამიანი პიროვნებად არ ჩამოყალიბდება, მას ნებისმიერი პასუხისმგებლობის აღება უჭირს და ცხადია, შიშის გრძნობაც ეუფლება. თუ ადამიანი საკუთარ სიყვარულში დარწმუნებულია, დამიჯერეთ, მას აუცილებლად გაუჩნდება დაოჯახების სურვილი... სხვა ყველაფერი კი უბრალოდ, ჩამოუყალიბებელი ადამიანების მოგონილი აბდაუბდაა სხვა, ასევე ჩამოუყალიბებელი ადამიანებისთვის თავგზის ასარევად“.

**კარლოს:**

„ვის აშინებს ქორწინება?

ა) იმას, ვისაც შიმშილისა და უფულობის ეშინია. მატერიალური პრობლემა ხომ ბედნიერებისა და ოჯახის პირველი „მკვლელია“.

ბ) იმას, ვინც საკუთარ პიროვნულ სიძლიერესა და ენერგიაში, ცხოვრებისუნარიანობაში, გამოცდილებაში არ არის დარწმუნებული და გარისკვაც არ შეუძლია.

გ) იმას, ვინც 100%-ით მშობლებზეა დამოკიდებული.

ყოველ შემთხვევაში, ჯობს შიშის ქონა და არგარისკვა, ვიდრე გარისკვა და მერე — „გატეხილი“ გული, სული, დანგრეული ოჯახი და ა.შ. ეს პუნქტები შეიცვლება მაშინ, როდესაც საქართველოში ეკონომიკური ვითარება შეიცვლება, უმუშევართა რიცხვი შემცირდება. იმედია, ეს დროც მალე დადგება. მოკლედ, ყველაფერი მიშაზეა დამოკიდებული!“ ■

## „მიყვარს ადამიანი, რომელიც ჩემმა სიამაყემ დამაკარგვინა“

**ლიზი,** *15 წლის:*

„გამარჯობა. თქვენი ჟურნალის ერთგული მკითხველი ვარ. რჩევა მჭირდება და იმედია, მესიჯის მოწერას არ დაიზარებთ. მიყვარს ადამიანი, რომელიც ჩემმა სიამაყემ დამაკარგვინა. როცა ჩემგან წავიდა, მხოლოდ მაშინ მივხვდი, თუ როგორი ძვირფასი ყოფილა ის ჩემთვის. გთხოვთ, მირჩიეთ, როგორ მოვიქცე?“ ■

## „თავიც გადავიპარსე, მაგრამ ბიჭს ვერ დავემსგავსე...“

**ერეკლე,** *16 წლის:*

„სახელი ხომ მაქვს ძალიან კაცური, მაგრამ რომ შემომხედოთ, ვერ იტყვით, — ბიჭიაო. თმა როგორც უნდა ავიჩეჩო, თავიც რომ გადავიპარსო, მაინც ქალური გარეგნობა მაქვს... ერთხელ თავი მართლა გადავიპარსე და პირიც გავიპარსე იმ იმედით, რომ უხეში წვერი ამომივიდოდა. ჰოდა, ასე გაპარსულმა ქუჩაში რომ გავიარე, ვიღაც კაცებმა ჩემზე თქვეს: ნახე, რა ლამაზი გოგოა, მაგრამ ეტყობა, პატრონი არ ჰყავს (მშობლები გამილანძღეს), თორემ სახლიდან ასე ჩაცმულს როგორ გამოუშვებდნენ?.. ჩვენს დროს ქალისთვის თავი რომ გადაეპარსა, ეს სირცხვილად მიიჩნეოდა და მანდილოსანიც ტირილით თავს მოიკლავდა, ახლა კი ახალგაზრდები ყველაფერს აკეთებენ საიმისოდ, რომ ხალხის ყურადღება მიიქციონ და ამის გამო თავის დამახინჯებასაც არ ერიდებიანო. შეიძლება ჩემი პრობლემა თქვენთვის სასაცილო იყოს, მაგრამ პირადად მე ამ ყველაფერს ძალიან განვიცდი. მეგობრები მეუბნებიან, — შენს ადგილას ვიამაყებდით და მოდელადაც დავიწყებდით მუშაობასო, მე კი მხოლოდ იმაზე ვოცნებობ, რომ უხეში ნაკვთები მქონდეს... მთავარი პრობლემა ის გახლავთ, რომ შეყვარებულმაც ხელი მკრა: ჩემზე ლამაზი ბიჭი რად მინდაო? შენ გვერდით სირცხვილით ვერც გავივლი, აშკარად დამჩრდილავო. არადა, მერწმუნეთ, ისიც ძალიან ლამაზია!.. P.S. თუ იცით, კუზანოვი ან რომელიმე პლასტიკური ქირურგი ადამიანის სახის ნაკვთების დამახინჯებაზე წამსვლელია? რჩევისთვის წინასწარ გიხდით მადლობას“. ■

*P.S. მაშ ასე, თუ ლიზის და ერეკლეს წერილების წაკითხვის შემდეგ მათთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 5.58. 25.60.81. მათ თქვენი დახმარების იმედი აქვთ.*

ეროვნული ბიბლიოთეკა



# სამყარო

## გაუნელებელი შური და ღვარძლი ანუ „მტრების" „დამსახურებით" მიღწეული წარმატება

**ცნობილ დირიჟორს, ვახტანგ მაჭავარიანს 60 წელი შეუსრულდა. საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით ევროპაში მოღვაწე მუსიკოსი უკვე რამდენჯერმე ეწვია თბილისს და აქაურ ორკესტრებთან ერთად კლასიკური მუსიკის შედევრები, მამის, ალექსი მაჭავარიანისა და საკუთარი ნაწარმოებები შეასრულა. ყველაზე მნიშვნელოვანი გამოსვლა დირიჟორს 29 და 30 ნოემბერს, ამერიკაში მოღვაწე პიანისტთან, ლექსო თორაძესთან ერთად ჰქონდა, რომელიც ნიუ-იორკიდან ფონდ „ივანანას" მიერ გამართულ საქველმოქმედო საღამოში მონაწილეობისთვის საგანგებოდ ჩამოფრინდა.**

*ნატა კობიძე*

**— ბატონო ვახტანგ, სამშობლოში ხშირად ჩამოდიხართ?**

— წელიწადში ორჯერ მაინც. ბოლოს აქ კონცერტი ნოემბრის დასაწყისში გავმართე, თურქ პიანისტ — ზეინეფ უჩბაშარანთან ერთად.




**— საქართველოდან რამდენი წლის წინ წახვედით?**

— ათეული წლების წინ, როგორც კი კონსერვატორია დავამთავრე, რადგან უდიდესი ძალები მებრძოდნენ. არ მსურს მათზე საუბარი, რადგან ის ხალხი უკვე გარდაცვლილია. საქმის კეთება მსურდა და აქ ამის საშუალებას არავინ მომცემდა. მგონია, რომ წინააღმდეგობა რომ არ გაეწიათ, მაინც წავიდოდი. ასე რომ, მადლობელი ვარ „ჩემი მტრების", რადგან სწორედ მათი წყალობით მოვხვდი მარიას თეატრში, როგორც დირიჟორი და დიდ მსოფლიო არენაზეც გავედი. მარიას თეატრმა „გამტყორცნა" პარიზში, ლონდონსა და სხვა დიდ ქალაქებში. პეტერბურგში მუდმივად ტრიალებენ დასავლელი იმპრესარიოები. სწორედ მათ მიმიწვიეს 5 წლით შოტლანდიური ოპერის თეატრში, მთავარი დირიჟორის თანამდებობაზე.

**— ცოტა ხნის წინ 60 წელი შეგისრულდათ. როგორ აღნიშნეთ იუბილე?**

— ამ თარიღთან დაკავშირებით კონცერტების სერია მქონდა თბილისში. ერთ-ერთ კონცერტში ჩემი ვაჟი, პატარა ალექსი მაჭავარიანიც მონაწილეობდა. 9 აპრილს კი ნიჭიერ ახალგაზრდა მევიოლინეს, ზვიად გამსახურდიას ვუდირიჟორე.

**— საკუთარი ნაწარმოებები ახსენეთ. დიდი ხანია, მუსიკას წერთ?**



— დიახ, უკვე ორი დამოუკიდებელი ნაწარმოების ავტორი ვარ: „საფორტეპიანო კონცერტინოსი", რომელიც ცოტა ხნის წინ ბრწყინვალედ დაუკრა თამარ ლიჩელმა და სიმფონიური სურათის — „ნაცარქექია". ის ორჯერ შესრულდა თბილისში. დავასრულე მამის ოპერა — „მედეას" პირველი მოქმედების ბოლო სცენა, რომელიც მამამ ფინალამდე რატომღაც არ მიიყვანა და მიზეზი დღემდე გამოცანად რჩება ჩემთვის. სხვათა შორის, მუსიკას ჩემი ვაჟიც წერს.

**— თქვენი ვაჟი მამისა და ბაბუის კვალს მისდევს?**

— არა მხოლოდ მუსიკის განხრით. მამაჩემს ბრწყინვალე მონაცემები ჰქონდა სპორტში, კარგი ტანმოვარჯიშე იყო და ხუთჭიდშიც მონაწილეობდა. პატარა ალექსანდრესაც უყვარს სპორტი და ცხენოსნობას მისდევს, დიდი წარმატებით.

**— მომავალი მეუღლე სად გაიცანით?**

— პარიზში, 1989 წლის ბო-

ლოს. ამ დროს უცხოეთში წასვლა შედარებით გაიოლებული გახლდათ. ჩემმა ავის მსურველებმა იმდენი ქნეს, რომ სამი წლით „ნივიეზდნოი“ გამხადეს. მხოლოდ მარიას თეატრის დახმარებით მოვახერხე საზღვარგარეთ გასვლა. ვინაიდან უცხოეთში ცხოვრება ხანგრძლივად მომიწევდა, შუაგულ პარიზში არაჩვეულებრივი სახლი ვიქირავე. სწორედ იქ გავიცანი ალექსანდრა. მანამდე კი შვიდწლიანი რომანი მქონდა გერმანელ მუსიკოს ქალთან, რომლის არსებობამ ჩემი პარიზში დაფუძნება განაპირობა. ჩვენი რომანი 1996 წელს დასასრულს მიუახლოვდა და სწორედ მაშინ გამოჩნდა ალექსანდრა ფონვენგერსკი. ორი წლის შემდეგ შევუღლდით. ის პროფესიით დიზაინერი, ჟივანშის სახლის მმართველის მარჯვენა ხელი გახლავთ. ერთმანეთს უახლოესი მეგობრის, ბირთვული ენერგიის ცნობილი მეცნიერის, რაინერ ფლორიხის ოჯახში შევხვდით, რომლის მამაც აინშტაინის მოწაფე იყო. დანახვისთანავე მოვიხიბლე მისით. თავიდან პარიზში ვცხოვრობდით, შემდეგ კი ვაჟი შეგვეძინა და ბელგიაში გადავსახლდით.

— **როგორი მამა ხართ?**

— მგონი კარგი, მაგრამ იმდენს ვმოგზაურობ, რომ ჩემი შვილისთვის ცოტა დრო მრჩება. ბელგიაში ცხოვრება იმიტომ გადავწყვიტე, რომ მისთვის მეტი ყურადღება დამეთმო. აქტიურად ვთანამშრომლობ იქაურ ნაციონალურ სიმფონიურ ორკესტრთან. ალექსი ბელგიის სკოლაში მივაბარეთ და კარგ განათლებას ვაძლევთ. ქართული ენა მან და ჩემმა მეუღლემ თბილისში ხანმოკლე ცხოვრების პერიოდში შეისწავლეს რეპეტიტორთან, რომელიც სპეციალურად დავუქირავე. ალექსის ძალიან მოსწონს ყველაფერი ქართული, განსაკუთრებით — კერძები, რომლითაც დედამისი გვანებივრებს. ალექსანდრა ისეთ გემრიელ ხაჭაპურს აცხობს, თითებს ჩაიკვნეტთ.

— **თქვენს ვაჟს მუსიკოსობა სურს?**

— ეს მომავლის საკითხია, მის პროფესიულ არჩევანში არავითარ შემთხვევაში არ ჩავერევი. საქართველოს ისტორია გამორჩეულად იზიდავს, ქართველი მეფეების პორტრეტები კი საწოლის თავთან უკიდია. თითქმის ყოველთვის ქართულად ვსაუბრობთ. დემოკრატია ჩემი არსებობის ძირითადი პრინციპია. ამიტომ ვცდილობ, მასზე ზემოქმედება არ მოვახდინო, მით უმეტეს — პროფესიის არჩევაში. თავის დროზე ჩემი მშობლებიც ასე მომექცნენ, მაგრამ მე მაინც მამის კვალს გავყევი...

— **რას ნიშნავს ალექსი მაჭავარიანის შვილობა?**

— უდიდეს პასუხისმგებლობას და აგრეთვე — სიამაყის საფუძველიცაა. მე და მამა ყველაფერთან ერთად დიდი მეგობრებიც ვიყავით...

— **ვახტანგ ჭაბუკიანს ხომ არ გაიხსენებდით, რომელიც სწორედ ალექსი მაჭავარიანის ბალეტმა უკვდავყო?**

— მამა და ბატონი ვახტანგი მეგობრები იყვნენ. ის არაჩვეულებრივი ადამიანი გახლდათ, ხშირად გვსტუმრობდა როგორც თბილისში, ისე — წყნეთში, სადაც მეზობლად ვცხოვრობდით. განსაკუთრებით უყვარდა ცხოველები — უამრავი ძაღლი და კატა ჰყავდა. თუ მამას ინტერვიუებს გადახედავთ, მიხვდებით, რომ ის დიდ მსოფლიო ლიტერატურას ბავშვობიდან ეზიარა. მამა პირველი ქართველი კომპოზიტორი იყო, ვინც შექსპირთან შეჭიდება გაბედა. საბედნიეროდ, ბალეტი „ოტელო“ ძალზე წარმატებული აღმოჩნდა და



„ოტელო“ ძალზე წარმატებული აღმოჩნდა და დღემდე აქტიურად იდგმება მსოფლიოს ცნობილ სცენებზე

დღემდე აქტიურად იდგმება მსოფლიოს ცნობილ სცენებზე.

— **ამ ბალეტის პრემიერას ხომ არ გაიხსენებდით?**

— მაშინ ექვსი წლის ვიყავი. სამწუხაროდ, პირველ პრემიერაზე ვერ მოვხვდი ავადმყოფობის გამო, მაგრამ კარგად მახსოვს ის ეიფორია, რაც ჩვენს ოჯახში ტრიალებდა. წლების შემდეგ „ოტელო“ მარიას თეატრის ორკესტრთან ჩავწერე. სხვათა შორის, პოსტსაბჭოთა სივრცეში მხოლოდ სამმა კომპოზიტორმა მიიღო ლა სკალას ოქროს მედალი: პირველი მათგანი პროკოფიევს ერგო „რომეო და ჯულიეტასთვის“ გარდაცვალების შემდეგ, მეორე შოსტაკოვიჩს — „ლედი მაკბეტისთვის“ და მესამეც მამას, ბალეტ „ოტელოსთვის“.

— **ალექსი მაჭავარიანის წარმატება მხოლოდ „ოტელოს“ ხომ არ უკავშირდება...**

— არა, მამას პირველი დიდი წარმატება საფორტეპიანო კონცერტმა მოუტანა, რომელიც არაერთმა ბრწყინვალე პიანისტმა შეასრულა ევროპისა და რუსეთის სცენებზე. შემდეგ იყო მისი პირველი სიმფონია, მხატვრული დონით შოსტაკოვიჩის მე-5 სიმფონიას რომ ადარებენ და სავიოლინო კონცერ-

## არასდროს განელებულა შური და ღვარძლი მის მიმართ. მავანნი დაუსრულებლად სისინებდნენ მამის გარშემო



მამაჩემს ბრწყინვალე მონაცემები ჰქონდა სპორტში, კარგი ტანმოვარჯიშე იყო

ტი, რომლიც ისეთმა დიდმა მუსიკოსებმა შეასრულეს, როგორებიც დევიდ ოისტრახი და ისაკ სტერნი არიან. როგორ ფიქრობთ, მამის ქართველ თანამედროვეებს გაუხარდებოდათ მისი ესოდენი წარმატება? ამიტომ არასდროს განელებულა შური და ღვარძლი მის მიმართ. მავანნი დაუსრულებლად



მეუღლესთან და შვილთან ერთად

სისინებდნენ მამის გარშემო და მისი რეპუტაციის შელახვას ამაოდ ცდილობდნენ. იმდროინდელ „ნიუ-იორკ თაიმსს“, „ფიგაროსა“ და „ფრანც მიუზიკს“ რომ გადაავლოთ თვალი, მიხვდებით, რაოდენ დიდ შეფასებას აძლევდნენ ალექსი მაჭავარიანს საზღვარგარეთ, აქ კი სულ ჰკბენდნენ.

— **საქართველოში არაფერი შეცვლილა თქვენი წასვლის შემდეგ?**

— ასე ვერ ვიტყვი, მაგრამ ბევრი რამ ძველებურად დარჩა. საქართველო რეალურად დამოუკიდებელი ქვეყანა გახდა და მიუხედავად უზარმაზარი დანაკარგებისა, ეს უკვე დიდი ბედნიერებაა. მოგეხსენებათ, ცხოვრების საუკეთესო წლები რუსეთში გავატარე, 2008 წლის მოვლენებმა კი ბევრი რამ შეცვალა. იმ დროს რუსეთის დიდი სიმფონიური ორკესტრის, „მილენიუმის“ სამხატვრო ხელმძღვანელი გახლდით და იძულებული გავხდი, იქაურობა დამეტოვებინა. ევროპაში ხშირად ვხვდები რუს კოლეგებს, რომლებიც ძალიან კეთილგანწყობილნი არიან ჩვენ მიმართ, მაგრამ მცირედი დაძაბულობა მაინც არსებობს. ეს შეცდომაა, რადგან კულტურის მოღვაწეები არ უნდა ერეოდნენ პოლიტიკაში.

— **ვინ გხვდებათ თბილისში, როდესაც ბრუნდებით?**

— დედა და მამა აღარ არიან, მაგრამ თბილისში რომ ჩამოვდივარ, უამრავი ნათესავი და მეგობარი მხვდება. ისინი ძალიან მენატრებიან, თუმცა ევროპაშიც დიდი სამეგობრო მყავს. ჩემს მეუღლეს ძალიან დიდი და თბილი ოჯახი აქვს — ექვსი და-ძმა არიან, ხშირად ვსტუმრობთ ერთმანეთს. ასევე მყავს მეგობრები პარიზში, შვეიცარიაში, გერმანიასა და ლონდონში. თბილისში რომ ჩამოვდივარ, მიხარია, რადგან წიგნის წერას განვაგრძობ, რომელსაც ჰქვია: „ადამიანი დაკლაკნილი გზით, შავი ხვრელისკენ“. ეს შავი ხვრელი კოსმოსური კი არა, ჩვენში არსებული ხვრელია, რომელშიც ნებისმიერ დროს შეიძლება ჩავვარდეთ... ■

დედა და მამა აღარ არიან, მაგრამ თბილისში რომ ჩამოვდივარ, უამრავი ნათესავი და მეგობარი მხვდება



## ირმა ხარშილაძე

*„ცოფს ყრიან კომუნისტები,/ სისხლით ველარა ძღებიან./ მიწაზე ხალხი გაწყვიტეს,/ ცაში ღმერთს ემუქრებიან/ და მეც ამ სევდის ნახვაზე გულს ცეცხლი წამკიდებია./ ვხედავ რომ დღენი სიცოცხლის უსიამოვნოდ ქრებიან...“ — ამ სტრიქონების დამწერი ზოგიერთისთვის თურმე გმირი იყო, ზოგიერთისთვის — მკვლელი, ყაჩაღი, მის ლექსებსა და ლეგენდად ქცეულ ამბებს კი დღესაც მოისმენთ ფშავის სოფლებში. გოგია ჭიჭოშვილი თიანეთის რაიონის სოფელ ლიშოდან ყოფილა. უმაღლესი პედაგოგიური განათლება თბილისში მიუღია, მერე კი მშობლიურ რაიონს დაჰბრუნებია და რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლადაც უმუშავია. 1939 წელს ჯარში გამოუძახებიათ, მაგრამ უარი უთქვამს, — ამ ომში წამსვლელი არ ვარ. ეს რუსების დამპყრობლური ომია თავისუფალი ხალხის წინააღმდეგო, — და ტყეში გასულა. გაყაჩაღებულს მცირერიცხოვან რაზმთან ერთად 10 წლის განმავლობაში კომუნისტებისთვის მოსვენება დაუკარგვინებია. 1948 წელს კი ძალიან ახალგაზრდა, 29 წლისა, ღალატით მოუკლავთ. ხელისუფლებას თიანეთის მილიციის ეზოში დაუმარხინებია პატიმრებისთვის ისე, რომ მისი ადგილსამყოფელი არავის სცოდნოდა და მისი ხსოვნაც საბოლოოდ ჩაეკლათ და მოესპოთ.*

*პოეტი მიხეილ ლანიშაშვილი და პროფესორი ტრისტან მახაური დიდი ხნის წინ დაინტერესებულან გოგია ჭიჭოშვილის პიროვნებით. ექსპედიციებიც მოუწყვიათ და მასალებიც შეუგროვებიათ, შემდეგ ყველაფერს ერთ პატარა წიგნში მოუყარეს თავი, „გოგია ჭიჭოშვილის ეპოსი“ უწოდეს და რამდენიმე დღის წინ წარუდგინეს კიდეც საზოგადოებას. ტრისტანს მიაჩნდა, რომ ამ კაცის პოეზია ღია ცის ქვეშ გაბნეულ-გაფანტული არ უნდა დაგვეტოვებინაო, — ამბობს მიხეილ ლანიშაშვილი და თხრობას განაგრძობს:*

— ილტოს ხეობიდან ვარ და ბავშვობაში არაერთხელ მსმენია სოფელში ჩონგურზე დამღერებული ლექსი: „ილტოვ, ცრემლებად ნადენო,/ სადრა-რა მიიჩქარია,/ თუ ბარი მოგწონ, ტიალო,/ მთებიც ხო შენი მხარია./ წაილე ჩვენი ამბავი,/ ალხაზოვს ჩაუტანია,/ აჰყაროს შავი რაზმები,/ ჭულახევს მეომარია./ აქით არავინ წავიდეს/ ამ ამბის

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფშაველი პოეტის, გოგია ჭიჭოშვილის გმირობისა და ყაჩაღობის ამბავი



გოგია ჭიჭოშვილი

ჩამამტანია...“ — მის ავტორად ხალხი გოგია ჭიჭოშვილს ასახელებდა, კარგ და შეუპოვარ ვაჟკაცად, ლამაზი ლექსების ავტორად და ნიჭიერ მხატვრად მოიხსენიებდა.

**ტრისტან მახაური:**

— მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა ხელისუფლება გოგიას სახელის ხსენებას 1941 წლიდან კრძალავდა, მის ლექსებზე შექმნილ სიმღერებს მაინც მღეროდნენ ქორწილებში, დღეობებში, სხვადასხვა თავყრილობაზე: „ჭიჭოშვილ გოგიაი ვარ,/ სოფელ ლიშოში მდგარია,/ ძმა-ბიჭის მოსიყვარულე,/ მეზობლის უწყინარია,/ გვერდით მყავს ბარის ლომები,/ დისწული-დედიძმანია,/ მეოთხე გვტანავ თომაი,/ ქორშევარდენი ჩქარია,/ მიზანში სწორად მსროლელი,/ ბიჭია ნაფრონტალია...“ ლექსებიდან და ხალხური წყაროებიდან ირკვევა, რომ მისი რაზმის წევრები არიან: თომა — გოგიას ბიძაშვილი, ივრისხეობელი, გერმანიაში „ნაფრონტალი“ ახალგაზრდა, რომელიც დაჭრილი ჩამოვიდა ლიშოში; დედის ძმა ტოტიკო უნაფქოშვილი, ნასაბჭოსთავმჯდომარევი მოხუცი კაცი საგარეჯოს რაიონის სოფელ პატარძეულიდან და ახალგაზრდა დისშვილი მიტო პატარძეულიდან. როგორც ჩანს, ჭიჭოშვილის წინააღმდეგობის რაზმში სხვადასხვა დროს ყოფილან ივრისხეობელი ფშაველი პავლე თუშიშვილი, ხევსური სანდრო ჩაჩაურაშვილი და ვინმე იუდაის შვილი, ლაფანყურელი ფშაველი. პირველი მალევე მოუკლავს ხელისუფლებას, მეორე — მოგვიანებით, მესამე კი ან ჩამოშორდა რაზმს, ან მოკლეს.

**მიხეილ ღანიშაშვილი:**

— 10 წლის განმავლობაში იარსება გოგიას რაზმმა და მხოლოდ მეათე წელს მოახერხა ხელისუფლებამ მისი განადგურება. ცნობილია, რომ ოთხეული ხშირად იცვლიდა ადგილმდებარეობას: ხან ივრის ხეობაში იყვნენ, ხან ილტოს, არაგვის და ლოპოტის, ხან ალაზნის ველზე და ფშავისა და თუშეთის მთებში, პანკისიც მოუვლიათ, შირაქიც, ჭარ-ბელაქანიც და დაღესტანიც. როგორც ჩანს, თანამგრძნობი და სანდო ხალხი ყველგან ჰყავდათ, თორემ ამდენ ხანს ვერაფრით გაძლებდნენ. ამბობენ, გოგიას თავისი აგენტურა შინსახკომის ადგილობრივ განყოფილებებშიც კი ჰყავდაო.

**ტრისტან მახაური:**

— ისინი ხელისუფლებას უპირისპირდებოდნენ და მოსახლეობას არაფერს უშავებდნენ. პარტიზანული რაზმები დევნიდნენ თურმე და თუ ვინმე მოუკლავთ, მხოლოდ დევნის დროს. შეტაკებები, ძირითადად, თიანეთის რაიონში ხდებოდა. უბრალო ხალხს უყვარდა გოგია ჭიჭოშვილი. თავშესაფარს სთავაზობდნენ, სურსათ-სანოვაგეს უგზავნიდნენ და მოსალოდნელი საფრთხის შესახებაც ატყობინებდნენ. თიანეთის რაიონის მილიციის უფროს ლაცაბიძეს მისი შეპყრობა რომ განუზრახავს, გოგიას ლექსი გაუგზავნია მისთვის: „თიანეთს, ლაცაბიძეო,/ მარჯვენამც დაგმიწებია,/ ლიშოში ჩემი დაჭერა/ ტყუილად დაგიკვეხია./ ვისაც ჩემ სიკვდილს ავალებ,/ ჩემი ძმები და დებია,/ მოვლენ და მამახარებენ,/ რასაც შენ შაგპირდებიან“. გოგიას რაზმი შინ არასდროს მივარდნია ვინმეს, შინსახკომელებსაც კი. გოგია ყოველთვის ელოდებოდა ამა თუ იმ კაცის გარეთ გამოსვლას, ანგარიში რომ გაესწორებინა. გოგია ჭიჭოშვილის სახელის ხსენება კომუნისტების დროს კი იკრძალებოდა, მაგრამ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ რამდენჯერმე გამოჩნდა პრესაში. პირველად მის შესახებ თამამად ედიშერ გიორგაძემ დაწერა ბროშურაში „ლექსი და ცხოვრება მიხა ხელაშვილისა“ და აღნიშნა, რომ სწორედ გოგიამ აიღო მიხა ხელაშვილის სისხლი — მისი მკვლელი ლუკა მარცვალაშვილი მოკლა. ამის შემდეგ გოგია ჭიჭოშვილის სახელი ახსენა აწ გარდაცვლილმა მწერალმა ვალერიან ჩეკურიშვილმა. მან „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოაქვეყნა მოთხრობა ქისტების ცხოვრებაზე და იქ ერთი ასეთი ეპიზოდი ჩართო: გოგია ჭიჭოშვილი შევიდა ახმეტის სასადილოში. იქ ისხდნენ მუსიკოსები, დამკვრელები და შეუკვეთა, — აბა, თუ იცით ჭიჭოშვილის რომელიმე ამღერებული ლექსიო. ამათ უთხრეს, როგორ არაო. მიაწოდა ფული გოგიამ, აბა, ეს ლექსი იმღერეთო. დაიწყეს სიმღერა და ამ დროს შევიდა სასადილოში ახმეტის შინსახკომის უფროსი რუბენ ალხაზოვი, მოისმინა სიმღერა და დაუტია მეგარმონეებს, ჩააჩუმა, — რას მღერითო? — რა ვიცი, უფროსო, შეგვიკვეთესო. გოგიასა და მის მეგობრებს დაუძახიათ, — მწყემსები



წიგნის პრეზენტაცია

ვართ, დაღლილები შემოვედით, სიმღერის მოსმენა გვინდოდა და, რა მოხდება, დაამთავრებინეთო. — თქვენცა მყევიხართ ჩოლოყაშვილებიო, — მიუგია ალხაზოვს. ცოტა ხანში სასადილოს ერთ-ერთ თანამშრომელს გაუხმია ალხაზოვი და რაღაც უჩურჩულია. გოგია და მი-

სი მეგობრები მიხვდნენ, რომ ვიღაცამ იცნო, საშიშროება იგრძნეს და მშვიდობიანად გაეცალნენ იქა-




ურობას. ეს კაცი ხშირად ჩნდებოდა ნილბით შუაგულ ახმეტაში, თიანეთში, დუშეთში, დედოფლისწყაროში. არსებობს გადმოცემები, როდესაც ერთხელ ერთ ოჯახში სტუმრად მყოფ მის რაზმს პარტიზანებმა ალყა შემოარტყეს და ბრძოლა გაუმართეს, გოგიამ გადაიცვა ქალის ტანსაცმელი, მოიბურა თავშლით, აილო პატარა კუნძი, ჩვრებში გაახვია და „ნანა, შვილოთი“ გამოვიდა გარეთ. — უი, ქალს არ ესროლოთო, — დაუწყიათ პარტიზანებს, ამასობაში გოგია მიხვეულ-მოხვეულებით სამშვიდობოს გასულა და თავიც გადაურჩენია. ასეთი არტისტული ნიჭიც ჰქონია და ბევრჯერაც დაუხსნია თავი.

**მიხეილ ღანიშაშვილი:**

— გოგია პოპულარული იყო მთიელებში და მისდამი სიყვარულს დიდი მამულიშვილისა და უნიჭიერესი პოეტის, მიხა ხელაშვილის მკვლელობაში გარეული, ჩარგლელ ლუკა მარცვალაშვილზე შურისძიება კიდევ უფრო აძლიერებდა. გოგია კარგა ხანს ცდილობდა ლუკას ხელში ჩაგდებას. ბოლოს შირაქში, ტარიბანაში ყოფნისას წააწყდა და სიცოცხლესაც გამოასალმა.

**ტრისტან მახაური:**

— გოგია იმხანად შირაქს აფარებდა თავს. ხელისუფლებამ ეს გაიგო და მწყემსები შეაიარაღა. ჯილდოსაც კი დაჰპირდა მისი სიკვდილისთვის. შირაქში გაჩნდა ლუკა მარცვალაშვილიც, — იმედოვნებდა, ხელაშვილის მკვლელობიდან 20 წლის შემდეგ ჭიჭოშვილსაც მოუღებდა ბოლოს, მაგრამ მეგობარ მწყემსებს უკვე გაფრთხილებული ჰყავდათ გოგია. ისიც მარცვალაშვილს გზაზე ჩაუსაფრდა და მიახლოებულს გადმოუხტა, — შენ მოკალი ხელაშ?ილიო? იმანაც უნებლ?თ დაუდასტურა დ?ფსაც წაეტანა, მაგ?ოგიამ დაასწრო ?ა სული გააფრთხო?ნა. მერე მწყემსების ბინაში ჩავიდა და უთხრა, — ტყეში ღორი მოვკალი, წადით და გაათრიეთო.

**მიხეილ ღანიშაშვილი:**

— „ორ კვირასაო სუყრანტალი იდგაო... მერე ძვლები აკრიფეს, მგონი, მაღაროსკარელებმა და ვილაცებმაო“, — უთქვამს ლოშოელ ნუკრი ჭიჭოშვილს. როდესაც მიხა ხელაშვილი მოკლეს, ორი თვე ეგდო მისი ცხედარი, იხრწნებოდა და დაკრძალვის უფლებას არავის აძლევდნენ. ჭიჭოშვილმაც, ფაქტობრივად, სამაგიერო გადაუხადა მარცვალაშვილს მიხას მკვლელობისთვის და ისევე მოექ-

## – 10 წლის განმავლობაში იარსება გოგიას რაზმმა და მხოლოდ მეათე წელს მოახერხა ხელისუფლებამ მისი განადგურება

ცა, როგორც თვითონ მოექცნენ მიხას. შურისძიებას გამართლება კი არ აქვს, მაგრამ...

**ერეკლე საღლიანი,** *პოეტი:*

— ბოლშევიკებმა ადამიანს არჩევანი არ დაუტოვეს: ან უნდა შეჰგუებოდა იმ საშინელებას, ქედი მოეხარა ყველაფრის წინაშე, ან რაღაც ფორმით გაეპროტესტებინა. გამოხატვის მრავალი გზა არსებობდა და ერთ-ერთი იყო გოგიას გზა — დაპირისპირება ვეებერთელა თვითმპყრობელურ აპარატთან. ერთი კაცი იბრძოდა და მისი ცხოვრების ყოველი დღე ბეწვის ხიდზე სიარული იყო. არსენა ოძელაშვილის სიტყვები ხომ გახსოვთ: „7 წელი ყაჩაღად ვარ, კაცის ცოდვა არ მაძევსაო“, — გოგიას ამის საშუალებაც არ მიეცა. გარემო არ აძლევდა სხვაგვარი მოქცევის საშუალებას. თუნდაც დიდი მიხა ხელაშვილი როგორ მოკლეს! კავკასიური ეთიკის მატარებელი კაცი, მტერიც რომ ყოფილიყო, ასე ვერ მოკლავდა. სტუმრად მყოფ, შენთან ერთად ნაქეიფარ მძინარე კაცს რომ ტყვიას დაახლი, აი ეგ არის ჩვენთვის სიკვდილი და არა ის, რომ ვიღაც ვიღაცის დავალებას ასრულებს. გოგია ჭიჭოშვილმაც აღასრულა ის, რაც უნდა აღსრულებულიყო. ეს კაცი იყო მახვილი მესიისა, უფლისგან ამ ქვეყანაზე გამოგზავნილი. რა თქმა უნდა, უფალს ბოლომდე უნდა მივენდოთ, მაგრამ როდესაც ადამიანის გარყვნა და გახრწნა სწრაფად ხდება, თვალის დახამხამების საშუალება რომ აღარ გაქვს, ხანდახან ცოდვაც კი უნდა იტვირთო: „სისხლი, სისხლი და სიავე!/ — დრო არის აჩქარებისა!“, — უთქვამს გოგიას. მეც მიმაჩნია, ამ დროს ცოდვის აღება უფრო დიდი ვაჟკაცობაა, უფლის წინაშე ნაკლები დანაშაულია, ვიდრე შეგუება იმ უზნეობასთან, ამ კაცის ირგვლივ რომ მძვინვარებდა. დღეს ვინმემ, პარკეტის სუნით გაჟღენთილმა მელექსემ რომ თქვას, „მე ჭიჭოშვილი როდი ვარ, შვილი ვარ მყინვარებისაო“, სიცილით მოვკვდები იმიტომ, რომ სიტყვებს მიღმა უკვე იქნება ის კაცი, რომელსაც ხეირიანად მთაც კი არ უნახავს. გოგიამ ღია ცის ქვეშ გაატარა ცხოვრების ნახევარი, იცოდა, რა იყო მთების შვილობა, კაცობა, ყოველი გასროლილი ტყვიის ფასი: „ბევრ თქვენგანს ავალოკინებ ჩემი „ტურენცკის“ ტყვიასაო“. პირდაპირი კაცი იყო, ღიად, დაუფარავად უპირისპირდებოდა ხელისუფლებას. გარკვეულწილად, დიდი ალექსანდრე ყაზბეგის სულიერ მემკვიდრედაც მესახება გოგია ჭიჭოშვილი იმიტომ, რომ ყაზბეგიც მარტო იყო იმ ბრძოლაში. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ ყაზბეგი კალმით იბრძოდა, ეს — იარაღით... გოგია ჭიჭოშვილის სახელის წარმოჩენა ძალიან მნიშვნელოვნად მიმაჩნია, რადგან მჯერა, სწორედ მისმა და მისნაირების ეთიკამ უნდა იხსნას ჩვენი ქვეყანა. ჩვენ რომ იმ სულის მატარებლები ვიყოთ, გოგიას რომ ჰქონდა, დღეს საქართველოში ეს მდგომარეობა არ გვექნება. ■

ეროვნული ბიბლიოთეკა

# Brabus-ის როდსტერი Mercedes-Benz SLS AMG

გერმანულმა ტიუნინგ-ატელიემ — Brabus —ადრევე წარმოადგი[illegible]ა ერთ-ერთი ავტომობილი იმ სამიდან, რომლებიც ესენის მოტორშო[illegible] გასაყვანად მოამზადა. ეს ავტოგამოფენა 26 ნოემბერს გაიხსნა. პირ[illegible]






ლად კომპანიამ როდსტერ Mercedes-Benz SLS AMG-ს შესახებ გაავრცელა ინფორმაცია. სუპერავტოს აქვს ძარას დამატებითი კარბონის აეროდინამიკური ელემენტები, ადაპტური ამორტიზატორები, ტიტანის გამომშვები სისტემა, საფირმო 20-დუიმიანი ბორბლების დისკები წინაზე, ხოლო 21-დუიმიანი — უკანა ხიდზე. სალონი შეიძლება კლიენტის სურვილისამებრ გაფორმდეს. „ბრაბუსის“ ინტერიერისთვის გამოყენებული იქნება ტყავი, კარბონი, ალკანტარა ან ნატურალური მერქანი. 6,3-ლიტრიანი, 8-ცილინდრიანი ძრავას სიმძლავრე 571-დან 611-მდე გაზარდეს, თუმცა მისი დინამიკური მაჩვენებლების შესახებ არაფერია ცნობილი. ■



# რეკუპერაციის ახალი სისტემა „მაზდასაგან“

კომპანია „მაზდამ“ დამუხრუჭებისას კინეტიკური ენერგიის რეკუპერაციის ახალი სისტემის შესახებ დეტალური ინფორმაცია გაავრცელა. სისტემას i-ELoop-ი (Intelligent Energy Loop — „ინტელექტუალური ენერგეტიკული მარყუჟი“) ჰქვია. მისი დებიუტი კონცეპტ-ავტო Takeri-ზე შედგება, რომლის მსოფლიო პრემიერაც ტოკიოს მოტორშოუზე მოეწყობა. ენერგიის დასაგროვებლად შექმნილ სიახლეში ჩვეულებრივი აკუმულატორების ნაცვლად კონდენსატორები გამოიყენება, რომლებიც დატვირთვა-განტვირთვის ციკლის დიდ რაოდენობას უძლებს და ხანგრძლივი ექსპლუატაციისთვის უფრო მდგრადებია. ასევე სისტემის შემადგენლობაში შედის ცვლადი დენის გენერატორი. იგი საბორტო ელექტრონიკისთვის (კლიმატ-კონტროლი, აუდიოსისტემა) ან ავტომობილის აკუმულატორების დასატენად იქნება გამოყენებული. ეს ყველაფერი ძრავაზე დატვირთვასა და საწვავის ხარჯს შეამცირებს. „მაზდას“ წარმომადგენელთა თქმით, ქალაქში მოძრაობისას საწვავის ეკონომიურობა დაახლოებით 10%-ით გაიზრდება. გარდა ამისა, i-ELoop-ი „სტარტ-სტოპის“ სისტემითაც იმუშავებს. „მაზდას“ სერიულ ავტომობილებზე კინეტიკური ენერგიის რეკუპერაციის სისტემა მომავალი წლიდან გამოჩნდება. ■



# „აუდი“ სტილისტურად გამრავალფეროვნდება

კომპანია „აუდი“ თავისი ავტომობილების დიზაინის შეცვლას იმის გამო აპირებს, რომ მოდელებს შორის უფრო მეტი სტილისტური განსხვავება იყოს. ამის შესახებ გერმანული ავტომწარმოებლის შეფ-დიზაინერმა, სტეფან სეილაფმა ლონდონში გამართულ სპეციალურ ღონისძიებაზე განაცხადა. მისი თქმით, „აუდიში“ ამ პროექტზე მუშაობა უკვე დაიწყეს. დიზაინის ახალი მიმართულება სეილაფმა აღნიშნა აბრევიატურით — AQR. აქ „A“ „აუდის“ აღმნიშვნელია (ესე იგი, მარკის ჰეჩბეკებისა და სედანების), „Q“ — quattro (არასაგზაოები) და „R“ — სპორტული მოდელების. ტოპმენეჯერმა განაცხადა, რომ თითოეული ამ ჯგუფის მოდელები ერთიმეორისგან განსხვავებული იქნება რადიატორის ცხაურის გაფორმებით, შუქფარებითა და ძარას ელემენტების შტამპებით. მაგალითად, სედანებისა და არასაგზაოების ერთ-ერთი სტილისტური განსხვავება რადიატორის ცხაურის დახრილობაში გამოიხატება, რომელიც სრული აძვრის მანქანათა უმრავლესობას უფრო „ვერტიკალური“ ექნება. „ვიცით, ზოგიერთი მიიჩნევს, რომ ყველა ჩვენი სედანი ძალიან ჰგავს ერთმანეთს. ამიტომაც წამოვიწყეთ ეს პროექტი, — განაცხადა სტეფან სეილაფმა, — „აუდის“ ავტომობილები გარეგნულად ერთმანეთისგან უფრო განსხვავებული იქნება. მაგალითად, იმ ადგილზე, სადაც შუქფარები რადიატორის ცხაურს უერთდება. ყველა დეტალის დიზაინი ერთმანეთისგან განსხვავებული იქნება“. გარდა ამისა, სეილაფს გადაწყვეტილი აქვს, რომ ელექტროავტოები სტილისტურად ტრადიციული შიგაწვის ძრავებით აღჭურვილი მანქანებისგან გამიჯნოს. ■



# „ფრიადოსანი მოსწავლე არ ვიყავი“

მსახიობი ნიკა კუჭავა შეხვედრაზე უყოყმანოდ დამთანხმდა. მითხრა, რომ ამ რუბრიკას ხშირად კითხულობს. არც ის დაუმალავს, რომ ცოტას ნერვიულობდა. მიზეზი მარტივად ახსნა: „არ მინდა მკითხველზე უწიგნურის შთაბეჭდილება დავტოვო“. წიგნებთან „ურთიერთობა“ სათავგადასავლო ლიტერატურით დაიწყო. მერე ცოტა ხნით ჩავარდნა ჰქონდა, ჩოგბურთზე დადიოდა და ამ სპორტით იყო გატაცებული. წიგნებს სტუდენტობის წლებში მიუბრუნდა და მათთან „მეგობრობას“ დღემდე აგრძელებს.

*თამუნა კვინიკაძე*



## პრეამბულის მაგიერ

— **პირველი წიგნი, რომელმაც შენზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა, რომელი იყო?**

— წიგნები რომ ვთქვა, არ შეიძლება? მარკ ტვენის „ტომ სოიერის თავგადასავალი“ და ერიხ მარია რემარკის „სამი მეგობარი“. არაერთი საყვარელი ავტორი მყავს. პროზაც და პოეზიაც თანაბრად მიყვარს. ქართველებიდან ლადო ასათიანს, გალაკტიონს და ნიკოლოზ ბარათაშვილს დავასახელებ. უცხოელებიდან — დოსტოევსკისა და ჩეხოვს.

— **სცენაზე რომელი ლიტერატურული გმირის განსახიერების სურვილი გაქვს?**

— არ არსებობს როლი, რომლის შესრულებაზეც ვოცნებობ. დრამატურგებიდან შექსპირი და ჩეხოვი მომწონს. მათ პიესებში ყოველთვის სიამოვნებით ვითამაშებ.

— **რომელ ლიტერატურულ გმირთან იმეგობრებდი?**

— (*ფიქრობს*) ეს კითხვა ვინმეს ბავშვობაში რომ დაესვა, ტომ სოიერს დავასახელებდი. ახლა პასუხის გაცემა მიჭირს.

— **სკოლაში ყველაზე კარგად რომელ საგანს სწავლობდი?**

— ფრიადოსანი მოსწავლე არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ ზოოლოგიას კარგად ვსწავლობდი. ცხოველებზე ვგიჟდები.

— **წიგნი მოგიპარავს?**

— (*იცინის*) არ მომიპარავს, მაგრამ რა დასამალია და სურვილი მქონია. პოეტი და მსახიობი გიორგი ზანგური ჩემი უახლოესი მეგობარია. მისი პირველი წიგნი რომ გამოვიდა, პრეზენტაციაზე მივედი. წიგნზე ისეთი მოთხოვნა იყო, არ შემხვდა. პრეზენტაციის შემდეგ ბანკეტზე წავედით. იქ შევნიშნე, რომ მაგიდაზე ერთი წიგნი უყურადღებოდ იდო, მომინდა მომეპარა, მაგრამ გადავიფიქრე, არ მინდოდა გიოს სწყენოდა.

— **ინდიელები ამბობენ, რომ მას თავიდან უნდა მოექცე როგორც მეფეს, შემდეგ — როგორც მონას, შემდეგ — როგორც მეგობარს. ვისზეა ლაპარაკი?**

— (*ფიქრობს*) ჩემი აზრით, ბავშვებზე უნდა იყოს, ასეა?

— **გამოიცანი. საქორწინო ბეჭედს არათითზე რატომ ატარებ?**

— ყველას ამ თითზე არ უკეთია?

— **რატომ მაინცდამაინც ამ თითზე?**

— მსმენია, რომ ეს თითი გულთანაა დაკავშირებული.

— **დიახ, ასე ძველი ეგვიპტელები მიიჩნევდნენ. ვინ იყო პირველი ქართველი ფოტოგრაფი?**

— ალექსანდრე როინიშვილი. სწორად მახსოვს?

— **მართალია, მან ფოტოკარიერა თბილისში 1865 წელს დაიწყო. შემდეგი კითხვა ერთი პოეტის შემოქმედებიდან არის. „საქართველოს მთებზე“, „კავკასიონი“, „ზვავი“ და კიდევ სხვა არაერთი ლექსი უძღვნა საქართველოს. დაასახელე იგი.**

— ვხვდები, რომ ქართველი არ არის.

— **მიგანიშნებ, ის ჩვენს ქვეყანას 1829 წელს 3 კვირით ესტუმრა. „თბილისის განთქმულ აბანოებში წავედი... აბანოს შესასვლელთან მეაბანოე იჯდა, მოხუცი სპარსელი. მან კარი გამოაღო, შევედი დიდ ოთახში. სპარსელმა აბანოში შემიყვანა. რკინა-გოგირდის წყარო კლდეში გამოკვეთილ აუზში ჩაჩხრიალებდა. არ შევხვედრივარ არც რუსეთში, არც თურქეთში თბილისის აბანოებზე უფრო დიდებულ რამეს“, — ვკითხულობთ მის ჩანაწერებში.**

— ეს მწერალი ალექსანდრე პუშკინი იყო.

— **რას გვირჩევდა უილიამ ფოლკნერი „თუ მთის გადადგმა გინდა...“ რით უნდა დაიწყო?**

— არ ვიცი.

— **„პატარა კენჭების გადატანით უნდა დაიწყო“.**

— გეფიცები, ასე ვიფიქრე; მივქარე, რომ არ გითხარი.

— **რა არის მათემატიკაში წესიერი და არაწესიერი?**

— წილადი.

— **მოგზაურები ძველთაგანვე ცდილობდნენ, რომ სასმელი წყალი ვერცხლის ჭურჭელში შეენახათ. რატომ?**

— რომ არ გაფუჭებულიყო, ვერცხლი ინახავს.

— **რა ფერის კოსტიუმი აცვია არლეკინოს პოლ სეზანის სურათზე „პიერო და არლეკინო“?**

— წითელი.

— **ცდები, ნარინჯისფერი აცვია. რომელი მეფის დროს მოხდა ბასიანის ბრძოლა?**

— თამარ მეფის.

— **„სულ უბრალო სოფელს მაშინ გაუვარდება სახელი, თუ იქ დიდი ვაჟკაცი დაიბადება“. რომელი ნაწარმოების ეპილოგში წერს ამ სიტყვებს მიხეილ ჯავახიშვილი?**

— ვერ ვიხსენებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— **„არსენა მარაბდელში“. რამდენი შვილი ჰყავდა ილია ჭავჭავაძეს?**

— არც ერთი.

— **ფეოდალური ხანის რომელი ცნობილი ციხეა დუშეთის რაიონში?**

— ანანური.

— **შავი ზღვის აუზის მდინარეებიდან რომელია უდიდესი საქართველოს ტერიტორიაზე?**

— სავარაუდო პასუხებს მეტყვი?

— **ენგური, რიონი, ბზიფი.**

— რიონი.

— **დაასახელე ქალაქები, რომლებიც ამ მდინარის ნაპირებზეა გაშენებული?**

— ქუთაისი, სამტრედია, ფოთი...

— **ონი და ამბროლაური. „რატომ დავიბადე ასეთი თანამედროვე“ — რომელი ცნობილი ირლანდიელი მწერალია ამ სიტყვების ავტორი?**

— იქნებ მინიშნებით გამოვიცნო.

— **ის ირლანდიაში დაიბადა და საფრანგეთში გარდაიცვალა. მთელი ცხოვრება ეწინააღმდეგებოდა ყოველივე ოფიციალურს. საზოგადოებრივ აზრს არასდროს ითვალისწინებდა და ღიად აქილიკებდა დრომოჭმულ დოგმებს. ცნობილია, რომ ჰომოსექსუალურ აქტში მხილების გამო, პატიმრობაში რამდენიმე წელი გაატარა.**

— ძნელი მისახვედრი არ არის, ოსკარ უაილდი.

— **რომელი ტომის ინდიელები ცხოვრობდნენ მექსიკის, ჰონდურასისა და გვატემალას ტერიტორიაზე?**

— მაიას ტომები.

— **მითხარი, რომ დოსტოევსკი შენი საყვარელი ავტორია. წაგიკითხავ ციტატას მისი ერთ-ერთი ნაწარმოებიდან, რის შემდეგაც ეს ნაწარმოები უნდა დაასახელო: „რაც არ უნდა გენიალური, ახალი, ანდა სერიოზული აზრი მოგივიდეს თავში, მაინც რჩება მუდამ ისეთი რამ, რასაც სხვა ადამიანებს ვერასგზით ვერ გადასცემ, თუნდაც მთელი ტომები დაწერო; მუდამ არის რაღაც ისეთი, რაც არაფრის დიდებით არ დაეთანხმება შენი ტვინიდან გადმოსვლას და მუდამ შენთან დარჩება. ისე წახვალ ამ ქვეყნიდან, რომ შენს მთავარ იდეას ვერავის გადასცემ“.**

— „იდიოტი“.

— **რას ნიშნავს გერმანული წეს-ჩვეულება — ბრუდერშაფტი?**

— ადამიანს ქეიფის დროს რომ უმეგობრდები.

— **შენ ასეთი მეგობრები გყავს?**

— მრავლად, ხშირად ვქეიფობ.

— **მისი მშენებლობა იმპერატორმა ცინში ჰუანდიმ ჰუნებისგან (ცენტრალური აზიის ცხენოსანი მომთაბარე და ნახევრად მომთაბარე ტომების გაერთიანება) თავის დასაცავად დაიწყო. რის მშენებლობაზეა ლაპარაკი?**

— კოსმოსიდან რომ ჩანს?

— **ასე ამბობენ.**

— ჩინეთის დიდი კედელი.

— **რომელ ქალაქში ტარდება ამერიკის კინოაკადემიის უმაღლესი ჯილდოს, — „ოსკარების“ დაჯილდოების ცერემონია?**

— ლოს-ანჯელესში.

— **დაასახელე 3 ციფრი, რომელთა ჯამი და ნამრავლი ერთმანეთის ტოლია.**

— (*ფიქრობს*) მატყუებ?

— **რას გატყუებ?**

— ასეთი ციფრები არ არსებობს და გინდა დამაბნიო.

— **123 რამდენია?**

— 6.

— **ახლა იგივე ციფრები ერთმანეთზე გაამრავლე.**

— ვაა! ტყუილად დაგადანაშაულე.

— **რომელმა კომპოზიტორმა დაწერა მუსიკა ფილმისთვის „მიმინო“?**

— გია ყანჩელმა.

— **ვის მიუძღვნა ბეთჰოვენმა „მთვარის სონეტა“?**

— ზუსტად არ ვიცი. ალბათ საყვარელ ადამიანს მიუძღვნა.

— **ნამდვილად ასეა, ეს საყვარელი ადამიანი ვინ იყო?**

— ვერ გეტყვი.

— **ჯულიეტა გვიჩარდი. ამბობენ, მისი მოწაფე და მეგობარი იყო“. ბეთჰოვენის მოგონებებში ვკითხულობთ: „ნაღვლიანად გავატარე ბოლო 2 წელიწადი, აჩრდილივით მუდამ თან მდევდა ჩემი დაქვეითებული სმენა და გავურბოდი ხალხს, მიზანტროპს ვგავდი. სინამდვილეში სულაც არ ვარ ასეთი. ეს ცვლილება ჩემში მოახდინა საყვარელმა მშვენიერმა გოგონამ, რომელსაც ვუყვარვარ და მეც მიყვარს“.**

— საინტერესოა, არ ვიცოდი.

— **ამერიკის რომელი პრეზიდენტი იყო მსახიობი?**

— რეიგანი.

— **რომელი უცხოური სიტყვა წარმოიშვა ფრანგული სიტყვისგან „არგო“, რაც მოპარულ ენას ნიშნავს?**

— არ ვიცი.

— **ჟარგონი.**

— ავჩქარდი, თორემ გიპასუხებდი.

— **ხორეშანი, ხანუმა, ქაბატო — ჩამოთვლილთაგან რომელი იყო ლუარსაბისა და დარეჯანის მაჭანკალი? მას მეტსახელს — სუთ კნეინას ეძახდნენ.**

— ხორეშანი, ვცდები?

— **სწორი პასუხია. მას გარშემო ევრის ატლანტისა და ინდოეთის ოკეანეები, ხმელთაშუა და წითელი ზღვები. ევროპიდან გიბრალტარის ვიწრო სრუტით გამოიყოფა, ხოლო სუეცის არხით აზიას უკავშირდება. დაასახელე, რომელ კონტინენტზეა ლაპარაკი?**

— გთხოვ, კითხვა გამიმეორე (*გამეორების შემდეგ*), აფრიკა.

— **რომელ მცენარეს უწოდა ეკატერინე II-მ „ასკილი მაღალი საზოგადოებიდან“?**

— ამ მცენარეს ყვავილი აქვს? ვარდს ვფიქრობ.

— **სწორი პასუხია. „რა ქართველი ხარ და რა ჭაბუკი...“**

— (*მაწყვეტინებს*) ლადო ასათიანის ლექსია.

— **გაგრძელება შეგიძლია?**

— „რა ქართველი ხარ და რა ჭაბუკი/ თუ მამულს თავი არ ანაცვალე, —/ ეს აწუხებდა ცოტნე დადიანს/ მეც ქართველი ვარ და ეს მაწუხებს“...

— **ეს პოეტი 5 წლის იყო, როცა დედა გარდაეცვალა. მამა ხიდან ჩამოვარდა და დაკოჭლდა. ახალგაზრდა ყმაწვილი ბედის საძიებლად დედაქალაქში ჩამოვიდა. 1924 წელს მწერალთა კავშირის განკარგულებით, რამდენიმე ხნით სასტუმრო „გლეხთა სახლში“ ცხოვრობდა. დაასახელე ეს პოეტი.**

— სამეგრელოდან იყო?

— **დიახ.**

— ტერენტი გრანელი.

— **ეს მდინარე თითქმის მთელ სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში მიედინება. 300 შენაკადი აქვს. მას ევროპის დედა მდინარესაც უწოდებენ. ძველმა ბერძნებმა კი „ოკეანის ძმა“ შეარქვეს. დაასახელე ეს მდინარე.**

— დუნაი.

— **რა ერქვა ალექსანდრე მაკედონელის დედას?**

— ვერ ვიხსენებ.

— **ოლიმპიადა. დაასრულე ფრანსუა ვოლტერის ცნობილი გამონათქვამი: „ადამიანის შესახებ მსჯელობენ მხოლოდ მისი მთავარი საქმეების და არა მისი“...**

— ვერ დავასრულებ.

— **„და არა მისი შეცდომების მიხედვით“.**

■

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლაზური სიმღერების ხალისიანი „შურიმშინეები“

„შურიმშინე“ ძველი ლაზური საალერსო მიმართვაა და სიტყვა-სიტყვით „სულის მხსენებელს“ ნიშნავს. ლაზეთში ბებია-ბაბუები ოდითგანვე ამგვარად მიმართავდნენ შვილიშვილებს, როგორც მათი გვარის და ცხოვრებისეული გზის გამგრძელებლებს; ამასთან, საქართველოს ამ კუთხეში დღესაც ყველაზე საშინელ წყევლად მიიჩნევა — „შურიმშინეფე ეგიჭკოდეეტას!“ — „სულის მხსენებლები ამოგწყდომოდეს!“. ამჟამად საქართველოს შემადგენლობაში ლაზეთის ორი სოფელი — სარფი და კვარიათილა შემოდის, თუმცა უძველეს და ულამაზეს ლაზურ სიმღერებს, ღვთის წყალობით, სწორედ აქ გამოუჩნდა „შურიმშინეები“.

*მიხეილ ლაბაძე*

რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ლაზ გოგონათა კვარტეტის — „შურიმშინეს“ შესახებ პირველად თურქეთში მცხოვრები ლაზებისგან შევიტყვე: ლაზეთის ქალაქ არქაბში (ამჟამინდელი სახელწოდება — არჰავი) უკვე კარგა ხანია, ზაფხულობით საერთაშორისო ფოლკლორული ფესტივალი „იეშილ იაილა“ („მწვანე იალაღი“) იმართება, რომელზეც სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები ჩამოდიან და საკუთარ ფოლკლორს ათასობით მსმენელს ღია ცის ქვეშ წარუდგენენ. ფესტივალზე წელს საქართველოდან ოფიციალურად არავინ მიუწვევიათ — „შურიმშინეები“ იქ უბრალო დამსწრეთა რანგში იმყოფებოდნენ, მაგრამ ისე მოხდა, რომ ფესტივალის ორგანიზატორებმა პროგრამაში საგანგებოდ მათ გამო შეიტანეს ცვლილებები და გოგონები პირველად წარდგნენ მსმენელთა წინაშე. სიმღერის დასრულებისთანავე, წამით, მრავლისმთქმელი სიჩუმე ჩამოვარდა, მერე კი თვალცრემლიანი აუდიტორიის აპლოდისმენტებმა თვით „შურიმშინეებსაც“ ცრემლი მოჰგვარა...



ლელა ბექირიში, მაიკო მემიშიში და სოფო ბაქრაძე „იეშილ იაილას“ ფესტივალზე

ხალისიან „შურიმშინეებს“ — კვარიათელ მაიკო მემიშიშსა და სარფელებს: სოფო ბაქრაძეს, ლელა ბექირიშს, ქეთი კაკაბაძეს გასულ შაბათს ლაზეთში ვესტუმრე და გავესაუბრე. როგორც გამოირკვა, ისინი არა მარტო მღერიან, არამედ ბრწყინვალედ უკრავენ კიდეც ძველ ლაზურ ინსტრუმენტებზე — ჭილილზე (ჭიანურზე), პილილზე (სალამურზე), ასევე — ჩონგურსა და ფანდურზეც. ერთი სიტყვით, არც ტრადიციებს ღალატობენ და არც ძველი სიმღერების ახლებურად აჟღერებას გაურბიან.

— ძალიან მიხარია, რომ საქართველოში ლაზთა უძველესი ფოლკლორი კვლავ ცოცხლობს და ვითარდება; განსაკუთრებით სასიხარულო კი ისაა, რომ ამით ახალგაზრდები ინტერესდებიან. მომიყევით, როგორ შეიქმნა თქვენი ჯგუფი?

**სოფო ბაქრაძე:**

— მუსიკალური განათლება მაქვს მიღებული და აქედან გამომდინარე, მაინტერესებდა ლაზთა მუსიკალური ფოლკლორი, ისევე როგორც ჩემს მეგობრებს. თავიდან უბრალოდ, ვიკრიბებოდით და ჩვენთვის ვმღეროდით, სიმღერებს ხმებში ვშლიდით; დიდი ამბიციებიც არ გვქონდა, მაგრამ თანდათან უფრო და უფრო სერიოზულად მოვეკიდეთ საქმეს — დავეუფლეთ სხვადასხვა ინსტრუმენტს, მათ შორის — ჩონგურსა და ფანდურს, დავიწყეთ ლაზური სიმღერების საფუძვლიანი შესწავლა და გადამუშავება; ამგვარად, ჯგუფიც შეიქმნა...

**ლელა ბექირიში:**

— ყველანი ბავშვობიდან ვმღერით — სკოლაში გვყავდა ხალხურ სიმღერათა გუნდი, რომელშიც ოთხივენი ვიყავით და ვასრულებდით ლაზურ სიმღერებს. ჩვენმა მუსიკის პედაგოგმა — ლია შეროზიამ, რომელიც თავად სარფელ ქალთა ტრიო „ჰეიამოში“ მღეროდა, ჩაგვინერგა ხალხური სიმღერების დიდი სიყვარული და გარკვეულწილად მისი დამსახურებაცაა, რომ დღეს ჩვენი ჯგუფი არსებობს (*იღიმება*). თავიდანვე დავინტერესდით ლაზთა ფოლკლორის შესწავლითა და აღდგენით. ამიტომაც დღეს უკვე ძველ ლაზურ სიმღერებთან ერთად, ვასრულებთ ასევე ფოლკლორულ ტრადიციებზე შექმნილ ახალ კომპოზიციებსაც — მათ ხშირად სოფოც წერს; ტექსტებს გვიწერენ იაშა და ოთარ ბაქრაძეებიც, რომლებიც ცნობილი სახალხო მთქმელები არიან.

**ქეთი კაკაბაძე:**

— გვსურდა, აღგვედგინა და შეგვესრულებინა ჩვენი კუთხის სიმღერები და ამით ერთიან ქართულ ფოლკლორში ლაზეთიც კარგად წარმოგვეჩინა. შემდეგ კი, როგორც სოფომ და ლელამ აღნიშნეს, ფოლკლორულ ტრადიციებზე დაყრდნობით, ახალი სიმღერების შექმნაც დავიწყეთ; ასე რომ, მხოლოდ ფოლკლორით უკვე აღარ შემოვიფარგლებით.

**მაიკო მემიშიში:**

— მეც და ჩემს მეგობრებსაც ძალიან გვიყვარს ხალხური სიმღერები. ვხედავდით, რომ ჩვენი კუთხის უძველესი ფოლკლორი საქართველოში თითქმის უცნობი იყო და თურქეთშიც, სიმღერების ორიგინალური ჟღერადობა გაქრობის პირას იდგა. ამიტომაც დავიწყეთ მეცადინეობა. ვმეცადინეობთ ყოველთვის, როცა დროს გამოვნახავთ — ძირითადად, საღამოობით ვიკრიბებით ხოლმე და ღვთის წყალობით, წინსვლის იმედი გვაქვს.

— **როგორ გახდით „შურიმშინეები“?**

**მაიკო მემიშიში:**

— როგორც იცი, ეს ძველი ლაზური ალერსიანი მიმართვაა. სახელის სხვადასხვა ვარიანტი გვქონდა და ბოლოს, „შურიმშინეზე“ შევჩერდით — მე ძალიან მომწონდა სიმღერა „შურიმშინე ნანა“ და აქედან გამომდინარე, შევთავაზე გოგონებს ეს სახელი. მათაც მოეწონათ და ასე გავხდით „შურიმშინეები“ (*იღიმება*)

ეროვნული ბიბლიოთეკა

**— თქვენი ჯგუფის შესახებ პირველად თურქეთში მცხოვრები ჩვენებურებისგან — ლაზებისა და გურჯებისგან, შარშან შევიტყვე. იქ საკმაოდ ცნობილ საერთაშორისო ფესტივალზე გამოსულხართ, თანაც — სრულიად მოულოდნელად. როგორ იყო ეს ამბავი?**

**მაიკო მემიშიში:**

— „იეშილ იაილას“ ფესტივალზე ოფიციალურად — როგორც მომღერლები — არ მივუწვევივართ. ეს მთელ თურქეთსა და შავიზღვისპირეთშიც პოპულარული ფესტივალია, რომელიც ისტორიული ლაზეთის არქაბის თემში, პირდაპირ ღია ცის ქვეშ ტარდება. ჰოდა, იქ უბრალოდ გავემგზავრეთ, როგორც დამსწრეები. სიმღერაც გასართობად წამოვიწყეთ — ჩვენთვის, წყაროსთან ვისხედით და უცებ მოგვინდა, რომ ჯაზურ სტილში დამუშავებული კომპოზიცია — „არ, ჟურ, სუმ“ („ერთი, ორი, სამი“) ა კაპელა შეგვესრულებინა. ასეც მოვიქეცით და სიმღერა რომ დავასრულეთ, მაშინღა შევნიშნეთ, რომ ჩვენ ირგვლივ უამრავ მაყურებელს მოეყარა თავი; მათ შორის კი ფესტივალის გასაშუქებლად ჩამოსული ტელეჟურნალისტებიც ბლომად იყვნენ. მერე ისე მოხდა, რომ ორგანიზატორებმა სცენაზეც მიგვიწვიეს... სხვათა შორის, ეს ჩვენი პირველი გამოსვლა იყო ფართო აუდიტორიის წინაშე.

**— პრიზიც ხომ არ მოგიპოვებიათ?**

**მაიკო მემიშიში:**

— ოფიციალურად ფესტივალის მონაწილეები არ ვიყავით და პრიზი ვერ გადმოგვცეს, თუმცა მაინც კმაყოფილნი დავრჩით, რომ ხალხმა კარგად მიგვიღო და ჩვენი სიმღერებიც აიტაცა...

**ლელა ბეძირიში:**

— ხალხის სიყვარული ვიგრძენით და ყველაზე დიდი პრიზიც სწორედ ეს იყო.

**— ჩვენთან — გამოღმა საქართველოში არსად გამოსულხართ?**

**ლელა ბეძირიში:**

— როგორ არა! „არტ-გენის“ ფესტივალზე გამოვედით, რომელიც აქვე, გონიოს ციხეში გაიმართა ამ ზაფხულს. კიდევ — „მაჭახლობაზე“. იქ ლაზურის გარდა, აჭარული სიმღერებიც შევასრულეთ.

**სოფო ბაძრაძე:**

— ერთი სიტყვით, ჯერ ყველაფერი წინ გვაქვს...

**— თურქეთში ლაზური სიმღერების შესრულება იქაური ესტრადის ცნობილმა ვარსკვლავმა, ქაზიმ ქოიუნჯუმ დაიწყო. თქვენ თუ გიმღერიათ თურქეთში მოღვაწე ლაზ მომღერლებთან ერთად?**

**მაიკო მემიშიში:**

— დიახ, ბათუმში, თურქეთის მკვიდრ ლაზთა ანსამბლ „მარსისთან“ ერთად, დუეტში ჩავწერეთ უკვე ნახსენები სიმღერა „არ, ჟურ, სუმ“...



„შურიმშინეების“ რეპეტიცია ზღვის პირას

**სოფო ბაძრაძე:**

— ასევე, თურქეთში მოღვაწე სხვა ლაზ მომღერლებთანაც ვგეგმავთ დუეტებს, მაგრამ ჯერ გვინდა, საქართველომ გაგვიცნოს!

**— ალბათ იცით, რომ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, რამდენიმე წელია, მიმდინარეობს ე.წ. „ლაზური პროექტი“, რომლის ფარგლებშიც ლაზთა ფოლკლორის პოპულარიზაცია წარმოებს. ამ პროექტში თქვენც მონაწილეობთ?**

**ლელა ბეძირიში:**

— პროექტში მონაწილეობა სულ ახლახან შემოგვთავაზეს და რაღა თქმა უნდა, ხალისით დავთანხმდით; ვნახოთ, რა გამოგვივა...

**სოფო ბაძრაძე:**

— დიახ, ეს პროექტი ძალიან კარგია და გვინდა, ჩვენც შევიტანოთ წვლილი მასში — ისე, როგორც შეგვიძლია.

**— ინტერვიუს დაწყებამდე აღნიშნეთ, რომ თითოეული რამდენიმე ინსტრუმენტს ფლობთ; ძველი სიმღერების ახლებურად აჟღერებასაც არ გაურბიხართ... ამაზე რას იტყვით?**

**სოფო ბაძრაძე:**

— დიახ, ასეა, ოღონდ ვცდილობთ, ხალხური საწყისი არ დავკარგოთ და შორს არ წავიდეთ. ლაზეთში გავრცელებული ძველი საკრავების — ჭილილისა და პილილის პარალელურად, ჩონგურს, ფანდურსა და ბასფანდურსაც ვიყენებთ. ისე, ეს ბასფანდური ფოლკლორისტებს რატომღაც არ მოსწონთ.

**ქეთი კაკაბაძე:**

— ვცდილობთ, ხალხური სიმღერები ტრადიციულად შევასრულოთ, მაგრამ რაღაც ჩვენეულიც ჩავდოთ მათში...

**— ჭილილი და პილილი ახსენეთ... ჩემი ბავშვობისას, სარფში პილილის ერთადერთი ოსტატი ილია აბდულიში იყო, რომელიც უკვე გარდაცვლილია. ვისგან ისწავლეთ ტრადიციულ საკრავებზე დაკვრა?**

**ლელა ბეძირიში:**

— ილია აბდულიშმა პილილის დაკვრა ბევრ სარფელს ასწავლა, მათგან კი ჩვენ ავითვისეთ. ჭილილს რაც შეეხება, მასზე ჩვენ თავად ვმეცადინეობთ და გვინდა, კარგად დავეუფლოთ, რათა მერე აქტიურად გამოვიყენოთ.

**— ხალხურის გარდა, საესტრადო სიმღერების შესრულება არ გიცდიათ?**

**მაიკო მემიშიში:**

— ჯერჯერობით არ გვიცდია, ისე კი ძალიან გვინდა...

*ასე დავასრულე საუბარი „შურიმშინეებთან“, რომლებიც ჩვენი ჟურნალის აქტიური მკითხველები აღმოჩნდნენ. ჩემი მხრივ, მადლობას ვუხდი მათ მშვენიერი სიმღერებისათვის, რომლებიც საგანგებოდ ჩემთვის შეასრულეს და წარმატებასაც ვუსურვებ.*

■

ეროვნული ბიბლიოთეკა



# აქაბისგან დევნილი წინასწარმეტყველი და ელიას ლოცვით აღსრულებული სადვთო სასწაულები

**ელია წინასწარმეტყველი ქრისტეშობამდე IX საუკუნეში მოღვაწეობდა — ისრაელის სამეფოს ორ ნაწილად (ისრაელისა და იუდეის სამეფოებად) გაყოფის შემდეგ, ისრაელის სამეფოში, უსჯულო მეფე აქაბის დროს.**

*შორენა მერკვილაძე*

## ისრაელის სამეფოს ორად გაყოფა

სოლომონ მეფის გარდაცვალების შემდეგ ისრაელის სამეფო ტახტზე მისი მემკვიდრე — რობოამი ავიდა. სწორედ ამ დროს მოხდა ისრაელის სამეფოს ორ ნაწილად გაყოფა: სოლომონის მეფობის უკანასკნელ წლებში, მეფის ბრძანებით, გადასახადები ძალიან გაიზარდა — ხალხი დიდ გასაჭირში აღმოჩნდა. სოლომონის გარდაცვალების შემდეგ მის მემკვიდრესთან — რობოამთან ისრაელის სხვადასხვა ტომის უხუცესები მივიდნენ და ხარკის შემსუბუქება სთხოვეს. რობოამმა სამი დღის ვადა ითხოვა. სათათბიროდ ჯერ უხუცესები იხმო, რომლებიც სოლომონთან მსახურობდნენ, შემდეგ ეთათბირა ახალგაზრდებს, რომლებთან ერთადაც გაიზარდა. უხუცესებმა ხარკის შემცირება ურჩიეს, ახალგაზრდებმა უთხრეს, ეს არ გაეკეთებინა, რადგან სისუსტეში ჩაუთვლიდნენ. რობოამმა ახალგაზრდების რჩევა გაითვალისწინა და ხალხს განუცხადა, რომ შემცირების ნაცვლად, პირიქით, გაუზრდიდა გადასახადს. ამით აღშფოთებულმა ისრაელის ათმა ტომმა უარი თქვა რობოამის მორჩილებაზე. ახალი მეფე აირჩიეს და ცალკე სამეფო ჩამოაყალიბეს. იუდასა და ბენიამინის ტომები ერთგულნი დარჩნენ და მეფედ ცნეს რობოამი. მათ სამეფოს იუდეის სამეფო ეწოდა, დანარჩენი ათი ტომისგან შემდგარ სამეფოს კი უწინდელი სახელი — ისრაელის სამეფო.



ისრაელის სამეფოს პირველი მეფე იერობოამი გახდა, რომელმაც უსჯულოებაში რობოამსაც კი გადააჭარბა. იმ პერიოდში ჭეშმარიტი ღვთისმსახურება — მსხვერპლშეწირვა მხოლოდ იერუსალიმში, სოლომონის ტაძარში აღესრულებოდა. იერობოამა იმის შიშით, რომ მის სამეფოში მცხოვრებ ებრაელებს იერუსალიმში არ დაეწყოთ სიარული მსხვერპლის შესაწირავად და სამეფო არ დაეკარგათ, ქალაქებში — ბეთელსა და ანში ააგო სამსხვერპლო. ასევე დააწესა იუდეველებისგან სრულიად განსხვავებული დღესასწაულები. ამდენად, ისრაელის სამეფო საფუძველშივე ჩამოსცილდა ღვთის გზას. უფალი უმეტესად სწორედ ისრაელის სამეფოში მიავლენდა ხოლმე წინასწარმეტყველებს.

იერობოამის გარდაცვალების შემდეგ ისრაელიანები კვლავ მიუბრუნდნენ ჭეშმარიტი ღვთის თაყვანისცემას. მალე ისრაელის სამეფო ტახტი ყოფილმა მხედართმთავარმა — ომრიმ დაიკავა, რომელმაც ყურადღება მიაქცია ქანაანის უმნიშვნელოვანესი სავაჭრო გზების სიახლოვეს მდებარე ქალაქ სამარიას და იგი ისრაელის სამეფოს დედაქალაქად გამოაცხადა. ომრიმ სამხედრო კავშირი შეკრა სიდონის მეფე — იობათასთან და თავის ძეს — აქაბს ცოლად შერთო მისი ასული, იეზებელი, რომელსაც სძულდა ისრაელიანთა ღმერთი. როდესაც ისრაელის სამეფოს ტახტზე აქაბი ავიდა, დედოფალმა იეზებელმა ქმარს სამარიაში ფინიკიელთა ღვთაების — ბაალის სახელზე საკურთხეველი და ტაძარი ააშენებინა. წარმართი თანამეცხედრის გავლენით თავად აქაბმაც თაყვანისცემა დაუწყო ბაალის კერპს. მეფის მაგალითს მიჰბაძა ერის უდიდესმა ნაწილმაც და მთელ ისრაელში გავრცელდა ბაალის კერპისადმი თაყვანისცემა (მისდამი თაყვანისცემა ხდებოდა უზნეო ორგიებითა და ადამიანთა მსხვერპლშეწირვით). სწორედ ამ დროს გამოჩნდა ისრაელის სამეფოში ჭეშმარიტი ღმერთის მიერ წარმოგზავნილი წინასწარმეტყველი — ელია თეზბიტელი...

## ელია თეზბიტელის შობა

ელია თეზბიტელი ლევიტელთა ტომიდან იყო. იგი დაიბადა არაბეთის ქალაქ თეზბში. ოჯახი, სადაც მომავალი წინასწარმეტყველი დაიბადა, სამეფოში გავრცელებულ ბაალის კერპს უარყოფდა. სწორედ ერთადერთი ჭეშმარიტი ღმერთის რწმენის გამოვლინება იყო სახელი ელია, რომელიც მშობლებმა მომავალ წინასწარმეტყველს უწოდეს. ელიაჰუ ნიშნავს — „უფალი ღმერთო ჩემო". საეკლესიო გადმოცემით, ელიას დაბადებისას მამამისს უხილავს, რომ ყრმას ნათლით შემოსილი კაცი მიუახლოვდა, ცეცხლოვან სახვევში შეახვია და ცეცხლის ალით გამოკვება. შეშფოთებული მამა იერუსალიმში წავიდა და ხილვის შესახებ მღვდელმთავარს მოუთხრო. მან ხილვა ამგვარად აუხსნა: ნათელში დამკვიდრდება შენი შვილი, მისი სიტყვა მკაფიო იქნება და ისრაელს მახვილითა და ცეცხლით განსჯის.

## ახდენილი წინასწარმეტყველება

ელიამ სიყმაწვილიდანვე ღმერთს უძღვნა თავი — უდაბნოში განმარტოვდა და მკაცრ მარხვაში, ლოცვასა და ღვთის განგებაზე ფიქრში ატარებდა დღეებს. უფლის მოწოდებით ელია წინასწარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტყველი მეფე აქაბთან მივიდა, ამხილა უსჯულოებაში და მასაც და ისრაელის სამეფოში მცხოვრებ ისრაელიანებსაც აუწყა, რომ თუ ჭეშმარიტი ღვთისკენ არ მობრუნდებოდნენ, ისრაელს სასჯელად ელოდა გვალვა და შიმშილობა. არც მეფემ და არც ხალხმა არ ისმინეს ელიასი. მისი წინასწარმეტყველება ახდა: სამი წლის მანძილზე არ მოსულა წვიმა, გამხმარი მიწა ნაყოფს არ იძლეოდა. ქვეყანაში შიმშილობა ჩამოვარდა.

აქაბის რისხვას რომ გაჰქცეოდა, შიმშილიანობის დროს, ელიამ უფლის ბრძანებით თავი შეაფარა ქორათის ხევს. წყალს ხევში აღმოცენებული ნაკადული აწვდიდა, ხოლო საზრდელს დილა-საღამოს ყორნები უზიდავდნენ. როდესაც ნაკადულის წყალი დაშრა, უფალმა ელიას უბრძანა, რომ გადასულიყო ფინიკიელთა ქალაქ ცარფათში, სადაც უფლის ნებითვე თავი შეაფარა ღვთისმოსავი ქვრივი ქალის დედაკაცს. ქალს ერთადერთი ვაჟი ჰყავდა. დედა-შვილი უკიდურეს სილატაკეში ცხოვრობდა. ელიას ყოფნის პერიოდში ქვრივის ოჯახში ფქვილი და ზეთი სასწაულებრივად მრავლდებოდა. აქვე მოახდინა ელიამ უდიდესი სასწაული — მკვდრეთით აღადგინა ქვრივი დედაკაცის გარდაცვლილი შვილი. ესოდენ უდიდესი წყალობა ქალმა იმის გამო დაიმსახურა, რომ მან რწმენით მიიღო დევნილი წინასწარმეტყველიო, ბრძანებენ წმინდა მამები.

## ელია წინასწარმეტყველი და ბაალის მსახური ქურუმები

სამი წლის შემდეგ, როდესაც შიმშილობამ უკიდურეს ზღვარს მიაღწია, ელია წინასწარმეტყველმა კვლავ მიიღო უფლისგან ბრძანება, რომ დაბრუნებულიყო ისრაელში და მისულიყო მეფე აქაბთან. ელიამ ამხილა მეფე უსჯულოებაში. ცრუმორწმუნე აქაბმა კი ელიას დასდო ბრალად ისრაელს თავს დატეხილი უბედურება და უთხრა: „შენ ხარ ამრღუე ისრაელისა“. „არა მე, არამედ შენ და სახლი მამაისა შენისა, რამეთუ დაუტევეთ უფალი ღმერთი თქუენი და შეუდექით კვალსა ბაალისასა“, — მიუგო წინასწარმეტყველმა. შემდეგ სთხოვა, ისრაელის მცხოვრებნი და ბაალის მსახური ქურუმები, რომლებიც იეზებელის განსაკუთრებული მფარველობის ქვეშ იმყოფებოდნენ, კარმელის მთაზე შეეკრიბა. აქაბი დათანხმდა და დათქმულ დღეს კარმელის მთაზე 850-მა ქურუმმა მოიყარა თავი. ელია წინასწარმეტყველმა მათ შესთავაზა, თანაბარ პირობებში — სამსხვერპლოზე ცეცხლის დაუნთებლად შეეწირათ მსხვერპლი თავიანთი ღმერთებისთვის.

ბაალის ქურუმები დილიდან საღამომდე უშედეგოდ დარბოდნენ სამსხვერპლოს გარშემო და ევედრებოდნენ ბაალს ცეცხლის მოვლინებას. საღამო ხანს ელია წინასწარმეტყველმა აღმართა თორმეტი ქვისგან აგებული სამსხვერპლო, რაც სიმბოლურად ნიშნავდა ისრაელის თორმეტი ტომის ერთიანობას. სამსხვერპლოს გარშემო თხრილი ამოათხრევინა და იგი სამსხვერპლოს შეშასა და ქვებზე გადასხმული წყლით ამოავსებინა. შემდეგ ილოცა ჭეშმარიტი ღმერთის წინაშე, გულმხურვალედ შესთხოვდა უფალს: „უფალო, ღმერთო აბრაჰამისაო, ისაკისო და ისრაელისაო, დღეს ცნედ, რამეთუ შენ ხარ უფალი ღმერთი ისრაელისა და მე მონა შენი. მე ვქმენ საქმე ესე. ისმინე ჩემი, უფალო, ისმინე ჩემი ცეცხლითა და სცნეს ერმან ამან, რამეთუ შენ ხარ უფალი ღმერთი და შენ გარემოუქციე გული ერისა ამისა მართლუკუნ“. ლოცვის დასრულებისთანავე ზეციდან სასწაულებრივად გარდამოხდა ცეცხლი, რომელმაც არა მარტო შეშა და მსხვერპლი, ქვებიც დაწვა და თხრილიდან წყალიც ამოაშრო. ამის მხილველი ისრაელიანები თავმოდრეკილნი ადიდებდნენ უფალს. ელიას მოწოდებით ხალხმა სიკვდილით დასაჯა ბაალის მსახური ქურუმები. შემდეგ ელიამ მეფე აქაბს მიმართა: „ადეგ, ჭამე და სუ, რამეთუ ხმაი ბგერისა წვიმისა არს“. თვითონ კარმელის მთაზე ავიდა, მუხლი მოიდრიკა და კვლავ იწყო ლოცვა ღვთის წინაშე. მალე ცა ღრუბლებით დაიფარა და კოკისპირული წვიმა წამოვიდა. მეფე აქაბმაც ადიდა ღმერთი და შეინანა უსჯულოება ერისა და წინასწარმეტყველის წინაშე, თუმცა მისი სინანული ძალიან ხანმოკლე აღმოჩნდა: შინ დაბრუნებულმა აქაბმა თავადვე მოუთხრო თანამეცხედრეს ქურუმების ამოხოცვის ამბავი. იეზებელი საშინლად განრისხდა და ელიას სიკვდილით დასჯა ბრძანა.

## იეზებელისგან დევნილი წინასწარმეტყველი

ელია წინასწარმეტყველი იეზებელის რისხვას განერიდა და უფლის მინიშნებით, იუდეის სამეფოში, ქალაქ ბერსაბეს შეაფარა თავი. თავისი მსახური ქალაქში დატოვა, თვითონ კი არაბეთის უდაბნოში განმარტოვდა. ღრმა მწუხარებით აღვსილმა ელიამ მიმართა უფალს: „კმა არს აწ, უფალო, მიიღე სული ჩემი შენგან, რამეთუ არა უმჯობეს ვარ მამათა ჩემთა“. მის წინაშე ნათლით მოსილი ანგელოზი წარდგა, დააპურა და შეამზადა შორეული მგზავრობისთვის. ელია ღვთის ნებას დაემორჩილა და ქორების მთისკენ გაემართა. 40 დღის შემდეგ ერთ გამოქვაბულში შეისვენა, სადაც ესმა ხმა უფლისა: „რაისა ხარ შენ აქა ელია?“ უფალმა ელიას გამოქვაბულიდან გამოსვლა და მთაზე დადგომა უბრძანა. თავდაპირველად ქარბუქი ამოვარდა, მიწა იძრა, მიწისძვრას ცეცხლი მოჰყვა, მაგრამ არც ქარბუქის, არც ცეცხლისა და არც მიწისძვრის დროს არ გამოსცხადებია ღმერთი. ცეცხლის შემდეგ დაჰბერა გრილმა ნიავმა და ელიამ იგრძნო უფლის სიახლოვე. სწორედ ამ ნიავში გამოეცხადა მას უფალი. ელიამ ღვთისმოშიშებით დაიფარა სახე. მან უფლისგან მიიღო ბრძანება, რომ წასულიყო დამასკოში და აბელი ასურეთის მეფედ, ეუ ამესის ძე — ისრაელის მეფედ ეკურთხებინა. ხოლო ელისე — ძე სატაფისა, ეცხო წინასწარმეტყველად და მემკვიდრედ.



***თემაზე საუბარს „გზის“ მომდევნო ნომერში განვაგრძობთ***

ანტიდეპრესანტი

# გზაში საკითხავი კოლაჟი

შემდგენელი თემურ ივანიძე

1. ირანის დროშაზე 22-ჯერ წერია: „ალაჰ აკბარ“.

2. ედმონ დანტესის სატრფო, მერსედესი კატალონიელი იყო.

3. ჟოლო ყინვაგამძლე მცენარეა. იგი 40 გრადუს სიცივეს უძლებს.

4. ელვის პრესლი თავის მკვდრადშობილ ტყუპისცალთან ერთად დაიბადა.

5. ფრანსისკო ფრანკომ მსოფლიო ომის ნგრევასა და სისხლის ღვრას აარიდა ესპანეთი.



6. ინგლისის დედოფალი 18 წლის ასაკში მექანიკოსად ირიცხებოდა ბრიტანეთის არმიაში.

7. ბაიკალის ტბაში 336 მდინარე ჩაედინება, ტბიდან კი მხოლოდ ერთი — ანგარა გამოედინება.

8. შეერთებული შტატების ზოოპარკებში უფრო მეტი ვეფხვი ბინადრობს, ვიდრე ველურ ბუნებაში.

9. სახელმწიფო ტოგოში კაცმა თუ ქალს კომპლიმენტი უთხრა, ვალდებულია, ცოლად შეირთოს იგი.

10. „ადამიანი ჯანმრთელია იმდენად, რამდენადაც ჯანმრთელია მისი საკვები“, — ამბობენ დიეტოლოგები.

11. მწვადის შამფურზე აგებისას პატარა ნაჭრებს თავსა და ბოლოში მოაქცევენ ხოლმე, რადგან ამ ადგილებს შედარებით ნაკლებად სწვდება ნაკვერჩხლის მხურვალება.

12. მეცნიერებმა ვერ შეძლეს თაფლის სინთეზირება, მიუხედავად იმისა, რომ ზუსტად იციან მისი ქიმიური შემადგენლობა.

13. „ზნაეტე კაკაია რაზნიცა მეჟდუ ტერორისტომ ი ტიოშეი? ს ტერორისტომ მოჟნო დაგავარიტსა“, — ამბობენ რუსები.

14. კლოდ მონე 88 წლის ასაკში გარდაიცვალა. მხატვარი თავისი ორი მეუღლისა და უფროსი ვაჟის გარდაცვალებას მოესწრო.

15. ვატიკანმა ოფიციალურად მხოლოდ 1992 წელს აღიარა, რომ დედამიწა არ არის უძრავი სხეული და რომ იგი მზის გარშემო მოძრაობს.

16. თანამედროვე მატარებელში მემანქანეს რომ არ ჩაეძინოს, იგი ვალდებულია ყოველ ოცდაათ წამში

# როცა გაკრიტიკებენ...



არსებობენ მამაკაცები, რომლებსაც ქალებისთვის, გარეგნობასთან დაკავშირებული შენიშვნების მიცემა გამორჩეულად უყვართ. თანაც დელიკატურად, ჩუმად კი არ ეუბნებიან, ყველას გასაგონად უცხადებენ: „ეს კაბა საშინლად არ გიხდება“, ან „ეს შარვალი სად გამოძებნე?!“- საყურადღებოა ის გარემოება, რომ შენიშვნების ავტორი შეიძლება არა მხოლოდ თქვენი მეუღლე ან მეგობარი, არამედ კოლეგა (მით უარესი, თუ ის თქვენი შეფია), მეგობრის ქმარი ან ახალი ნაცნობიც კი იყოს. ამიტომ ხშირად იბნევით და არ იცით, თავხედი თავის ადგილას როგორ „მოსვათ“ ისე, რომ მასთან ურთიერთობა არ გაიფუჭოთ. ფაქტობრივად, საყვარელ მამაკაცს თეორიულად უფლება აქვს, თქვენი გარეგნობის გაუმჯობესებაზე იზრუნოს, მაგრამ შენიშვნა-რეკომენდაციები უსათუოდ აკურატულად უნდა მოგცეთ. მუდმივი კრიტიკის შემთხვევაში კი ისლა დაგრჩენიათ, ან საბოლოოდ შეეგუოთ მის ახირებას, ან საწინააღმდეგო მოქმედების სტრატეგია შეიმუშაოთ.

## როგორ მოვიქცეთ?

პირველი, რაც თავში მოგივათ, მასთან კავშირის გაწყვეტაა. მაგრამ თუკი ეს ახირებული მამაკაცი თქვენთვის ძვირფასია, მაშინ შეეცადეთ ხელახლა აღზარდოთ. თუმცაღა, ეს ძალიან რთულია. ყველასთვის ცნობილია, რომ ზრდასრული ადამიანი იშვიათად იცვლება. ასეა თუ ისე, ფსიქოლოგებმა თქვენზე იზრუნეს და შეიმუშავეს რჩევათა კრებული, რომელიც ახირებულ მამაკაცებთან საბრძოლველად და მათზე გასამარჯვებლადაა გამიზნული.

## წუწია

მას არ მოსწონს არც ერთი თქვენი ნივთი; შეწუხებული სახით გიმტკიცებთ, რომ ატროფირებული გემოვნება გაქვთ და კაბისა და პომადის დამოუკიდებლად შეძენა არ შეგიძლიათ. გარდა ამისა, თქვენი ფიგურის, სახის ნაკვთების, თმის, ფრჩხილებისა და ხმის მიმართაც კი პრეტენზია უჩნდება.

## როგორ ავხსნათ მისი ასეთი ქცევა?

თუ ის, როცა გაიცანით, მაშინაც ასეთი იყო, მაშასადამე, დაბადებიდანვე ბუზღუნა ყოფილა. აიტანთ თუ ვერა, ეს თქვენი პირადი საქმეა, მაგრამ გახსოვდეთ: ამ სტადიაზე „ავადმყოფობა“ მკურნალობას უკვე აღარ ემორჩილება.

თუ ის უკმაყოფილოა თქვენი შენაძენით, შესაძლებელია, ამის უკან სულ სხვა გრძნობა იმალებოდეს. შეიძლება მას თქვენ მიერ ფულის უყაირათოდ ხარჯვა აღიზიანებს, მაგრამ არ შეუძლია ბანალურ სიძუნწეში გამოგიტყდეთ და მას ასეთი დახელოვნებული ფორმით ნიღბავს.

თუ თქვენს გარეგნულ სტილს მეგობრების, მშობლების, მეზობლების, შემთხვევითი ნაცნობების თანდასწრებით სასაცილოდ იგდებს, მაშასადამე, თქვენთან განშორებაზე დიდი ხანია, ოცნებობს, მაგრამ ამ გადაწყვეტილების სისრულეში მოსაყვანად ძალა არ ჰყოფნის. თქვენი ღირსების მუდმივი შელახვით ქვეცნობიერად (ან შეგნებულად) იმედოვნებს, რომ ერთხელაც იფეთქებთ და თავმობეზრებული მასთან განშორებას გადაწყვეტთ. მაშინ ის სუფთა სინდისით გაგეცლებათ. შეიძლება ასე უკეთესიც იყოს.

თუკი გულწრფელად ცდილობს ახალი ფეხსაცმელებისა თუ ჩანთების შერჩევაში მონაწილეობას, გარისკეთ და დაეთანხმეთ. გამორიცხული არ არის, მართლა ზრუნავდეს თქვენს გარეგნობაზე. თუმცა, რა თქმა უნდა, ასეთები იშვიათად გვხვდებიან.

თუ დაბეჯითებით ცდილობს დაგარწმუნოთ, რომ სუპერსექსუალური კაბები (რომლებშიც საკუთარი თავი ძალიან

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგწონთ) არ უნდა ჩაიცვათ, მაშასადამე, ფარულად ეჭვიანობს და ყველა მისი შენიშვნა თქვენს სიმსუქნესა თუ სიგამხდრეზე — რაც ასეთ კაბებში მკაფიოდ იკვეთება — სინამდვილეში, საკუთარ არასრულფასოვნებაში თქვენს დასარწმუნებლადაა გამიზნული.

თუკი ახალ ვარცხნილობას გიწუნებთ, უბრალოდ, არ ესიამოვნა, რომ შეიცვალეთ. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს ცვლილება უკეთესობისკენაა, მამაკაცი თავს მოუსვენრად გრძნობს: მას ურჩევნია ყოველთვის ერთნაირად გამოიყურებოდეთ. თქვენი ერთფეროვნება მისი სიმშვიდის გარანტიაა!

### თქვენი რეაქცია

გაბრაზება ან მკვახე პასუხის გაცემა უაზრობაა. შესაძლებელია, ის სწორედ ასეთ რეაქციას ელის ჩხუბის წამოსაწყებად. ამიტომ, პირველ რიგში, მოლოდინი უნდა გაუწბილოთ: თავაზიანად გადაუხადეთ მადლობა წვრილმანებისადმი ასეთი ყურადღების გამოჩენის გამო; დაჰპირდით, რომ ამიერიდან ნებისმიერი ნივთის, სამოსის ან კოსმეტიკის შეძენისას რჩევას აუცილებლად ჰკითხავთ. თქვენი ასეთი რეაქცია მას უსათუოდ გააკვირვებს. მომავალში საყიდლებზე ერთად წადით და შესთავაზეთ, გამოსასვლელი ტანსაცმელი თვითონ აგირჩიოთ; საფასურსაც, რა თქმა უნდა, ის გადაიხდის. ეს ვარიანტი შესანიშნავად მოქმედებს ძუნწებზე — ისინი სასწრაფოდ სხვა თემაზე იწყებენ ლაპარაკს, კრიტიკა ავიწყდებათ და კომპლიმენტებით გავსებენ.

შეძლებული მამაკაცი ზოგჯერ უკიდურესად მტკივნეულად აღიქვამს ქალის ფინანსურ დამოუკიდებლობას. თქვენი ნავაჭრი მას შეიძლება მხოლოდ იმიტომ არ მოსწონს, რომ ის მისი ფულით არ არის შეძენილი. ასეთ დროს ვერაფერს გააწყობთ, გარდა იმისა, რომ ყოველი ამგვარი შენაძენის მერე დაარწმუნოთ ხოლმე — ეს აღარ განმეორდებაო.

საჯაროდ დაცინვის შემთხვევაში საქმე სერიოზულ ჩხუბამდე ან ფარულად ცრემლების ღვრამდე არ მიიყვანოთ, მაგრამ არც მოუთმინოთ — მკაცრი და შეუვალი ტონით უთხარით: „არ მსურს ამ საკითხის სხვების თანდასწრებით განხილვა. გარდა ამისა, არ გეთანხმები და მოდი, ამაზე ლაპარაკი შევწყვიტოთ“. მთავარია, თავი ღირსეულად გეჭიროთ და მას თქვენი დამცირების უფლება არ მისცეთ.

თქვენი გარეგნობის ან ჩაცმის სტილის აბუჩად აგდებით, ის, შესაძლებელია, სხვა სფეროში თქვენი უპირატესობის კომპენსაციას ახდენდეს. მაგალითად, თუკი თქვენ მასზე გაცილებით ერუდირებული, ნიჭიერი, ამავე დროს, მატერიალურადაც წელში გამართული ხართ; ანდა, მას უფრო ძლიერად უყვარხართ, ვიდრე თქვენ — ის და უკვე აღარ იცის, როგორ მიიპყროს თქვენი ყურადღება. ასეთ შემთხვევაში რაიმე ქმედითის რჩევა ძნელია. თუ მან ასეთი გზა შეგნებულად აირჩია თქვენი ურთიერთობის დასარეგულირებლად, საეჭვოა ამაზე უარი თქვას.

და თუ, ბოლოს და ბოლოს, არაფერი გამოგდით, მაშინ ისღა დაგრჩენიათ, თქვენც იმავეთი უპასუხოთ.

და მაინც, მამაკაცის მხრიდან გაუთავებელი შენიშვნები იმაზე მეტყველებს, რომ თქვენს ურთიერთობაში სერიოზული ხარვეზებია. ზრდასრული, ნორმალური, შეყვარებული მამაკაცი თავს არასოდეს მისცემს უფლებას, საყვარელი ქალის გარეგნობა გააკრიტიკოს. ■

## კარტოფილი სოკოთი



**მასალად საჭიროა:**

0,5 კგ კარტოფილი;
1 ცალი ხახვი;
1 კბილი ნიორი;
წვრილად დაჭრილი ქამა სოკო;
მწვანილი, მარილი, შავი პილპილი — გემოვნებით.

**მომზადების წესი:**

გახურებულ ზეთმოსხმულ ტაფაზე დაყარეთ კარტოფილი. ცალკე მოშუშეთ სოკო ხახვთან და ცოტაოდენ მწვანილთან ერთად და შეურიეთ კარტოფილს — სანამ ბოლომდე შეიწვება. 5 წუთის შემდეგ დაუმატეთ ნიორი (შეგიძლიათ წყალში გახსნათ და ისე მოასხათ) და კარგად მოურიეთ. ბოლოს მოაყარეთ პილპილი. ■

*რუბრიკა მოამზადა ეკა ბუნთაიშვილმა*

ანტიდეპრესანტი

# გზაში საკითხავი კოლაჟი

*შემდგენელი თემურ ივანიძე*

ერთხელ სპეციალურ ღილაკზე თითის დაჭერით მისცეს სიგნალი.

17. სახლების ნუმერაცია პირველად XVIII საუკუნეში ლონდონში შემოიღეს. მანამდე მისამართი სახლის მფლობელის სახელით განისაზღვრებოდა.

18. ბუქარესტში პარლამენტის შენობის აგებისას ისეთი მოთხოვნა გაჩნდა რუმინულ მარმარილოზე, რომ ჭირისუფლებს სხვა მასალისაგან უწევდათ საფლავის ქვების დამზადება.

19. მავრიტანიაში ქალიშვილის სიგამხდრე მშობლების სირცხვილად მიიჩნევა. მავრიტანიელთა აზრით, რაც უფრო ჭარბწონიანია ქალი, მით უფრო მეტ ადგილს იკავებს მამაკაცის გულში.

20. მიშა მესხი მარცხენა გარემარბი გახლდათ. მისი თამაშის საყურებლად მისული ბევრი გულშემატკივარი ორ ბილეთს ყიდულობდა, რომ მეორე ტაიმში მოპირდაპირე ტრიბუნაზე გადამჯდარიყო და კვლავ ახლოდან ედევნებინათ მისი თავდასხმებისთვის თვალი.



21. ბერნარდ შოუ ხშირად საკუთარ ეზოში მდგარ ფიცრულში მუშაობდა, სადაც მხოლოდ სკამი, მაგიდა და საბეჭდი მანქანა იდგა. ფიცრულს ბორბლები ჰქონდა დამაგრებული და მწერალს შეეძლო, სურვილის მიხედვით ბაღის ნებისმიერ კუთხეში გადაეტანა იგი. შოუს არაერთი ნაწარმოები, მათ შორის „პიგმალიონიც“ სწორედ ამ ფიცრულში აქვს დაწერელი. „გამოძვერი მაქედან ბებერო სულელო, გეყო, ცხოვრების მანძილზე რა სისულელეებიც წერე!“, — უყვიროდა ხუხულაში მომუშავე მწერალს მისი მეუღლე.

22. 1976 წელს მოსკოვში, თბილისის დინამოელებმა ფინალში ერევნის „არარატი“ დაამარცხეს და საბჭოთა კავშირის თასი აიღეს. იმ დღეს მოსკოვის რესტორნებმა სოლიდური შემოსავალი დაკარგეს, რადგან დამარცხებული „არარატის“ გულშემატკივრებს, რომლებსაც წინასწარ ჰქონდათ დაჯავშნილი მაგიდები, ქეიფის იშტა გადაუვარდათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



რუბრიკას უძღვება ექიმი ნინო ჩარგეიშვილი

# ფსორიაზი და დიეტა

**ფსორიაზი სიცოცხლისათვის საშიშ დაავადებას არ წარმოადგენს, მაგრამ დიდ დისკომფორტს უქმნის დაავადებულს. მისგან საბოლოოდ განკურნება შეუძლებელია, მაგრამ მკურნალობის სადღეისოდ არსებული მეთოდების დახმარებით და ჯანსაღი წესით ცხოვრება აუმჯობესებს სიცოცხლის ხარისხს და ხანგრძლივი რემისიის მიღწევის საშუალებას იძლევა. ამიტომ ფსორიაზით დაავადებულებს ექიმები ურჩევენ, თავი აარიდონ ნერვულ გადაძაბვას, თავი დაანებონ მოწევასა და სმას, ხშირად ისეირნონ სუფთა ჰაერზე, იკვებონ სწორად და რაც მთავარია, არ დანებდნენ ამ დაავადებას.**



ფსორიაზის დროს დიეტა ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგების თვალსაზრისით ინიშნება. მედიკამენტური მკურნალობის პარალელურად აუცილებელია დიეტა როგორც დაავადების მწვავე ფაზაში, ასევე შესაძლო გამწვავების (გაზაფხული-შემოდგომა) დროსაც. გამწვავების სტადიაში დიეტა 2-3 კვირას გრძელდება. ის წმენდს საჭმლის მომნელებელ სისტემას, ზოგავს ღვიძლსა და ნაწლავებს.

რაციონი უნდა შეიცავდეს სრულფასოვან ცილებსა და ნახშირწყლებს, ხოლო ცხიმების წილი უნდა შემცირდეს.

სრულფასოვანი ცილებით მდიდარია რძის ნაწარმი (ყველაზე მეტად — ხაჭო), ვიტამინებით — ხილი, ბოსტნეული, კენკრა და მათი წვენები. რაც შეეხება ადვილად ასათვისებელ ნახშირწყლებს (შაქარს, თაფლს, მურაბას), მათი ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ფიზიოლოგიური ნორმის ზედა ზღვარს. კვირაში 1-2-ჯერ მიზანშეწონილია განტვირთვის დღეების მოწყობა. სასურველია, რაციონში ჩავრთოთ ზღვის პროდუქტები (ზღვის კომბოსტო, კალმარი).



### ხილ-ბოსტნეულის დიეტა ფსორიაზიანი ავადმყოფისთვის

**პირველი საუზმე:** 200 გ ასკილის ცხელი ნახარში, ცოცხალი კომბოსტოს, სტაფილოსა და ვაშლის სალათა, შეზავებული 10 გ მცენარეული ზეთით.

**მეორე საუზმე:** ბოსტნეულის პიურე, 100 მლ ხილის წვენი.

**სადილი:** 250 გ ვეგეტარიანული წვნიანი, ბოსტნეულის სალათა, შეზავებული 10 გ არაჟნით ან მცენარეული ზეთით, 100 გ ნიგოზი.

**სამხარი:** გახეხილი სტაფილო ან ჭარხალი, ასკილის ნაყოფის ნახარში.

**ვახშამი:** ვინეგრეტი, შეზავებული 10 გ ზეთით, 200 მლ ჩირის კომპოტი ან ხილის წვენი, 100 გ უხეშად დაფქული მარცვლეულის უმარილო პური, შაქარი ან ქსილიტი დღეში 30 გ.

### ზოგჯერ ფსორიაზს ართროზი და პოლიართროზი დაერთვის

მწვავე სახსროვანი სინდრომის დროს რაციონში ნახშირწყლების ოდენობა 200-250 გ-მდე მცირდება (აქედან 30 გრამი შაქარია), ცილა 70-80 გ-მდე იზღუდება, ერთ ლიტრამდე მცირდება სითხის დღიური ნორმა. მკვეთრად მცირდება სუფრის მარილის მოხმარებაც.

ზოგჯერ კერძის უმარილოდ მომზადებასაც ურჩევენ.

ხორცი და თევზი სასურველია მოხარშული მიირთვათ, მაგრამ არ შეიძლება ხორცისა და თევზის ნახარში.

კარგია, თუ რაციონში უხვად ჩართავთ C და P ვიტამინების შემცველ საკვებსა და სასმელს (მაგალითად, ასკილის, ქაცვის, ასფურცელას ნახარშს). უნდა გაიზარდოს კალიუმის შემცველობაც, განსაკუთრებით — ჰორმონებით მკურნალობისას. კალციუმის ოდენობა იზრდება რძის პროდუქტების ხარჯზე.

აკრძალულია ყოველგვარი ალკოჰოლური სასმელი (ლუდი, ღვინო, არაყი).

**გთავაზობთ რამდენიმე კერძის რეცეპტს, რომლებიც ფსორიაზიანისთვის განსაკუთრებით სასარგებლოა:**

### სტაფილოს სალათა

**საჭიროა:** 80 გ სტაფილო, 3 გ ნიორი, 10 გ მაიონეზი.

ქორფა სტაფილო წვრილად გახეხეთ, დაამატეთ წვრილად დაჭრილი ნიორი, მაიონეზი და ერთმანეთში კარგად აურიეთ.

### ვაშლის სალათა

**საჭიროა:** 2 ცალი ვაშლი, 1 ჩ/კ გახეხილი პირშუშხა, 1 ც სტაფილო, 1 თავი ხახვი, 2 ს/კ დაკეპილი კამა, 4 ს/კ თხელი საწებელი, მარილი — გემოვნებით.

ერთმანეთში აურიეთ წვრილად დაჭრილი ვაშლი, მსხვილად გახეხილი სტაფილო, დაჭრილი ხახვი, შეაზავეთ პირშუშხათი და მარილით, მოასხით საწებელი და მოაყარეთ კამა.

### ნალების კარაქი ჭინჭრით

**საჭიროა:** 500 გ ნალების კარაქი, 65 გ ხორცსაკეპში გატარებული ჭინჭრისა და სამყურას ფოთოლი, 35 გ გახეხილი პირშუშხა.

აურიეთ ერთმანეთში ჭინჭარი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამყურა და პირშუშხა, დაუმატეთ კარაქი. ეს ნარევი წაისვით პურზე ან მოასხით ბურღულის ფაფას.

**ჭარხალი პირშუშხათი**

მოხარშული ჭარხალი გახეხეთ მსხვილად, შეაზავეთ პირშუშხათი და მოასხით არაჟანი. გემოვნებისამებრ შეკაზმეთ მარილითა და შაქრით.

**ვარდკაჭაჭასა და ფორთოხლის სალათა**

**საჭიროა:** 4 კონა ვარდკაჭაჭა, 1 ცალი მოზრდილი ფორთოხალი, მარილი, 1/2 ჩ/კ შაქარი, შავი პილპილი, ლიმონის წვენი.

აურიეთ ერთმანეთში წვრილად დაკეპილი ვარდკაჭაჭა და დაჭრილი ფორთოხალი, მოაყარეთ ცოტაოდენი მარილი და შაქარი. გემოვნებისამებრ შეაზავეთ პილპილითა და ზეთით.

**შვრიის წვნიანი**

**საჭიროა:** 30 გ შვრია, 350 მლ წყალი, 10 გ ნაღების კარაქი, 150 მლ რძე, 2 გ შაქარი, 1/4 კვერცხი.

გარეცხეთ შვრია, დაასხით ადუღებული წყალი და მოხარშვამდე ადუღეთ. გადაწურეთ, მარცვალი გასრისეთ საწურზე და თავისსავე ნახარშში ჩააბრუნეთ. დაუმატეთ ცხელი რძე, წამოადუღეთ და ქურიდან გადმოდგით. კვერცხი ათქვიფეთ და ჩაასხით ცხელ წვნიანში, შეაზავეთ მარილით, შაქრითა და კარაქით.

**ოროვანდის ფოთლების წვნიანი**

**საჭიროა:** 250 გ ოროვანდის ფოთოლი, 80 გ მწვანე ხახვი, 150 გ კარტოფილი, 20 გ ბრინჯი, 20 გ ნაღების კარაქი, მარილი და წიწაკა — გემოვნებით.

კარტოფილი გათალეთ, ჩაყარეთ ქვაბში ბრინჯთან ერთად და მოხარშეთ. ოროვანდის წვრილად დაჭრილი ფოთლები და ხახვი ჩაამატეთ სუფრაზე მიტანამდე 10-15 წუთით ადრე.

**ოროვანდის პიურე**

**საჭიროა:** 1 კგ ოროვანდის ფოთოლი, 100 გ მჟაუნა, 100 გ მარილი, 25 გ კამა, წიწაკა — გემოვნებით.

ოროვანდის ფოთლები ხორცსაკეპ მანქანაში გაატარეთ, დაამატეთ მარილი, წიწაკა, მჟაუნა და კარგად მოურიეთ. ნარევი მოათავსეთ სამლიტრიან ქილაში და შეინახეთ მაცივარში. გამოიყენეთ წვნიანებისა და სალათების მოსამზადებლად, ასევე — საკაზმად ხორცის, თევზისა და ბურღულის კერძებთან.

**ჭინჭრის პიურე**

**საჭიროა:** 1 კგ ჭინჭარი, 1 ს/კ ხორბლის ფქვილი, 1 თავი ხახვი, 1 ს/კ მცენარეული ზეთი, პირშუშხა და მარილი — გემოვნებით.

ჭინჭრის გარეცხილი ქორფა ფოთლები მოხარშეთ მარილწყალში, გაწურეთ, დაკეპეთ, მოაყარეთ ფქვილი, დაუმატეთ 2-3 ს/კ ჭინჭრის ნახარში, მოურიეთ და კვლავ მოხარშეთ, თან განუწყვეტლივ ურიეთ, შემდეგ დაუმატეთ გახეხილი პირშუშხა და ბურღულის ფაფების საკაზმად გამოიყენეთ.



**ძახველის მორსი**

**საჭიროა:** 0,5 ლ ძახველის წვენს დაასხით 1 ლ მდუღარე წყალი, გემოვნებისამებრ დაამატეთ შაქარი და კარგად მოურიეთ. გააჩერეთ 3-5 საათს. მიირთვით გრილი.

**გულყვითელას (კალენდულას) ტკბილი სასმელი**

**საჭიროა:** 50 გ გამომშრალი გულყვითელა, 2 ჭიქა ძახველი, 1 ჭიქა თაფლი, 1 ლ წყალი.

გულყვითელას დაასხით წყალი და ადუღეთ 30 წუთს, შემდეგ ქურიდან გადმოდგით და 12 საათს დატოვეთ დახურულ ჭურჭელში. გაწურეთ, დაამატეთ ძახველის წვენი და თაფლი, კარგად აურიეთ და ჩაასხით ბოთლებში. შეინახეთ გრილ ადგილას.

**დიეტა განსატვირთავად**

ასეთ დიეტას უმთავრესად მძიმე ავადმყოფებს უნიშნავენ მაშინ, როდესაც დაავადება მკურნალობას არ ექვემდებარება.

განტვირთვის პროცესი ორ — განტვირთვისა (საკვებისგან თავშეკავების) და აღდგენის (დიეტური კვების) პერიოდებს მოიცავს. თითოეული მათგანი 10-12 დღეს გრძელდება. განტვირთვის პერიოდში აუცილებელია, ავადმყოფმა ყოველდღიურად გაიკეთოს გამწმენდი ოყნა, მიიღოს შხაპი. გარდა ამისა, აუცილებელია ყოველდღე 2 ლიტრამდე სითხის, ძირითადად — წყლის სმა. მე-3 დღიდან ინიშნება მინერალური ტუტოვანი (ბორჯომის ტიპის) წყალი.

დიეტის დროს შესაძლოა თავი იჩინოს და 2-3 დღეს გაგრძელდეს პირის სიმშრალე, დასკდეს ტუჩის კუთხეები. ასეთ დროს პირში ხშირად გამოივლეთ წყალი, ხოლო ტუჩებზე ისვით მცენარეული ზეთი.

შიმშილი წიდისა და ტოქსინებისგან ორგანიზმის განწმენდის ერთ-ერთი მეთოდია. ის ორგანიზმს ახალგაზრდავებს და ალამაზებს, მაგრამ დამოუკიდებლად, ექიმის მეთვალყურეობის გარეშე ამ მეთოდის გამოყენება სარისკოა.

*მომდევნო ნომერში გიამბობთ იმ მცენარეების შესახებ, რომლებიც ეფექტიანია ფსორიაზის მკურნალობის დროს.*

P.S. პატივცემულო მკითხველებო, მოგვწერეთ, თუ რომელი დაავადების შესახებ გსურთ ინფორმაციის მიღება. რასაკვირველია, ჩვენი ჟურნალის ფურცლებიდან სრული განკურნების მიღწევა შეუძლებელია, მაგრამ იმის გაგებას, თუ რა შეიძლება იყოს თქვენი ჩივილების მიზეზი და ვის უნდა მიმართოთ, ნამდვილად შეძლებთ. რუბრიკის ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე: 5(99) 30.35.97 ან ელფოსტაზე: nino.char@yahoo.com.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბიბლუსი

ბიბლუსი — იგივეა, რაც პაპირუსი, გრაგნილი, წიგნი

## წვეთი პოეზია

### ისლის სახლი

ისლის სახლი, ისლის სახლი!
ქარი!
ქარი!
ქარი!
შენ მაჩვენე მზის სიახლე
და ზღაპრების მხარე.

მე
ზღვის ნისლებს გადავყევი და მთებს
მივეფარე,
ვეღარ ვნახე შენი სახე, ვეღარ
მოგისწარი.
ისლის სახლი, ისლის სახლი!
ქარი!
ქარი!
ქარი!

ჩემი სისხლი შენსკენ იწევს, ჩემი სისხლი ჩქარი.
ისლის სახლი, ისლის სახლი!
ქარი!
ქარი!
ქარი!

*კონსტანტინე გამსახურდია*



## სახსოვარი



### შოთა რუსთაველი

* მარგალიტი არვის მიხვდეს უსასყიდლოდ, უვაჭრელად.

* მას მკურნალმან რაგვარ ჰკურნოს, თუ არ უთხრას, რაცა სჭირდეს!

* რაც არა გწადდეს, იგი ქმნენ, ნუ სდევ წადილთა ნებასა.

* რაღაა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია?

## ქართულ სიტყვათა კონა

შედგენილია
არნოლდ ჩიქობავას რედაქტორობით
1982 წელს გამოცემული
ქართული ენის
განმარტებითი ლექსიკონის
ერთტომეულის მიხედვით

შემდგენელი თემურ ივანიძე

### მ

დასაწყისი იხ. „გზა", №2-52, 2010 — №1-47, 2011

**მორგვი** — 1. რისამე თვლის (ბორბლის) კუნძი, რომელშიც გაყრილია ღერძის თავი და დამაგრებულია სოლები; 2. მოკლე მორი.

**მორვა** — მორებად დაჭრა.

**მორკინალი** (ძვ. და წიგნ.) — 1. მოჭიდავე; 2. ხელდახელ, ხმალდახმალ მებრძოლი.

**მოროდი** (კუთხ.) — სიმინდის მეორედ გათოხნა.

**მორჩი** — 1. ახლად ამოყრილი ყლორტი (ვაზისა); 2. რომელიმე ორგანოს წანაზარდი, განშტოება.

**მორჩილი** (ძვ.) — მონასტერში მსახური.

**მორჭმული** (ძვ.) — ძალაუფლებისა და სიმდიდრის მქონე, ძლევამოსილი, სახელოვანი.

**მოტლაკუნდება** — მოვა (ისე, რომ თან არაფერს მოიტანს).

**მოფშრუკავს** — გადაახმობს (დიდი სიცხეები ან ყინვები ბალახს).

**მოქადული** — ვინც იქადის — მკვეხარა, ტრაბახა.

**მოქაქებული** (კუთხ.) — მიყრილ-მოყრილი.

**მოქლონი** — ფართოთავიანი ლითონის ღერო, ჭანჭიკი, რომელიც იხმარება ლითონის ორი ნაწილის დასაკავშირებლად.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვინ გააცოცხლა ნოდარ დუმბაძის პერსონაჟები ეკრანზე

*ირმა ხარშილაძე*



„სად მიდიხარ, შენ, ჩემი სოფლის შარაგზაო და საით მიგყავს ჩემი სოფელი. გახსოვს? ერთ დღეს შენ წამართვი ყველაფერი, რაც გამაჩნდა ამ ქვეყანაზე. მე გთხოვე მაშინ, შარაგზაო, და შენ დამიბრუნე, რაც შეგეძლო, და მე მადლიერი ვარ შენი“, — ამბობს ნოდარ დუმბაძის სოსოია და თავის ხატიასთან ერთად მიდის „უსასრულოდ ხელიხელჩაკიდებული“. სოსოიას, ზურიკელას, ჯაყოს, ხატიას, მერის, ცირას და კიდევ რამდენი გმირის ეკრანზე გამცოცხლებლები კი საკუთარ ხატიებსა და სოსოიებს ირჩევენ და ასე მიუყვებიან სულ სხვა ცხოვრების შარაგზას.

ბევრ მათგანს — ცხადია, „ნამდვილებს“, თანაც — არა მსახიობებს, შემთხვევის წყალობით დროებით რომ მოუწიათ დუმბაძის გმირებად ცხოვრებამ, სხვადასხვა დროს შევხვდი და ვესაუბრე. და ამდენი წლის შემდეგ თითოეული მათგანი უყოყმანოდ ამბობს: თავიდან რომ დაიწყოს ყველაფერი, მაინც ამ შარაგზაზე ვივლითო...

რა კვალი დატოვეს ნოდარ დუმბაძის პერსონაჟებმა მათ ცხოვრებაში, ვინ იყვნენ და რად იქცნენ — გთავაზობთ ამონარიდებს ყველასთვის კარგად ნაცნობ და, იმავდროულად, ალბათ ბევრისთვის უცნობ ადამიანებთან საუბრიდან.

## „ხალხს დღემდე ვახსოვარ და ეს სოსოიას დამსახურებაა“

**გელა ჭიჭინაძე**, *მხატვარი:*

— სოსოიას როლზე რომ დამამტკიცეს, მერე წავიკითხე ნოდარ დუმბაძის „მე ვხედავ მზეს“. ვერ წარმოიდგენთ, როგორი პასუხისმგებლობის გრძნობა გამიჩნდა — 15 წლის ბიჭი ვიყავი, ანცობაც მიყვარდა, გართობაც, მაგრამ ვხვდებოდი, რომ ცუდის გაკეთების უფლება არ მქონდა და ყოველთვის მობილიზებული გახლდით. ფილმის გადაღება ქართლის ახალქალაქიდან დავიწყეთ, მერე სოხუმშიც ვიღებდით, ეშერაშიც, აფხაზეთის ტყეებში. თევზაობის ეპიზოდები მდინარის პირას არის გადაღებული. მახსოვს, ძალიან ციოდა, წყალში ჩასვლის ეპიზოდის გადაღებისას, — არ გაცივდესო და, — „სოსოიას რუსმა“ ანატოლიმ — მსახიობმა გლებ სტრიჟენოვმა ჩექმიდან „ჩეკუშკა“ დააძრო და არაყი დამალევინა. არადა, ბავშვი ვიყავი და არაყს არ ვსვამდი. ერთმა ჭიქამ ტანში დამიარა და ისე შევხტი წყალში, თითქოს ტანკს ვუვარდებოდი (*იცინის*). მოგვიანებით მეუბნებოდნენ, ანატოლიმ გაგალოთაო. ცხონებული გლებ სტრიჟენოვი შესანიშნავი კაცი იყო. ეჰ, რა გითხრათ! დღევანდელი გადასახედიდან რომ ვუყურებ, არც მჯერა, რომ ის ბიჭი მე ვიყავი და ის პერიოდი მე გავიარე! სულ სხვა ემოცია იყო მაშინ. ჩემს შვილებს და საერთოდ, ახალგაზრდებს რომ ვაკვირდები, სრულიად განსხვავებულები არიან. ჩვენ განცდაც კი სხვაგვარი გვქონდა.

**— თქვენი ხატია როგორი იყო?**

— ოო, ხატია? მაგას ვენაცვალე! ხატია ზღაპარი გოგოა. ლეილა ყიფიანის მსგავსი საყვარელი გოგო, არა მგონია, კიდევ დაიბადოს — სულ პირმცინარი, თბილი და ლამაზი... იმხანად ყმაწვილი ვიყავი და ასეთ გოგონასთან რომ გათამაშებდნენ, შეუძლებელია, არ შეგყვარებოდა. ჰოდა, მეც შემიყვარდა, ლეილას კი არ ვუყვარდი (*იცინის*). გადაღებისას გამოვუტყდი სიყვარულში და იმდენი იცინა, მეწყინა და გავებუტე — ნახევარი ფილმი ისე გადავიღეთ, ხმას არ ვცემდი, თუმცა ეს ამბავი არავის გაუგია. მერე მოსკოვში, ფესტივალზე შევრიგდით... ეს ყველაფერი იმდენი ხნის წინათ იყო...

**— სოსოიას ჰგავდით?**

— ცხონებულმა ჩემმა მშობლებმა ბავშვობიდანვე გამომიცხადეს ნდობა და დამოუკიდებელ ცხოვრებას მიმაჩვიეს. მცირეწლოვანი ვიყავი, მამაჩემმა თოფი რომ მანდო... გამოდის, რომ ვგავდი. შემდეგშიც სოსოიას ამბავივით წარიმართა ჩემი ცხოვრება — მართლა ომი დაიწყო და ბევრმა უბედურებამ გადაიარა ჩემს კისერზე... იმედს მაინც არ ვკარგავ და იცით, რა მიხარია ძალიან? — ხალხს დღემდე ვახსოვარ და ეს სოსოიას დამსახურებაა...



შეუძლებელი იყო არ შეგყვარებოდა „სოსოიას ხატია“

## „ეს მე ვარ, ხატია, ხალხო, მე გხედავთ თქვენ!“

მართლაც შეუძლებელი იყო არ შეგყვარებოდა „სოსოიას ხატია“, ყველას და ყველაფერს რომ უღიმოდა, „უთქმელად უგებდა ყველას სიხარულსაც და მწუხარებასაც, გულთამხილველი იყო“ და სჯეროდა, რომ რაკი მზეს და სოსოიას ხედავდა თავისი ლამაზი, დიდრონი, ცისფერი თვალებით, ერთ მშვენიერ დღეს ადამიანებსაც ეტყოდა: „ეს მე ვარ, ხატია, ხალხო, მე გხედავთ თქვენ!“

**ლეილა ყიფიანი**, *ბიოლოგი:*

— „მე ვხედავ მზეს“ ჩემი პირველი ფილმი იყო. მაშინ 16 წლის ვიყავი, იმ წელს სკოლას ვამთავრებდი. ფოტოსინჯების შემდეგ,

ვიდრე როლზე დამამტკიცებდნენ, ეს ნაწარმოები წავიკითხე და დედაჩემს სულ ვეუბნებოდი: რატომ არ უნდა დამამტკიცონ, ხატიასაც ხომ ცისფერი თვალები აქვს-მეთქი (*იცინის*) — ასეთი გულუბრყვილო ვიყავი. ძალიან ამაყი ვარ და ბედნიერიც, რომ ქალბატონი ლანა ღოღობერიძის ხელი დამებედა — მას მერე ფილმიდან ფილმში მიწვევდნენ.

**— თქვენი სოსოია როგორი იყო?**

— არაჩვეულებრივი ბიჭი იყო, ძალიან სუფთა და ალალი. მე და გელა ჭიჭინაძე ძალიან დავმეგობრდით, ჩემი მეუღლეც კარგად იცნობს... რთული როლი მქონდა — უსინათლო გოგონას ვასრულებდი. ამიტომ მთელი გადამღები ჯგუფი მეხმარებოდა. უსინათლოთა სკოლაშიც ვიარე, ვაკვირდებოდი, როგორ მოძრაობდნენ, ურთიერთობდნენ უსინათლოები და შემდეგ გადაღებაზე რა ამოცანასაც დამისახავდა ქალბატონი ლანა, შეძლებისდაგვარად ვაკეთებდი. ძალიან გამიჭირდა კამერის წინ ტირილი. გელა ერთ წუთში ატირდა, მე კი დიდი დრო დამჭირდა ამისთვის. გელა ალბათ უფრო გულჩვილი იყო.

**— და ძალიან უყვარდით თქვენ, არა?**

— ...(*იცინის*).

**— სამსახიობო ფაკულტეტზე რატომ არ ჩააბარეთ?**

— ქალბატონი ლანა მირჩევდა მოსკოვში, „ვგიკ"-ში (*კინემატოგრაფიის საკავშირო სახელმწიფო ინსტიტუტი. — ავტ.*) ჩაბარებას, მაგრამ ჩემი მშობლები შემეწინააღმდეგნენ — თუ კინოსთვის ივარგებ, ისედაც გადაგიღებენო, ამიტომაც თსუ-ის ბიოლოგიის ფაკულტეტზე ჩავაბარე, ფილმებში კი მართლაც გადამიღეს. სტუდენტი ვიყავი, „ღიმილის ბიჭებში" რომ ვითამაშე. გადაღებებმა ყველანი დაგვამეგობრა, მერე კი ამ ფილმის გმირის, „ჭკუისკოლოფას" როლის შემსრულებელს, ახლა უკვე რეჟისორ ნუგზარ ბაგრატიონ-გრუზინსკის და მე ერთმანეთი შეგვიყვარდა და დავოჯახდით.

**— ერეკლე მეორეს შთამომავალი და სამეფო ტახტის კანონიერი მემკვიდრე რომ იყო, იმიტომ აირჩიეთ?**

— არა, არა (*იცინის*), ამაზე არასდროს მიფიქრია, უბრალოდ, ერთმანეთი შეგვიყვარდა.

***გაგრძელება შემდეგ ნომერში***



ეროვნული ბიბლიოთეკა

*ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით*
*gza.fantazia@gmail.com*



# სასტუმროს ვალეტი

დასაწყისი იხ. „გზა" №39-47

***რუსუდან ბერიძე***

უეცრად გარეთ ძაღლი აყეფდა.

— მეზობლის ძაღლია... — ხმადაბლა ჩაილაპარაკა დიასახლისმა. — მთელ ქუჩას სდარაჯობს.

— კარგია, როცა ასეთი დარაჯი გყავს, — ქალს სიტყვა შეაშველა ანამ, რაზეც ბაკურ ცეცხლაძემ შუბლი შეიკრა.

— ახლავე აგიხსნით, აქ რამ მოგვიყვანა, — ჩაერთო საუბარში ჩავლეიშვილი.

— ყურადღებით გისმენთ, — სმენად იქცა ცეცხლაძე.

— ფინჯნებს, რომლებითაც უგემრილეს ყავას შევექცევით, „ძველი ეზო" აწერია...

— ეს ჩვენი სასტუმროს ლოგოტიპია, უფრო სწორად, ყოფილი სასტუმროსი... — ხმაში სინანული დაეტყო მასპინძელს.

— ასეთივე ლოგოტიპი აღმოვაჩინეთ იმ ორ წერილზე, შარშან, ივლისსა და აგვისტოში თქვენს სასტუმროში რომ დაიწერა და ერთ-ერთი მათგანი ასეთივე ლოგიტიპიანი კონვერტითაც გაიგზავნა. ეს ალბათ, სასტუმროს დახურვამდე ცოტა ხნით ადრე მოხდებოდა.

— თხუთმეტ სექტემბერს დავიხურეთ. ბოლო სტუმრებისთვის ფულიც კი არ გამოგვერთმევია...

— მაინც რატომ დაიხურეთ? — დაინტერესდა ანა.

ცეცხლაძეს აშკარად შეეტყო, რომ საუბარში ანას ჩარევა არ მოსწონდა, ამიტომ, პასუხი მისმა ცოლმა გასცა:

— თავს ზემოთ ძალა აღარ იყო და იმიტომ. ისე, ძალიან კი განვიცადეთ. დღემდე ყველა ნომრის გასაღები შენახული გვაქვს. სულ 17 ნომერი გვქონდა, რომლებშიც, ძირითადად, ჩვენი მუდმივი კლიენტები ჩერდებოდნენ...

— მათ შორის, ვინმე ლექსო ბორაშვილიც ხომ არ იყო? — დაინტერესდა ირაკლი.

— როგორ არა! — ხმა აუთრთოლდა დიასახლისს. — საწყალ ლექსოს რა დამავიწყებს... ასეთი ადამიანები დღეს დიდი იშვიათობაა.

— ესე იგი, ბორაშვილს კარგად იცნობთ, ხომ? — ახლა ბაკურ ცეცხლაძეს მიუბრუნდა ჩავლეიშვილი და, თან, ანას გადახედა, რომელმაც მაშინვე ბლოკნოტი მოიმარჯვა.

— რა თქმა უნდა... — ამოიოხრა ცეცხლაძემ. — საოცრად კარგი ადამიანი იყო. მეგობრული, მშვიდი, გაწონასწორებული...

— ძალიან დაგვავალებთ, თუ მის მოძებნაში დაგვეხმარებით...

მათ ერთმანეთს გაოგნებულებმა გადახედეს.

— ლექსო ბორაშვილი ცოცხალი აღარ არის... — როგორც იქნა, ამოთქვა ბაკურ ცეცხლაძემ. — მეგონა, იცოდით...

პასუხმა ჩავლეიშვილი აშკარად დააბნია:

— რაც უკვე გითხარით, იმის გარდა ლექსო ბორაშვილზე არაფერი ვიცით... თქვენი დახმარებით, მისი მოძებნა გვინდოდა და შემდეგ უშუალოდ გასაუბრება, რაც, რა თქმა უნდა, უკვე შეუძლებელია.

— სამწუხაროდ, ასეა...

— მაინც რა შეემთხვა? და საერთოდ, ვინ იყო ეს კაცი?

— ჩვენი ერთ-ერთი მუდმივი კლიენტი, — ისევ ჩაერთო საუბარში დიასახლისი, — ბათუმში ცხოვრობდა. თბილისში კი ორ-სამ თვეში ერთხელ ჩამოდიოდა და ყოველთვის ჩვენთან ჩერდებოდა.

— პროფესიით ვინ იყო?

— ზუსტად არ ვიცი, მაგრამ მგონი, ბათუმის მერიაში მედიცინას — უფრო სწორად კი, მედიცინაში ეკონომიკურ საკითხებს კურირებდა.

— კი არ კურირებდა, აკონტროლებდა, — შეუსწორა ცოლს ბაკურმა.

— 6 შვილი დარჩა საწყალს, —

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცრემლი მოერია დიასახლისს, — საშინელი ტრაგედია მოხდა, საშინელი...

— როგორ დაიღუპა?

— თავი მოიკლა, — ხმა გაებზარა მასპინძელს, — ისე, თუ ვინმესგან ვერ წარმოვიდგენდი ამას, ალბათ, პირველ რიგში, ლექსო ბორაშვილისგან, მაგრამ სამწუხაროდ, ფაქტი ჯიუტია... სხვათა შორის, ამ ამბამდე ცოტა ხნით ადრე, თბილისში იყო ჩამოსული და, ჩვეულებისამებრ, ჩვენს სასტუმროში ცხოვრობდა. დღისით საქმეებზე დადიოდა, საღამოობით კი თავის ნომერში იჯდა და წიგნს კითხულობდა. ძალიან უყვარდა კითხვა... მივლინების ბოლო დილას, ფული გადაგვიხადა და ახლობელივით დაგვემშვიდობა: ვიცი, რომ შემდეგ ჩამოსვლაზე თქვენი სასტუმრო აღარ დამხვდება, მაგრამ მაინც შემოგივლით და მოგიკითხავთო... მხოლოდ რამდენიმე კვირის შემდეგ გავიგეთ, რაც მოხდა. იმ დღეს დილით ადრე ამდგარა და მანქანით სადღაც წასულა, თან ისე, რომ შინაურებისთვის არაფერი დაუბარებია და არც წერილი დაუტოვებია... ამაზე უფრო დიდი საშინელება რაღა უნდა იყოს მისი ცოლ-შვილისთვის?..

— რამდენი წლის იყო?

— 50 იმხანად შეუსრულდა.

— ალბათ, მისი მისამართიც გეცოდინებათ...

— რა თქმა უნდა, ვიცით, — ისევ ჩაერია საუბარში დიასახლისი, — ხომ გითხარით, ყველა ჩანაწერი შენახული გვაქვს-მეთქი... თუმცა ახლახან ისიც გავიგე, რომ ლექსოს ცოლს იმ სახლში ვეღარ გაუძლია და გაუყიდია.

ჩავლეიშვილმა ბლოკნოტზე თავდახრილ ანას გახედა. ის ყველაფერს გამალებული იწერდა.

— შეიძლება, რაღაც მეც გკითხოთ? — მიმართა ირაკლის ბაკურ ცეცხლაძემ.

— რა თქმა უნდა.

— მაინც რატომ დაინტერესდა პოლიცია ცხონებულით?

— უბრალო ფორმალობის გამო, — მშვიდად მიუგო მას ჩავლეიშვილმა, — მეტს, სამწუხაროდ, ვერაფერს გეტყვით. თუმცა შემიძლია დაგამშვიდოთ, რომ ლექსო ბორაშვილს პოლიცია არანაირ კანონდარღვევაში არ სდებს ბრალს.

— სხვანაირად არც შეიძლებოდა მომხდარიყო, რადგან ძალიან წესიერი ადამიანი იყო, — დაბეჯითებით გაიმეორა მასპინძელმა, — მასთან ხშირად მისაუბრია. საერთოდ, ზედმიწევნით მშვიდი და გაწონასწორებული გახლდათ, მაგრამ ის კი აშფოთებდა, რომ უწესობა ჩვენს ქვეყანაში ლამის ცხოვრების ნორმად იქცა.

— მაშ, რატომ არ დაინტერესდით, ასეთმა წესიერმა ადამიანმა თავი რატომ მოიკლა?

— როგორ არ დავინტერესდით, მაგრამ ჩვენ კი არა, მისი ოჯახის წევრებმაც ვერაფერი გაარკვიეს.

— მეტი შეკითხვა აღარ გვაქვს, — უთხრა ცოლ-ქმარს ჩავლეიშვილმა, — მხოლოდ გასული წლის ჟურნალის ნახვა დაგვრჩა და თავს აღარ შეგაწყენთ.

— ჟურნალების სანახავად სარდაფში უნდა ჩავიდეთ, — ფეხზე წამოდგა ბაკურ ცეცხლაძე.

სარდაფში ჩასვლის შემდეგ ცეცხლაძემ თაროდან ბოლო ჟურნალი ჩამოიღო, მაგიდაზე დადო, ფურცვლა დაუწყო და როცა 12 აგვისტომდე მივიდა, ერთ-ერთ გრაფას თითი დაადო. ჩავლეიშვილიც და ანაც მაშინვე იმ ადგილს დააკვირდნენ. ირაკლიმ ხელწერა მაშინვე იცნო, ანამ კი ჟურნალიდან ბორაშვილის ყველა მონაცემი ამოიწერა. ჩანაწერებიდან ცხადი გახდა, რომ ბორაშვილი მუქარის წერილების დაწერის დროს ნამდვილად „ძველ ეზოში“ იყო გაჩერებული.

— არ მეგონა, თუ ამ ამბავს ასე ადვილად გავარკვევდით, — ხმადაბლა გადაულაპარაკა კმაყოფილმა ანამ ჩავლეიშვილს.

— არც მე, — უფრო ხმადაბლა უპასუხა მას ჩავლეიშვილმა.

უეცრად ანას მობილური ტელეფონი აწკრიალდა. ქალი იქვე მდგარ ტაბურეტზე ჩამოჯდა და ბლოკნოტში რაღაცის ჩანიშვნა დაიწყო. ჩავლეიშვილმა კი ჟურნალი დახურა და მასპინძელს გაუწოდა, რომელმაც ის თავის ადგილზე ფრთხილად შემოდო. სარდაფიდან ამოსვლისას, ირაკლიმ ანას ისევ ხმადაბლა ჰკითხა, რის გაგება მოახერხეო?

— „აუდი“ იყო, — მოკლედ უპასუხა მან, — დანარჩენს მერე გეტყვი.

ირაკლიმ საათს დახედა. თორმეტის ნახევარი ხდებოდა.

— კიდევ ერთხელ — დიდი ბოდიში, ასე გვიან რომ შეგაწუხეთ, — უთხრა მან მასპინძლებს.

— არა უშავს... — უხალისოდ ჩაილაპარაკა ცეცხლაძემ. — იმედია, რაღაცით მაინც დაგეხმარეთ. თუმცა საწყალ ლექსოზე ლაპარაკი მიჭირს...

— მესმის. მაგრამ თუ კიდევ რამეს გაიხსენებთ და დამირეკავთ, მადლობელი დაგრჩებით.

— სიმართლე გითხრათ, ვერ ვხვდები, კიდევ რა უნდა გავიხსენო? — გაუკვირდა ცეცხლაძეს.

— ვერც მე, — გაეღიმა ირაკლის და მასპინძელს ხელი ჩამოართვა...

როგორც კი გამომძიებლები მანქანაში ჩასხდნენ, ანამ მაშინვე ბლოკნოტი მოიმარჯვა:

— მართალი ვიყავი, — დაიწყო მან და, თან, ჩავლეიშვილს გამარჯვებული სახით შეხედა. — სწორედ ის თეთრი „აუდი“ იყო. თუმცა ნომერი მოპარულია და სინამდვილეში ერთ-ერთი დილერული ფირმის ჯერაც გაუყიდავ „ნისანს“ ეკუთვნის.

— დანარჩენ მანქანებზე რას იტყვი?

— დანარჩენებთან ყველაფერი წესრიგშია.

— დაიღალე?

— არა.

ირაკლიმ ავტოგასამართ სადგურთან შეუხვია და მანქანა გააჩერა:

— რადგან არ დაღლილხარ, მაშინ მოდი, პატარა თათბირი ჩავატაროთ.

— მე და შენ?

— ჰო, მარტო მე და შენ. დღეს ნანახისა და მოსმენილის გააზრება ვცადოთ; თან, შევხედოთ, აქეთ ვინ შემოუხვევს. თუმცა ერთადერთი მანქანა, რომელიც ახლავე შეგვიძლია გამოვრიცხოთ, თეთრი „აუდი“ იქნება.

— რატომ? — გაუკვირდა ანას.

— იმიტომ, რომ ჭკვიანი მდევარი ერთი და იმავე მანქანით ორჯერ არსად გამოჩნდება. ჩვენი მდევრები კი სულელებს არ ჰგვანან.

ამის შემდეგ ორივე კაფეში შევიდა და ირაკლიმ ნამცხვარი და ყავა შეუკვეთა. მაგიდა ისე შეარჩიეს, რომ პარკირების ადგილი კარგად გამოჩენი-



ლიყო. კაფე თითქმის ცარიელი იყო.

— აბა, მითხარი, ამ ყველაფერზე რას ფიქრობ? — ჰკითხა ქალს ჩავლეიშვილმა.

— უფრო კონკრეტულად?

— თუნდაც ბათუმელ კონტროლიორზე, რომელიც თბილისელ ადვოკატებს მუქარის წერილებს სწერს და შემდეგ თავს იკლავს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა უნდა ვიფიქრო? — მხრები აიჩეჩა ანამ.

— მაინც, მაინც?

— ლექსო ბორაშვილი თავის წერილებში ადვოკატებს უსამართლობაში ადანაშაულებს და შურისძიებით ემუქრება, — ფრთხილად დაიწყო ანამ, — მაგრამ კონკრეტულად უსამართლობაზე არაფერს ამბობს.

— მართალი ხარ. განაგრძე!

— ბორაშვილს მამა-შვილი ალადაშვილების მომსახურებით არასდროს უსარგებლია... ჯერჯერობით არც მათ სხვა ურთიერთობაზე ვიცით რამე...

— ოღონდ — ჯერჯერობით, — ხაზი გაუსვა ჩავლეიშვილმა, — როგორც ერთი ჩემი ჭკვიანი კოლეგა და მასწავლებელი იტყოდა: პოლიციელებს გვიყვარს იმის გაუთავებლად გამეორება, რომ არაფერი ვიცით; სინამდვილეში კი იმაზე ბევრად მეტი ვიცით, ვიდრე გვგონიაო.

— ეს ძალიან ჰგავს იმ აფორიზმებს, რომლებითაც პოლიციის აკადემიაში გვიტენიდნენ თავებს, — გაეღიმა ქალს, — ჩვენ კი მათ გულმოდგინედ ვიწერდით და მაშინვე ვივიწყებდით.

— ნაკლებად მაინტერესებს, იმ თქვენს ნაქებ აკადემიაში თავებს რითი გიტენიდნენ, — გალიზიანდა ჩავლეიშვილი, — მაგრამ იმას, რასაც გეუბნები, ანდა ჩემი ძველი და გამოცდილი კოლეგებისგან მაქვს გაგონილი, გიჯობს, ყური კარგად მიუგდო.

— გაბრაზდი? — გაუკვირდა ანას.

— იშვიათად ვბრაზდები, მაგრამ შენი დასკვნები კი არ ვარგა.

— რა თქმა უნდა, არ ვარგა... — ხმაში სიხისტე გამოურია ანამაც. — ქალის ჭკუა ხომ თხამ შეჭამა?

— არ ვარგა კი არა, უბრალოდ, რაღაც-რაღაცები გამოგრჩა, — ტონი შეარბილა ჩავლეიშვილმა.

— მაინც რა? — ჩაეძია ანა.

— თუნდაც ის, რომ ლექსო ბორაშვილი წესიერი ადამიანი იყო. ყოველ შემთხვევაში, ცოლ-ქმარი ცეცხლაძეები ამას გამუდმებით უსვამდნენ ხაზს.

— მერე?

— საკუთარი გამოცდილებიდან ვიცი — როცა ადამიანზე ლაპარაკისას, გამუდმებით მის წესიერებას უსვამდნენ ხაზს, ის მართლაც ზედმიწევნით წესიერი აღმოჩენილა.

— ზედმიწევნით წესიერი კონტროლიორი? — გაიკვირვა ანამ.

— შენ წარმოიდგინე, ზოგჯერ ასეთი რამეც ხდება...

— მაგრამ უეცრად, ეს წესიერი და კეთილშობილი ადამიანი საადვოკატო ბიუროში მუქარის წერილებს გზავნის...

— არა მარტო გზავნის, არამედ საკუთარი სახელის მოწერასაც არ ერიდება. კონვერტზე დატანილ სასტუმროს დასახელებას კი შეგნებულად თხუპნის. შენი აზრით, რატომ?

— იმიტომ, რომ თავად ანონიმად დარჩენა არ სურს, მაგრამ ამ საქმეში სასტუმროს გარევას მაინც ერიდება.

— ანონიმად დარჩენა არ სურს კი არა, არ შეუძლია. უკვე დიდი ალბათობით შეგვიძლია იმის ვარაუდი, რომ ალადაშვილებმა კარგად იცოდნენ, ლექსო ბორაშვილი ვინც იყო.

— ერთი სიტყვით, აშკარაა უსამართლობით აღშფოთებული, წესიერი ადამიანის სამართლიანი პროტესტი. და ახლა ის უნდა გავარკვიოთ, თუ კონკრეტულად რა უსამართლობაზეა ლაპარაკი.

— რაც ადვილი არ იქნება.

— რატომ?

— იმიტომ, რომ შუალედური რგოლი გვაკლია.

— შუალედური რგოლი?

— რა თქმა უნდა... უკვე ვიცით, რომ ლექსო ბორაშვილი ალადაშვილების კლიენტი არ ყოფილა, მაგრამ ხომ შეიძლება, ასეთი კლიენტი ის ადამიანი ყოფილიყო, ვისაც, როგორც ბორაშვილთან, ისე ალადაშვილების საადვოკატო ბიუროსთან ჰქონდა შეხება?

ანა ჩაფიქრდა და ჩავლეიშვილს მხოლოდ ამის შემდეგ დაუქნია თავი:

— მართალი ხარ. ბორაშვილს, როგორც სხვისი საქმიანობის მაკონტროლებელს, ბევრ ადამიანთან ექნებოდა ურთიერთობა. ის ხომ მათ მიერ ფულის სწორად ხარჯვას აკონტროლებდა, უამრავ საბუთს, ჩეკს, ანგარიშს ერთმანეთს ადარებდა და შემდეგ საკუთარი ხელმოწერით ადასტურებდა, რომ ყველაფერი წესრიგში იყო ან პირიქით — არ იყო. შენც სწორედ ეს გქონდა, ხომ, მხედველობაში?

— რა თქმა უნდა, მაგრამ თავის მხრივ, ადვოკატებიც ხომ დაახლოებით იმავეს აკეთებენ. ყოველ შემთხვევაში, სწორედ ასე იქცეოდა გამოცდილი ადვოკატი ამირან ალადაშვილი, რომელიც ბოლო დროს ძირითადად, კლიენტების ეკონომიკური მრჩევლობით იყო დაკავებული.

— და ალბათ, აქ გადაიკვეთა მისი და ლექსო ბორაშვილის გზებიც...

— არ გამოვრიცხავ. შემდეგ კი ბორაშვილმა მუქარის 2 წერილი დაწერა. თუმცა შეიძლება, ასეთი წერილი მეტიც იყო. ადვოკატები კი პასუხად რას აკეთებენ? არც არაფერს. უბრალოდ, წერილებს საერთო კონვერტში დებენ და ინახავენ.

— დღეს ორივე ადვოკატი მოკლულია.

— ლექსო ბორაშვილმა კი თავი მოიკლა — ანუ, თუ ადვოკატების პირად მდივან ბიბილაშვილს არ ჩავთვლით, რომელსაც ასევე მოკვლით ემუქრებიან, ამ საქმეში ჩახედული სამივე ადამიანი მკვდარია. ვინაიდან მათ შორის პირველი — ლექსო ბორაშვილი იყო, ყველაფერი მისი თვითმკვლელობით უნდა დავიწყოთ. სასწრაფოდ უნდა დავურეკოთ ბათუმელ კოლეგებს და გავარკვიოთ, არსებობს თუ არა დოკუმენტი, რომელშიც შავით თეთრზე წერია, რომ ეს თვითმკვლელობა იყო. ასევე უნდა არსებობდეს ბორაშვილის გაკვეთის ოქმიც და ასე შემდეგ...

— მის ცოლ-შვილსაც უნდა დაველაპარაკოთ.

— რა თქმა უნდა...

ამის შემდეგ ირაკლი და ანა წასასვლელად მოემზადნენ.

— შენთან საუბარი სასიამოვნო ყოფილა, — შენიშნა ჩავლეიშვილმა, — ამიტომ, ეს უფრო ხშირად უნდა გავაკეთოთ.

— იმის მიუხედავადაც, რომ როგორც გამომძიებელს თითქმის არაფერი შემიძლია და დასკვნებიც კი უხეირო გამომაქვს? — თვალები ეშმაკურად მოწკურა ანამ.

— რაც შემთხვევით წამომცდება, ყველაფერი კი არ უნდა დაიმახსოვრო...

გამომძიებლები მანქანაში როცა ჩასხდნენ, უკვე ღამის პირველი საათი იყო. ჩავლეიშვილმა სევდიანად გაიფიქრა, რომ ცარიელ და ცივ ბინაში მოუწევდა დაბრუნება და, რატომღაც, მამის ის ნამუშევარი გაახსენდა, ცეცხლაძეების ბინაში გამოსაჩენ ადგილზე რომ ეკიდა და იქაურობას რაღაც განსაკუთრებულ სიმყუდროვეს სძენდა. არადა, მამის ფერწერას ირაკლი ლამის როგორც რაღაც სამარცხვინოს, ცუდი გემოვნების ნამდვილ ნიმუშს, ისე უყურებდა. „მაგრამ იქნებ ასე სულაც არ არის? — გაიფიქრა მან. — იქნებ მისი ხელოვნება ადამიანებს წონასწორობისა და სიმყარის და კიდევ, სიმყუდროვის იმ სასიამოვნო განცდას სძენს, რომელსაც მთელი ცხოვრება ეძებენ და, სრულიად მოულოდნელად, მის პეიზაჟებში პოულობენ?“

— რაზე ფიქრობ? — ჰკითხა უეცრად ანამ.

— არაფერზე. უბრალოდ, დავიღალე.

ამის თქმა იყო და ჩავლეიშვილმა საშინელი დაღლა იგრძნო, ანა კი რა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაც შეეცოდა. „იმის ნაცვლად, ახლა სახლში, საყვარელ ადამითან იყოს, ერთი უიღბლო პოლილის გვერდით ზის და ვიღაცების მკვლელობის თუ თვითმკვლების საქმეს არჩევს“, — გაიფიქრა და ანას თანაგრძნობით გახედა.

– რა იყო? — ჩაეძია ქალი. — ქოს რაღაც გაწუხებს, მაგრამ სგან თავს იკავებ.

– არა, — შეცბა ირაკლი, — ისეარაფერი... უბრალოდ, კარგი იქ, თუ ხვალ ყველაფერზე კიდევ ხელ დაწვრილებით ვიმსჯელებთ თუ გაგვიმართლა, რაიმე გონივლ დასკვნამდეც მივალთ.

– მართლა კარგი იქნებოდა... — ოხრა ანამ. — თორემ ცოტაც და მინების ძაფი გამიწყდება.

– არ გირჩევ, — გაეღიმა ჩავლელს, — თორემ განყოფილებაში ოლუცია არ აგვცდება.

– საშინლად არ მიყვარს რევოციები.

– არც მე ვგიჟდები, მაგრამ სააო სიტუაცია ხშირად სწორედ ჩვენების საწინააღმდეგოდ მწიფდება.

ანას პასუხად აღარაფერი უთქვამს. მობაში ცენტრალურ გზაზე გავიდნენ ირაკლიმაც ყურადღება მანქანის თვაზე გადაიტანა.

– გინდა, უკან თბილისის ზღვით ბრუნდეთ? — ჰკითხა მან ქალს.

– ზღვით რატომ?

– ბოდიში, სულ დამავიწყდა, რომ ლში ავადმყოფი დედა გელოდება.

– არა, ამიტომ არ მიკითხავს, — უხდა ანა, — დედაჩემს ჩემი დაც ვენივრად მიხედავს. უბრალოდ, ასე მ გზას დავიგრძელებთ.

– სამაგიეროდ, მდევარს დავღლით. ან, ასე უფრო ადვილად დავასკვნით, რთლა ჩვენ მოგვდევდა თუ მოგვეჩნა.

– არაფერი მომჩვენებია, — გაიზიანდა ანა, — მაგრამ უფროსი ნ ხარ და როგორც იტყვი, ისე ქნება...

როგორც კი ლამპიონებით განათებულ თბილისის ზღვას მიუახლოვდნენ, ჩავლეიშვილს მაშინვე უცნაური გრძნობა დაეუფლა, რომ რაღაც მთლად რიგზე არ იყო და აზრის გასაზიარებლად ანას მიუბრუნდა. მაგრამ ქალს თავი მხარზე ჩამოვარდნოდა და თვლემდა. უკან კი არავინ ჩანდა. „ნამდვილად აღარავინ მოგვდევს, — დაასკვნა ირაკლიმ, — მაგრამ კარგია ეს თუ ცუდი?“ ამის გაფიქრებაზე რატომღაც სოფიო ბიბილაშვილის ბაღში ჩადებული ნაღმი გაახსენდა. „მდევარი... ნაღმი... მანქანა...“ — ნაწყვეტნაწყვეტ გაუელვა თავში, რის შემდეგაც გზიდან სწრაფად გადაუხვია, მანქანა თითქმის ზღვის ნაპირამდე მიიყვანა და მკვეთრად დაამუხრუჭა.

— რა ხდება? — მაშინვე გაეღვიძა ანას.

— ახლავე მანქანიდან გადადი! — უბრძანა მას ირაკლიმ.

— რატომ?

— გადადი-მეთქი! — ხმას აუწია ჩავლეიშვილმა.

ანამ უსაფრთხოების ღვედი შეიხსნა და მანქანიდან სწრაფად გადავიდა.

— მანქანას მოსცილდი! — კიდევ ერთხელ უყვირა მას ჩავლეიშვილმა და მანქანიდან თავადაც სწრაფად გადახტა.

— აღარ იტყვი, რა მოხდა? — კიდევ ერთხელ ჰკითხა მას ანამ, როცა მანქანას ორივე კარგა მანძილით მოშორდა.

— შეიძლება, არც არაფერი, მაგრამ რატომღაც არ მომეწონა, რომ აღარავინ მოგვდევდა.

— ანუ ფიქრობ, რომ... — სათქმელი აღარ დაასრულა ანამ.

ჩავლეიშვილი მიხვდა, რომ ქალმა ზუსტად ის იფიქრა, რაც მან. „ამ ქალისგან მშვენიერი პოლიციელი დადგება, — დაასკვნა გამომძიებელმა, — ჭკვიანია, სიტუაციაში სწრაფად ერკვევა და მოულოდნელ სიტუაციებშიც არ იბნევა“.

— ახლა რა უნდა გავაკეთოთ? — ჰკითხა მას სიცივით აკანკალებულმა ანამ.

— ჯერ ღვინიაშვილს უნდა დავურეკო, — მობილური ტელეფონი ამოიღო ირაკლიმ და ნომრის აკრება დაიწყო, — მაგრამ ვიცი, რომ იფიქრებს, საბოლოოდ გააფრინაო.

— მაშინ იქნებ არ ღირდეს ამის გაკეთება?

— აბა, მთელი ღამე ასე ხომ არ ვიდგებით? მანქანას კი მანამ ვერ მივეკარებით, სანამ ყველაფერს არ გავარკვევთ.

— იქნებ არც არაფერია გასარკვევი?

— შეიძლება, მაგრამ ვერც იმას გამოვრიცხვ, რომ ვინც უმწეო ქალის ეზოში ნაღმი ჩადო, ჩვენი მანქანის აფეთქებას მოერიდება.

ღვინიაშვილმა ზარს ნამძინარევი ხმით უპასუხა.

— ალო, გოგი, ირაკლი ვარ, — მაშინვე ჩასძახა ყურმილში ჩავლეიშვილმა.

— სად ხარ?

— თბილისის ზღვაზე.

— ზღვაზე რა დაგრჩენია?

— მერე აგიხსნი. ახლა კი გუმბერიძეს დაურეკე და სთხოვე, რომ რაც შეიძლება სწრაფად ამოგვაკითხოს.

— რამე მოხდა?

— ჯერ არ ვიცი, მაგრამ მინდა, რომ ჩემი მანქანა დაათვალიეროს.

— მანქანას რა დაემართა?

— ხომ გითხარი, ჯერ არ ვიცი-მეთქი!

— გაფუჭდა?



— არა, მაგრამ ცოტაც და ალბათ, აფეთქდება.

— რაო?..

— სწორად მიმიხვდი. ახლა კი რაც გითხარი, ის გააკეთე! — ჩასძახა ყურმილში ჩავლეიშვილმა და აპარატი მაშინვე გათიშა: — მაინც რამდენი კითხვის დასმა იცის ამ კაცმა.

— ისე, მის ადგილზე მეც ასეთი რეაქცია მექნებოდა, — გამოესარჩლა კოლეგას ანა, — მართლა ძალიან დაუჯერებელია ეს ყველაფერი...

— დაუჯერებელია თუ დასაჯერებელი, სიფრთხილეს თავი არ სტკივა. შეიძლება, მართლაც არაფერი იყოს, მაგრამ ამაში ბოლომდე უნდა დავრწმუნდე...

გუმბერიძის გამოჩენამდე დრო უსაშველოდ გაიწელა.

— გავითოშე... — ჩაილუღლუღა ანამ.

— ჩემს ქურთუკს მოგცემ, — მაშინვე ქურთუკის ღილების გახსნა დაიწყო ირაკლიმ.

— გაგიჟდი? — იუარა ქალმა. — შენ?

— მე არა მიშავს.

— არც იფიქრო!.. — უარის ნიშნად ახლა თავიც ჯიუტად გაიქნია ანამ. — ამას სჯობს, შენს „ფრთებქვეშ“ შემიფარო.

— ეგ როგორ? — ვერ მიუხვდა ირაკლი.

— აი, ასე, — ქურთუკის კალთები განზე გასწია ქალმა, მამაკაცს მკერდზე მიეკრა და ხელები წელზე შემოხვია: — აუ, რა თბილი ხარ!..

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*

სევდა ქვარაცხელია

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით
gza.fantazia@gmail.com



დასაწყისი იხ. „გზა" №47

# წაგებული თამაში

ნახატის მიხედვით შეიძლება ადამიანის ხასიათის ამოცნობა, — სადღაც ინტერნეტში თუ ჟურნალში ამოკითხული ტესტი გაახსენდა. რას ნიშნავს შავი კვადრატები? ალბათ ჩაკეტილი ბუნების მანიშნებელია. მისი უფროსი ხომ ასეთია. სულ მოღუშულია და დაღლილი გამომეტყველება აქვს. მერე მზერა ჩარჩოში ჩასმულ ფოტოზე გადაიტანა. ლამაზ ახალგაზრდა ქალს წლამდე გოგონა მიეხუტებინა ლოყით და იღიმოდა. ეს ერთადერთი საბუთი იყო, რაც ილიას პირად ცხოვრებაზე მეტყველებდა. „რა ლამაზი ცოლი ჰყოლია! — გაიფიქრა ნანათემ. — საინტერესოა, როგორ მოახერხა ამ ბებერმა ასეთი გოგოს შებმა? ვერც წარმომიდგენია, ამ კაცს საერთოდ თუ შეუძლია გაღიმება, არაფერს ვამბობ სიყვარულის ახსნასა და კოცნაზე".

რა აზრები გაუჩნდა. ნეტავ, ვინ ეკითხება! უეცრად შეკრთა, რადგან უფროსის ცივი თვალები დაჟინებით მისჩერებოდა. ილიას სატელეფონო საუბარი დაემთავრებინა და ამჯერად მისი „დათვალიერებით" იყო დაკავებული.

— გაიღვიძეთ?. წამიკითხეთ, რა ჩაიწერეთ.

„დიახ, ახლავე", — უნდოდა ეთქვა, მაგრამ ისე გაბრაზდა, მიხვდა, ახლა ლამაზი მანერების გამოყენება მხოლოდ მის მლიქვნელობას დაამტკიცებდა.

ხმადაბლა შეუდგა კითხვას. როცა დაამთავრა, ილიამ თავი დაუქნია.

— ახლა ეს ყველაფერი კომპიუტერში შეიტანეთ და დანარჩენს მერე მივხედოთ.

ნანათე წამოდგა, თავის ჩანთას და ლაბადას ხელი დაავლო და უფროსის კაბინეტი გაღიზიანებულმა დატოვა.

...კარგა ხანს აკაკუნა კლავიატურაზე. „ამას მე თავისი მდივანი ხომ არ ვგონივარ?! — თან ბუქდავდა, თან გაგულისებული ფიქრობდა. — წავიდეს და თავის მდივანს აბუქდვინოს! როგორ მომაბეზრა თავი!" ცოტა ხანში მაჯები ეტკინა. შეატყო, რომ მთელი ძალით ურტყამდა თითებს კლავიატურას. შეისვენა და ჯერ თითები აათამაშა, მერე მაჯებით წრიული მოძრაობები გააკეთა.

— არ გადამიყოლა ამ კაცმა?! — ხმამაღლა წამოსცდა და მაშინვე კარისკენ გაიხედა, შემთხვევით ილიამ არ შემოიხედოს და არ გაიგონოსო.

სწორედ ამ დროს მობილურზ დაურეკეს. მეკო იყო.

— ჰო! — ისე უკმეხად ჩასძახ თავადაც იუცხოვა.

— რა იყო, რა ხმა გაქვს? — გაუკვირდა მეგობარს.

— ნერვები დამაწყვიტა უკვე! ის თი უხეშია, ისეთი, რომ... არ ვიცი რა!

— სიმპათიურია?

— შენ კიდევ სხვა არაფერი გადარდებს! რაში მჭირდება მაგის სიმპათიურობა, თუკი მომინელა?

— რაო, რა მინდაო?

— დამაგვიანდა და ერთი ამბავი დამაწია!

— რატომ დაგაგვიანდა? სახლიდან ხომ დროზე გახვედი?

— ოოჰ! მერე მოგიყვები! ახლა არ მაქვს მაგის დრო! საქმე მაქვს.

— მოიცა, არ გამითიშო! დღეს თავისთან ცისია გვეპატიჟება.

— რასთან დაკავშირებით?

— ვიღაც უნდა გაგაცნოს, — აკისკისდა მეკო.

— მე თუ შენ?

— შენ, შენ! — „დააზუსტა" დაქალმა. — მაგარი ტიპია, ფულიანი, უცოლოოო... უფრო სწორად, ქვრივი ყოფილა. ერთი შვილი ჰყავს და ცოლს ეძებსოოოო! თან მგონი, თანაშემწესაცო, თავის ოფისში.

— აუჰ! დამცემია ტუზი და ეგ არის! — ირონიულად შენიშნა ნანათემ.

— რატომაც არა? სცადე! ცდა ბედის მონახევრეაო, ხომ გაგიგია!

— და შენ რატომ არა?

— იმიტომ, რომ მე პაემანზე მივდივარ და ვერ შემოგიერთდებით.

— აჰაა! ვინ არის ის ბედნიერი?

— ბედნიერი? ეგ ჯერ კიდევ საკითხავია, ბედნიერი იქნება თუ უბედური ჩემს ხელში.

— რატომ, გოგო, რა გჭირს? ვეღარ გცნობ.

— რა მჭირს და, ცისიას ქმარზე ნაკლებს აღარ გავყვები ცოლად და ეგ, მგონი, მაგის ნახევარიც არ ჩანს. აი, რატომ!

— მაშინ რას მიგეჩქარება პაემანზე?

— ცდა ბედის მონახევრეა, რა იცი, რა ხდება! — ისევ აკისკისდა მეკო.

— გიჟი ხარ ნამდვილი. თვითონ რატომ არ დამირეკა?

— რა მნიშვნელობა აქვს?! დღეს 8 საათზე გელოდება და გამოიპრანჭოსო.

— თუ ცოცხალმა გავაღწიე აქედან, მივალ. ვნახოთ ჯერ, არ ვიცი, რა იქნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მთლად ეგრეა საქმე? უკვე [...]საკლავად მოგდევს?

— იცი, როგორია? აი, შუბლზე რომ აწერიათ დევიზი: „ჩემი სამუშაო ჩემი ცხოვრებაა!“

— მერე რა? მე მომწონს მკაცრი მამაკაცები.

— ჰოდა, შენი იყოს, გადმომილოცნია, თან, ერთი წყება ცოლშვილიც მოჰყვება! — ნანათესაც გაეცინა.

— დიდი მადლობა, არ შეწუხდე. როგორმე მივხედავ თავს. რომელ კაბას იცვამ ამაღამ?

— რა იყო, რო?

— შავი ატლასის მე მათხოვე, რესტორანში მივყავარ „ბიჭუნას“!

— ჩაიცვი, რა პრობლემაა.

— გაიხარეეე! — პატარა გოგოსავით აჭყლოპინდა მეკო.

ნანათეს ხასიათი გამოუკეთდა. გაუხარდა, დაქალს პაემანი რომ „ეჭყანებოდა“.

— ოღონდ გეშველოს და სულ გაჩუქებ მაგ კაბას.

— მართლა?

— გეფიცები!

— დაიმახსოვრე შენი სიტყვა!

— ვიმახსოვრებ, ბატონო! — უფრო ხმამაღლა გაეცინა ნანათეს.

— არადა, ერთი სული მაქვს, ვნახო, ვის გირიგებენ. ხომ იცი, რა ცნობისმოყვარე ვარ.

— დიდად არ მაინტერესებს.

— იმდენი შენ რა გითხარი! არ გიცნობდე მაინც! ისე, მაგარია, როცა „ბრმა“ პაემანზე მიდიხარ. არ იცი და ელოდები, ვის „შემოგაპარებენ“. ამ დროს ხომ შეიძლება, მართლა მაგარი ტიპი იყოს?

— მაგის ბედი ვინ მომცა. რა ჰქვია, არ იცი? რამდენი წლისაა?

— წარმოდგენა არ მაქვს, მაგრამ მთლად ახალგაზრდა ვერ უნდა იყოს.

— ჰო, რა თქმა უნდა. თვითონ დაითრია ახალგაზრდა და რა ენაღვლება! — გაიხუმრა ნანათემ. — ბებერი და უცხვირპირო ესეც მეყოფა, აგერ რომ ზის, გვერდითა ოთახში! — ილიას მიმართულებით გადააქნია ნანათემ თავი.

— კარგი, რა. შეეჩვევი ნელ-ნელა. თუ დააგვიანე, მოგცემდა შენიშვნას, აბა, რას იზამდა!

— არა, მე რატომ არ დამირეკა ცისიამ, ახლა მაგაზე ვბრაზდები.

— გინდა, სიმართლე გითხრა? ჯობია, არ იცოდეს და ასე უფრო ბუნებრივი იქნება მათი გაცნობაო. აი — რატომ! არ გამცე, იცოდე! მე კი გითხარი, მაგრამ არ შეიმჩნიო, კარგი?

— ო! შენ რა ხარ!.. კარგი, კარგი, მე თვითონ დავურეკავ და ვათქმევინებ, შენ არ გაგრევ მაგ საქმეში, — ნანათე დაემშვიდობა მეკოს და მაშინვე ცისიასთან დარეკა.

— ცისი... რა ხდება? გამარჯობა!

— გაგიმარჯოს, ნან... ისეთი არაფერი, სტუმარს ელოდება კახა და...

— ჰოდა, ვინ სტუმარია? — მოუთმენლობა დაეტყო ხმაში.

— გითხრა იმ საზიზღარმა, არა? ენაზე არაფერი დაადგება! — მოჩვენებითად გაბრაზდა ცისია. — კახას მეგობარია, თან — უცოლო...

— თუ ქვრივი? — ცალი წარბი მრავალმნიშვნელოვნად აზიდა ნანათემ.

— რა განსხვავებაა? აღარ ჰყავს ცოლი და მორჩა! კარგი ადამიანია ძალიან, თანაც შეძლებული!

— და გადაღრძუებული, არა?

— რას ამბობ! სულაც არ არის გადაღრძუებული, სადღაც 40-42 წლის იქნება.

— უფფფ! რა ახალგაზრდა ყოფილა! როგორც ჩანს, კრიზისული წლების ზღვარზე ყოფილა! — დასცინა ნანათემ უნახავ პოტენციურ საქმროს.

— მას ისედაც ბევრი კრიზისი ჰქონდა, შენი ირონია სრულიად უადგილოა. თუ არ მოგეწონება, არავინ დაგაძალებს, — იწყინა ცისიამ.

— კარგი, ჰო, რას ავარდი! ქვრივებზე ხომ იცი, როგორ მეცინება.

— ერთი გოგო ჰყავს. რაც ცოლი დაეღუპა, მას მერე არის ასე, მარტომ გაზარდა თურმე.

— საწყალი! — ტუჩი აიბზუა ნანათემ. — შემეცოდა.

— 16 წელია გასული. ახლა უკვე დროა, ჩემს თავზეც ვიფიქროო.

— რაო? და გოგო რამდენი წლისაა, არ დამიმალო!

— მგონი, 20-ის თუ 21-ის, ზუსტად არ ვიცი. ცალკე ბინა უყიდა. ის თავისთვის გადავა, მე კი ჩემს თავს მივხედავო. ჩვენ კიდევ იმდენი გაქეთ, გადავრიეთ კაცი.

— გიჟები ხართ ორივე! შენგან არ მიკვირს, მაგრამ კახა რაღამ გააგიჟა?

— კახა ორ კურდღელს ერთად დაიჭერს. შენც გაგაბედნიერებს და ძმაკაცსაც.

— თუ სამს?

— სამს? მესამე ვიღაა?

— შენ, რა თქმა უნდა. შენც ხომ გაგიხარდება, შენ ქმარი ორ კურდღელს რომ ერთად დაიჭერს? — გაეხუმრა ნანათე.

— თუნდაც!.. მოხვალ, ესე იგი, ხომ? — შეცვალა თემა ცისიამ.

— არ ვიცი, ცისი... ვეცდები, მაგრამ არა მგონია, მაგ ასაკის გოგოსთვის დედინაცვლად გამოვდგე!

— მასთან შენ ნაკლებად გექნება საერთო. აგერ ნახავ! ჯერ გაიცანი და მერე ვილაპარაკოთ ამაზე. იქნებ საერთოდ არ მოგეწონოს, რა ვიცი...

— კარგი, მოვალ. სხვა თუ არაფერი, იქნებ სამუშაოდ მაინც ამიყვანოს. ამას ვეღარ ვუძლებ.

— ჰოდა, მით უკეთესი. მანდედან წამოხვალ და ეგ იქნება.

— კარგი, წავედი, თორემ საქმე მაქვს და დროზე თუ არ მოვუსწარი, გადამდგამს!

— აბა, შენ იცი, გელოდები. ისე, მართლა კარგი ვიღაცაა.

— სექსუალური და მიმზიდველი?

— არა, კეთილი და სათნო.

— აჰა... ესე იგი, მახინჯია, რადგან ასე დამიხასიათე.

— მოხვალ და ნახავ. არ მიყვარს წინასწარ რამის თქმა. თვითონ შეაფასე! წავედი!

— ეგრე იყოს. საღამომდე, სიხარულო!

ის იყო, მობილური გათიშა, რომ კარი გაიღო და ოთახში ილია გამოჩნდა.

— ვის ელაპარაკებოდით? — წარბები შეყარა უფროსმა.

აუჰ! ახლა ამას რომ სიმართლე უთხრას, კიდევ ერთ შენიშვნას მიიღებს! რაღაც უნდა მოიფიქროს. ისე, იცოცხლე! მდიდარი ფანტაზია კი აქვს, არ გაუჭირდება!.. და მოხსნა გუდას თავი.

— საქმროა, საზღვარგარეთ მუშაობს და დამირეკა. ფეხი მოიტეხა თურმე და...



ეროვნული ბიბლიოთეკა

— მზად არის ტექსტი?

— ხუთ წუთში შემოგიტანთ. გადავიკითხავ და...

— აი, ხომ ხედავთ, ისევ აგვიანებთ! ნაკლები უნდა ილაპარაკოთ ტელეფონზე, როცა სამსახურში ხართ. უკვე მთელი საათი დამაკარგვინეთ!

— 5 ხუთი რამეს წყვეტს, ბატონო ილია?

— მაგ 5 წუთს წელანდელი დაგვიანებაც მიუმატეთ, ნანათე და მთლიანად კი გამოგივათ ერთი საათი... და თუ თქვენთვის ეს არაფერს ნიშნავს, მაშინ დარჩით სამსახურის შემდეგ კიდევ ერთი საათი და იმუშავეთ. არსად მეჩქარება! — უკმეხად მიუგდო მამაკაცმა და გავიდა.

— სიამოვნებით, მაგრამ დღეს არ შემიძლია. ხვალ დავრჩები! — მიაძახა ნანათემ და წამოხტა.

ილია შემობრუნდა.

— რატომ არ შეგიძლიათ?

— მნიშვნელოვანი შეხვედრა მაქვს.

— ჰოდა, დაურეკეთ იმ შეხვედრის მონაწილეებს და უთხარით, რომ სამსახურში შეყოვნდით. აქ ნუცას სკოლა კი არ მაქვს მე! — ხმა გაიმკაცრა უფროსმა და თვალებიც დააბრიალა.

— ჩემს თაყვანისმცემელს ეს არ ესიამოვნება, — სასხვათაშორისოდ ჩაილაპარაკა.

— თაყვანისმცემელს? აკი საქმრო მყავსო?

— ის... ის ჩემი დაქალის საქმროა... არ მითქვამს? მგონი, გითხარით.

— ეს კი თქვენი საქმროა, არა?

— ჯერ არ არის, მაგრამ გახდება. სწორედ ამ სალამოს აპირებს ამის თქმას, — უფრო და უფრო წითლდებოდა ნანათე, ისე უხურდა ლაწვები, თითქოს, გახურებულ ღუმელში იჯდა.

— ახ!.. ამიტომაც ხართ ასე დაბნეული? თუ საერთოდ ასეთი ხართ? იმედია, ჭკვიანი ადამიანია ის თქვენი თაყვანისმცემელი! — მრავალმნიშვნელოვნად შენიშნა ილიამ და დაამატა: — სხვა დროს უკეთესი ტყუილი მოიფიქრეთ, თქვენთვის აჯობებს!

— მართლა გეუბნებით, ბატონო ილია, არ გატყუებთ! — მეტი დამაჯერებლობისთვის ნანათემ გულწრფელი ტონი გაურია ხმაში. — ის კი არა, გუშინ მითხრა, მალე სამსახური აღარ დაგჭირდებაო. მიმანიშნა, რომ მზად არის ოჯახის შესაქმნელად. თან, ბანკში მუშაობს კარგ თანამდებობაზე!..

— მაშინ შეგიძლიათ, დღესვე წახვიდეთ სამსახურიდან, არავინ გაკავებთ! თან თუ ასეთი შეძლებული საქმრო გყავთ, რა ძალა გადგათ?

ნანათე შეცბა. მიხვდა, რომ გადააჭარბა, მაგრამ არც ახლა დაიბნა.

— პრინციპის ამბავია! არ მინდა, ეგონოს, რომ დამოუკიდებლად თავის გატანა არ შემიძლია! მერე ვნახოთ, რა იქნება!

— უკეთესი იქნება, თქვენს პრინციპად სამსახურში დროზე მოსვლას თუ აქცევთ! — მშრალად უპასუხა ილიამ და კარი გაიხურა.

ეჰ... ამ კაცის გული ვერ მოიგო, რა! ნეტავ მართალი მაინც იყოს, რაც წელან იქაქანა! ფანტაზიორობა უფრო ეხერხება, ვიდრე ცხოვრების მოწყობა. როდემდე უნდა იცხოვროს ამ ოცნებებით? 3 წელია, 30-ის გახდა. ვაი, ვაიიი! როგორ გარბის წლები! უსიამოვნოდ გადააქნია თავი და კვლავ მონიტორს მიუბრუნდა.

იმ დღეს მართლა ბევრი იმუშავა. 2 წერილი გაამზადეს და ფაქსით გაგზავნეს. შემდეგ ხელშეკრულებებს გადახედეს და შეამოწმეს, რომელს უმთავრდებოდა ვადა და რომელი საჭიროებდა განახლებას. რამდენიმე ადგილას დაარეკვინა ილიამ და მითითებები მისცა, ვისთან რაზე უნდა ელაპარაკა. ამასობაში დამთავრდა სამუშაო დღე. მეშვიდე საათი დაიწყო. მოასწრებს კი შინ მისვლას, თავის მოწესრიგებას ისე, რომ ცისიასთან არ დააგვიანოს?

დააგვიანოს, რა! ქალს უხდება დაგვიანება! იქაც ხომ უფროსი არ დახვდება, რომ საყვედური უთხრას? დიდი ამბავი!

არა, ასე გაგრძელება არ შეიძლება! ძალიან უპასუხისმგებლო გახდა ბესოს დაკარგვის შემდეგ! არადა, პატარა აღარაა. რას მიაღწია 33 წლის განმავლობაში? არც — კარიერა, არც — სახლი... ერთადერთი, რაც შეემატა, წონაა. კარგა გვარიანად ჩათქვირებული გახდა. შეევსო გვერდები. ახლა უწევს სიმსუქნესთან ბრძოლა. არა, მთლად მსუქანიც არ ეთქმის, მაგრამ ასე თუ მიუშვა, მალე გოგრას დაემსგავსება. კიდევ კარგი, სიმაღლეს არ უჩივის, თორემ ლოტოს კოჭივით იქნებოდა. ახლა დედას რომ დაანახვა მისი თავი, შემოიკრავდა ლოყაზე ხელს, რას დამსგავსებიხარო! მერედა, როგორი პრანჭია' დედა ჰყავს! სულ გარეგნობაზე ფიქრს უნდებოდა მთელი წლები. ქმრისგან რომ დისკომფორტი შეექმნა, ადგა და გაშორდა კიდეც. საწყალი მამა! ის კი გადაჰყვა ლოთობას. 19 წლის იყო ნანათე, მამა რომ გარდაეცვალა. საწყალს იმდენი გაუსტუმრებელი ვალი დარჩა, მამის დანატოვარი 2-ოთახიანი ბინა გაყიდეს და ძლივს დაფარეს მისი ვალები. დარჩა დედა-შვილი უბინაოდ. კარგა ხანს იცხოვრეს ნაქირავებში. დედა ხან ოფიციანტად მუშაობდა, ხანაც — მარკეტში გამყიდველად. კარგა ხანს პატივი სცა ქმრის ხსოვნას. უამრავი მთხოვნელი ჰყავდა, მაგრამ მთელი 12 წელი კაცი არ გაიკარა ახლოს, თუმცა სულ ფორმაში იყო. მერე სამუშაოდ საბერძნეთში წავიდა. იქიდან უგზავნიდა ნანათეს ფულს. ეხვეწებოდა კიდეც, შენც წამოდი, აქ მოგაწყობ, ფული ერთად დავაგროვოთ და ბინასაც იყიდიო, მაგრამ ნანათე უარზე იყო. ბოლოს გამოჩნდა ვიღაც, ვისაც ქალბატონი ლანა მოეწონა და ცოლადაც შეირთო. აგერ, უკვე მეორე წელია, დედა გაუთხოვდა. მალავს ნანათე. ვისთან თქვას, დედა გამითხოვდაო?!. ჰოდა, არის ჩუმად. გოგოებმაც კი არ იციან დედამისის ამბავი. ახლა ძველებურად ველარ უგზავნის ფულს. ქმარს ვერ ართმევს, თვითონ კი აღარ მუშაობს, აუკრძალა მეუღლემ მუშაობა. კიდევ კარგი, ცისიამ შეიფარა, თორემ ველარც გასწვდებოდა ალბათ ბინის ქირის გადასახადს.

ეჰ, როგორი იმედი ჰქონდა, ბესოს რომ გაშორდა, წონაში დავიკლებო, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ! თუკი მეკო და ცისია ნერვიულობის დროს საერთოდ კარგავენ ჭამის მადას, ნანათეს პირიქით — ემატება. მას მერე პირი არ გაუჩერებია. ღამის 12 საათზე გამოაღებს ხოლმე მაცივარს და გემრიელად ილუკმება. ამიტომაც გასივდა და გასივდა, წავიდა სიგანეში. იმ დღის მერე მეკოს ყოველი დილა ასეთი შეკითხვით იწყება:

— ნანათე, როგორ ხარ?

და ნანათეს ყოველი დილა ასეთი პასუხით მთავრდება:

— დეპრესიაში ვარ.

და ამ დეპრესიას არა და არ მოელო ბოლო. ილიამ ხომ საერთოდ! უფრო გააღრმავა იგი! რაღა ასეთი უხეირო ბოსი შეხვდა? ბუზღუნა! უხასიათო! ნეტავ, ცოლი როგორ უძლებს სახლში? არადა, რა ლამაზი ქალი ჩანს. ბავშვიც როგორი საყვარელია! ვინ მიაშავა ასეთი ქალი ეგეთ „ბოლმის ბუკეტს“?

მორჩა! ხვალიდან დიეტის დაცვას შეუდგება და მთელი მონდომე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

...თ ეცდება, იპოვოს საუკეთესო სამ...ური და საუკეთესო მამაკაცი. გარ... ამისა, ტრენაჟორებზე დაიწყებს ...არულს ან ცურვაზე და ტანს და...ებს! პირობა პირობაა! უნდა შე...რულოს! დააცადეთ, გაიცნოს ჯერ ...ას მეგობარი!

რაღაც ძალიან ოპტიმისტურ გუ...ზე დადგა, რაშია საქმე? ასე ...ოლოდ მაშინ მოსდის, როცა რამ...ენიმე ჭიქა ღვინო ან შამპანური ...ეს დალეული. აი, მაშინ ყველაფე...ი ადვილი ეჩვენება და სიცოცხლე ...არია. ახლა კი ფხიზელია. სამა...ეროდ, ცოტა ხანში მოუწევს და...ევა და ისევ კარგ ხასიათზე დად...ება. იმ კაცსაც გაამხიარულებს და ...ნ იცის, თუ ძალიან მახინჯი არ ...რის, ეგებ თავიც კი შეაყვაროს! ...ე კარგი ცოლი უნდა ჰყავდეს, მასზე ...უკეთესს ვის იპოვის? მაღალი, ლა...აზი, ჯიშიანი ქართველი ქალი, ლა...აზი ქართული სახელით და გვა...რით. ნინიძე! აგე! ერთობლიობაში ...რა მშვენივრად ჟღერს!

გარეთ მარტის სუსხიანი საღამო ...იდგა. ხელები ლაბადის ჯიბეებში ...აიწყო, მხრები აიწურა და ჩქარი ...აბიჯით გაუყვა ქუჩას, თან წარა...არა უკან იხედებოდა, სამარშრუ...ო ტაქსიმ არ გამასწროსო...

შინ მისულს, მეკო სარკის წინ ...ეხვდა თმაში ბიგუდებგარჭობილი, ...ვალებს იხატავდა.

— კიდევ არ წასულხარ?

— ჯერ ადრეა. ცივა გარეთ?

— საკმაოდ. მგონი, წვიმას აპი...რებს, — ამოიოხრა ნანათემ და ჩანთა ...კამის სახელურზე გადაკიდა.

— უი, თუ დამეშალა ჩემი „პრი...ჩოსკა“!

— ქოლგა წაიღე.

— ვერ ვიტან ქოლგას! თან პაე...მანზე მივდივარ, ქოლგა სად ვათ...რიო?

— მაშინ სამლარიანი ტაქსი გა...მოიძახე. შორს მიდიხარ?

— რა ტაქსი, გაგიჟდი? მანქანით უნდა მომაკითხოს.

— მაშინ რაღას წუწუნებ. მანქა...ნამდე როგორმე მიაღწევ დაუსვე...ლებლად. საჭმელი გვაქვს რამე?

— რა საჭმელი, გაგიჟდი? ცისი...ას ნაირ-ნაირი კერძი ექნება სახ...ლში, სოსისით ნუ გასკდები ახლა! ...მოითმინე ცოტა, ისედაც გასუქდი, ვერ ხედავ, კაბში რომ ვერ ეტევი?

— ვერ ვხედავ! — გაღიზიანე...ბულმა მიაძახა დაქალს და საძინე...ბელში შევიდა.

რა ბედნიერია მეკო. წავა ახლა, შეხვდება ახალგაზრდა, ჯან-ღონით სავსე მამაკაცს, გაეკეკლუცება, რეს...ტორანში მოილხენს... მან კი ვიღაც ქვრივს უნდა უპრაწოს თვალები, იქ...ნებ თავი მოაწონოს. უკეთესი არ ერგო! ღრმად ამოიოხრა და კარადა გამოაღო ტანსაცმლის შესარჩევად...

ორთქლი ასდიოდა, სააბაზანო...დან რომ გამოვიდა. ახლა უფრო გაუმძაფრდა შიმშილი. რა მოხდება, ცოტა რომ წაიხემსოს? იქ ხომ არ მიასკდება საჭმელს! უხერხულია უცხო ადამიანთან. არ იტყვის, რა მსუნაგი ყოფილაო? თავზე პირსახოცგაკრული სამზარეულოში გავიდა და მაცივრიდან ძეხვი გამოიღო. პურის სქელი ნაჭერი მოიჭრა, სიგრძეზე სამი ნაჭერი ძეხვი დაალაგა და უკვე გაპრანჭულ მეკოს ზურგიდან დაუდგა.



— მაინც ვერ მოითმინე, არა? — სარკიდან გამოხედა მეგობარმა.

— რა ლამაზი ხარ, მეკო! არ მოგიტაცოს იმ ბიჭმა. რა ჰქვია?

— ნოდიკო.

— ვაუ! კაცური სახელია! — ირონია არ დაიშურა დაქალის მისამართით.

— ნუ გასკდები ახლა! — უსაყვედურა მეკომ. — დაიცავი დიეტა, ჯობია შენთვის. არ შეგიძლია, ნაკლები ჭამო? ძეხვი როგორ ასუქებს თან?!

— მაშინ მოგიწევს მაცივრის დიეტური კერძებით გავსება.

— დიეტურიც მოიძებნება იქ, შენ რომ გინდოდეს!

— შემეშვი! ვიცი, რასაც ვაკეთებ. ან რა აზრი აქვს დიეტის დაცვას, როცა საქეიფოდ მივდივარ?

— რაღაც უხალისოდ მიდიხარ ცისიასთან.

— ერთი ვნახავდი, როგორი ხალისი გექნებოდა, ის შენი ნოდიკო ქვრივი რომ აღმოჩენილიყო!

— კარგი, რა! მერე რა მოხდა, ქვრივები ქმრად არ გამოდგებიან, თუ რა?! ფული ჰქონდეს და სულ არ დავეძებ, ქვრივი იქნება თუ სამჯერ ნაცოლარი! — თავი უდარდელად გადააქნია მეკომ, პალტო ჩაიცვა, სარკის წინ დაბზრიალდა, გვერდიდან შეხედა თავის ორეულს და მოწონების ნიშნად, ქვედა ტუჩი დაიბრიცა.

— არა მიშავს რა... მშვენიერ ფორმაში ვარ.

ამ დროს ტელეფონმა დარეკა.

— ე! მოვიდა! გავიქეცი, ნან, აბა, შენ იცი! არ შემარცხვინო, იცოდე! — აჩქარდა მეკო, ჩანთა მხარზე გადაიკიდა, მობილური ყურთან მიიდო და გავარდა.

ცოტა არ იყოს, შურიანი მზერა გააყოლა მეგობარს... ხასიათი დაუმძიმდა. მერედა, რატომ? ხომ შეიძლება, იქ მართლაც ოცნების მამაკაცი დახვდეს?! მაგრამ მისნაირ უიღბლოს? — გამორიცხულია!

ის კაბა ჩაიცვა, „გემრიელად“ გულამოჭრილი რომელიც იყო, სხეულზე მოტმასნილი, თანაც წითელი. უხდებოდა ეს ფერი. იფ! მკერდი როგორ ლამაზად გამოუჩნდა. აი, მუცელი რომ არ ჰქონდეს ასე წამოზრდილი, უფრო კარგი გოგო იქნებოდა. თუმცა, მაღალ ქუსლებზე რომ შედგა, კიდევ უფრო ლამაზი და ახლეტილი გამოჩნდა. ამან შედარებით დაამშვიდა. აბა რა, ის ჯობია, ნაწუწნ კანფეტს რომ ჰგავდეს? ვინც კი შეხედავს, მოწონების ნიშნად, ეგრევე გაივლებს გულში: „კანფეტი!“

გაღიმებულმა სარკეში ჩაიხედა. საოცარია... მსუბუქ მაკიაჟსაც კი როგორ შეუძლია მისი სახის შეცვლა! მართალია, შავი თმით და წითელი კაბით ბოშას დაემსგავსა, მაგრამ — მით უკეთესი! ბოშა ქალები ტემპერამენტიანის შთაბეჭდილებას ტოვებენ! თან, თავისი დატალღული კულულებით და წითელი პომადით. ნეტავ, მაგ ქვრივს თუ მოსწონს ბოშები? მეექვსე გრძნობამ უკარნახა ნანათეს, რომ არა! იქნებ არ ჩაეცვა ასე გამომწვევად? რამდენად მომგებიანი იქნება მისთვის ასეთი სახით მისვლა? კახა რას იტყვის? ხომ არ ეწყინება?

როგორც იქნა, მორჩა საკუთარი თავით ტკბობას და საათს დახედა. შემცბარმა ტუჩზე იკბინა. 8 საათი უკვე გამხდარიყო!

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*

ეროვნული ბიბლიოთეკა



# როცა ცდუნებას ავყევი

*მარი ჯაფარიძე*

**გამარჯობა. როგორ გაატარეთ წინა კვირა? იგუნდავეთ? მე — კი. ისე გემრიელად ვიკოტრიალე თოვლში, რომ მეორე დღეს „გემრიელი" სიცხეც მქონდა. ახლა ყველაფერი კარგადაა, გამოვჯანმრთელდი და გზავნილების წერასაც შევუდექი. ასე რომ, შეგიძლიათ, ცდუნებასთან დაკავშირებულ მესიჯებს გაეცნოთ.**

## უტვინო

„რაც ცდუნებას ავყევი და აზარტულ თამაშებს შევეჩვიე, მას მერე ჩემი ცხოვრება სულ სხვანაირად წავიდა. არც პატარა ბიჭი ვარ — 30 წელს გადავაბიჯე კარგა ხანია. ნორმალური სამსახურიც მქონდა და ანგელოზივით ცოლ-შვილიც მყავდა, მაგრამ რად გინდა?! — ეს ყველაფერი თავზე დამენგრა. ბავშვობის ძმაკაცმა, ირაკლიმ გაუგო გემო ტოტალიზატორს (მაზაობდა). არ გეგონოთ, მისთვის ვაპირებ რაიმეს გადაბრალებას, მაგრამ პირველად მან მითხრა, იოლია ფულის მოგება, როცა ზუსტად იცი, რომელი გუნდი მოიგებს, სცადე, იქნებ გამოგივიდესო. ვინაიდან ფეხბურთის დიდი მოყვარული გახლავართ და ლამის წლების წინ ჩატარებული მატჩების შედეგებიც კი ზეპირად ვიცი, ვიფიქრე, ლოგიკურად გავთვლი და როცა 100%-ით ვიქნები დარწმუნებული, მაშინ „გავმაზავ"-მეთქი. თავიდან მართლაც ასე ვიქცეოდი, მცირე თანხით ვთამაშობდი და თითქმის ყოველთვის ვიგებდი. შემდეგ გავთამამდი და ფსონს ავუწიე. გარკვეული პერიოდის შემდეგ უკვე რისკზეც მივდიოდი. ფულს ვაგებდი და ეს მახელებდა, არ შევარჩენ, ათმაგად ამოვიღებ-მეთქი, ვიმუქრებოდი და უფრო მეტ თანხას ვდებდი და ვაგებდი. ირაკლი ძალიან ნერვიულობდა ჩემ გამო, კუდში დამდევდა და მიშლიდა თამაშს, მაგრამ არც კი ვუსმენდი. ჩემი სოლიდური ხელფასი ველარ სწვდებოდა ხარჯს და ბანკიდან დავიწყე სესხის აღება. თითქმის ყვე-



ლა ბანკში საკრედიტო ბარათი გავხსენი, მაგრამ უკვე ისიც აღარ მეყო. მანქანა დავალომბარდე, შემდეგ გავყიდე. ოჯახში მუდმივად უკმაყოფილება მქონდა, მაგრამ აზარტით შეპყრობილს ყველაფერი ფეხებზე მეკიდა. ვალებში ვიხრჩობოდი და მევალეები გასაქანს არ მაძლევდნენ. იძულებული ვიყავი, ბინა ჩამედო ბანკში, მაგრამ ამას ცოლის გარეშე ვერ მოვახერხებდი, რადგან მის სახელზე იყო გაფორმებული. რადგან სხვა გზა არ დამრჩენოდა, ვუთხარი, ასე და ასეა ჩემი საქმე და უნდა მიშველო-მეთქი. კერძო სახლი გვქონდა. 170 ათას დოლარად გაყიდა ჩემმა მეუღლემ, თავისთვის და ბავშვისთვის ოროთახიანი ბინა იყიდა 40 ათასად და დანარჩენი ფული მე მომცა და მითხრა: ბავშვს უბინაოდ ვერ დავტოვებ, ვერც მე ვიცხოვრებ ქირით; ამიტომ ჩემი წილი ავილე, დანარჩენს შენ გაძლევ და ერთმანეთს ვეყრებით კიდეცო. ხელი ჩავიქნიე, რაც გინდა, ის გიქნია-მეთქი და ფულის ნაწილი ვალებში დავარიგე, დანარჩენი ისევ წავაგე. სამსახურშიც გამიფუჭდა საქმე. უფროსმა დამიბარა და პირდაპირ მითხრა — არასერიოზულ ადამიანებთან ურთიერთობა არ მსურს, განცხადება დაწერე და შენი ნებით წა-



...და. ღია ცის ქვეშ დარჩენილი, უმსახუროდაც დავრჩი, რის გამოც ნაქირავები ბინიდან გადასვლა მომიწია. ცოტა ხანს ძმას შევაფარე თავი, მაგრამ გამუდმებული ჩხუბის გამო წამოვედი (მიჩიჩინებდა, თამაშისთვის თავი დამანებებინა). მთლად უმწეოდ დავრჩი. რა გზას დავდგომოდი, არ ვიცოდი. სოფელში, მშობლებთან ჩამოვედი და დღემდე აქ ვარ, უმუშევარი და უფულო. ძალაუნებურად თამაშსაც დავანებე თავი, მაგრამ რაღა დროს? კი გამოვსწორდი, მაგრამ ცხოვრება თავიდან მაქვს დასაწყები. ვერც ცოლთან მივალ — რა ნამუსით უნდა მივადგე კარს, როცა 3-სართულიანი სახლი გავაყიდვინე და ერთ პატარა გალიაში გამოვამწყვდიე. ვერც წარმოვიდგენდი, თუ ოდესმე „გზაში" მესიჯს მოგწერდით, მაგრამ თემამ მიბიძგა, ჩემი გულისტკივილი გამეზიარებინა. პატივისცემით, უტვინო".

## დარტყმაგამძლე

„20 წლისამ მოიყვანა ცოლი თემურმა და მისი გაშვებაც მანამ მოასწრო, სანამ 21-ის გახდებოდა. ახლა 38 წლისაა. შესაფერისი ქალის ძებნის დიდი მცდელობის მიუხედავად, ვერავინ იპოვა და დარდისა და მარტოობის გასაქარწყლებლად ქეიფსა და დროს ტარებაში გაჰყავს დღეები. თემურს სამსახურში ეგრეთ წოდებული „ბატინკები" აჩუქეს, რომელსაც ლანჩის წინა ნაწილზე საკმაოდ სქელი რკინა ჰქონდა მიმაგრებული. თემურს თავდაპირველად საჩუქარი არ მოეწონა და მისი გაჩუქება დააპირა, მაგრამ ბოლოს აზრი შეიცვალა — რა ვიცი, რაში გამომადგება. ერთხელ თემური ძმაკაცებთან ერთად იყო, როცა თავში ეშმაკურმა აზრმა გაუელვა. მათ ნაძლევი დაუდო — ფეხზე ურო დამარტყით და თუ არ მეტკინა, პურმარილი იკისრეთო. თავიდან ძმაკაცები უარზე იყვნენ, რაღა შენ დაგარტყათ, რას გადაგვეკიდე, თავს გვაკვლევინებო? მაგრამ თემური ვირზე შეჯდა, თავისი მაინც გაიტანა და ფეხსაცმელში მიმაგრებული რკინის წყალობით, კარგ ქეიფს გამოჰკრა ხელი. იმ დღის შემდეგ თემური ხშირად იყენებდა ამ ხერხს, ნაირ-ნაირ პურმარილსაც იგებდა და ხალხის გაოცებასაც იწვევდა — შენ რა ყოფილხარ, ფეხი, როგორ არ გტკივაო?! ერთ დღესაც, თემურს ფეხსაცმელმა უმტყუნა, რკინა ამდენი უროს რახუნისგან გაიღუნა და ფეხს სტკენდა. „საპოჟნიკთან" მიიტანა და რკინა ამოაძრობინა, მეორე ფეხსაცმელზე კი დაიტოვა — ყოველი შემთხვევისთვის. ერთ დღეს ნათესავმა შესთავაზა, კარგი გოგო უნდა გაგირიგოო. მასაც მეტი რა უნდოდა და გოგოს ოჯახში მივიდნენ. სასიძო გოგოსაც მოეწონა და მისი ოჯახის წევრებსაც; ისიც ხშირად მიდიოდა მათთან. ერთ დღეს, თემური ძმაკაცს გადაეკიდა, სასიმამროს ოჯახში უნდა გაქეიფოო. სასიმამრომ დიდებული სუფრა გაუშალა, მეზობელ ბიჭებსაც დაუძახა და გაიმართა ქეიფი. ძმაკაცი ეჩიჩინებოდა თემურს, ბევრი არ დალიო, თორემ სისულელეებს დაიწყებ და თავი მოგვეჭრებაო, მაგრამ ყური არ ათხოვა და კარგა გვარიანად გამოთვრა, სითამამეც მოემატა და სასიმამროს თავისი რიხიანი ხმით, მეტად გასაოცარი წინადადება შესთავაზა — ფეხზე ურო დამარტყით და თუ არ მეტკინა, ახლავე გამატანე შენი გოგოო... მერე კი ინანა, სულ არ დავაკარგვინო ჩემზე წარმოდგენა და ხახამშრალი არ დავრჩეო, მაგრამ როცა გაიფიქრა, რომ სახლში მარტო აღარ იქნებოდა და გვერდით საყვარელი ადამიანი ეყოლებოდა, ცდუნებას აჰყვა და დაჟინებით თავისას გაიძახოდა. რომ აღარ მოეშვა, სასიმამროც დათანხმდა. თემურს საცოლე და მისი ოჯახი უფრო რომ გაეოცებინა, ყველაზე ახმახ ბიჭს შესთავაზა, შენ დამარტყიო. ფეხი თამამად მიუშვირა და როცა მთელი ძალით მოხვდა ის დაწყევლილი ურო, სახეზე ფერი დაკარგა... თურმე შეშლია და ის ფეხი მიუშვერია, რომელშიც რკინა ამოცლილი იყო. იხტიბარი აღარ გაიტეხა და სიმწრით ითმენდა ტკივილს. ყველა აღფრთოვანებული იყო სანახაობით, თემური კი ისე გაიპარა, ვერავინ შენიშნა. სიმწრის ოფლი ასხამდა სახეზე. ძმაკაცებმა მაშინვე საავადმყოფოში გააქანეს. საწყალს ისე ჰქონია ფეხი გასივებული, ფეხსაცმელი ვერ გაუხდიათ და ზედვე შემოუჭრიათ. 2 თვე სახლიდან არ (ვერ) გამოდიოდა, საწოლს იყო მიჯაჭვული. ერთ დღეს კი ნათესავმა დაურეკა და საყვედურებთან ერთად აცნობა, — ის გოგო სხვისთვის მიუთხოვებიათ, შენი უთავბოლობის ბრალია, ისევ მარტო რომ დარჩიო. აი, ასე აჰყვა ცდუნებას თემური და რა შედეგიც მოჰყვა ამ ყველაფერს, უკვე თქვენც იცით. ლუნა".



[illegible]

## რა ეშველება მადონას?

„რაიონიდან გიმესიჯებთ და ცდუნებასთან დაკავშირებით საკუთარ თავზე მინდა მოგითხროთ. კარის მეზობლად (ერთი ღობე გვყოფს) ოჯახი ცხოვრობს. ქმარი გამგეობაში მუშაობს, მთელი დღე გასულია, ფულსაც შოულობს და ქეიფსა და დროს ტარებასაც არ იკლებს. ანგელოზივით ცოლი ჰყავს. მარტო სოფლის დედაკაცების კი არა, ქალაქელი ქალების ფონზეც კი ძალიან მაგრად გამოიყურება. აშხვართული ტანი აქვს, მაღალი თეძოები და სავსე მკერდი. თავსაც უვლის და მუდამ ფორმაშია. ერთ მშვენიერ დღეს შევნიშნე, რომ მასთან უცხო მამაკაცი მივიდა. ისე მიიპარებოდა, მივხვდი, კეთილი და პატიოსანი საქმისთვის არ იქნებოდა შეწუხებული. რამდენიმე დღის შემდეგ იგივე მამაკაცი ისევ დავინახე. მოუხშირა მოსვლას, მე კი გულზე ვსკდებოდი, რომ არ დავასწარი და არ „დავეპადხოდე". რას წარმოვიდგენდი, თუ ქმარს ულალატებდა, თორემ პირველი მე შევეცდებოდი მისი გულის მოგებას. ჰოდა, ერთ დღესაც ვერ გავუძელი ცდუნებას და როცა ის კაცი ჩემს მეზობელს ესტუმრა, მეც გადავცუნცულდი ჩუმად მათ ეზოში, ფოტოაპარატი მოვიმარჯვე და სხვადასხვა პოზაში სურათები გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავული. შემდეგ, როცა მადონა სახლში მარტო დავიგულე, ჩემი აპარატიანად ვესტუმრე და შანტაჟი მოვუწყვე. ჯერ თვალები და-



მიბრიალა, მერე სკამს წამოავლო ხელი და თავში დამიშვა. ერთი თუ ორი... ერთი თუ ორი... თვალებიდან ნაპერწკლების გადმოყრა რას ნიშნავს, მაშინ მივხვდი. ძლივს გამოვასწარი იქიდან და კარგა ხანს ვიშუშებდი დაჩეჩქვილ ადგილებს. ერთ მშვენიერ დღეს კი მადონამ მესიჯი მომწერა, ჩემთან გადმოდიო. „კასკა" არ მქონდა და ლამის ლომის ქვაბი დავიხურე თავზე შეშინებულმა, მაგრამ თურმე სულაც არ მქონია სანერვიულოდ საქმე... ერთი სიტყვით, ახლა ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს ჩემი „ოჩერედია" მადონასთან და დანარჩენ დღეებში — მეორის. აი, ასეთ განცხრომაში ვარ, დედაჩემი კი მეუბნება, ცოლი რატომ არ მოგყავსო?! ცოლი რომ მოვიყვანო, ჩემს მადონას რა ეშველება?"

## გაცრუებული იმედი

„სკოლის მოსწავლე ვიყავი, როცა ეს ამბავი გადამხდა. ჩვენს სკოლაში ერთი ბიჭი გადმოვიდა, ქუთაისელი იყო და მისი განსხვავებული კილოსა და საუბრის მანერის წყალობით უცებ მიიქცია ყველას ყურადღება. ერთ დღეს ზურამ გაკვეთილის მიმდინარეობის პროცესში კარი გამოაღო, თავი შემოყო და მორიდებით სთხოვა მასწავლებელს, — თუ შეიძლება, ცოტა ხნით ანა გამოუშვითო. — ანაოო?! — ერთხმად გაიოცეს ჩემმა კლასელებმა და ერთმანეთს გადახედეს. მათზე არანაკლებ გამიკვირდა, აზრზე ვერ მოვდიოდი, რა საქმე უნდა ჰქონოდა ჩემთან. წელმოწყვეტილივით ავდექი და მეგობრებს გადავხედე. მათმა დაბნეულმა მზერამ, რომლითაც აშკარად მეუბნებოდნენ, — ნეტავ რა უნდაო? — მეც დამაბნია. დერეფანში მდგარ ზურიკოს თავი ჰქონდა ჩაქინდრული და ძლივძლივობით ამოილუღლუღა: იცი, რაღაც უნდა გითხრა, ოღონდ ახლა არ შემიძლია, ხვალ გეტყვიო, — და უცებ გაქრა ადგილიდან. რა თქმა უნდა, მისი ნათქვამი მეგობრებს გავუმხილე, ატყდა ერთი მითქმა-მოთქმა და ყველამ დაადგინა, რომ ვუყვარდი და სწორედ ამის თქმას აპირებდა. განსხვავებული აზრი მეც არ მქონდა და მათ დავეთანხმე. მე-2 დღეს მთელი კლასი ველოდით, როდის მეტყოდა სათქმელს, მაგრამ ზურამ უარი მითხრა, — გადავიფიქრე თქმაო. სიმართლის გაგების ცდუნება ძალიან დიდი იყო, მისმა პასუხმა არ დაგვაკმაყოფილა და მთელი 1 კვირა კუდში ვდიეთ, სანამ ჩვენი არ გავიტანეთ. ზურამ გვერდზე გამიყვანა, ხელზე ხელი მომკიდა. მისმა ამგვარმა საქციელმა უფრო დამარწმუნა, რომ ვუყვარდი. თავი დახარა და დაიწყო: „იციი, მე, მე... მე შენი და მიყვარს!" — „ჩემი დაა?!" — გაკვირვებისგან თვალები დავქაჩე. — „ჰო, შენი და!" — დამიდასტურა მან. გონს რომ მოვედი, სიცილი ამივარდა და ვუთხარი, — მერე მე რას მეუბნები, ჩემს დას ვერ ეტყვი-მეთქი? ამის თქმა იყო და, ჩემი მეგობრები დერეფანში შემოცვივდნენ, დამავლეს ხელი და წამში გამაქანეს დერეფნის ბოლოს; რაო, რა გითხრაო? — მოუთმენლად მკითხეს. სიცილი ამივარდა და სიმართლე გავუმხილე, ჩემი და ჰყვარებია თურმე-მეთქი... შენი დაო?! — ერთხმად წამოიყვირეს და სიცილი დამაყარეს. ასე დამტოვა ზურიკომ ხახამშრალი, როცა მე ცდუნებას ავყევი და ლამის შემიყვარდა. გაცოცხლებული თოჯინა".

## „ცისფერი" ცდუნება

„ლალატზე გამახსენდა ერთი ამბავი და მინდა მოგიყვეთ. გოგონებს ვურჩევ, რომ ცისფერებთან არც იდაქალონ და არც იძმაკაცონ. ერთი ცისფერი მეგობარი მყავდა, რომელსაც ძალიან ვენდობოდი და როგორც დები, ისე ვიყავით. სანამ სასეირნოდ წავიდოდით, ტუჩის საცხის წასმა ლევანიკოს არასდროს ავიწყდებოდა.



ერთხელ ჩემმა „ლოვემ" შეხვედრა მთხოვა, მაგრამ ისეთი სიტუაცია მქონდა, რომ მარტო ვერ მივდიოდი (ფეხი მქონდა მოტეხილი და ყავარჯნებით სიარული მიჭირდა). საღამოს ლევანს ვთხოვე დახმარება და სიამოვნებით დამთანხმდა. პაემანი პარასკევს გვქონდა დანიშნული და სიხარულით ველოდი ამ დღის დადგომას. დადგა პარასკევიც. ლეომ დანიშნულ ადგილზე მომაკითხა და გავემართეთ ზუკას სანახავად. ინტერესი კლავ-

**ყურადღება!** თუ გსურთ, თქვენი მესიჯი „გზავნილებში" დაიბეჭდოს, ტექსტი ვრცელი მესიჯით არ გამოგზავნოთ. ერთი მესიჯი (და არა — ამბავი) მხოლოდ 160 სიმბოლოს უნდა შეიცავდეს. ამიტომ, თუ ამბის მოყოლას ერთ მესიჯზე მეტი სჭირდება, გთხოვთ დაანაწევროთ და ცალ-ცალკე გამოგზავნოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენი მონათხრობი არ გამოქვეყნდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, ზუკა როგორი იყო. მივედით პაემნის ადგილზე. ლეოს მისვლისთანავე დაეტყო რაღაც შეშფოთება; ანერვიულდა. ცდილობდა, ჩემსა და ზუკას შორის ჩამდგარიყო, ჩემი შეყვარებულის ყურადღება მიეპყრო. დადგა წამოსვლის დროც. მე და ზუკა ძლიერად ჩავეკარით ერთმანეთს, არ გვინდოდა განშორება, მაგრამ ლეომ ხელიდან გამომწიწკნა და წამომიყვანა. გზაში მითხრა, — რა „სიმპო“ „ლოვე“ გყავსო. გამეცინა და ვკითხე, — ჰა, ლეო, „ლოვე“ ხომ არ უნდა ამახიო-მეთქი? მაშინ ეს სასაცილოდაც არ მყოფნიდა. რას ვიფიქრებდი, თუ მართლა ასე მოხდებოდა?! მეორე დღეს ლეომ მთხოვა, — მესიჯი გამაგზავნინეო. დაუფიქრებლად მივაწოდე ტელეფონი. თურმე ამ ჩვენს ჰომოსექსუალს ზუკას ნომერი ამოუწერია და დაუწყიათ მიწერ-მოწერა. ამ ამბიდან 1 თვის შემდეგ ზუკამ დამირეკა და შეხვედრა მთხოვა. თან მითხრა, სერიოზული საქმე მაქვსო. მეც შეშფოთებული გავვარდი მის სანახავად. დავინახე თუ არა, მაშინვე ვეცი — რამე ცუდი ხომ არ ხდება-მეთქი? მიპასუხა, ერთ ადამიანს უნდა დაველოდოთ და მალე ყველაფერს გაიგებო. ცოტა კი ავნერვიულდი, მაგრამ უნდა მომეცადა, სხვა რა გზა მქონდა. ცოტა ხანში ლეო დავინახე და გავოცდი. თურმე ლეოს და ზუკას ერთმანეთი უპოვიათ; თანაც მითხრეს, რომ ერთურთი მაგრად შეჰყვარებიათ. ამის გაგონებაზე ისტერიკული სიცილი ამიტყდა. როცა დავწყნარდი, ყველაფერი გავაანალიზე და წარმოვიდგინე, ზუკა და ლეო როგორ „ზასაობდნენ“, კინაღამ გული ამერია. ზუკას სილა გავაწანი და იქიდან თავქუდმოგლეჯილი გამოვიქეცი. 2 კვირის შემდეგ ზუკამ პატიება მთხოვა, მაგრამ უკვე გვიან იყო: მის მიმართ სიყვარული სიძულვილში გადაზრდილიყო. აი, ასე მიღალატა ჩემმა „ბესთფრენდმა“ და აჰყვა ცისფერ ცდუნებას“.

■

*მომდევნო ნომრის თემა იქნება — „ძალადობის მსხვერპლი“.*
*ამბები შეგიძლიათ გამოგზავნოთ მესიჯებით ტელეფონის ნომერზე:*
*5.77.45.68.61*
*ან მომწეროთ ელფოსტაზე:*
*marorita77@yahoo.com*

# ფოტო, რომელმაც წარწერა დაკარგა



• „მიყვარს სმა და მიყვარს ჭამა, თენდება თუ ღამდება, ყველი და ფუმფულა პური, სიზმარშიც მელანდება“. ჭრიჭინა.

• „პატარა ლუარსაბი“. **CLY FOXY**.

• „ნამდვილად მამამისის ნიჭი გამოჰყვა“. **CLY FOXY**.

• „ყველი, პური, ხაჭაპური და ჩიკოს „სოსკა“. **CLY FOXY**.

• „რა დროს მთავრდება ეს „ბაბილინა“?! ჭამას არ მაცდიან, რა!“ ლუნა.

• „დედას ბუშტი“. ლუნა.

• „კაცია და მოლხენა არ ეშლება!“ **THE LITTLE**.

• „მძინარე გარგანტუა“. ემიკო.

• „პატარავ, სულ რომ გძინავს, ჭამის დროს მაინც გაახილე თვალი“. მერი.

• „თუ გინდა რომ იძინოს, მიეცი საჭმელი“.

• „ბოლო ჭიქა არ უნდა დამელია, რა“... თიკ...

• „პირველად როცა დავთვერი, 8 თვის ვიყავი“. ელის.

• „რა თაობა მოდის?! დაბადებიდან იციან არაყის, ყველისა და პურის სიყვარული“. ელის.

• „თუ გინდა იყო ამაყი, უნდა დალიო არაყი“. ელის.

• „წყლის ბოთლში არაყი ვინ ჩამისხა?“ ელის.

• „აი, ასეე! ახლა დილანდელი სიზმალი უნდა გავაგლძელო, მალტო ბევლი ჩიჩიებილო მქონდაა!“

• „ყველი, პური და კეთილ გულთან ერთად ჩიკოს ცარიელი ბოთლი. იავნანა, ვარდოვნანა“.

• „აუ, როგორ დავიღალე, ჭამის თავიც არა მაქვს“.

• „პური ჭამე და წყალი სვი, გულზე მოგივა ხალისი, ლამაზ სიზმარსაც იხილავ, ხელს თუ არავინ შეგიშლის“. ლიკუნა.

• „დღეს მასაც აქვს საფიქრალი“.

• „ოე, პაწუა, ცოტა მეც დამიტოვე, დღეს მთელი დღე მშიერი ვარ“.

• „ჭამა და ძილი!“

• „სიზმარშიც სუფრა მესიზმრება“. **RAINBOW**-იასამანი.

• „სუფრასთან ჩაძინება არ არის ვაჟკაცის წესი“. ნიცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „სიყვარულმა ნაცოლარი, განათხოვარი და ნაციხარი არ იცის“

**„გზის“ №46-ში დაიბეჭდა 19 წლის ეკას მესიჯი. იგი გვწერდა: „ჩემი ყოფილი შეყვარებული არც კრიმინალია და არც — ნაცოლარი, ის უბრალოდ, ნაძირალაა. მან სწორედ იმ დღეს მიმატოვა, როცა ნიშნობა გვქონდა... სასიძომ რომ დაიგვიანა, დედამ მითხრა: მამაშენი უკვე ნერვიულობს და მიდი, შენს გიოს დაურეკე, რაიმე ხომ არ შეემთხვაო? ჩემს „ლოველს“ ტელეფონი გათიშული ჰქონდა. ლოდინში გაილია რამდენიმე საათი. მერე მისი მეგობრები ავაწიოკე, — რაიმე ხომ არ იცით-მეთქი? მაგრამ არავინ არაფერი იცოდა. გადავწყვიტე, მისთვის შინ მიმეკითხა და გამეგო, რატომ არ მოვიდა. მისი ბინის კართან დავდექი, ზარი დავრეკე. კარი დედამისმა გააღო. მხიარულად შემეგება და, შენ ალბათ, ჩემი რძლის ნათესავი ხარო, — ხელი ჩამჭიდა და გაოგნებული სტუმრების მისაღებ ოთახში შემიყვანა, სადაც ჩემი საქმრო ვიღაც გოგოსთან ერთად, სუფრის თავში იჯდა. გავოგნდი და ვკითხე; გიო, აქ რა ხდება-მეთქი? ხმა ვერ ამოიღო. ისევ დედამისმა ამიხსნა: ჩემმა ვაჟმა ცოლი შეირთო; შვილო, შენ ვინ ხარო? მისი სახლიდან ისე გამოვიქეცი, სიტყვაც აღარ მითქვამს...“**

## „მასზე შურს მაშინ იძიებ, თუ სანიმუშო ოჯახს შექმნი“

*როგორც ეკა ამბობს, იმ დღეებში თავის მოკვლაზეც ფიქრობდა, მაგრამ ამის საშუალებას მეგობრები არ აძლევდნენ, უფრო მეტიც — გვერდიდან წუთითაც არ შორდებოდნენ. „რამდენიმე დღის შემდეგ, როცა გონს მოვეგე, მობილურში მისი მესიჯები ვიპოვე: ყველაფრისთვის პატიებას მთხოვდა და მწერდა, რომ მზად იყო, ჩემთან ერთად თუნდაც ქვეყნის დასალიერში გაპარულიყო. ეს გოგო რომ მივატოვო, ამისთვის მხოლოდ შენი ერთი სიტყვაა საჭიროო... ვერ მივხვდი, ჩემგან რა უნდოდა და ცხადია, გაბრაზებულს მისთვის რაიმეს ახსნის შანსიც არ მიმიცია; ახლა, 5 თვის შემდეგ კი ამას ვნანობ: ვინ იცის, რა გადახდა თავს და იქნებ ღირდა, მისთვის მომესმინა?.. ჩემი გული ორადაა გაგლეჯილი: ერთ ნაწილს მის გარეშე ყოფნა უმძიმს, მეორეს კი შურისძიების სურვილი კლავს“.*

**საბერძნეთი:**

„შვილო, გატყობ, ჭკვიანი გოგო ხარ. გირჩევ, ის ნაძირალა ახლოსაც არ გაიკარო. მასზე შურს მაშინ იძიებ, თუ კარგ ადამიანს გაჰყვები ცოლად და სანიმუშო ოჯახს შექმნი. იცოდე, შანსი რომც მისცე, ის ერთგული არასდროს იქნება... ან შენი ოჯახის წევრებს რა ნამუსით უნდა შეხედოს თვალებში? წარმატებებს გისურვებ! იმედია, სწორ გადაწყვეტილებას მიიღებ“.

**ეკა:**

„ასეთი რამ მხოლოდ ფილმებში მინახავს. რატომღაც მგონია, რომ ეს ყველაფერი შენი ფანტაზიის ნაყოფია და ამიტომაც, რჩევას კი არა, ცემას იმსახურებ. სერიალებს აღარ უყურო და მსგავსი რაღაცებიც არ დაგესიზმრება“.

**რუსკა:**

„შენს ადგილას, მის ოჯახში მისული ყველაფერს დავამსხვრევდი, იმ ჩემს საქმროს კი სულ თმით ვითრევდი არა მარტო ჩემი, არამედ ჩემი მშობლების, ნათესავების შეურაცხყოფისთვის. რას ჰქვია, ხმის ამოუღებლად გამოიქეცი? არა, რა, შენი არ მესმის და მომკალი თუ გინდა... ახლა კიდევ, მასთან შერიგება გინდა? ვაი, ვაი, ამ ქალებს ჭკუა სულ გამოგელიათ, რა!“

**მალინა:**

„შენი მესმის. შეყვარებულმა მეც ქორწილის წინადღეს მიმატოვა. მიზეზი? — თურმე მხოლოდ მაშინ მიხვდა, რომ არ ვუყვარდი. სინამდვილეში, ის პასუხისმგებლობას გაექცა... თუმცა, შენს შემთხვევაში ყველაფერი სხვაგვარად მოხდა — მან სხვა შეირთო. არა მგონია, ამ ამბავში ყველაფერი „სუფთად“ იყოს, თორემ პატიებას არ გთხოვდა, შენთან ერთად ქვეყნის დასალიერში გაქცევის სურვილი არ ექნებოდა. მიეცი შანსი, სიყვარული დაგიმტკიცოს. სთხოვე აგიხსნას, ასე სასტიკად რატომ მოგექცა. იმედია, სიყვარული გაიმარჯვებს და ყველაფერი კარგად დამთავრდება. წარმატებები!“

**გადარეული:**

„მაგ ბიჭს რომ დაუბრუნდე, შენს მშობლებს მართლა გაუსკდებათ გული. დაჩოქილმა რომ გთხოვოს, ეგ საქციელი მაინც არ უნდა აპატიო. მე ბიჭი ვარ და მერწმუნე, გოგოს ასეთ რაღაცას არასდროს გავუკეთებ. იგი წავა და სხვა მოვა, მასზე არ იდარდო“.

**ილი,** *15 წლის:*

„მიეცი შანსი, აგიხსნას, რა მოხდა სინამდვილეში, მერე კი თავადვე მიხვდები, როგორ უნდა მოიქცე. გონების კარნახს მიენდვე... მის შესახებ რა იცი? ისევ იმ გოგოსთან ერთად ცხოვრობს? შვილები ჰყავს? მოკლედ, გადაწყვეტილების მიღებისას ეს ყველაფერი უნდა გაითვალისწინო. წარმატებებს და უზარმაზარ ბედნიერებას გისურვებ!“

**შორენა:**

„ცოლიანი კაცის დევნა არ ღირს. შენთვისვე ჯობია, იმ მატყუარას ყველაფერი მიუტევო, მაგრამ თან — სამუდამოდ დაივიწყო“.

**ზურა:**

„ან ძმა არ გყავს, ან ისეთი ნათესავი, რომელიც იმ შენს ყოფილ საქმროს ცხვირ-პირს ამოუნაყავდა? ნეტავ, იმ ბიჭის ვინაობა დამადგენინა და მე თავად „ვცემ პატივს“. ჩემო კარგო, ოდესმე ჩემი დახმარება თუ დაგჭირდება, დამიკავშირდი, არ მოგერიდოს... ერთ ამბავს მოგიყვები: ჩემს დასაც ულირსი შეყვარებული ჰყავდა. მართალია, როცა ვეუბნებოდი, ამ ბიჭის სიძეობის იდეა არ მომწონს-მეთქი, მიბრაზდებოდა, — შენი მოსაწონი საქმრო სად ვიპოვოო?! მაგრამ მერე მიხვდა, რომ მართალი ვიყავი... ერთხელაც, საღამოს ვარჯიშიდან მოვდიოდი (ფეხბურთზე დავდივარ, რა) და ის ბიჭი ვიღაც გოგოსთან ერთად, ერთ-ერთ ბაღში დავინახე. დავინტერესდი, რა ხდებოდა და გვერდით ჩავუარე. ჰმ, სიყვარულს უხსნიდა, თან — საკუთარი გრძნობების დასამტკიცებლად, ხელებსაც იშველიებდა და ეფერებოდა. მოკლედ, შინ ტაქსით წავედი, ჩემი და მანქანაში ჩავისვი და ტაქსის მძღოლს გეზი ისევ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ ბალისკენ ავალებინე. თინი გაოგნებული მიყურებდა, — რა ხდება? ვუპასუხე: უბრალოდ, მინდა დაგიმტკიცო, რომ შენთვის მხოლოდ კარგი მინდა-მეთქი. ჰოდა, როცა მან საკუთარი თვალით ნახა, მისი შეყვარებული სხვას როგორ ეარშიყებოდა; როცა საკუთარი ყურით გაიგონა, რომ იმ გოგოსაც იმავე სიტყვებით „აბოლებდა", რითიც ჩემს თინის, ისე აილეწა, რომ წყვილს პირდაპირ მიეჭრა — ჯერ იმ გოგოს ურტყა სიფათში, მერე კი „ლოვე" ისე დაკაწრა, ბიჭს სახიდან სულ სისხლი სდიოდა. თინი ძლივს „ავწაპნე" მისი სახის კანიდან. იმ არაკაცმა კი დრო იხელთა და ჩემს დას დაარტყა: როგორ იქცევი, გონს მოდიო! ასე არ უნდა-მეთქი და ისე მივუეუე, ძვალ-რბილი გავუერთიანე. აი, მას მერე ჩემი დაიკო ყველაფერს მიჯერებს. სხვათა შორის, ახლა სხვა რჩეული ჰყავს და მისი ახალი „ლოვე" ძალიანაც მომწონს. ის ნამდვილად ადამიანია. გისურვებ, შენც ასეთ კაცს შეგახვედროს განგებამ. წარმატებები!"

**ლუნა:**

„წარმოდგენაც კი არ მინდა იმ ყველაფრის, რაც მოგვწერე. ძალიან დავიბენი. ვერ ვხვდები, შენს საქმროს ისეთი რა მიზეზი უნდა ჰქონოდა, რომ ნიშნობის დღეს მიგატოვა და ცოლად სხვა შეირთო. მაპატიე, მაგრამ იმ ბიჭის სიტყვების არ მჯერა. ისე ძალიან რომ ჰყვარებოდი, როგორც გწერს, სხვას არ შეირთავდა. ჩემო კარგო, ძალიან ძნელია გაურკვევლობაში ცხოვრება. გირჩევ, შენს ყოფილ საქმროს შეხვდე და ყველაფრის ახსნა მოსთხოვო, შემდეგ კი რაც უნდა გითხრას, აღარ ენდო. იცოდე, როცა უყვართ, სხვას არ ირთავენ. აბა, შენ იცი. შენს ცხოვრებაში მალე გამოჩნდება ადამიანი, რომელიც გაგაბედნიერებს. გკოცნი!"

**მაღვალაკი:**

„არ მესმის, შენს საქმროს იმ დღეს ისეთი რა უნდა მოსვლოდა, რომ გონება არეოდა და სხვაში არეოდი. ალბათ, ნასვამი იყო და ეგონა, შენს სახლში მოვიდა, სინამდვილეში კი უცხო ოჯახს მიადგა და მასპინძელს ქალიშვილის ხელი სთხოვა. იმათაც, სასიძო მოეწონათ, უხმოდ გამოატანეს თავიანთი მახინჯი პრინცესა და ამანაც, უკან ვერ დაიხია, არა?.. ვაი, ვაი, ვაი. არა მგონია, მის საქციელს რაიმე გამართლება ჰქონდეს, მაგრამ მაინც ღირს, მოუსმინო. საინტერესოა, რას გეტყვის..."

**თაკო ნ:**

„საინტერესოა, მის საძებრად მარტო რატომ წახვედი ან რაღა მაინცდამაინც იმ დღეს მოიყვანა ის გოგო ცოლად და არა ცოტა



ხნით ადრე? ეს ყველაფერი რომელიღაც სერიალის სიუჟეტს ჰგავს, როცა მთავარ გმირს ამნეზია ემართება და მერე ყველა ერთმანეთში ერევა.. დავიჯერო, შენი სადედამთილო ნიშნობის დღემდე არ გიცნობდა? სურათებში მაინც არ ჰყავდი ნანახი?.. მოკლედ, ბევრი კითხვა გამიჩნდა, მაგრამ ვიცი, ჩემი ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებას არ მოინდომებ. აბა, რა გირჩიო, როცა შენი საერთოდ არ მჯერა? და მაინც, წარმატებებს გისურვებ!"

**შორენა:**

„გირჩევ, გიოს დაელაპარაკო. რა იცი, რა პრობლემა ჰქონდა? მიეცი შანსი აგიხსნას, თუ რა მოხდა სინამდვილეში. ოღონდ, ძალიან გთხოვ, თავის მოკვლაზე არასდროს იფიქრო. თუ საუბარი მოგინდება, დამიმესიჯე, არ მოგერიდოს".

**უცნობი:**

„გაოგნებული ვარ. ეკა, გეფიცები, შენი მესიჯის წაკითხვის შემდეგ მეც ისე ჩამწყდა გულში რაღაც, როგორც შენ დაგემართებოდა იმწუთას, როცა ვიღაცასთან ერთად ნახე... მესმის შენი. ისე, რა ნაგავია ზოგიერთი, რა. ნიშნობის დღე რატომღა დაგანიშვნინა, ვერ ვხვდები... მაგრამ მაინც მოუსმინე. საინტერესოა, რას გეტყვის და მერე აუცილებლად, ჩვენც გაგვაგებინე. P.S. ვფიქრობ, ამ ყველაფრის ჩამდენი ნამდვილი ვიგინდარაა და ყველაფერზე მოაწერს ხელს".

**თაკო:**

„დამიჯერე, შურისძიება კარგს არაფერს მოგიტანს. გადადგი პირველი ნაბიჯი და მიეცი შანსი, ყველაფერი აგიხსნას. დამიჯერე, ამას არ ინანებ!"

**ემა:**

„სიხარულო, სიყვარულმა ნაცოლარი, განათხოვარი და ნაციხარი არ იცის. მთავარი სიყვარული და ისაა, თუ ვინ განიჭებს ბედნიერებას. სიყვარულისთვის იბრძოლე, არ დანებდე, სხვა დანარჩენი კი მეორეხარისხოვანია. უამრავ ლამაზ და ბედნიერ დღეს გისურვებ! ყველას აქვს ბედნიერების უფლება".

**უცნობი:**

„ძალიან ძნელია, რაიმე გირჩიოთ. მამა გაბრიელს აქვს ნაბრძანები: ნურავის მისცემთ რჩევას, თუ არ იცით მისი სულიერი მდგომარეობა, თორემ თქვენი რჩევით იქნებ დაღუპოთ კიდეცო. ალბათ, მასაც და მის ცოლსაც უნდა მოუსმინო (იმან რაღა დააშავა?!)".

**ბამბუჩა:**

„ეკას წერილის კითხვისას, როცა იმ ადგილამდე ჩავედი, სადაც ვიღაც სხვა გოგოა ნახსენები, რატომღაც ეჭვმა გამკრა: ოჰ, ეს მეზღაპრეები-მეთქი, მაგრამ როცა მესიჯი ბოლომდე ჩავიკითხე, ეჭვი გამიქარწყლდა. ერთადერთი, რაც შემიძლია ეკას ვურჩიო, ისაა, რომ ის ბიჭი აუცილებლად ნახოს და დაელაპარაკოს. ასე, ჰაერზე არ ხდება, ნიშნობის დღეს საქმროს საცოლე რომ „აერიოს". აუცილებლად გაარკვიოს, რა მოხდა სინამდვილეში. წარმატებები!"

■



# მობილი-ზაცია

*იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილი-ზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.*
**მესიჯის ფასი 50 თეთრი**

## ქალები



1. თუ შეიძლება, 26-ე ნომრის 32-ე და 21-ე მესიჯების ავტორების ნომრები მომწერეთ ან ჩემი მიეცით.

2. გთხოვთ, მომცეთ ჟურნალის 47-ე ნომრის მე-10 მესიჯის ავტორი ბიჭის მობილურის ნომერი.

3. თუ შეიძლება, „გზა“ №39-ის მე-18 მესიჯის ავტორი მამაკაცის ტელეფონის ნომერი მომეცით.

4. ცხოვრებაში ბევრი ტკივილი ვნახე, სიყვარულშიც არ გამიმართლა. მხოლოდ ოჯახის შექმნის მიზნით შემეხმიანეთ 37-45 წლამდე ასაკის, დასაქმებული მამაკაცები. არასერიოზულები ნუ შეწუხდებით.

5. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 35-დან 40 წლამდე ასაკის, სერიოზულ მამაკაცს. ვარ 34 წლის, გასათხოვარი, სერიოზული, სიმპათიური გოგო. მანანა.

6. მიეცით ჩემი ნომერი, 47-ე ნომერშია დაწერილი. 34 წლის მანანა.



## მამაკაცები

7. გთხოვთ, მომცეთ „გზა“ №45-ის პირველი მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი.

8. ვარ დასაქმებული, საშუალო სიმაღლის, შავგვრემანი — ოჯახის ბიჭი, მცხეთიდან, 31 წლის. 23-29 წლის, წყნარ და კარგ გოგოს ველი, დასაოჯახებლად.

9. გთხოვთ, მომცეთ 45-ე ნომრის 1-ელი მესიჯის ავტორის ნომერი. სმს-მა დამაფიქრა.

10. გავიცნობ მიმზიდველ ქალს. სასურველია, ბინით. ასაკი — 23-35 წლამდე.

11. „გზა“ 46-ის მე-5 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი მომეცით, თუ შეიძლება, ძალიან გთხოვთ, თქვენს იმედზე ვარ.

12. გთხოვთ, თუ შეიძლება 46-ის მე-5 სმს-ის ავტორის ნომერი მომეცით.

13. გავიცნობ 23-დან 35 წლამდე გოგონას. ვარ თბილისელი, შეძლებული. არ ინანებთ.

14. გთხოვთ, მომცეთ „გზა“ №46, მე-4 მესიჯის ავტორი გოგონას მობილურის ნომერი. გრიცკო ვარ.

15. „გზა“ №46, მე-4 სმს-ის ავტორის ნომერს გთხოვთ.

16. ვარ თბილისელი, 38 წლის, არ ვეწევი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ თუნდაც განათხოვარ თბილისელ გოგოს. ვარ დასაქმებული. დანარჩენი — პირადად.

17. მინდა ოჯახის შექმნა. ვარ 26 წლის, სერიოზული მამაკაცი. გთხოვთ, მომცეთ 45-ე ნომრის 1-ელი მესიჯის ავტორის ნომერი. თაზო.

18. ვარ 27 წლის, ბინითა და სამსახურით უზრუნველყოფილი ბიჭი. ფარული შეხვედრებისთვის გავიცნობ 30 წლამდე ასაკის, ლამაზ გოგოს.

19. ვარ 33 წლის, გავიცნობ ტკბილ, ლამაზ და თბილ მანდილოსანს სერიოზული ურთიერთობისთვის. ვინც სითბოს გაიმეტებს, მას შემოევლოს ჩემი თავი.

20. ვარ 41/172/75, სერიოზული, დასაქმებული მამაკაცი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ ლამაზი სულისა და სახის ქალბატონს, 38 წლამდე. დანარჩენი — პირადად.

21. გთხოვთ, მომცეთ 45-ე ნომრის პირველი მესიჯის ავტორის — მაკას ნომერი; თუ არა და, მიეცით ჩემი ნომერი. თოკა.

22. გავიცნობ 30-35 წლამდე ასაკის, კარგ მეოჯახე გოგონას. გაუთხოვარს. ვარ 42 წლის, თბილისელი. დანარჩენი — პირადად. დარეკეთ ან მომწერეთ.

23. მხოლოდ ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ სერიოზულ, დასაქმებულ კაცს, 40 წლამდე, ვისაც მართლა უნდა კარგი ოჯახი.

24. მინდა გამაცნოთ 35 წლამდე ასაკის იმერელი ქალი. ვარ მატერიალურად უზრუნველყოფილი. გთხოვთ, გიო.

25. ვარ 33 წლის, 100 კგ, 175 სმ, სამსახურით. გავიცნობ პატიოსან, ერთგულ, ექსკლუზიურ და მეოჯახე, ლამაზ, პუტკუნა გოგოს სერიოზული ურთიერთობისთვის. გასართობად ნუ მომწერთ.

26. ძალიან გთხოვთ, მომწეროთ 45-ე ნომერში დაბეჭდილი, მე-4 მესიჯის ავტორის ნომერი.

27. ვარ 26 წლის, მაღალი და სიმპათიური მამაკაცი. გავიცნობ უკომპლექსო გოგოს დაოჯახების მიზნით. იმერეთი.

28. გავიცნობ 19 წლის, სასიამოვნო გარეგნობის გოგონას. ვარ 20 წლის.

ყურადღება! გთავაზობთ სიმბოლოებს, რომლის მიხედვითაც „მობილი-ზაციისთვის“ გამოსაგზავნი მესიჯის ტექსტი უნდა აკრიბოთ. ეს განსაკუთრებულად ეხება საზღვარგარეთ... საბერძნეთში მცხოვრებ მგზავნელებს, რადგან მათი მესიჯების გაშიფვრა ძალიან მიჭირს. მესიჯი, რომელიც ამ წესის მიხედვით არ იქნება აკრებილი, არ გამოქვეყნდება!

| | | |
|---|---|---|
| ა — a | მ — m | ღ — gh |
| ბ — b | ნ — n | ყ — y |
| გ — g | ო — o | შ — sh |
| დ — d | პ — p | ჩ — ch |
| ე — e | ჟ — zh | ც — c |
| ვ — v | რ — r | ძ — dz |
| ზ — z | ს — s | წ — w |
| თ — t | ტ — t | ჭ — wh |
| ი — i | უ — u | ხ — x |
| კ — k | ფ — f | ჯ — j |
| ლ — l | ქ — q | ჰ — h |

ეროვნული ბიბლიოთეკა



# სხვადასხვა

• პატარავ, დედას სიხარულო, როგორ ხარ? ახლა, შენ რომ ამას კითხულობ, მე ალბათ ბადრისთან ვარ... აქედან წამოვალ, ტანსაცმელს შემოგიგზავნი და პაემანზე განცხადებასაც დავწერ. ალბათ მომდევნო პარასკევს, 9-ში განახავთ. უკვე ძალიან მენატრები, დე... წერილი მივიღე და ვიტირე კიდეც... ისეთ რალაცებს მომწერ ხოლმე, რომ გული მიკვდება. მიხარია, რომ ყოჩალად და იმედიანად ხარ, თან ჩვენც გვამხნევებ. მართალი ხარ, დე, რა იქნება, იმაზე უნდა ვიფიქროთ და არა იმაზე — რა არის ახლა... თუმცა, ისეც ვერ მოიქცევი, რომ ამ საშინელ მონატრებაზე არ იფიქრო... არ ვიცი, მარტო დედებს ენატრებათ ასე შვილები თუ საერთოდ, ადამიანებს, მაგრამ ასე მგონია, რომ მსოფლიოში ყველაზე დიდ მონატრებას მე განვიცდი ყველა დედას შორის, იმიტომ კი არა, რომ მე ყველაზე კარგი დედა ვარ ან შენ — ყველაზე კარგი შვილი... უბრალოდ, ჩვენ იმდენი რამ გადავიტანეთ ერთად, რომ სხვანაირი დედაშვილობა გვაქვს. მე, შენ და ბესოს სხვანაირი კავშირი გვაქვს... მე ასე მგონია... ჩემო სიხარულო, ხომ იცი, ჩემი სული რომ დაგჭირდეს, დაუნანებლად მოგცემ და შენთვის ყველაფერს გავაკეთებ, რაც ჩემს შესაძლებლობებს არ აღემატება. ერთად მივაწვეთ დღეებს ხელით და უფრო მალე გავა დრო. ძალა ერთობაშია, ხომ იცი... შენ მანდედან გაგვამხნევე, ჩვენ აქედან შეგიწყობთ ხელს და დროც გავა. დადგება პერიოდი, როცა სიცილით გავიხსენებთ ამ ყველაფერს. შენ ჩემი ჭკვიანი ბიჭი ხარ და მჯერა, რომ სულ მალე ყველაფერი სხვანაირად და ძალიან კარგად იქნება. ხომ იქნება კარგად, დე? ვაჟკაცი მყავხარ, სიხარულო, და ვაჟკაცები უფრო მეტსაც უძლებენ. ღვთის გამოცდას ყველამ ერთად უნდა გავუძლოთ. ბებიაშენი ამბობს, მე დავჯდები მაგის მაგივრადო, მაგრამ არ გამოსდის ჯერ ეგ საქმე :). არ უშვებენ შიგნით. :) კარგი, დე, იმ კვირაში განახავ და მოგესიყვარულები. უფალი გფარავდეს. გიკოცნი მწვანე და ციმციმა თვალებს. დედა.

• ჩემო სიხარულო, როგორ ხარ? ჩვენ — ძველებურად. 28-ში მივიღე შენი წერილი და მეც გამოგიგზავნი. ახალი და კარგი არაფერია. შტივილა გარდაიცვალა და ვიცი, გული ძალიან დაგწყდება, რომ გაიგებ. გახსოვს, რომ მაწვალებდა ხოლმე შენ გამო, პელეს რომ მეძახდა? ჩემო სიხარულო, სულ ცოტა ხანი დარჩა, მალე გნახავ და მოგეფერები. საბას სალონში ბოლომდე შეკორტნეს თმა და სულ შენ დაგემსგავსა. უცებ რომ შევხედავ, სხვა მგონია ხოლმე, ისეთი სხვანაირია. მენატრები და მიყვარხარ ძალიან. ჰოო, კიდევ, მინდა გითხრა, რომ კარგი ბიჭი ხარ, წიგნებს რომ კითხულობ და ასოებს ითვლი. :) კარგი, დროებით და მიხედე თავს, ჩემო ლამაზო. ნინო.

• დათუ, კვირას იოანე მოვნათლეთ. გიორგი ჩხაბერიძე და ნინო ხვადაგიანი იყვნენ ნათლიები. მამა შალვას მოვანათვლინე სიონში. მამაო გაგიჟდა, რა საყვარელიაო. მაგრად აყვინთავა. სუფრაც გავაკეთეთ. სურათები გამოგიგზავნე ნათლობის. ყველამ მოგიკითხა და ყველას ენატრები. თედუნა სულ შენზე ლაპარაკობს, ერთი სული აქვს, როდის გნახავს, — მომენატრაო... მეც ვარ ასე, უშენოდ. ვცდილობ, გარეგნულად არაფერი შევიტყო, თუმცა ხანდახან თავს ველარ ველევი. ძალიან მენატრები. იმ იმედით ვარ, რომ მალე ვიქნებით ერთად. მიყვარხარ. ცირა.

• 3.198 ბუუს, ნეტავ როგორ დამხვდები? ამას წინათ დამესიზმრე, ვითომ გამოგიშვეს და აქ იყავი, ჩემ გვერდით. ღმერთო, მოახდინე სასწაული. რამდენჯერ მიფიქრია, — ნეტავ, ოდესმე მსგავსი სიტუაცია ფიქრში მაინც გაგივლია? მე ჩემს თავს ამ ამპლუაში ვერასდროს წარმოვიდგენდი. თურმე არასდროს უნდა თქვა — არასოდეს. ძალიან დიდი სევდა და ტკივილი ხარ ჩემი, უფრო დიდი სიყვარული და ზღვა მონატრება. რა ვქნა, ასეთი ჯვარი გვარგუნა უფალმა და ვზიდოთ და გავმაგრდეთ. იმედია, გადმოგვხედავს ღმერთი მოწყალე თვალით.· თეე.

• პეპ, სად დამეკარგე? ხომ იცი, რომ გელოდები. დამირეკე, რა. როგორ მენატრები, შენ აზრზე არ ხარ. მინდა, ბევრი გეჭორაო და ბევრი გეფერო, რაც აქამდე იშვიათად მიქნია. გკოცნი.

• რისტო, თუ ოდესმე მშვიდი ცხოვრება დაგვიდგა, თანახმა ვარ, სოფელში ვიცხოვრო, ოღონდ ეს უბედურება არასოდეს განმეორდეს. მიყვარხარ, გკოცნი ყველგან.

• ც212 ჩემო სიცოცხლევ, როგორ ხარ? ჩვენ კარგად ვართ, გილოცავ გიორგობას, ჩვენი ოჯახის მფარველი იყოს. წმინდა გიორგის ეკლესიაში წავალთ მე და ბარბარე, ვილოცებთ შენზე და ჩვენს ოჯახზე, ვილოცებთ, რომ შენ ჩვენთან იყო მალე, დაგიცვას და დაგიფაროს, მიყვარხარ ძალიან და მენატრები. გკოცნი, ჩემო სიყვარულო. მარი.

• ჯოტი, ჩემო სიცოცხლევ, როგორ ხარ? ნეტავ ახლა რას აკეთებ? ან რაზე ფიქრობ? მე შენზე ვფიქრობ. როგორ მენატრება შენი ხმა. შენი და ჩემი მარტოობა მტკივა. გკოცნი.

• ხახა, უზომოდ მენატრები და უზომოდ მიყვარხარ. :( ჩემზე არ იდარდო, მე კარგად ვარ, სულითა და გულით შენთან ვარ. მიყვარხარ უზომოდ. :( მალე წერილი მოგივა. გკოცნი.

• ლევანჩო, დედას სიცოცხლევ, როგორ ხარ? თავს გაუფრთხილდი. პაემანი იქნება 30-ში. ამ ჟურნალში ზურას წერილიც იქნება, ჩემო სიცოცხლევ. უფალი გფარავდეს, გკოცნი ბევრს.

• რისტო, ძალიან განიცადა უფროსმა, რომ ვერ დაგელაპარაკა. ღამე შემოვიდა და იტირა, მამა მენატრებაო. პაჩისგან ახალი არაფერია, ისევ ველოდებით, იმედიც გვაქვს.

• ხახა, როგორ მინდა ჩაგეხუტო, ნეტავ იცოდე. :( ყველაფერი კარგად იქნება, დამიჯერე. შალვა მომიკითხე და უთხარი, უსაყვარლესი დედა ჰყავს. ხშირად მირეკავს. :) მენატრები.

• ხახა, საშინლად მენატრები. :( ყოველ მეორე დღეს შენთან ვარ, სახლში. მე, მარი, რამაზა და ლარისა გავლოთდით. აკო, ლადო და გიო მირეკავენ ხშირად. მიყვარხარ, იცი?

• ხახა, ციხეზე წერილი გამოვგზავნე ფოსტით და არ შემოგიტანეს. ადვოკატმა თქვა, სასამართლოდან 15 დღის მერე შეუვა წერილიო და რომ გავა ეს 15 დღე, შემოვგზავნი.

• ხახა, სასამართლოზე გული დამეწვა, ცუდად ვიყავი, ასე რომ გხედავდი. :( თავს ძლივს ვიკავებდი. მენატრები უზომოდ. :( სანამ წერილი მოგივა, დროებით აქ მოგწერ ხოლმე.

• ხახა, იმედია, ყველა გამოგზავნილ მესიჯს დაბეჭდავენ. :( გემშვიდობები, ჩემო ცხოვრებავ და გკოცნი ბევრს. სულ მახსოვხარ და გთხოვ, არც შენ დამივიწყო. :( მიყვარხარ.

• რისტო, ახალი და საინტერესო არაფერია ჩვენთან, ვცხოვრობთ, რა... მინდა, რაიმე კარგი მოგწერო, მაგრამ რა? თაზო ისევ განცდებშია, არც შენ, არც ნანა... დედაც გამოეცალა, ფეხი აწუხებს, უთხრეს, ხერხემლის თიაქრის ოპერაცია უნდა გაიკეთოო. განცხადება შეიტანა ადვოკატმა. პაჩისგან ველოდებით, რას იზამს. დამტანჯა ლოდინმა.

• ჯოტი, იმედია, კარგად ხარ. უკვე ღამის ოთხი საათია და არ მძინავს. არ ვიცი, რატომ. ჯოტი, რთულია უშენოდ ცხოვრება. ჩემი იმედი ხარ, შენით ვსუნთქავ. უფალი გფარავდეს.

• 3.198 ბუუს, მე და დიმიტრი მივდივართ შინ და რა თქმა უნდა, აწყვეტილი 20-ით, თან იცი, რა მაგრად თოვს? ბუუს, რა გაძლებს ახლა კიდევ ერთი თვე შენს უნახავად? მიყვარხააააარ!

• რისტო, ჩემო სიცოცხლევ, კარგად არიან ბავშვები. თოვლი მოვიდა და სკოლაში ვერ ავიდა მარშრუტკა. ამათაც მეტი რა უნდათ? სულ შენს ხსენებაში არიან. წამდაუწუმ გაიძახიან, — მამა ასე იტყოდა, ასე გააკეთებდაო... გიხსენებენ სულ და იცინიან. მიყვარხარ ძალიან. შენ ვერც ტელეფონზე მეუბნები ამ სიტყვებს და ვერც მწერ. რომ დაბრუნდები, აგანაზღაურებინებ ყველაფერს, იცოდე. აბრი დაბრი ხომ გახსოვს? მეც... ახალს ვერაფერს გეუბნები, მარტო მოგონებები მაქვს თავში, გელოდები, მენატრები, გკოც-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნი ბევრს და ყველგან, როგორც შენ გიყვარს, ისე.

• 3.198 ბუუს, როგორც იქნა, ჩამოვაღწიეთ სახლამდე. გორიდან ხაშურამდე ძალიან თოვდა. აი, ზღაპრებში რომ გვინახავს, ისეთი ზამთრის სურათი იყო. მერე კიდევ, ზესტაფონთან საშინელ ავარიას შევესწარით, მსხვერპლით. მთავარია, გი, ჯანმრთელობა, დანარჩენი იქნება, უფლის შემწეობით. ახლა შინ ვარ და გწერ. მიხარია, რომ განახე. ნახვის დროს უფრო ვგრძნობ, როგორ მომნატრებიხარ. აი, წამოსვლა კი საშინლად მანადგურებს და ვფიქრობ, რა გაძლებს კიდევ ერთი თვე. მე საოცრად მახარებს შენი ნახვა. მიყვარხარ, ბუს, თავს მიხედე, მჭირდები. დიტომ მკითხა, რომ გამოვედი გარეთ, — გიამ თუ გკითხა, ვინ ჩამოგიყვანაო? გამეცინა, ეს ისედაც ცხადი არაა? სხვა ვინაა შენსავით ერთგული-მეთქი... გკოცნი, ბუუს. თეე.

• გამარჯობააა. მარი და მგზავნელებო, მე ახალი ვარ, ძალიან მინდა თქვენს გუნდში მიმიღოთ. მიმიღებთ? P.S. უბრალოდ — ლელა.

• მარიკუნა, როგორ ხარ? ძაან კარგი მგონიხარ მიუხედავად იმისა, რომ არ გიცნობ. რთული არაა ამდენი სხვადასხვა რჯულის ადამიანის გაძლება? მარიკუნა.

• ძალიან ცუდია, როცა ვინმეს ენდობი და მერე აღმოაჩენ, რომ ის შენი მეგობარი არ ყოფილა. მარ, არ გინდა ჩემთან მეგობრობა? რუისპირ, კლეოპატრა, არც თქვენ? მარიკუნა.

• ნუ იფიქრებ, რადგან არ ვთქვი, არ მიყვარდი. ნუ იფიქრებ, სიამაყე ვერ დავძლიე, შეიძლება გიყვარდი და ხელი გკარი, თუ ასეა, გევედრები, მაპატიე. ანანო ხურცია, შენთვისაა დაწერილი.

• უნდა შემიყვარო, მე შენ გამო შევიცვალე, შენ კი ზარზეც არ მპასუხობ. და ისე არ წავალ, სანამ არ მაპატიებ. გიყვარვარ, მაგრამ არ აღიარებ. შენ სიამაყის ხარ დედოფალი.

• ნაომ, არ ვიცი, როგორ განვითარდება მოვლენები და ჩვენი ურთიერთობა. სულ არ მაღელვებს, ვისი გახდები. იცოდე, შენ ყოველთვის იქნები ჩემი საოცნებო ქალი. კუნკულა.

• სალომე გვაზავა, საქვეყნოდ გეუბნები, რომ მთელი ცხოვრება მეყვარები! ჩემს აუხდენელ ოცნებას შენი სახელი ჰქვია. მიდიხარ და მაინც ჩემში რჩები! გიო მარკელია.

• ისევ წყვდიადია, მთვარე არ ანათებს, მტანჯავს უშენობა ძნელი; ალბათ ვერ მომაგნებ და ამ სიბნელეში, მე სულ ტყუილად გელი; მინდა გავიქცე და არვინ დამინახოს, თვალზე აიფარეთ ხელი; თქვენ აღარ გეკუთვნით, უკვე ჩავიფერფლე, წყვდიადის მეუფე მელის. მინდა დავიკარგო, აღარ გამითენდეს, სულში წყვდიადია ბნელი; ვიცი აღარ მოხვალ, არ მომძებნი, მე კი... სულ ტყუილად გელი... გიო16.

• მართალია, ერთი თვით დაგეთხოვეთ, მაგრამ მეპატიება ეს დაგვიანება. ახალი სისხლით, ძველებური აზროვნებითა და ისევ უგულო ატარექსია დაბრუნდა!

• მართალია, არ გწერდით, მაგრამ არც ერთი ნომერი არ ჩამიგდია და რაღაც მოწყენილობას აქვს ადგილი აქ. სად დაიკარგა ეს იდეინნი ხალხი? ატარექსია.

• მოკითხვა მათ, ვისაც ჩემი დანახვა გაუხარდა. დანარჩენებს კი — აქეთ ტაში, იქით ტაში... :)ატარექსია.

• რამდენნაირი ადამიანია ამ ქვეყანაზე. მარტო უფლის ხშირ-ხშირად ხსენება რას უშველის? სამყარო გაიჟღინთა ბოროტებითა და ღვარძლით. გაიღვიძებს დედამიწა!!!

• ცოლი კი არა, საქალეთი არ გინდა კაცს, ზოგიერთის საქციელის გამო. ადამიანებს გვიყვარს სიცილი, მაგრამ სამყარო და ცხოვრება ყველა სულდგმულს დასცინის. კუნკულა.

• ბუცა, შენთვის რამის ახსნას აზრი აღარ აქვს. მხოლოდ იცოდე, მიყვარდი, სისულელეების ფრქვევამდე. შენთან საქმე აღარ მაქვს. მე მარი ჯაფარიძეს ვადანაშაულებ. კუნკულა.

• საკო გვაზავა, მიყვარხარ. მე მენატრები იმაზე ძლიერ, ვიდრე გაზაფხულს მზის სხივთა კონა. მე გელოდები, წლებია უკვე, ვფიქრობდი, მოვა, არ მოვა, მოვა... გიო მარკელია, გალმერთებ.

• საკო გვაზავა, შენ ხარ ჩემი თავდავიწყება! მი ს ტობოი ვსე სმოჟემ, პამაგი ნამ ბოჟე, დავაი, ნაჩნიომ ს ბესკონეჩნოსტი! ტი მოი ლიჩნი სორტ გეროინა! გიო მარკელია.

• ღმერთმა დალოცოს შენი ლამაზი სიყვარული. წრუწუნა.

• როგორ ვიცოცხლე უშენოდ აქამდე? წრუწუნა.

• ახალს ვერაფერს გეტყვი, ძველებურად მიყვარხარ. წრუწუნა.

• შენმა წრფელმა სიყვარულმა გადამარჩინა, მაი. მინდა ქვეყანამ გაიგოს, ან დასამალი რა გვაქვს ნეტააა... ვაიმე, დავთვერი. წრუწუნა.

• უბრალო მოკვდავს შეუყვარდა ქალღმერთი. მერე იყო ოცნება, ბრძოლა, ბევრი პრობლემა, მერე სილნალი და სიკვდილამდე ერთგულების ფიცი. მიყვარხარ. გეცნობა? წრუწუნა.

• კარგი ბინა, საუკეთესო მანქანა, უსაყვარლესი ქალი და ვახშამი ორზე, სანთლების ფონზე. აი, ასე ვანებივრებ ჩემი ოცნების ქალს. მაი, მიყვარხარ.

• გოგა მედულაშვილო, ძალიან მიყვარხარ. ვაბოდებ შენზე. ჩემი ცხოვრება ხარ.

• გამარჯობა, ქალბატონო მარი. ძველ „გზავნილებს“ ვკითხულობ და მომენატრა ჟურნალი ჟურნალში რომ იყო. ახლა ასე აღარ არის. ახლა ცოტა გზავნილია. ისევ ისეთი გახადე, გთხოვ. თამო.

• ხუთი წლის მარის დეიდა ლალი ესტუმრა და ბევრი შოკოლადი მიუტანა. მარიმ ცდუნებას ვერ გაუძლო და გემრიელად შეექცა. დედამ უთხრა, მაგდენს ნუ ჭამ, გაწყენსო. არ დაიბნა პატარა მარი და მაშინვე უპასუხა: — მე მარტო ავტობუსი მწყენსო. ჭრიჭინა.

• გამარჯობა. მე ვარ, ასე ვთქვათ, ახალგაზრდა პოეტი. მინდა, ჩემი ლექსები თქვენი მეშვეობით გავაცნო ხალხს და რით შეგიძლიათ დამეხმაროთ ან რჩევა მომცეთ? მადლობა წინასწარ.

• ყოველთვის მინდოდა თქვენთვის მომეწერა, მაგრამ არ ვიცოდი, ჩემი ნააზრევი როგორ მოგეწონებოდათ, მაგრამ ახლა ავყევი ცდუნებას და მოგწერეთ. ბევრს არაფერს გეტყვით, უბრალოდ, მინდა მოგეფეროთ, ბევრი კარგი მგზავნელი გყავთ. სულ ვკითხულობ „გზავნილებს“ და ძალიან მომწონდა კანიბალკა და ფინტიკოზა. სადაც არიან, იქ მოვიკითხავ. გაკოცეთ. ნიცა.

• მაარ, როგორ ხარ, გენაცვალე? ილადავე, ამხელა ფილარმონია ქალი დავიკარგე. მეგობრებთან მივდიოდი და მოვიკალი თავი, არ მინდა დახვედრა-მეთქი და ქე დევიკარგე. CRAZY GIRL.

• ჩემო აბდაუბდავ, მინდა, კომპლიმენტით დავიწყო შენთვის პასუხის გაცემა. ძალიან ამართლებ ნიკს! :) ეს კარგი. ღმერთია იმის მოწმე, რომ წამითაც არ მიფიქრია, სექსუალური გოგოს იმიჯის მორგება (თანაც — ვირტუალურ სამყაროში) ან ხამობა რა შუაშია, ან საიდან დაასკვენი ეს ყველაფერი, სრული სიმართლე თუ არ იქნება, სიმართლის ნატამალი მაინც უნდა ერიოს. მე უფრო მაგრად გამეცინა შენზე. ახლა კი ჩვენს გადარეულს გავცემ პასუხს: არა, ვახუნხულ, რა თქმა უნდა, ყველა ჩემ მიერ დაწერილი ამბავი სურამში ვერ მოხდება. აი, მაგალითად, წინა კვირას დაბეჭდილი ამბავი, სათაურით — „დაწუნებული სიძე“, ჩემი დაიკოს მამამთილმა მიამბო და ა.შ. ხან მეგობრები მიყვებიან, ხან ნათესავები... ჩემს სიძეს ერთი მხიარული ძმაკაცი ჰყავს, ხშირად მის მიერ მოყოლილ ამბებსაც გწერთ და კიდევ ბევრი მარაგი მაქვს მისი თავგადასავლების! გკოცნი. ყველაზე გემრიელი ლუკმა კი ბოლოსთვის შემოვინახე. შენ გაიხარე, მიშ (9.7.1.7.), რამდენი ვიცინე, რამ მოგაფიქრა? განსაკუთრებით მონიტორზე გაშუქებულმა ტიტრებმა დაგლიჯა. ჩაგეთვალა! გკოცნი. ლუნა.

• დრომ დროზე მეტად დამიკეტა/ შენი სიყვარულის კარი,/ აღარც იმედები აღარ დამრჩა,/ სულში შემოიჭრა ქარი.../ დრომ რა უცაბედად ჩამიქროლა,/ გულში დამრჩა მხოლოდ დარდი/ წლებმა სიყვარული არ მაცალა,/ დაჭკნა ჩვენი ტრფობის ვარდი,/ ბედმა შენი თავი რომ წამართვა,/ კიდევ შემიყვარდი მეტად,/ შენი დაბრუნების მოლოდინში/ ისევ გაგიარე ღმერთად.../ დრომ რა ირონიით გაიარა/ წლები სანთელივით დადნა/ ჩემთვის განკუთვნილი სიყვარული/ თოვლის ფანტელივით გადნა.../ დრომ რა უდროო დროს დამიკეტა/ გრძნობის ყველა კარი, დედა,/ წლებმა რამდენი დრო

ეროვნული ბიბლიოთეკა



გაირბინეს/ მე კი დამრჩა მხოლოდ სევდა... ლუნა.

• მარიამულ, სიხარულო, მესმის, რომ მე მერჩიან და მკბენენ, მაგრამ შენთან რაღა უნდათ? ლუნა.

• მინდა, ჩემს ერთ-ერთ ნაცნობზე მოგიყვეთ. ავთო 163-ე საჯარო სკოლაში სწავლობდა და ხულიგანი ბავშვი იყო. როდესაც X კლაში იყვნენ, ავთომ და მისმა ძმაკაცმა ფიზკულტურის გაკვეთილი გააცდინეს და სკოლის კორიდორებში დაბორიალებდნენ. უეცრად, რაღაც აზრი მოუვიდათ მოწყენილობისგან თავის დასაღწევად და „ცეცხლოვანი ჩოგბურთის" თამაში დაიწყეს ყველაზე გრძელ დერეფანში, რომელიც დირექტორის ოთახით მთავრდებოდა. ჩოგბურთის ბურთს ცეცხლი მოუკიდეს და ფეხით აგორებდნენ აქეთ-იქით. თურმე დირექტორის კაბინეტის კარს ერთ ადგილზე ხვრელი ჰქონდა და ცეცხლმოკიდებული ბურთი კაბინეტში შეგორდა. საბუთებს ცეცხლი გაუჩნდა. ავთო და მისი მეგობარი სასწრაფოდ გაეცალნენ იქაურობას. კაბინეტი კი დანახშირდა. ასევე დაიწვა საბუთებიც, რომლებიც სკოლაში ინახებოდა. მეორე დღეს დაიწყო გამოძიება ამ საქმეზე. „სასწავლო ნაწილები", ნინო ხარებავა და თამრიკო ერაძე დადიოდნენ და კითხულობდნენ ამბავს. ავთოს კლასელებმა „მოწვეს", ვისი გაკეთებულიც იყო ეს ყველაფერი. ავთომ დაარიგა ბავშვები, როგორ უნდა მოქცეულიყვნენ, როცა მათ კლასში შევიდოდნენ და შეკითხვებს დაუსვამდნენ. ამასობაში ხარებავამ და ერაძემ მთელი სკოლა ააწრიალეს, მაგრამ დამნაშავეს ვერა და ვერ მიაგნეს. ბოლოს, ავთოს კლასში შევიდნენ და მუქარა დაიწყეს. შანტაჟით ცდილობდნენ ბავშვების გამოტეხვას. მთელი კლასი დუმდა. უეცრად, ეს დუმილი ერთმა ბავშვმა დაარღვია და ყველაფერი დაფქვა. ამ ამბის გამო ავთოს სკოლიდან რიცხავდნენ, მაგრამ გადარჩა. დღეს ავთო უკვე დაოჯახებულია და 2 შვილიც ჰყავს, მაგრამ ეს ამბავი დღემდე ახსოვს.

• გამარჯობა. როგორც იქნა, გადავწყვიტე, მომეწერა. მე ნიკა მქვია. მომწონს ჟურნალი „გზა". ჩემი ნიკია კალია.

• ბუცა, კარგი ადამიანი ხარ, გეტყობა. კალია.

• ამ ნამს კიდე ყველა რომ დაესიეთ, ცოდოა. :) მაგრამ მაგას ისეთი ენა აქვს, ყველას გაგიმკლავდებათ. :) კალია.

• მარი, კიდევ რაზე ვოცნებობ, იცი? „გზის" ნახევარი რომ დაეთმოს მარტო „მობილი-ზაციას". :) ისე, რა ამბავი იქნება, ხომ წარმოგიდგენია? შენი ტელეფონი აფეთქდებოდა. :) კალია.

• მე კი არა, შენ დამიწყნარდი, გეთაყვა. კაცმა რომ გკითხოს, არ გაინტერესებს ნამი. არადა, 5 გზავნილიდან ხუთივე მას ეძღვნება. მერე გიკვირს, თავში აქვს ავარდნილიო.

• გაიხარე, მანიკა, მადლობა სიმპათიისთვის. კლეოპატრა.

• ყველაზე დიდი მსახიობი შენ გყავხარ „გზაში" 9717, არა? კლეოპატრა.

• ქვრივს მოვიკითხავ დიდი სიყვარულით. მარ, იცი, მე და ქვრივი დავმეგობრდით, მისი სურათებიც ვნახე და ძაან საყვარელია, ბაია ჰყავს ანგელოზი და ჩასაკბეჩი... :):) ბუცა.

• ვაიმე, მარორიტა, გენაცვალე შენ მაგ კეთილ გულში. ახლა ვნახე, რომ დაგიბეჭდავს ჩემი სმს. მარ, არ გინდა, თემად რძალმამათილიანობა გაუშვა? მადლობა სმს-ზე. ახმეტელი ბარტყი.

• როცა ცდუნებას ავყევი, გოგაც გავიცანი. გზაში ნომერი ეწერა, ჰოდა მეც დავამესიჯე და გოგასთან მოვხვდი, ციხეზე. ცოტა ხანი ვმესიჯობდით. რომ გავიგე, სად იყო, ცოტა შემეშინდა, მაგრამ ცდუნებას ვერ გავუძელი და გავაგრძელე კონტაქტი. არც ვნანობ. გოგა კარგი ადამიანი აღმოჩნდა. მის ზარს სიხარულით ველოდი. ერთხელ ხელნაკეთი ხატი და ყვავილებიც გამომიგზავნა. ულამაზესი იყო. მერე ერთმანეთი დავკარგეთ. გაქრა და ვეღარც დავუკავშირდი. ეს სასიამოვნო ცდუნება იყო. ახმეტელი ბარტყი.

• ლურჯი მონეტები კი შევაგროვე, მაგრამ ბიბლუსის მაღაზია რომ ყველგან არაა, რა ვქნა? მაგალითად, კასპში. წიგნისთვის სპეციალურად თბილისში უნდა ჩამოვიდეთ? მარუსკი.

• მარი, ძალიან გთხოვ, იქნებ თბილისში არსებული ბიბლუსის მაღაზიების მისამართები კიდევ ერთხელ დაბეჭდოთ ჟურნალ „გზის" უახლოეს ნომერში...

• ამ მონატრებამ გამაგიჟა, თოკა, ნეტავ სად ხარ... ჩემთან მინდა იყო და გითხრა, რომ ისევ ისე მიყვარხარ. ეს თოვლი სულ შენს შავ თვალებს მახსენებს. გალმერთებ.



## გილოცავ!

• პატუ, გიორგობას გილოცავ, წმინდა გიორგი ყოფილიყოს შენი მფარველი, უზომოდ გვენატრები და გვიყვარხარ. იმედი გვაქვს, რომ ყველაფერი კარგად იქნება. ქეთი, ნიკო და მარი.

• გია, გიორგობას გილოცავთ... ხვალ ყველა ეკლესიაში მივდივართ და ვილოცებთ, რომ მალე ჩვენ გვერდით იყო. გვენატრები და სულ გახსენებთ. ირმა ექიმი.

• ჯოტი, გილოცავ გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულს. დაესწარი მრავალს, ჩვენთან ერთად. წმინდა გიორგის მადლი გფარავდეს. ჩემი ცხოვრება ხარ. გკოცნი და გეფერები.

• პეპ, გილოცავ გიორგობას! გფარავდეს წმინდა გიორგი. როგორ გელოდებოდი, მეგონა, დღეს გამოჩნდებოდი, მაგრამ ხომ იცი, იმედი ბოლოს კვდება. გკოცნი გენაცვალე, მიყვარხარ.

• ს52, სიმამრი და ცოლისდის ოჯახი გილოცავს გიორგობას, ასევე დაბადების დღეს, ძვირფასო სიძევ. გვიყვარხარ, გვენატრები. გვჯერა შენი! წმინდანების ლოცვა გფარავდეს.

• ედი ძანძავა, ჩემო სიცოცხლევ, გილოცავ ჩვენი შეყვარებულობის ერთი წლისთავს. შენ გვერდით უბედნიერესი ვარ! მიყვარხარ და ყოველთვის მეყვარები... მარი

• ლექსო, მე და საბუკა გილოცავთ გიორგობას. შენზე ვლოცულობ. გაძლიერდი, ჩემო სიცოცხლევ. უაზროდ მენატრები. მალე გნახავ. შენი ქეთი. მარიმ და ანიმ მოგილოცეს. მიყვარხარ.

• ჩემო სიცოცხლევ, ჩემო პრინცესავ, ჩემო ნინიკო, გილოცავ დაბადების დღეს. წმინდა ნინოს ჯვარი გფარავდეს. ციციკო.

• ნიკა ბერაიას დაბადების დღეს ულოცავს მეგობარი, ნიკა კუჭუხიძე. გისურვებ ულევ სიხარულს და ჯანმრთელობას.

• ნიკა ბერაიას, ჩემს გადამრჩენელს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ ულევ სიყვარულსა და ჯანმრთელობას. დიდი პატივისცემით, ირაკლი კომახიანი, ფოთიდან.

• გულო ჩიჩუა, გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და ულევ სიხარულს. გფარავდეს ღმერთი. მანანა, მარი, მამუკა.

• ნათლი, გილოცავ დაბადების დღეს. ღმერთმა მრავალს დაგასწროს. თეორია.

• მინდა, დაბადების დღე მივულოცო ნიკა ბერაიას. ვუსურვებ ულევ სიყვარულს და ჯანმრთელობას. ირაკლი კომახიანი — ფოთიდან.

**„მობილიზაციაში" ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა Guli გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის" ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა" №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში აკრიბეთ: Guli 18-10 და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ტაიმ-აუტი

## ტანკების საპასუხო რევანში ოლიმპიურ აუზში

**1956 წლის შემოდგომა სავსე იყო პოლიტიკური თუ სპორტული მოვლენებით. უნგრეთში აჯანყებამ იფეთქა, პროსაბჭოური მთავრობის წინააღმდეგ პროტესტი საერთო მღელვარებაში გადაიზარდა. საბჭოთა ჯარებმა უკან დაიხიეს. მთავრობა გადადგა, ახალმა ხელისუფლებამ ქვეყნის დამოუკიდებლობა გამოაცხადა. მსოფლიოს სპორტული სამყარო კი იმავე პერიოდში მელბურნის ოლიმპიური თამაშებისათვის ემზადებოდა. ოლიმპიადის საზეიმო გახსნა 22 ნოემბრისათვის იყო დანიშნული. თავისუფალი უნგრეთის ათლეტები ავსტრალიაში გაემგზავრნენ, მაგრამ ვიდრე ისინი ოლიმპიადის დედაქალაქს მიაღწევდნენ, მათ დედაქალაქში ისევ შევიდა საბჭოთა ტანკები. ათასობით ადამიანი დაიღუპა, ათიათასობით კი ქვეყნიდან გაიქცა. დღეს ჩვენი თაობისთვისაც კარგადაა ცნობილი, რას ნიშნავს რუსის ტანკი. სამშობლო არც უნგრელებს უყვართ ვინმეზე ნაკლებად და მადიარი სპორტსმენებიც მზად იყვნენ, მთელი სამყაროს დასანახავად, ოლიმპიურ სარბიელზე აეღოთ რევანში.**

გოგი ფრანგიშვილი

*საბჭოთა და უნგრელი ათლეტების ასპარეზობა ნამდვილ ბრძოლაში გადაიზარდა, განსაკუთრებით კი წყალბურთელთა ტურნირზე, რომელშიც ნოდარ გვახარია და გუნდის კაპიტანი პეტრე მშვენიერაძე მონაწილეობდნენ. მატჩის დამთავრებამდე 3-4 წუთით ადრე, როდესაც უნგრელები 4:0 იგებდნენ, ჩხუბი ატყდა და თამაშიც შეწყდა.*

*ნახევარ საუკუნეზე მეტი გავიდა იმ მატჩის შემდეგ. საბჭოთა პერიოდში პრესაში არაფერს წერდნენ, მერე კი ერთნი ამტკიცებდნენ, რომ მუშტი-კრივი რუსმა ვალენტინ პროკოპოვმა წამოიწყო, რომელმაც უნგრელ ერვინ ზადარს გაუხეთქა წარბი, სხვები ჩხუბისთავად მადიარ დეჟე დიარმატის მიიჩნევენ, — პეტრე მშვენიერაძეს სახეში ჩაარტყაო. სამწუხაროდ, დღეს არც მშვენიერაძეა ცოცხალი და არც — გვახარია. ამიტომ სიმართლის გარკვევა ბატონი ნოდარის ვაჟთან, გიორგისთან ვცადე. შეხვედრის მიზეზი სხვაც არის, — გიორგის დედა, ალისა ასიტაშვილი მეუღლეზე ნაკლებად ცნობილი სპორტსმენი როდი ყოფილა. სხვათა შორის, იგი ერთადერთია ქართველ კალათბურთელ ქალთა შორის, ვინც ევროპის ჩემპიონის ტიტული ორჯერ მოიპოვა. ამიტომაც ჩემს რესპონდენტს ვთხოვე, საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის მატჩამდე, გვახარიების ოჯახის შესახებ მოეყოლა.*

**გიორგი გვახარია:**

— ჩემი მშობლების ბავშვობა ცუდ პერიოდს დაემთხვა, მეორე მსოფლიო ომის გამო უჭირდათ ისევე, როგორც ყველას. ნოდარის ოჯახს 1937 წლის რეპრესიებიც შეეხო. სპორტით ორივე სკოლის ასაკში დაინტერესდა. დედა თავიდან მძლეოსნობაში ვარჯიშობდა, მერე კალათბურთი აირჩია. მამაც ჯერ მოცურავე იყო, საქართველოს რეკორდსმენიც გახდა, მაგრამ ისიც საბოლოოდ, წყალბურთს გაჰყვა. პირველ სოლიდურ წარმატებას ორივემ 1953 წელს ბუქარესტში, ახალგაზრდობის პირველ საერთაშორისო თამაშებში მიაღწია. იმ პერიოდში ეს ასპარეზობა თავისი მასშტაბურობით მხოლოდ ოლიმპიურ თამაშებს ჩამოუვარდებოდა. კალათბურთელ ქალთა ტურნირის ფინალში საბჭოთა ნაკრებმა ბულგარეთის ძლიერ გუნდს სძლია. წყალბურთელთა შეჯიბრებების გადამწყვეტი მატჩი კი რუმინეთის ნაკრებთან უფრო რთული იყო. თამაშებში გამარჯვებისათვის საბჭოთა ნაკრებს უსათუოდ, 5 ბურთის სხვაობით უნდა მოეგო. პირველი ბურთი ნოდარმა გაიტანა, მატჩი კი საბოლოოდ, ზუსტად საჭირო ანგარიშით მოიგეს. ასე რომ, ჩვენს ოჯახში ამ ასპარეზობების 2 ოქროს მედალი ინახება.

**— ქალბატონ ალისას და ბატონ ნოდარს მომდევნო წლებში სხვა ტურნირებშიც არაერთხელ მოუწიათ ერთად გამოსვლამ. 1954 წელს მსოფლიოს სტუდენტთა თამაშები ბუდაპეშტში ჩატარდა. იქ**



პირველ სოლიდურ წარმატებას ორივემ 1953 წელს ბუქარესტში, ახალგაზრდობის პირველ საერთაშორისო თამაშებში მიაღწია

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ორივემ ვერცხლის მედალი მოიპოვა, ხოლო მომდევნო სეზონში ახალგაზრდობის მეორე საერთაშორისო მეგობრულ თამაშებში, ვარშავაში ალისა ასიტაშვილი კვლავ ჩემპიონი გახდა, ნოდარ გვახარიამ კი პირველ ოქროს ჯილდოს ამჯერად, ვერცხლის მედალიც მიუმატა. ამ ასპარეზობაში წყალბურთელები მთელი გუნდით კალათბურთელებს გულშემატკივრობდნენ, ხოლო კალათბურთელ ქალთა ნაკრების წევრები — წყალბურთელებს. თქვენი მშობლებიც ალბათ სწორედ მაშინ დამეგობრდნენ, არა?**

— სხვათა შორის, თავიდან ისინი ერთმანეთს თურმე არც აქცევდნენ ყურადღებას. მაგრამ მერე პეტრე მშვენიერაძეს უთქვამს: ბიჭო, აქეთ-იქით რომ იყურები, აგერ, ალისა მშვენიერი გოგოაო... დედა ახალგაზრდობაში მართლაც ლამაზი გოგო იყო, ბელგრადის ევროპულ ჩემპიონატზე იგი „მის კალათბურთის“ პრიზითაც დააჯილდოეს. ნოდარმაც სწორედ ვარშავაში სთხოვა ხელი. მამა მაშინ მოსკოვის „დინამოში“ თამაშობდა. იმ წელს საბჭოთა კავშირის ჩემპიონიც გახდა. მომდევნო წელს კი თბილისის „დინამოში“ გადმოვიდა და დაქორწინდნენ.

**— 1956 წელს ქალბატონმა ალისამ კონტინენტის ჩემპიონატების მეორე ოქროს მედალი მოიპოვა პრაღაში, ხოლო ბატონი ნოდარი მელბურნში, პეტრე მშვენიერაძესთან ერთად, ოლიმპიურ ბრინჯაოს დაეუფლა. საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის ის სისხლიანი მატჩიც სწორედ მაშინ შედგა...**

— სამწუხაროდ, მე თავის დროზე ვერ მოვიფიქრე, რომ მამას ნაამბობი ვიდეო ან აუდიოფირზე აღმებეჭდა, მაგრამ მისი მონაყოლიდან ბევრი რამ კარგად მახსოვს. ჩხუბი მართლაც უნგრელების პროვოცირებული იყო. ჯერ კიდევ თამაშამდე წყალბურთელთა დელეგაციაზე მიმაგრებული, საბჭოთა უშიშროების თანამშრომელი ნაკრების წევრებს აფრთხილებდა, — დაძაბული პოლიტიკური სიტუაციის გამო, უნგრელები უხეშად ითამაშებენ, მაგრამ თქვენ უნდა მოითმინოთ და საბჭოთა ქვეყანა არ უნდა შეარცხვინოთო. ბოლოს პეტრე მშვენიერაძეს უკითხავს: ძალიან თუ გაგვლახეს, როგორ მოვიქცეთო? — ერთ ლოყაში თუ გაგარტყეს, მეორე არ მიუშვიროთო, — უპასუხა „კაგებეშნიკმა“... იმ მატჩში ცუდი როლი ითამაშა მსაჯმაც, ამერიკელმა ცუკერმანმა — ტენდენციურად სჯიდა. უნგრელები ჰელსინკის ოლიმპიადის ჩემპიონები იყვნენ და ძლიერი გუნდი ჰყავდათ, მსაჯის მიხმარება არ სჭირდებოდათ. მაშინდელი წესებით, მატჩი ორი 10-წუთიანი ტაიმისაგან შედგებოდა. რაც მთავარია, თავდასხმაში ბურთის ფლობის დრო შეზღუდული არ იყო. გუნდს შეეძლო, მთელი ტაიმიც კი დაეჭირა ბურთი. უნგრელები ასეც იქცეოდნენ და საბჭოთა წყალბურთელებს მეტოქის ნახევარზე ბურთის ფლობის საშუალებაც პრაქტიკულად არ ჰქონიათ. ამასთან, მადიარები უხეშობდნენ — იცით ალბათ, რომ წყალბურთში წესების დარღვევის ათასგვარი საშუალება არსებობს წყალქვეშ — მსაჯი კი ამაზე თვალებს ხუჭავდა. ბოლოს, როდესაც ანგარიში 4:0 იყო უნგრელების სასარგებლოდ, პეტრე მშვენიერაძემ ველარ მოითმინა მეტოქეებისაგან დაცინვა და ატყდა ჩხუბი. სათადარიგო მოთამაშეებიც წყალში გადაეშვნენ. მამა ჰყვებოდა, — წყალი წითლად შეიღებაო... ერთმანეთს არავინ ინდობდა. მატჩი შეწყდა, უნგრელებს მოგება ჩაეთვალათ, ოლიმპიური ოქროს მედლებიც მათ მოიპოვეს. საბჭოთა ნაკრები გასახდელისკენ პოლიციის კორდონით გაიყვანეს. ვიღაცა გაილახა, ვიღაცამ იქით უთავაზა მოწინააღმდეგეს მუშტი. ყველანი ნერვებაშლილები იყვნენ და პეტრე მშვენიერაძეს შეუთავაზებია ნოდარისათვის, — კინოში წავიდეთ, ეგებ დავწყნარდეთო. ელვის პრესლის შესახებ გადიოდა ფილმი, „როკ-ენ-როლის მეფე“. იქ კი ფოტორეპორტიორებს სურათები გადაუღიათ ჩვენებისთვის და მეორე დღეს ადგილობრივი გაზეთების პირველ გვერდზე დაუბეჭდავთ; თან, შესაბამისი კომენტარიც დაურთავთ: „მაშინ, როდესაც უნგრელების სისხლი იღვრება, საბჭოთა წყალბურთელები როკ-ენ-როლის მეფით ტკბებიან“; ქვემოთ კი — პეტრე მშვენიერაძისა და ნოდარ გვახარიას ფოტო. გაცეცხლებულ „კაგებეშნიკს“ სასწრაფოდ კრება მოუწყვია, გაზეთი დაუგდია მაგიდაზე და დაუწყია ახსნა-განმარტება. პეტრემ მამას გადაულაპარაკა თურმე, — მორჩა, დავიღუპეთო, მაგრამ იური შლიაპინმა იხსნა: სწორედ მან გაახსენა უშიშროების ჩინოსანს, — თქვენ გვითხარით, მეორე ლოყა არ შეუშვიროთ, საბჭოეთის ღირსება დაიცავითო. ამაზე თურმე გაეცინა და ამით დამთავრდა ყველაფერი... კრება კი დამთავრდა, მაგრამ ნერვების შლა და არაობიექტური მსაჯობა მეორე დღესაც გაგრძელდა — ბრინჯაოს მედლებისათვის მატჩში გერმანიის ნაკრებთან. როგორც ჩანს, მსაჯთა კორპუსსა და წყალბურთის საერთაშორისო ფედერაციას განზრახული ჰქონდათ, საბჭოელები მედლების გარეშე დაეტოვებინათ. ამ მატჩშიც მეტოქის ნახევარზე საბჭოთა ნაკრები ვერ გადადიოდა და გამწარებულმა მა-

**პეტრე მშვენიერაძეს უთქვამს: ბიჭო, აქეთ-იქით რომ იყურები, აგერ, ალისა მშვენიერი გოგოაო...**





**მამა ჰყვებოდა, – წყალი წითლად შეიღებაო... ერთმანეთს არავინ ინდობდა (უნგრელი წყალბურთელი)**

მამ ცენტრიდან შეაგდო ორი ბურთი. ამის შემდეგ მსაჯობა გამოსწორდა და საბჭოთა ნაკრებმაც ანგარიშით 6:4 გამარჯვებასთან ერთად, ბრინჯაოს მედლები მოიპოვა.

უნგრელებისათვის იმ ოლიმპიადას ძალზე დიდი მნიშვნელობა



გამწარებულმა მამამ ცენტრიდან შეაგდო ორი ბურთი

ჰქონდა. ამერიკელებმა შემდეგ ფილმიც გადაიღეს იმ მატჩის შესახებ. საბჭოთა ნაკრები უნგრელებისათვის, საბჭოთა რეჟიმის განსახიერება იყო. სამაგიეროს გადახდა კი მათ მხოლოდ გამარჯვებით შეეძლოთ. მაშინ მათთვის რუსიც და ქართველიც ერთი იყო. წლების შემდეგ, ჩემი უმცროსი ძმა დევიც წყალბურთელი გახდა და ისიც საბჭოთა ნაკრებში თამაშობდა. გახსოვთ ალბათ, გასული საუკუნის 80-იან წლებში თბილისში საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პრიზზე ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი ტარდებოდა. ერთ წელს ძალიან ძლიერი გუნდები ჩამოვიდნენ, მათ შორის — უნგრელებიც. მათი მწვრთნელი, დეჩე დიარმატი იმ მატჩის ერთადერთი მონაწილე იყო. მან იცოდა, რომ დევი ნოდარის შვილი იყო და როდესაც საქართველოს ნაკრებმა უნგრეთისას მოუგო, მამასთან მივიდა და უთხრა, — დღეს შენ მოიგეო; მოგვიანებით კი დევის უთხრა: ახლა მე ვიცი, რომ თქვენ ქართველები ხართ... შემდეგ, უკვე 90-იან წლებში მე მოვხვდი უნგრეთში. ცნობილ პროფესორ მიკლოშ კუნთან ერთად ვმუშაობდი. მან ერთი დღე მთლიანად დამითმო და ბუდაპეშტი დამათვალიერებინა. თან ამიხსნა, — ბერლინში რაიხსტაგზე მეორე მსოფლიო ომის შემდეგაც შემორჩა მრავალი ნატყვიარი, ბუდაპეშტში კი ერთსაც ვერ იპოვი (თითქოს არაფერი მომხდარა), 1956 წლის ტრაგედია რომ დაგვევიწყებინა უნგრელებსო.

**— მელბურნის ოლიმპიურ თამაშებში უნგრელმა ათლეტებმა 26 მედალი მოიპოვეს და საერთო გუნდურ ჩათვლაში მეოთხე ადგილიც დაიკავეს, თუმცა ათეულობით უნგრელი აღარ დაბრუნდა კომუნისტების მიერ დაპყრობილ სამშობლოში. საბჭოთა და უნგრელი წყალბურთელების მეტოქეობა კიდევ დიდხანს გაგრძელდა, მაგრამ საბოლოოდ ისინი მაინც შერიგდნენ. 2002 წელს ცოცხლად დარჩენილი ვეტერანები ბუდაპეშტში შეიკრიბნენ და ერთმანეთს ბოდიში მოუხადეს. ერვინ ზადორმა, რომელიც ყველაზე მეტად დაზარალდა მაშინ, თქვა, რომ ეს იყო ჩვეულებრივი ჩხუბი. სამწუხაროდ, ამ დროისათვის ნოდარ გვახარია ცოცხალი აღარ იყო. იგი 1996 წელს გარდაიცვალა.**

— მამის გარდაცვალება ჩემთვის ძალიან მძიმე იყო. ისიც და დედაც ძალიან მკაცრად გვზრდიდნენ მეც, დევისაც და ჩვენს დას — ნატოსაც, მაგრამ ამავე დროს, საოცრად თბილები იყვნენ. არ გვანებივრებდნენ, მომთხოვნები იყვნენ, განსაკუთრებით — სწავლის საკითხში. გიჟდებოდა, ისე უყვარდა ჩემი მეგობრები, ცდილობდა, ხშირად მოსულიყვნენ; დედაც გემრიელ კერძებს ამზადებდა. რომ წამოვიზარდეთ და გავაცნობიერეთ, რომ სახელოვანი სპორტსმენების შვილები ვიყავით, რა თქმა უნდა, ვამაყობდით და დღესაც ვამაყობთ.

**— მელბურნის ოლიმპიადის შემდეგ, ბატონი ნოდარი კიდევ დიდხანს თამაშობდა თბილისის „დინამოში" და — წარმატებითაც. თანაგუნდელებთან ერთად, საკავშირო ჩემპიონატების მედლებიც მოიპოვა, ხოლო შემდეგ გუნდის მწვრთნელიც გახდა. მისი ხელმძღვანელობით, „დინამოელები" საკავშირო ჩემპიონატების პრიზიორებიც გახდნენ, მაგრამ შემდეგ კლუბს ჩამოსცილდა, რატომ?**

— 1967 წელს რატომღაც, თბილისის „დინამოს" წყალბურთელებმა მწვრთნელის შეცვლა მოითხოვეს. საქართველოს სპორტკომიტეტში განცხადება შეიტანეს, მთელმა გუნდმა მოაწერა ხელი, გარდა ორისა. სპორტკომიტეტში ძალიან გაუკვირდათ და თავიდან გუნდის წევრების დასჯაზეც კი ფიქრობდნენ, მაგრამ საბოლოოდ, მაინც მამა გაათავისუფლეს. მაშინაც და ახლაც სპორტის ბევრ სახეობაში ხდება ასე, მაგრამ შემდგომში მამას ყველასთან და იმ წყალბურთელებთანაც კარგი ურთიერთობა ჰქონდა. სხვათა შორის, მას ასევე მოექცნენ საბჭოთა ნაკრებშიც. 1962-1964 წლებში იგი საკავშირო ნაკრების უფროსი მწვრთნელი იყო. ერთ-ერთი უცხოური ტურნეს დროს, ნაკრების რომელიღაც მოთამაშეს საზღვარზე რაღაც გადაჰქონდა; ზუსტად არ ვიცი — რა, მაგრამ როგორც ჩანს, ამის გაკეთება არ შეიძლებოდა. ის წყალბურთელი დასაჯეს, ნაკრებიდან გააგდეს და ნოდარიც გაათავისუფლეს. ეს ტოკიოს ოლიმპიადამდე რამდენიმე თვით ადრე მოხდა. მერე მამამ თბილისის კალინინის რაიონის მილიციის განყოფილებაში დაიწყო მუშაობა. მოგვიანებით, ამ განყოფილების უფროსი გახდა. დიდხანს ყოყმანობდა, ვიდრე გადაწყვეტდა, მაგრამ სამი შვილი, ოჯახი უნდა ერჩინა. კარგა ხანს ფორმას არ იცვამდა, ისე დადიოდა სამსახურში.

**— ალბათ ბევრი აწუხებდა... დახმარებისთვის მიმართავდნენ?**

— ნოდარს მთელი თბილისი იცნობდა, მეგობარ-ახლობელიც ბევრი ჰყავდა. ბუნებრივია, ვიღაცას დასჭირდებოდა მისი დახმარება. უარს არავის ეუბნებოდა. ვერ გეტყვით, იქ როგორი უფროსი იყო. ის კი შემიძლია გითხრათ, რომ მაშინ ანეკდოტივით დადიოდა: ეს რანაირი მილიციის უფროსია? არავინ დაუჭერიაო!.. შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში კარიერა პოლკოვნიკის ჩინით დაასრულა, ხოლო წყალბურთში საბჭოთა კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი იყო. მოგვიანებით, ისევ სპორტს დაუბრუნდა. სწორედ მისი ინიციატივით დაარსდა წყალბურთელთა გუნდების ჩვენი საერთაშორისო ტურნირი, რომელიც თავის დროზე საკმაოდ პრესტიჟული იყო. ■

ეროვნული
ბიბლიოთეკა


# ხალი
# უწყინარი ლაქა
# თუ
# ავთვისებიანი
# წარმონაქმნი
# ?

თქვენს კითხვებს პასუხობენ
პროფესიონალები!

MKURNALI.GE
სამედიცინო ინტერნეტჟურნალი

8 მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი; 2 მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; 14 მოქმედი ლიცენზირებული ექიმი.

www.mkurnali.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა



## გონების სავარჯიშო

### „გზის" ერთგული მკითხველისათვის

### (კითხვები)

**ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში" სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ**

**„პასუხების" სვეტისკენ არ გაგექცეთ თვალი**

1. კლარა ნოვიკოვას აზრით, ვისი მოგონილია ყველა ანეკდოტი ქერა ქალების შესახებ?
2. რას ნიშნავს რთული სიტყვის პირველი შემადგენელი ნაწილი „ობერ"?
3. ვის ეკუთენის სიტყვები: „რაიმეს შექმნის ხელოვნება სხვა არაფერია, თუ არა მისივე განადგურების ხელოვნება"?
4. სპარსეთის დაპყრობისას ალექსანდრე მაკედონელი გზად ბრძნულ ქალაქ ლამპსაკს მიადგა, რომლის მოქალაქეებსაც სპარსული ორიენტაცია ჰქონდათ. ქალაქის მცხოვრებნი შეშინდნენ, ალექსანდრე ქალაქს მიწასთან გაასწორებსო და მაკედონელთა მეფეს მისი მამის, ფილიპეს მეგობარი ფილოსოფოსი ანაქსიმენე მიუგზავნეს. ალექსანდრე ანაქსიმენეს დანახვისთანავე მიხვდა, რის სათხოვნელადაც მიდიოდა მასთან ფილოსოფოსი და შორიდანვე მიაძახა: „ვფიცავ ღმერთებს, არ შევასრულებ შენს თხოვნას!" როგორ მოიქცა ანაქსიმენე?
5. რა სიტყვებით „აშინებდა" საკუთარ გადაცემაში მიწვეულ ინგა გრიგოლიას ვანო ჯავახიშვილი?
6. რა არის „აკმე"?
7. სადაურია ეროვნებით ჯოხარ დუდაევის მეუღლე?
8. სადაური ხალხური ცეკვაა კაჩუჩა?
9. ვის ეკუთვნის სიტყვები: „დღეს გიჟებს ყველგან შეხვდები, თვით საგიჟეთშიც კი"?
10. ცნობილი ანდაზის მიხედვით, რას არ უნდა სჩადიოდეს შუშაბანდიანი სახლის პატრონი?

# ანეკდოტები



***

გურული ხვდება მეზობელს:

— ჯუმბერია, მაი თმა რომ შეგჭრეს, იქ არ იყაი შენ?!.

***

სახლში მისულ გურულს ძაღლი გაავებული ყეფით შეეგება. გურული ცოლს გაუწყრა:

— რა უთხარი, ქალო, ამისთანა?!. გოუმხილე ხომ, ქუჩიდან რომ მყავს აყვანილი?!.

***

ჩუქჩამ გეოლოგებისაგან „კამაზი" იყიდა.

— როგორ გამოგადგა მანქანა? — ეკითხება ნაცნობი.

— მაგარია! კაბინა თბილია, სალონი — ფართო, ოღონდ ეგ არის, ძაღლები ძალიან მალე იღლებიან!

***

მოხუცი სომეხი კვდება. გარს ოჯახის წევრები ახვევიან.

— სირანუშ, აქა ხარ? — ეკითხება ცოლს.

— აქა ვარ!

— ჩემი შვილები: სედრაკა, გარიკა, ოვიკა?

— აქა ვართ?

— რძლები: სუსანა, პაიკანუშა, როზა?

— აქა ვართ.

— შვილიშვილები?

— ჩვენც აქა ვართ!

— აბა, ყველა თუ აქა ხართ, სამზარეულოში ვიღაა, შუქი რატომ ანთია?!.

***

მდივანი შედის დირექტორის კაბინეტში:

— 30 წლის, კარგად გარუჯული, მხარბეჭიანი, ძლიერი აღნაგობის, სიმპათიური, ქერა და ცისფერთვალება მამაკაცია მოსული თქვენთან სალაპარაკოდ რაღაც თემაზე, რომელიც ვერ დავიმახსოვრე.

***

ერთმა ქალმა გაახალგაზრდავება გადაწყვიტა და რჩევის საკითხავად, მკითხავთან მივიდა.

— ქალაქის რატუშის კოშკზე უნდა აძვრე და საათი უკან გადასწიო იმდენად, რამდენადაც გინდა, რომ გაახალგაზრდავდე, — ასწავლა მკითხავმა.

ქალმა თვითონ ვერ შეძლო და კოშკზე ქმარი აუშვა. ქმარმა საათის ისრები დაატრიალა. ცოტა ხანში ცოლის ხმა ესმის:

— კარგი, გეყოფა, ჩამოდი!

— კი, როგორ არა! — ჩამოსძახა ქმარმა. — იმდენი უნდა ვატრიალო, სანამ უკან არ შეგაძვრენ და მერე სიდედრს აბორტს არ გავაკეთებინებ!..



***

ზაქრომ დაამთქნარა. ცოლი ეუბნება:

— ზაქროვ, პირი მაინც ღია გაქ და ჩვენ სანდრიკაი გასძახე, პური წამაიღოს.

* * *

სტადიონზე:
— სად იშოვე ბილეთი?
— მამამ მიყიდა.
— მამაშენი სადაა?
— სახლში... ბილეთს ეძებს...

* * *

ფეხბურთის მოედანზე თხა ბალახობს. იქვე 2 გურული ზის:
— აი თხა არ დავკლათ?
— მორჩეს თამაშს და დავკლათ.

* * *

— ადრე ყველა ქალი მე დამდევდა.
— ახლა რატომ აღარ დაგდევენ?
— ჩანთებს აღარ ვპარავ!

* * *

2 სვანის დიალოგი:
— ჩვენი მეზობელი, მაიზერი, ვამპირი ყოფილა.
— საიდან იცი?
— გულში ვერცხლის დანა დავარჭვე და მოკვდა!..

* * *

პაციენტი ეკითხება ექიმს:
— ექიმო, რა მომელის? ოპერაცია?!. ამპუტაცია?!.
— ახლა, ყველაფერი წინასწარ რომ გითხრა, მერე საინტერესო აღარ იქნება.

* * *

ზოოპარკში:
— დედიკო, ნახე, გორილა რა დაბღვერილი იყურება!
— დაწყნარდი, შვილო, ეს ჯერ სალაროა!

* * *

ქმარი ეუბნება ცოლს:
— სად არის ყავა?
— სამზარეულოშია, ფქვილის ყუთში, ადრე მარილი რომ ეყარა და ახლა „სოდა" რომ აწერია.

* * *

ოსი დილით ბავშვს აღვიძებს:
— ადე, სვილი, სკოლასი წადი. ადრე წახვალ, ადრე მოხვალ!

* * *

გორელი „სკაიპით" საზღვარგარეთ მცხოვრებ ნათესავს ელაპარაკება:
— რა ხდება მაქეთ?
— ეჰ, აქ ისეთი კრიზისია, რო გოგოები უკვე სიყვარულით თხოვდებიან!

* * *

გურული ეზოში ზის და შეშას აპობს, იქვე, კაკლის ჩრდილში, მისი შვილები ნარდს აგორებენ. ჩამოიარა მეზობელმა:
— რაია, ძამა, დამჯდარი მუშაობ?
— კი, დამჯდარი ვმუშაობ, თვარა დაწოლილმა რაც ვიმუშავე, იგერ ყრიან, ჩეროში!..

* * *

თევზის მაღაზიაში:
— თევზი ახალია?
— რა თქმა უნდა!
— თვალები რატომ არ უჩანს?
— სძინავს.
— კი, მაგრამ ასე რატომ ყარს?
— თქვენ, რა, როცა გძინავთ საკუთარ თავს აკონტროლებთ?



* * *

პაციენტი ეუბნება ექიმს:
— არც კი ვიცი, მადლობა როგორ გადაგიხადოთ!..
— იცით, იცით!..

## გონების სავარჯიშო

### „გზის" ერთგული მკითხველისათვის

### (პასუხები)

1. შავგვრემანი ქალების მიერ („ვსე ანეკდოტი პრო ბლანდინოკ საჩინიაუტ ბრიუნეტკი").
2. მთავარს, უფროსს.
3. პაბლო პიკასოს.
4. ანაქსიმენე არ დაიბნა და ალექსანდრეს უთხრა: „მეფეო, მე გთხოვ, დაანგრიო ქალაქი!". ალექსანდრემ ფიცი ველარ გატეხა და ლამპსაკი დანგრევას გადარჩა.
5. „მოვიდა ბენდუქიძე! მოვიდა ბენდუქიძე!".
6. ავადმყოფობის განვითარების უმაღლესი წერტილი.
7. რუსი.
8. ესპანური.
9. ბერნარდ შოუს.
10. ქვებს არ უნდა ისროდეს.

## ჩვენი ფოტო გალერეა



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჰოროსკოპი

## 1-7 დეკემბერი

### ვერძი



გართობასა და დასვენებაში გაატარებთ მთელ კვირას, მაგრამ უქმეებზე სამსახურში მოგიწევთ ყოფნა. კარგი პერიოდია ახალი რომანის დასაწყებად.

### კურო



ენერგიული და აქტიური ხართ. უამრავი საქმის შესრულებას მოახერხებთ. გარშემო მყოფებთან კონფლიქტი დიპლომატიურად მოაგვარეთ.

### ტყუპი



დროს უაზროდ ნუ გაფლანგავთ; გახსოვდეთ, მთების გადადგმა კენჭების გადაადგილებით იწყება. ტყუილად ნურავის ნურაფერს დაჰპირდებით.

### კირჩხიბი



საინტერესო ადამიანებთან შეხვედრა გაგიმრავალფეროვნებთ ცხოვრებას. შესაძლოა, ახალ საინტერესო პროექტზე მოგიწიოთ მუშაობის დაწყებამ.

### ლომი



ალადგინეთ ურთიერთობა ნათესავებთან. შეძლებისდაგვარად დაეხმარეთ გაჭირვებაში მყოფ მეგობრებს. უქმეები საკუთარ თავს მიუძღვენით.

### ქალწული



გახსოვდეთ, ვინც მოითმენს, ის მოიგებს. ნუ აჩქარდებით, შრომითა და თავდადებით დიდ წარმატებას მიაღწევთ. თავისუფალი დრო საყვარელ ადამიანთან ერთად გაატარეთ.

### სასწორი



მეტი ყურადღება დაუთმეთ ოჯახსა და ნათესავებს. ალადგინეთ ურთიერთობები ძველ მეგობრებთან. უქმეებზე ან ქალაქგარეთ გაისეირნეთ, ან კულტურულ ღონისძიებებს დაესწარით.

### მორიელი



მთელი ძალისხმევა და ყურადღება მხოლოდ მნიშვნელოვან საქმეებზე გადაიტანეთ. მოერიდეთ ხალხმრავალ ადგილებს. კვირის ბოლო ნათესავებთან ერთად მშვიდ ატმოსფეროში გაატარეთ.

### მშვილდოსანი



სამსახურში მოერიდეთ ჭორებსა და ინტრიგებს. სასიკეთოდ გადაწყდება უძრავი ქონების საკითხი. უქმეები შვილებთან ერთად გაატარეთ. კვირას შეადგინეთ სამომავლო საქმეების გეგმა.

### თხის რქა



მუშაობის დროს მაქსიმალური ყურადღება მიაქციეთ დეტალებს. განწყობილებას მოგზაურობა გამოგისწორებთ. დაძაბული სამუშაო გრაფიკის გამო საყვარელი ადამიანი უყურადღებობის გამო გისაყვედურებთ.

### მერწყული



გაგიუმჯობესდებათ ურთიერთობა კოლეგებთან. მოერიდეთ ფულის ფლანგვას. მეტი ყურადღება მიაქციეთ ჯანმრთელობას. დახმარებისა და რჩევისთვის უხუცეს ნათესავს მიმართეთ.

### თევზები



მოერიდეთ კონფლიქტს უფროსთან. პარასკევი კარგი დღეა მოლაპარაკებებისა და ხელშეკრულებების გასაფორმებლად. გამოგისწორდებათ ურთიერთობა მეგობრებთან.

# წყლის ზოდიაქო

დასაწყისი იხ. „გზა" №46

### ქარიყლაპია (29 ივლისი – 27 აგვისტო)

სენტიმენტალური და რომანტიკულია. შეიძლება მცირე მიზეზის გამო პანიკაში ჩავარდეს. უყვარს გარშემო მყოფებთან ურთიერთობა. ძალები მდივნისა და ჟურნალისტის თანამდებობაზე უნდა მოსინჯოს. მისი სუსტი წერტილი ხერხემალი და თვალებია.

### კეფალი (28 აგვისტო – 25 სექტემბერი)

ყველასა და ყველაფერს ეჭვის თვალით უყურებს. გაჭრამდე შვიდჯერ გაზომავს. ახლობლებსაც კი არ აპატიებს ტყუილს. ხშირად ფილოლოგისა და არქიტექტორის პროფესიას ირჩევს. ღვიძლი რომ არ დაიზიანოს, უნდა მოერიდოს ალკოჰოლსა და ცხიმიან საკვებს.

### ნაფოტა (26 სექტემბერი – 17 ოქტომბერი)

გამომგონებელია, უყვარს ჩხირკედელაობა. მისგან კარგი კონსტრუქტორი, ინჟინერი და მკერავი დადგება. მდგრადი ჯანმრთელობა აქვს, მაგრამ ცუდად იტანს ალკოჰოლს.

### კვირჩხლა (18 ოქტომბერი – 17 ნოემბერი)

ელეგანტური და დახვეწილი მანერები აქვს. ორივე სქესის კვირჩხლას უამრავი თაყვანისმცემელი ჰყავს. მუდამ შეყვარებულია. ნებისმიერ საქმიანობას გაართმევს თავს. განსაკუთრებული ყურადღება მართებს თირკმლებისა და ნაწლავების მიმართ.

### კამბალა (18 ნოემბერი – 12 დეკემბერი)

არ უყვარს ყურადღების მიპყრობა. ურჩევნია, კარგად შესრულებული საქმე მატერიალურად აუნაზღაურდეს. კარგად ართმევს თავს ბუღალტრულ და ადმინისტრაციულ საქმიანობას. არ უყვარს ექიმებთან სიარული და წამლის მიღება. ხშირად ავადდება ცისტიტითა და ლარინგიტით.

### ლოქო (13-31 დეკემბერი)

განონასწორებული, მშვიდი და გონიერი ნიშანია. თუ განწყობილება გაუფუჭდა, გარშემო მყოფებზე არ იყრის ჯავრს, განმარტოვდება და გააანალიზებს სიტუაციას. ზუსტ მეცნიერებებში ბადალი არ ჰყავს. ბევრ ლოქოს აქვს ექსტრასენსის მონაცემები. მისი სუსტი წერტილია სახსრები.

ეროვნული ბიბლიოთეკა





1. ჰიგიენური საშუალება
2. უბანი თბილისში
3. უალკოჰოლო სასმელი
4. მხედრის დასაჯდომი მოწყობილობა ცხენზე
5. წყლის ფრინველი
6. მოსამართლე მუსლიმანებში
7. პორტუგალიის დედაქალაქი
8. სავედრებელი ან სამადლობელი ლოცვა
9. მარადმწვანე წიწვოვანი ხე
10. გარეული ვირი
11. ფულის ერთეული ირანში
12. კოვბოის ოსტატობის ჩვენება
13. ხრიკი, ფანდი
14. ჯილდო შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის
15. ეგვიპტის დედაქალაქი
16. ფულის ერთეული პოლონეთში
17. პურის მცხობელი
18. მომკილი თავთავის კონა
19. ქართველი კინორეჟისორი
20. ირმებშებმული მარხილი
21. ნაპოლეონის მარშალი
22. მსახიობი კიანუ ...
23. უკრაინის პარლამენტი
24. მხარე გერმანიაში
25. მტაცებელი ფრინველი
26. ისრის წვერი
27. მტაცებელი ცხოველი
28. ჰომეროსის პოემა
29. რომის პაპის გვირგვინი
30. გახმაურებული სამარცხვინო შემთხვევა
31. მიწისქვეშა ტრანსპორტი
32. სისხლის გამცემი
33. რძის ნაწარმი
34. დაბა ქართლში
35. ქვეყნის ნაწილი
36. ესპანელი ფერმწერი
37. საყანედ გაკაფული ტყე
38. ქალაქი საქართველოში
39. ფრანგი მწერალი
40. სპირტიანი სასმელი
41. დიდი ჩაქუჩი
42. კორეული ავტომობილი
43. ცდის გარეშე, ცდისგან დამოუკიდებლად
44. ყირიმის კურორტი
45. „ფორდის" მოდელი



**წინა ნომრის სკანვორდის პასუხები** 1. კლაპტარი; 2. ფლირტი; 3. პაშტეტი; 4. ოტავა; 5. ბრელოკი; 6. ტურაშვილი; 7. ტიტრი; 8. ჰამლეტი; 9. ალაპი; 10. ჩილე; 11. ლიანა; 12. მაისი; 13. ტახი; 14. ხალიჩა; 15. ხრამი; 16. მედია; 17. ჰიპოპოტამი; 18. პა; 19. მლაშე; 20. მელანი; 21. ონი; 22. ლონდრე; 23. მარიამი; 24. არსენალი; 25. ემი; 26. ტომატი; 27. აკაი; 28. რამპა; 29. ტილო; 30. იფანი; 31. იტალია; 32. ობი; 33. მერკელი; 34. ტიტინი; 35. აპერკოტი; 36. სამბო; 37. ნუტრია; 38. ლამაზმანი; 39. ავიაცია.
**სურათებზე:** კეტი ჰოლმსი; ტომ კრუზი.

# სად და როგორ ხვდებიან ახალ წელს

ახალ წლამდე სულ ცოტა დრო რჩება. ამიტომ, აირჩიეთ ადგილი, სადაც 2012 წელს შეხვდებით.

### თაიმ-სქვერი, ნიუ-იორკი, აშშ

მილიონი ადამიანი ქუჩაში, უზარმაზარი ნაძვის ხის გარშემო ხვდება ახალ წელს. ცაში ულამაზეს ფეიერვერკს უშვებენ. სცენაზე ვარსკვლავები გამოდიან. გარდა ამისა, სხვადასხვა კლუბში საახალწლო წვეულება იმართება, რომლის მონაწილეც დედაქალაქის ნებისმიერი სტუმარი შეიძლება გახდეს. სპეციალურად ახალი წლისთვის პომპეზურად ირთვება ცნობილი საიუველირო მაღაზიების ვიტრინები.

### კოპაკაბანას პლაჟი, რიო-დე-ჟანეირო, ბრაზილია

4 კმ-ზე გადაჭიმულ პლაჟზე თეთრ სამოსში გამოწყობილი ადამიანები ახალი წლის შესახვედრად გამოდიან. სანაპირო ზოლზე რამდენიმე სცენა, საცეკვაო მოედანი და კოქტეილ-ბარია განთავსებული.

### ფრენჩმენ-სტრიტი, ახალი ორლეანი, აშშ

ეს ქუჩა ცნობილია ბარებითა და კაფეებით, სადაც ახალი წლის ღამეს პოპულარული მუსიკოსები კონცერტს მართავენ. უცნობები ქუჩაში ცეკვავენ, სვამენ და ერთმანეთს ახალი წლის დადგომას ულოცავენ.

### სიდნეის ყურე, ავსტრალია

ახალ წელს პირველები ავსტრალიელები აღნიშნავენ. წვეულებას დღის 1-ელ საათზე იწყებენ. 1-ელი იანვარი პიკნიკებისა და საპლაჟო წვეულებების დღეა. ეწყობა კარნავალი და სერფინგისტების შოუ.

### სიბუია, ტოკიო, იაპონია

საახალწლო დღეები 28 დეკემ-



ბრიდან 4 იანვრამდე გრძელდება. ძველად იაპონელები ახალ წელს მთვარის კალენდრით აღნიშნავდნენ, XIX საუკუნიდან კი — გრიგორიანული კალენდრით. ამ დღეებში მხოლოდ ბარები და რესტორნები მუშაობს. ქუჩაში გამოსულებისთვის ტრადიციული კონცერტები ეწყობა. მოშივებულებს საახალწლო კერძებით უმასპინძლდებიან. ახალი წლის დადგომისთანავე იაპონიის ყველა ტაძარში 108-ჯერ ჩამოჰკრავენ ზარებს.

### ბრანდენბურგის ჭიშკარი, ბერლინი, გერმანია

31 დეკემბრის საღამოს გერმანელები ქალაქის სიმბოლოსთან იკრიბებიან, რომ სხვადასხვა ქვეყნის კერძები დააგემოვნონ, ლუდი მიირთვან, იცეკვონ და ერთმანეთს ახალი წელი მიულოცონ.

### ელისეს მინდვრები, პარიზი, საფრანგეთი

რომანტიკულ ქალაქში ეიფელის კოშკის მიმდებარე ტერიტორიაზე ხალხი 21 საათიდან იკავებს ადგილს, რომ ულამაზესი ფეიერვერკებით დატკბეს. ახალგაზრდები დღესასწაულს ბარებში აღნიშნავენ; ხანდაზმულები — ოჯახში.

### სანამ ლუანგი, ბანგკოკი, ტაილანდი

ახალ წელს ტაილანდში სამჯერ აღნიშნავენ — ევროპული, ჩინური და ტაილანდური ტრადიციების დაცვით.

### ლას-ვეგასი-სტრიტი, აშშ

ცოდვების ქალაქის კაფე-ბარებში ორიგინალური საახალწლო წვეულებები ეწყობა, მაგრამ ყველაზე დიდი მხიარულება ქალაქის ქუჩებშია. დილამდე გრძელდება ფეიერვერკი, ცეკვა, კონცერტები; ფეხით მოსიარულეებს უფასო სასმლით უმასპინძლდებიან. ■

## იაპონური სენსაცია სუდოკუ

„გზის" წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 3 | 5 | 7 | 6 | 8 | 4 | 1 | 2 |
| 4 | 1 | 8 | 2 | 9 | 5 | 7 | 6 | 3 |
| 2 | 6 | 7 | 3 | 1 | 4 | 5 | 8 | 9 |
| 3 | 2 | 4 | 6 | 7 | 1 | 8 | 9 | 5 |
| 8 | 7 | 9 | 4 | 5 | 3 | 1 | 2 | 6 |
| 6 | 5 | 1 | 8 | 2 | 9 | 3 | 4 | 7 |
| 5 | 4 | 6 | 9 | 8 | 7 | 2 | 3 | 1 |
| 7 | 8 | 2 | 1 | 3 | 6 | 9 | 5 | 4 |
| 1 | 9 | 3 | 5 | 4 | 2 | 6 | 7 | 8 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 3 | 7 | 8 | 4 | 1 | 9 | 6 | 5 |
| 5 | 1 | 8 | 6 | 3 | 9 | 2 | 4 | 7 |
| 6 | 4 | 9 | 2 | 5 | 7 | 8 | 3 | 1 |
| 8 | 9 | 4 | 3 | 7 | 5 | 6 | 1 | 2 |
| 1 | 6 | 3 | 9 | 8 | 2 | 5 | 7 | 4 |
| 7 | 2 | 5 | 4 | 1 | 6 | 3 | 8 | 9 |
| 3 | 7 | 1 | 5 | 9 | 8 | 4 | 2 | 6 |
| 4 | 5 | 2 | 1 | 6 | 3 | 7 | 9 | 8 |
| 9 | 8 | 6 | 7 | 2 | 4 | 1 | 5 | 3 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 4 | 7 | 1 | 6 | 5 | 2 | 9 | 8 |
| 6 | 2 | 1 | 3 | 8 | 9 | 4 | 7 | 5 |
| 8 | 9 | 5 | 7 | 2 | 4 | 3 | 1 | 6 |
| 9 | 6 | 2 | 8 | 4 | 3 | 7 | 5 | 1 |
| 1 | 5 | 4 | 2 | 9 | 7 | 6 | 8 | 3 |
| 7 | 3 | 8 | 5 | 1 | 6 | 9 | 2 | 4 |
| 4 | 8 | 6 | 9 | 5 | 2 | 1 | 3 | 7 |
| 2 | 1 | 3 | 6 | 7 | 8 | 5 | 4 | 9 |
| 5 | 7 | 9 | 4 | 3 | 1 | 8 | 6 | 2 |

### * მარტივი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | | | | | 5 | | 1 | |
| 1 | | 7 | | | 3 | 9 | | |
| | | 2 | | 6 | 8 | 4 | 5 | |
| | 6 | 5 | 8 | | | | 9 | |
| | | 1 | 9 | | 4 | 7 | | |
| | 7 | | | | 1 | 3 | 8 | |
| | 1 | 9 | 3 | 8 | | 5 | | |
| | | 3 | 5 | | | 8 | | 9 |
| | 2 | | 4 | | | | | 1 |

### ** საშუალო

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 1 | | 9 | | | 7 | 3 |
| 7 | 9 | | 1 | | | | | 2 |
| | | 2 | | 6 | 3 | | | 1 |
| | | 6 | | 7 | | 3 | 8 | |
| 3 | | | 9 | | | | | 6 |
| | 1 | 5 | 6 | | 4 | 2 | | |
| 6 | | | 8 | 4 | | 1 | | |
| 1 | | | | | 7 | | 3 | 8 |
| 2 | 5 | | | 1 | | 7 | | |

### *** რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | | | 9 | 1 | | | | 5 |
| 7 | | | | 3 | | 9 | | 6 |
| 6 | | 5 | 7 | | | 4 | | |
| 2 | 8 | | 4 | | | | | 3 |
| | | 7 | 1 | | | 5 | | |
| 3 | | | | 7 | 8 | | 9 | 4 |
| | | 3 | | | 9 | 6 | | 2 |
| 1 | | 4 | | 2 | | | | 9 |
| 8 | | | | 5 | 1 | | | 7 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფოტოკურიოზები













# ხელმოწერის აქცია დაიწყო!

## ჩვენ გჩუქნით წიგნებს!

გამოიწერეთ 1 წლით გაზეთი „კვირის პალიტრა" და „პალიტრა მედიის" კიდევ 1 გამოცემა და აირჩიეთ საჩუქრად გამომცემლობა „პალიტრა L"-ის წიგნი-ბესტსელერები:

# დიდი საოჯახო სამედიცინო ენციკლოპედია




წიგნზე მუშაობდა:
10 მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
3 მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი
10 მედიცინის დოქტორი

ან ბერძნული მითები




ან მაჩვენე როგორ




მხოლოდ 31 დეკემბრამდე!

## მედია სახლ „პალიტრის" გამოცემები:

| მედია „პალიტრის" გამოცემები | 1 ეგზ. ფასი | ეგზ. რაოდენობა 1 წლის მანძილზე | 1 წლის ფასი |
|---|---|---|---|
| კვირის პალიტრა | 1.00 | 52 | 52.00 |
| არსენალი | 1.50 | 26 | 39.00 |
| ბომონდი | 5.00 | 12 | 60.00 |
| გზა | 1.00 | 52 | 52.00 |
| და.. ქალი | 2.00 | 12 | 24.00 |
| ისტორიანი | 2.00 | 12 | 24.00 |
| კარიბჭე | 1.00 | 26 | 26.00 |
| კარუსელი | 0.60 | 52 | 31.20 |
| ლელო | 0.80 | 312 | 249.60 |
| ლიტერატურული პალიტრა | 2.00 | 12 | 24.00 |
| ოჯახის მკურნალი | 1.00 | 26 | 26.00 |
| რეიტინგი | 1.50 | 52 | 78.00 |
| საბავშვო კარუსელი | 1.00 | 52 | 52.00 |
| სიტყვა და საქმე | 1.00 | 260 | 260.00 |
| სიტყვა და საქმე (კატალოგი) | 2.00 | 52 | 104.00 |
| ყველა სიახლე | 1.00 | 52 | 52.00 |
| Georgian Journal | 2.00 | 52 | 104.00 |

დაგვიკავშირდით პრესისა და წიგნების გავრცელების სააგენტო „ელვა.ჯი"

www.elva.ge ☎ 238 26 73; 238 26 74; 238 26 76

* ეს წიგნები მაღაზიებში 33 ლარი ღირს!

რნალი „კარიბჭე“ წარმოგიდგენთ
ყოველ ნომერთან ერთად, ორ კვირაში ერთხელ!

ზღაპრად ნაამბობი ყველაზე
მთავარი წიგნი!




საღმრთო ისტორია
ილუსტრირებული ბიბლია ბავშვებისათვის
იაკობ გოგებაშვილისგან!

იგნი 4
ნოემბრიდან
დეკემბრამდე

ვოთხე წიგნში:
ოდომის დასჯა
ისაკის დაბადება და მისი მსხვერპლად შეწირვა
არას სიკვდილი და ისაკის მიერ ცოლის შერთვა




საჩუქრად

მართლმადიდებლური კალენდარი
ამ ნომერთან ერთად

იგნის ფასი: 3 ლარი
ურნალთან ერთად: 4 ლარი)

წიგნების ეს სერია იბეჭდება უწმინდესისა და უნეტარესის
ქართველთა კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით.




ქ. თბილისის მერიის პატრონაჟით

თიბისი ბანკი
TBC BANK

მ² - 550$-დან



უპრეცედენტო შემოთავაზება
მხოლოდ საბა ჯგუფთან ერთად
გურამიშვილის 78-ში

გაიცემა იპოთეკური სესხები

- სესხის გაცემა მხოლოდ პირადობის მოწმობის საფუძველზე
- თანამონაწილეობა 10%-დან
- სესხის დამტკიცება

ტელ: 227 27 27

გურამიშვილის 78

www.saba-group.ge

*7222

მთავარი ოფისი:
თბილისი,
ბუდაპეშტის 7

238 44 33
577 777 077
579 770 110

ჩაბარება
2012 წლის დეკემბერი



1- 6.9/44

# „კვირის პალიტრის“ კოლექცია

# „დიდი მხატვრები“

წიგნების სერია რჩეულ ფერმწერებზე - შედევრები და ისტორიები

**წიგნი XXVI**

# დიურერი

# 5-დან -12 დეკემბრამდე

მხოლოდ „კვირის პალიტრის“ მკითხველისთვის სპეციალური ფასი 15 ლარი!



**ყურადღება** უკვე გამოსული ტომები შეგიძლიათ შეიძინოთ წიგნის მაღაზიებში!

„კვირის პალიტრის“ ხელმომწერთა საყურადღებოდ! წიგნის შეძენის მსურველები დაუკავშირდით „ელვა.ჯი“-ს ტელ: 8(32) 238 26 73 / 8(32) 238 26 74 კურიერი სერიის ყოველ ტომს ადგილზე მოგართმევთ